# ტარტაროზი

წელიწადი მეექვსე ფასი 10 კაპ.

კვირა, 10 თებერვალი 1929 წ. № 7 (191)


## ტყავის მრეწველობა „მაღლა" იწევს

ნახ. ნადარეიშვილისა.



ეს კი ის სანატრელი დროა, როცა თვითეულ მოქალაქეზე მოვა თითო პორტფელი.

# სურათები ყოფა-ცხოვრებიდან

ნახ. დონის



წინადადება, რომელიც... უარყოფილ იქნა „ერთხმად“.

# სარწმუნო თომა

## (არაკი მშვიდობიანობის საკითხზე)

სიომა,
თომა
და
ერიომა,
ნიკიტა
და
მალახიტა
მეზობლებათ იდგენ ისე,
რომ შეოფლოთ თითქმის ტირდა!.
სიომა, როგორც მოწინავე,
მკვიანი და გამოცდილი,
შინ გამრჯელი მეუღლით
და გარედაც — უფრო ზრდილი,
იყო მშვიდათ და იღწვოდა,
არ ეჭირა თვალი სხვებზე,
როცა თომა წყალს ამღვრევდა
და იდგა ზიგ, ვით მეთევზე!
„ჩხუბის თავი“ იგი იყო,
მეზობლების ჭკუის მრევი:
სადმე ბეღლის გამჭურდავთ
თუ ღამეში ლობის მტვრევი...
და დილზეც თითით სხვებზე
ანიშნებდა ზარალში მყოფს;
შედავებას ვინც შკადრებდა;
მიუღერდა მუქარით თოფს:
— რას მიქვია, ვის მიქვია
ჩემისთანა მშვიდი კაცი!
ჯერ სიმშვიდის მცველი ვარ და
მერე — ზავის აზარმაცი!..
და ამ რიგათ, გარეგნულად,
იყო თომა მტრედზეც სუფთა,
როცა ეჭვით ბედშავს სიომას,
ბევრჯელ გულიც დაუგუფთა.
„ბედშავ სიომას“ — ვამბობ, რადგან
მუგავს მეზობლის გადამკიდეს
მოსვენება არ ეწერა:
დღე რაა, რომ ღამედ ღირდეს?
და ღამე-ბნელს ნასიავე
თომა — კარის მეზობლის
დღისით ჰქონდა მას საჩიგალ
და შრომაშიც მშლელად ხელის!..
და იფიქრა ერთ დღეს სიომამ,
იფიქრა და გადასწყვიტა:
მეზობლების მრევი ხელი
რომ შუაზე გაეკვნიტა,
მათ მიმართა ასეთ თხოვნით,
ამხანაგურ დაყვავებით:
— „ვინაც ერნი გულს არ გიწვავთ
[illegible] ზურგის აქავებით,
მოდით, შევკრათ ეს პირობა,
პირიც ხელით განვამტკიცოთ:
მშვიდობა და მეზობლობა
ერთმანეთში რომ დავიცოთ,
იარაღი, ყოველგვარი,
მოვსხრათ, მოვსპოთ, შავ-ბნელს მივსცეთ!
მეზობლური საზრუნავი
ერთმანეთში გავყოთ მტკიცეთ
და მშვიდობის საგუშაგოც
დავცოთ თითოს თითო ღამით,
რომ ქურდობა, ავი საქმე
და ზარალი მოვსპოთ ამით,
რომ მეორე დღის შრომაში
არ გვტკიოდეს ფუჭად თავი,
წინა ღამის ნასიავზე
ნაცვეთი და ნაზრუნავი!..
და პირობის ტექსტი ესე
გაუგზავნა პირველ თომას!
ყველა კაცი, საზრიანი,
ისე იწყებს თავის შრომას,
რომ ჯერ მძიმე ასაწეველს,
ძნელ საჭრელს თუ ძნელ სატეხელს
მიუდგება იგი მკერდით
და მჩატეს კი კვლავ სტაცებს ხელს.
და თომაში რომ მიაჩნდა
სიომას ღვარძლის მეტი გესლი,
სახ მიართვა ეს მიმართვაც,
მომავალი ზავის თესლი!
ეგონა, თუ ამით თომას
ჯერ ისედაც ამებდა:
სიამაყე — ხიზვიადებ
მასში წაათამამებდა;
შემდეგ — „ყურდღელს“, მთელ ორ „ყურ-
დღელს“
დაიჭერდა ამ გზით მგი;
მეზობლებში ამით ზავის
გვარდებოდა თადარიგი,
რადგან მასზედ თუ კი თომას
დასტურით „ჰო“ ითქმებოდა,
ცხადი არის, მაშინ სხვების
შეთანხმებაც იქნებოდა.
თუ არა და, სანამ დასტურს
არ დართავდა ასეთს თომა,
ღამ-ღამით არ შესწყდებოდა
სამეზობლო — სამტრიოდ ძრომა!
მაგრამ... ვაი, ეს რა ესმის?
ეს სიომას ყურს რა სწვდება?
თომა ყვირის, ცამიწას სძრავს,
ჯან-ღონისგან სულ მთლად სცვდება.
იხე სჩივის, იხე დაობს
და სიომას ნაბიჯს სწუნობს:
— „ვინ არის ეს, რომ მეზობლებს
ასწავლის და აეკეტობს?
რა პირობა მოუჩმახავს?
რა თადარიგს აწყობს მეგი?
ხნანს, რომ ამით სურს ქარს მისცეს
ჩემი შრომა და ამაგი!
მშვიდობის და ზავისათვის
თითქმის სიყრმე შემიწირავს:
ღამით ბევრი ავი კაცი
მინახავს თუ დამიჭირავს!..
მე ისედაც მტკიცედ ვდგევარ
საგუშაგოს თავზედ გზირად!
მე და სიომა, აქ ორნი ვარ
მეზობლები ამ გზის პირად!
(აქ სიომას „პირში ქება“
თომამ განზრახ მისთვის სცადა,
პირობის და ხელის წერის
ჩაფლავება რომ ეწადა!)
— და ჯერ ერთი თომასათვის
მიემართა უნდა სიომას,
თორემ მე რა? რა ვუწოდო
უთავბოლო ასეთ შრომას?!
ყვირის თომა და სიომას
მოწოდებას აგდებს ბანზე...
თუმცა იმან სიომას აზრი
მოისმინა ამ საგანზე,
რომ მშვიდობის მცველი თუა
თომა ისეც, უპირობოთ,
მაშ, მით უფრო შვენის იმას
სულ მზად ყოფნაც სამშვიდობოთ,
და დაწერილ პირობაზეც
ხელიც პირველ მოაწეროს,
ყვირილით და სხვა ასეთით
საქმე რომ არ შეაჩეროს!..
მაგრამ თომა მყვირის ისევ,
ერთომაზე ხელის შვერით,
რომ საქმეში ზავის წესის
ის მტრედია ჯღალაფერით!
რომ ის ღამით, დიახ, ღამით
საგუშაგოს არ შორდება,
და „სჯერა“, რომ მეზობლებში
საქმე „ისეც გასწორდება“!
რომ მშვიდობის თადარიგზე
უკვე ზრუნავს მალახიტა:
ხელის წერა თუ მოილის
პირობაზე—ეს აქიდან!
რომ ქურდობას თუ სხვას ასეთს
ალექსეთვის მალე ფეხი,
რომ, ამ მიზნით, არის ისიც
განუწყვეტლივ ღამის მტეხი!..
საოცარი არის მხოლოთ:
თუ რომ თომას უნდა ზავი,
ყოველ-დღიურ ღამის ტეხით
რად იწუხოს უნდა თავი,
როცა, ხელ-მოწერის შემდეგ,
ელის შვება და ხიამე,
თუნდაც მით, რომ ხუთიხაგან
სტეხოს (თუ სურს) თითო ღამე?!

მაზირა

# ვაი, ჩემო დღეო!

ვაი, ჩემო დღეო, რას მოესწრება კაცი! რა მინახავს და რას ხედავს ჩემი დასაფსები თვალები! რომ არ მოვესწრებოდი ამ დროს კაი იყო, მარა მისით არ ამევიდა აგი აძაღლებული სული და ჩემით ვერ მევიკალი თავი! უწინ ბანკის არჩევნებზე და შავი ქვის კრებებზე ათი და თუთხმეტი კენჭი მქონდა და ამ უშველებელ კრებებს სითაც მინდოდა, იქით ვატრიალებდი! ვისაც კი მივადგებოდი ამ ჩემი კენჭებით სულ თაგვივით ვაწრუწუნებდი! ვისაც მინდოდა, გავათათრებდი, ვისაც არა და სულ ყორანივით გავაშავებდი! რომ შეიქნებოდა პარტიების ქიჩავ-ქიჩავი და გამომიგზავნიდენ შუაკაცებს, რომ „არა, მე ჩამიგდე შენი კენჭები და არა მეო“, მეც დავიანგარიშებდი და, სითაც ხეირი იყო, იქით გოდოუძახებდი ჩემ კენჭებს. მერე შეიქნებოდა ზუთხობია და ერთ კვირეს გოუწყვეტლივ ვქეიფობდით. ვაი, ჩემო დღეო, რისი მომსწრე ვარ ახლა! ათი და თუთხმეტი ხმა კი არა, ნეტავი, ერთი ხმა დეეტიებიენ ამ ბოლშევიკებს და სხვას არ ვჩიოდი. ხმაი კი არა, ვინ გვაგდებს რამეთ! გინდა ჩვენა ვყოფილვართ და გინდა შავ ძაღლს უყეფია! „შენო, ყოფილი თავადი ხარო. შავ სიაში მოძლვანიებულიო და ხმაი არა გაქვსო“. მერე და ამას იძახდენ, რომე თანასწორობა, აგია სამართალი, რომე ხოსია სიკინჭალაშვილს ხმა უნდა ჰქონდეს და მე შავ სიაში ვიყვე მოძლვანიებული! ფუი, თავსლაფი დავასხი ამისთანა სიცოცხლეს და ასეთ კენჭობიას! ბიჭო, ქე ვიცი, რომე წართმეული მაქვს ხმაი, მარა დაჩვეული ქე რომ ვარ ამ კენჭობიას, ვეღარ მევითმინე და წაველი საბჭოს არჩევნებზე. შევაღე კარები, დევიკრიფე გულხელი და ვარ ჩემთვის გაჩერებული ისეო ქრისტეს ჯორივით! ასახელებენ კანდიდატებათ საბჭოში ვინცხა: პეტრიას, ბასილას, ევტიხიას, სოგრატის და, ერთი სიტყვით, ვინცხა ღარიბ-ლატაკებს! აგერ ჯის ჩვენი სოვეტია დიდებულიძე, ძველი მრეწველი, გამოქექილი და გამოჯანგული! უყურე ერთხანს, მე ვსთქვი დაასახელებს ვინცხა სოვეტიას თქვა, მარა კაცი არ იღებს ხმას! აღარ მოითმინა სულმა, მივწიმოვწიე ხალხი, გავძვერ-გამოვძვერ, დავტრიალდი ძველებურად და ერთ ვინცხა ახალგაზრდას წოულაპარაკე, რომე დაასახელეთ სოვეტია დიდებულიძე თქვა, თუ გინდა რომე აყვავდეს თქვენი საბჭო თქვა. აგერ, ამას რომ ველაპარაკებოდი, უკაიდან ვინცხამ დამავლო ხელი ქეჩოში და რავარც ბუღთი, ისტე მისროლა გვერდზე! „შენო კულაკი ხარო, შავ სიაში ჩაწერილიო და აქანა რომ დაძვრები, ვინ მოგცა ამისი პრავაო!“ კულაკი. რომ გეიგონა ამ ხალხმა, ერთი იძგრიალა და ამ შვიდასმა კაცმა ერთად მომაყვირა: „გაეთრიე აქედანო!“. ავდექი მაშინვე, ამევიძუე კუდი და მოვდივარ. ორიოდე პანღურიც მომაყოლეს უკან და გამომაგდეს გარეთ! ვაი, ჩემო დღეო, რას მოესწრება კაცი! მამული წამართვეს, სახლები, წოდება, ხმაიც ქე ამართვენ ზევით და ვარცხვინე ამისთანა სიცოცხლე! თუ ასეთი დროი მომელოდა, დედაჩემს რომ გავწყალებოდი მუცელში არ მერჩია! მერჩია, ჰეშმარიტათ რომ მერჩია.

ვაი, რავა მევიჯაყე
და დამეფსო ორივ თვალი,
დავალ ქვეყნად შერცხვენილი:
არც კვდარი და არც ცოცხალი!

—:—

არც წოდება, არც ღირსება,
დამატეხეს თავზე მეხი,
ხმას მართმევენ მე, ძველ ბატონს
მთავრობაში გადის გლეხი!

—:—

ვაი, რა ცოდომ გვიწია,
რატომ გაწყრა ჩვენზე ღმერთი.-
ათი კენჭის პატრონს ნუ თუ
აღარ მქონდეს მე ხმა ერთი!
ყველა ზიზღით შემომყურებს,
წაქცეულს და დავარდნილსა.
ფუ, ამ ყოფას, ამ სიცოცხლეს:
თავლაფდასხმულს, შერცხვენილსა!

გოგია.

# „ვეშაპი-კაკაბი“

ნახ. მარიაშის

„ინგლისისა და ამერიკის მეტოქეობა თანდათან ღვივდება.... მოახლოვებულია „მსოფლიო დრამა“, რომელიც გათამაშდება მწყნარ ოკეანეზე“.

დეპეშებიდან.



ნამდვილად კი... ორი ვეშაპი! უნდათ: ერთმანეთს რომ უჭნან ყლაპი!

# ს. ამაღლება

**თავმჯდომარე:**—ამხანაგებო, პრეზიდუმის სხდომას გახსნილად ვაცხადებ და ჩემს მოკლე წინასიტყვაობაში წინასწარ ავღნიშნავ შემდეგს: მართალნია, ჩვენი ყოფნის დროს ე. ი. ამ ორი წლის განმავლობაში, ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია, მარა სამაგიეროდ, არც რამე, ამ მხრივ საკითხი ამოწურულია. (სიჩუმე). უკაცრავად, ამხანაგებო მომავალ საბჭოს არჩევნების შესახებ სიტყვა ეკუთვნის ამხ. ბუ—ძეს.

**ბუ—ძე:**—ამხანაგებო, მოგეხსენებათ, რომ დეკემბრის თვიდან უკვე დაიწყო საბჭოების გადარჩევის კამპანია, რომელიც ჩვენ არ ჩაგვიტარებია. ჩვენთან მხოლოდ მოხდება საბჭოს ახალი არჩევნები. არჩევნების დროს ჩავატარებთ საბჭოს მუშაობის საანგარიშო მოხსენებას. ამით ჩემს მოკლე მოხსენებას ვამთავრებ.

**პრეზიდ. წევრი დ—ლიძე:**—ყველაფერი ყველაფერია, ამხანაგებო, მარა, რა უნდა ვუთხრათ გლეხობას, როცა არაფერი გაგვიკეთებია?! დასწყევლა ღმერთმა, ახლა მოიგონეს თვითკრიტიკა და ერთი ამბავი. რომ მომჯდება ზურგზე, ბიძია, ეგი ყაზირალები, სულ სიქას და ტყავს გამაძრობენ მელიტონ ჯიბუტის ცხენივით; ისე სხაპა-სხუპით მოგცხებენ სიტყვებს, რომ ენა აღარ გექნება სალაპარაკო; შენ უძაგუნე თავი პავლია ზამბახიძესავით.

**თავმჯდომარე:**—ამხანაგებო, ძალიან მიკვირს თქვენი საქციელი და ასეთი შიში! მე წინასწარ ვიცოდი, რომ ეს ასე მოხდებოდა, მარა, სამაგიეროდ, ოინები მეც მოვაწყვე: საარჩევნო კრებას მოვიწვევ ავდარში და ხალხი არ დაგვესწრება, რადგან აქ მოსვლა დარშიაც შეუძლებელია, თორემ ავდარში ვინ მოვა გზის უქონლობის გამო. ასე და ამნაირად ისევ ძველი საბჭოს წევრები დავრჩებით არჩეული და არჩევა აღარ დასჭირდება.

**საბჭოს წევრები:**—(ერთად)-ყოჩაღ, ყოჩაღ! არ გითხარი მე ნამდვილი სათავმჯდომარე კაცი არის-მეთქი!

**თავ—რე:**—ამხ. კრებას დახურულად ვაცხადებ, მხოლოდ ეხლა წავიდეთ გლეხკომში, თითო კვარტი ღვინო გადავკრათ და ცოტათი შევმხიარულდეთ.

**ჩანჩალა.**

# მზრუნველი ხელი

ნახ. დინის



— არ შეგცივდეს, მარიკა!
— არ შეგცივდეს, თამრიკო!

# მემარჯვენე პოეზია

სიცივე მოასკდა ცისფერ ფანჯრის მინებს,
ოთახში შემოვიდა ღამე ბაყაყივით;
თავში უცნაური ფიქრი მიხიცინებს,
ქარი გახვინტრიცდა და მამალი ყივის...

—:—

[illegible]ელამ კრებაა ჯვარის მონასტერში;
ღამურების, ვირთხების, ხელიკების, ველების..
აქ გამოსადეგი არ ვარ არაფერში.
მე წარსულს შევყურებ და თავზე ვევლები..
ზაპესმა მრავალჯერ ჩამარტყა ნისკარტი,
ერთ დროს მეც ვჯღაბნიდი სტრიქონებს გვარიანს;
მინდა გადავკრა, ვითამაშო კარტი.
რა ვქნა, რომ თვალებზე ნისლი მაფარია?!

თანადროულობა კისერზე მაჯდება
მირტყამს და მირტყამს მაგარ მუჯლუგუნებს,
ვატყობ თან და თან: ტვინი მილაყდება,
არ მესმის, ქარხნები ირგვლივ რომ გუგუნებს..
ზაჰესს მირჩევნია მე მღვდლის ანაფორა,
თავადის ძველ ჩოხას მთლად ვენაცვალები...
პოეზიის მზე ვარ, თუმცა-ლა მუშკორად
ვერსად გამოვდექი, რაც არ ვეწვალები!..
ღამურების კრებაა ჯვარის მონასტერში,
ცაზე ქარივით გადაცურდა წერო.
მე გამოსადექი არა ვარ არაფერში
მზად ვარ, რომ სიკვდილზე ხელი მოვაწერო!..

**რეტიანი.**

ნახ. ლონის




— დააკვირდით! ჩვენი თავმჯდომარე უწინ ათ შეკითხვაზე ერთ ღერ სიტყვასაც არ გაღირსებდა პასუხად; დღეს კი ერთ უბრალო შეკითხვაზე აგერ მთელი საათია ლაპარაკობს!

— ეს ხერხი ადრე უნდა ეხმარა, თორემ ახლა თავს ამით მაინც ვერ აგვარჩევიებს საბჭოში.

# სამტრედია

ეს ქალაქი ვეღარ შესძრა დროებამ,
თავისებურს ის ატარებს სახესა,
და არ მინდა იმის გამეორება,
რაც მივეცი ჩემი ლექსის მნახველსა.
დეკემბერმა გაიარა დარებით,
მზის სხივები ეფრქვეოდა არესა!
იანვარმა გააჩინა ქარები—
დაგვამგვანა ქვრივს და მგლოვიარესა.
და ქუჩები კიდევ არ გვაქვს ქუჩებად,
ტალახებში ვცხოვრობთ დღით და ღამითა!
ბედნიერი ზამთარს გადაურჩება—
არ გვშორდება ფიქრი ერთი წამითა.
აღმასკომზე ბევრჯერ იყო მსილება
და ველოდით მისგან ხსნას და შველასა!
შარშანდელი ასსოვს გამოცდილება—
დღესაც იგი კარგად გვახსოვს ყველასა.
სიმართლისთვის ვერავინ ვერ შემაშინებს,
პას შევწირე წუთები და დღენია!—
მსურს მოუთხრო დაწვრილებით კავშირებს,
რაც გვაწუხებს და რაც მას არ ჰშვენია.
დაინიშნა თავმჯდომარე თერთმეტი,
ზოგი ათი, ზოგი ოცი წევრებით!
რომ ვთქვათ სიტყვა არც ნაკლები, არც მეტ-
მოკვდებიან მთქნარებით, აწ ხველებით.

სახამართლო, სამართალი, სიმართლე,
ეს სამივე განუყრელი ძმებია!
ვექილებმა სხვანაირად „ინათეს“
და გავრცელდა რაღაც ჩუმი ხმებია.
გაჟეჟილსა, გატეხილი სჯობია —
დღეს ქალაქი ნაღველითა ივსება!
უნდა დავგმოთ, რაც კი დასაგმობია,
უნდა დავგმოთ, მათი „წახალისება“.

ქარხანაზე ბევრი ითქვა სიმწარე,
გაზეთებიც შევაწუხეთ ბევრჯერა! —
უფროსებმა ერთმანეთი იწამეს
და მუშის ხმას აქ არავინ უჯერავს.

შტატი ვეღარ შეარჩიეს თავიდან,
ოჯახიდან სამი — ოთხი წევრია!
(გულში ცეცხლი, სიცხე თავში ავიდა
და დარდები სამუდამოთ მწვევია).
არ აკლია კულაკისა შვილებიც
(სიმართლეა და სიმართლეს არ ვფარავ)
შეძლებულებს ანაცვალეს მშივრები,
რომლებიც რომ სევდა - ტანჯვით დამწვარან.
მოპყრობაზე ლაპარაკი მეტია—
უფროსები დგანან „კვერთხით“ ხელშია!
მობრძანდიო — პროტექციას ეტყვიან —
არ გივიწყებთ შენ, ჩვენს სიცოცხლეშია.

დავიჭიროთ „გოსსტრახი“-სკენ თვალები
და გავფანტოთ სიზმელე და ნისლები!
კოწიასა ვკადროთ სიტყვა კრძალებით:
გვეყო თმენა, ძმაო, რად არ იცვლები?!
ძალადობა მოვსპეთ ძალით ძლიერით
და სოფელმა იგრძნო თავისუფლება!
შენ, გლეხებში კვეროცხებისა ძიებით
არავინ მოგცემს ჯილდოსა და უფლებას;

(ღმერთმა ნუ ქნას) ნუ ინებოს ბუნებამ,
ავად გახდე ამ ჩვენს არე-მარეში!
ვერ მოასწრო მგონი გადაბრუნება,
ვერც შეხედვა მშობლებისა თვალებში.
აფთიაქზე ხმები ყურებს აყრუებს —
წამლის გარდა შიგა ყველაფერია.
დღე და ღამე, თუ გსურს მუდამ უყურე.
სანამ აღარ შეგეცვლება ფერია.
ვეხვეწები: სული მიწუხს ძალიან,
ნუღარ მომკლავ და მიშველე ძმაო!
შემიცოდეს: ვაი შენი ბრალია,
ჩვენ გვაქვს მარტო იოდი და ძმარიო.
გამეცინა. (თუმც . ვარ დანაღონია),
ამის შემდეგ აღარ მოვკვდე მგონია.

ჰაგნელი. ბზიკი.

# თელავის სახანძრე რაზმი

ნახ. დონ..ს



— რა ამბავია! საით გარბიან ესენი?!
— ვერა ხედავ? — სახლი იწვის და მეხანძრეებს კი წყალი არა აქვთ.

## აბროლაური

### რაჭის მაზრა

ალმასკომის თავმჯდომარე
ყურს არ უგდებს გლეხებს.
თვითონ ძმობილ მიკიტანთან
ათამაშებს ფეხებს.
აბა, მას რა ენაღვლება
ის თუ ხალხი ელის.
ღვინოს ხუხავს, ტკბილად მღერის,
ქავილი აქვს ყელის.
კოოპერატივს განაგებს
ვლადიმერი ჩვენია.
დუქნებით და პუდრებით
თარო დაუმშვენია.
ხშირად დადის ქალაქში
ერთი-ორი კვირითა.
(ეჰ, ვინ იცის რამდენჯერ
ასე გაიჯირითა),
უნდა ნახოთ, როცა ის
ტფილისიდან ბრუნდება,
მის სატრფოთა გულები
თავდაყირა ბრუნდება.
ბანკის გამგეს ღვინო უყვარს.
და ქეიფობს ხშირად.
უნდა ითქვას სიმართლე, რომ
არ უჯდება ძვირად:
გლეხის ნაცვლად კულაკს აძლევს
სესხად ბანკის ფულებს;
ეს იმიტომ, რომ მას კულაკი
აჭმევს მოხრა[illegible]ოლებს.
ტარტაროზო, აწ შენ იცი:
გაგაცანი ყველა.
შენ იცი და შენ ბიჭობამ.
თუ გვაღირსო შველა.

ისლი.

## ჩოხატაური

ცუდი არვისთვის მიქნია,
ვიყავი ჩემთვის მშვიდათა,—
მაგრამ გავბრაზდი და მინდა
ზოგი გავხლიჩო შვიდათა.
ჩამოვიაროთ ჩვენს თემში
და ვნახოთ რა ამბავია.
ვინ როგორ საქმეს ეწევა;
საქმე კარგი თუ ავია.
პირველად ვიწყოთ ფოსტიდან,
მათ უთხრათ სიტყვა ასეთი:
ერთი კვირაა, ჩემო ძმავ,
არ მიგვიღია გაზეთი!
რისთვის ინახავ თვეობით?
რაში გჭირდება ამდენი?
ცდებით —თუ ფიქრობ გაზეთში
არის რამ გამოსადენი.
ეპომ ვაჭრები აყარა,
დააცლევინა დარაბა,
სავაჭრო გააფართოვა,
ასტეხა დავი-დარაბა;
გამართა მთელი პასაჟი
რვა დარაბისგან შემდგარი,
დედა უტირა ყველას და
ბრძოლაც დაუწყო მედგარი.

ელგუჯა.

## ოხ თავო ჩერჩეტო

დეიქცეს ოჯახი, ვინცხამ თბილისში ცხოვრება ინატროს. ცოლი, შვილი, ბებიე, ბაბუე, სიდედრი, სიმამრი, დაი, ძმაი, ცოლის ძმა და ცოლის და, ყველე ჩემდა ასაოხრებლად გაჩენილა ამ ქვეყნად. თავიდან თვარ დაგიკაკლეთ, ისე ვერაფერს გაგაგებინებთ ვერაკაცს. სამი წელიწადი დაკანკალდა, რაც ქალაქში ჩამოვტენტერდი. კარგი ნაცნობებს ვენაცვალე, ადგილი მალე მიშოვნეს.

ვნახოთ — ერთი გოგოც შემიყვარდა. (გოგოს თქვენთან ვლაპარაკობ, თვარა ოცდა ცამეტი წლის შარშანწინ ყოფილა). ჰოდა, აი, ასეთი ქალიშვილი შემიყვარდა. ჩავზაქსდით. გავიდა სამი თვეი თვარა წამეებერა უშნოთ მუცელი, მეცხრე თვეზე ქე დალოგინდა. აგვისტოში მესტუმრა სიდედრი და სიმამრი.

ერთი კვირე ისე მომხარჯეს, რომ ხუთი თუმანი ჯამაგირს ზევით დემედო წარმოების ვალი. დადგა სექტემბერი — ჩამობრძანდა ჩემი და და ჩემი ძმა. აგენსაც სამიოდე თუმანი წავახარჯე. ის კინაღამ დამავიწყდა — როცა სიდედრი და სიმამრი გაუშვი სახლში — ცოლმა თავისი ენის მოქნილობით, ერთი ზაკაბა გამომატანია კრედიტში და მეორესათვის — საახალოხე. ოქტომბრის თვეში ერთი თვით ჩამომესახლა ცოლის ძმა და ორი ცოლის დები. აგენის სტუმრობა გასტანა ერთი თვე და — თუ რამდენ ავანს გამევტანდი, კი მიხვდებით. ძნელოლლო.

# ქმარები და გვარები

ამას წინათ ტფილისის სადგურზე ჩემს ნაცნობ მანდილოსანს შევხვდი, რომელსაც თან ხუთი-ექვსი წლის ბიჭუნა ახლდა და სახალხო მატარებლის მოსვლას უცდიდა.

— სონას გაუმარჯოს!

— გაგიმარჯოთ! — ცივად მიპასუხა მან.

— ვერ მიცანით? მე დომენტი ვარ, მაისუ..

— არ მახსოვს... იქნებ გეშლებათ... იქნებ სხვა სონას იცნობთ.

— მე დომენტი ვარ—მაისურაძე. აღარ გახსოვთ ქუთაისი? თქვენ ხომ სონა ხართ, სონა კეთილაძე, გრიგოლ კეთილაძის მეუღლე.

— ახ, დომენტი ხართ? რა ხანია აღარ შემხვედრიხართ. მიკვირს, რომ ადვილად მიცანი... მაგრამ მაინც გეშლება...

— რა მეშლება?

— ისა, რომ მე კეთილაძე აღარა ვარ.

— როგორ?!

— კეთილაძე ჩემი პირველი მეუღლის გვარია, რომელთანაც მე უკვე აღარ ვცხოვრობ.

— დაშორდით?

— დიდი ხანია. კეთილაძის შემდეგ მე ყვინჩილაძეს გავყევი.

— არა.

— არაფერი მესმის!

— ჩვეულებრივი ამბავია: ყვინჩილაძეს გავშორდი და მესამედ გავთხოვდი.

— მაინც რომელია ახლა თქვენი გვარი?

— ახლა მე ჟუჟუნაძის გვარს ვატარებ.

— ჟუჟუნაძე?!.. მოიითმინეთ... მეცნობება... ის ჟუჟუნაძე ხომ არ არის თქვენი ქმარი, ჰამტრესტში რომ მსახურებდა?

— როდის? რომელი ჟუჟუნაძე?

—ბესო ჟუჟუნაძე. ფული რომ გაფლანგა.

— არა; არც კი ვიცნობ. თანამოგვარე ყოფილა. ჟუჟუნაძე ჩემი ქალიშვილობის გვარია. როდესაც მესამედ გავთხოვდი გადავწყვიტე: რომ ისევ ჩემი ქალიშვილობის გვარი მეტარებია. ჩემი ქმარიც, ცხადია, დათანხმდა და სხვადასხვა გვარებს ვატარებდით.

— როგორ თუ ატარებდით? მესამე ქმარიც გამოიცვალეთ?

— მერე რა ვუყოთ! ქვეყანაზე არაფერი არაა მორალური. ყველაფერი იცვლება. ქმრებიც იცვლებიან...

— და ქალებსაც იცვლიან—ირონიულად დავუმატე მე, ჩემი თანამოსაუბრის კილოთი გათამამებულმა და მცირე პაუზის შემდეგ ისევ შევეკითხე:

— რომელ გვარს ატარებს ახლა თქვენი ვაჟი? კეთილაძეა, ყვინჩილაძე, თუ ჟუჟუნაძეთ გაატარეთ „მაჩ“ის რეგისტრაციაში? ან იქნებ მეოთხე ქმართან შეგეძინათ.

— ამ ბავშის გვარი გაფრინდაშვილია.

— მაშ თქვენი ახლანდელი ქმარი გაფრინდაშვილი ყოფილა. ნეტავ, რომელია? იქნებ ნაცნობია? ჩვენი კუთხიდან ყოფილა!

რომელი ქმარი! აგერიათ. ახლანდელი ჩემი ქმრის გვარი ყბედიანია. ეს ბავში ყბედიანის მესამე ცოლის ვაჟია. მე კი მეოთხე ცოლი ვარ. ორი თვეა, რაც ყბედიანი მესამე ცოლს გაშორდა და ჩემთან ცხოვრობს. ბავში კი ისევ დედის გვარს ატარებს...

— ამერია, სწორედ ამერია.. ამდენი გვარები... ერთი მითხარით, რა გვარის იქნებიან თქვენი მომავალი ბავშები?

— წინდაწინ განსაზღვრა ძნელია.

— მაშ, უგვაროდ დარჩებიან?

— სულაც არა. ათასი კანონიერი ან უკანონო გვარი მოიძებნება. მათი გვარები იმაზეა დამოკიდებული, თუ როდის ვისგან და რა პირობებში გაჩნდებიან. აი მაგალითად: მე ექვსი თვის პატარა გოგონა მყავს. ის მესამე ქმართან დაშორების შემდეგ გაჩნდა, მაგრამ მანამდე, სანამ მეოთხეს გავყვებოდი; ამიტომ ის ბავში ჩემს გვარს ატარებს.

— მაშ, თქვენი პატარა ქალის გვარი ჟუჟუნაძეა?

— არა.

— მაშ, როგორ არის. თუ თქვენი ქალი თქვენს გვარს ატარებს, ესე იგი ჟუჟუნაძის ქალის გვარს, ჟუჟუნაძე უნდა იყოს.

— მართალი ბრძანდებით, ჩემი ქალი ჩემ გვარს ატარებს, მაგრამ მაშინდელი ჩემი გვარი ყვინჩილაძე იყო და ჩემი ბავშიც ყვინჩილაძის გვარზე დავსწერე.

— გაუგებარია. თქვენ თვითონ ამბობთ, რომ თქვენი ქალი მესამე ქმრის განშორების შემდეგ გაჩნდა. ყვინჩილაძე კი თქვენი მეორე ქმრის გვარია.

— მე მაშინ სწორედ მეორე ქმრის — ყვინჩილაძის გვარს ვატარებდი.

— აკი აღნიშნეთ, რომ მეორე ქმართან გაშორების შემდეგ ქალიშვილობის გვარს ატარებდით!

— მართალია. მესამე ქმრის ხელში ქალიშვილობის გვარს ვატარებდი. როცა მესამეს დავშორდი, ისევ მეორე ქმრის გვარი ავირჩიე.

— მაშ, ახლა თქვენც ყვინჩილაძე ხართ?

— არა, ყვინჩილაძე მეოთხე ქმართან შეუღლებამდი ვიყავი. შემდეგ, ისევ ქალიშვილობის გვარს დავუბრუნდი. ჩემი პატარა ქალი კი, ცხადია, ისევ ყვინჩილაძეთ დარჩა.

— მაშ, თქვენ ოჯახში რამდენი წევრიც არის, იმდენი სხვადასხვა გვარი ყოფილა, ესე იგი, სულ ოთხი მოქალაქეა და ოთხი სხვადასხვა გვარი აქვთ.

— ტყუილია. სცდებით. ჩვენს ოჯახში სულ ექვსი წევრია და გვარი კი ცხრამდი აღწევს.

— ეგ კი წარმოუდგენელია.

— ესეც ჩვეულებრივი მოვლენაა: ჩემი ქმარი მხატვრობია. ამიტომ მას, როგორც ხელოვნების მუშაკს ორი გვარი აქვს: ერთი ნამდვილი და მეორე ფსევდონიმი. მისი ნამდვილი გვარი უბედაძეა, ფსევდონიმი ფოქსტროტელი.

— ეს ექვსი გვარი და ხუთი მოქალაქე. დანარჩენი?

— მეექვსე წევრი ჩვენს ოჯახში ჩემი მულია. მასაც სამი ქმარი ჰყავს გამოცვლილი: მაზურაძე, ქაფაძე და ყანწიშვილი, რადგანაც სამივესთან აქვს აღძრული საჩივარი ალიმენტის შესახებ, მათთან მტკიცე კავშირის მოსაჩვენებლად სამივეს გვარს ატარებს.

— მაშ, თქვენი მულის გვარი მაზურკაძე — ქაფაძე — ყანწიშვილია?

— ქალიშვილობის გვარის მიმატება დაგავიწყდათ: ყბედაძე — მაზურკაძე — ყანწიშვილი.

— საკვირველია, რატომ არ გერევათ ამდენი გვარები!

— არაფერიც არ არის გასაკვირველი. მე ერთი ნაცნობი ოჯახი მყავს, სადაც ხუთ კაცზე ოცი გვარი მოდის: მინდაძე — წერაძე — ცხვედიანი — ასამბაძე — ცქიტიშვილი —ბროვაძე... სად მიდიხართ? მე არ გამითავებია... მომაძახა მან უკანიდან. მაგრამ თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს არაფერი მესმოდა და პერონისკენ გავიქეცი.

მედუზა.

# — გამარჯობა!
# — ღვთის წყალობა!

დასავლეთის საზღვარზე დასეირნობს წითელარმიელი. თოფი იღლიაში ამოუჩრია და უსტვენს დარდიმანდულად. მაინც მიეწყინა ვაჟკაცს მარტო ყოფნა. მაგრამ შორს, საზღვარს იქით მოსჩანს პოლონელი მხედარი. ისიც მარტოა. და ალბათ მოწყენილიც არის.

წითელარმიელმა გასწია მისკენ სეირნობით, სტვენით. ბოლოს მიუახლოვდა კიდეც.

— ეი! ძმობილო! გამარჯობა შენი!

პოლონელმა მხედარმა უნდობლათ აჰხედ-დაჰხედა წითელარმიელს,

— ეი! ძმობილო! მუნჯი ხომ არა ხარ? ხმა ამოიღე!

— რაო? რა გინდა?

— გამარჯობა მეთქი, ვერ გაიგე!

— გამარჯობაო?!. დაიცა! ეხლავე!

აქ პოლონელი მხედარი საჩქაროდ მოახტა ცხენს და ქუდმოგლეჯილივით გაჰკურცხლა—საით?

წითელარმიელს უკვირს პოლონელის ქცევა. უყურებს იმის ბუზანკალ შემჯდარივით გაჰქენებულ ცხენს და თან ხითხითებს გულიანათ.

პოლონელმა ბევრი აჭენა თუ ცოტა აჭენა როგორც იქნა მიაღწია—პარიზამდის. მიაღწია და იძახის გულამოვარდნით:

— ხალხო! ჯამაათნო! დაუჯერებელი ამბავი მოხდა დედამიწაზე: წითელარმიელმა გამარჯობა მითხრა. წარმოგიდგენიათ წითელარმიელისაგან გამარჯობა! მე, რასაკვირველია, ხმაც არ გამიცია. მაშინათვე აქეთ გამოვკურცხლე რომ შეგეკითხოთ: ვუპასუხო თუ არა—გაგიმარჯოს მეთქი?

ბრიანმა შუბლი შეიჭმუხნა, პუანკარეს ლოყები გაებერა, დუმერგი თავიდან ფეხებამდის გასივდა.

საჩქაროდ მოწვეულ იქნა დიდ ბრძოლებში ნაცად ღენერლებისა და სტრატეგების თათბირი: წითელარმიელის გამარჯობაზე პოლონელმა მხედარმა უპასუხოს თუ არა—გაგიმარჯოს.

ბევრი იმსჯელეს თუ ცოტა. იმსჯელეს, დაადგინეს:

„რომ წითელარმიელმა იჭვის თვალით არ შეხედოს, პასუხი უეჭველად უნდა მიეცეს გამარჯობაზე. მაგრამ რომ მართლა არ მიეცეს მას გამარჯვება, ამიტომ საჭიროა უფრო მეტი შეიარაღება სიფრთხილისა და წინდახედულობის თვალსაზრისით“.

მართლადაც თოფით, ზარბაზნით და ზამბურაკით კარგად შეიარაღებული პოლონელი მხედარი როგორც იქნა დაბრუნდა თავის ადგილას.

წითელარმიელი დასეირნობს ისევ მშვიდათ, ძველებურათ.

პოლონელი მიუახლოვდა და ეუბნება:

—გაგიმარჯოს!



ნახ. მარიაშის

„მტრედები“:— ღუ-ღუ-ღუ!.., ღმერთო ჩემო, როგორ გათხუპნულან?!.

„ჭილყვავები“:— ყიჰ-ყიჰ-ყიჰ!.. უუუ, რა რიგ შეთხუპნულან?!.

წითელარმიელი გაოცებით უცქერის:

— რას მეუბნები? გაგიმარჯოს?

— ჰო! ამასწინეთ რომ გამარჯობა მითხარი, მეც გეუბნები—გაგიმარჯოს მეთქი. აქ წითელარმიელს ისეთი სიცილი წასკდა, რომ მუცელს ძლივსღა იმაგრებდა,

— შე დალოცვილიშვილო მერე ამდენს ხანს მოუნდი იმის ფიქრსა, გამარჯობა გეთქვა თუ არა!

და ისევ იცინის, იცინის რაც ძალი და ღონე აქვს.

ამ მხიარულ სიცილში წითელარმიელს ცხვირიც დაეცემინა.

პოლონელი მხედარი ერთ წუთს შეფიქრიანდა. შემდეგ ისევ მოახტა ცხენსა და გაჰკურცხლა ძველი გზით.

წითელარმიელმა რომ გული მოითქვა, თვალი ძლივსღა შეავლო მხოლოდ პოლონელის ქუდსა და ცხენის კუდსა. გაოცებულია კაცი: ნუ თუ ცხვირის დაცემისა შეეშინდა და იმიტომ გაიქცა! ნაცარქექია ხომ არ არის.

პოლონელი მხედარი კი ისევ გულისხეთქით მივარდა—პარიზში.

—ხალხო და ჯამათო! წითელარმიელმა ცხვირი დააცემინა, მაგრამ რადგან მე არ ვიცოდი, საკავშირო თვალსაზრისით და პოლონეთის კეთილდღეობისთვის მისაღები იქნებოდა თუ არა—ვერ ვუპასუხე—„ღვთისწყალობა“ მეთქი. ეხლა მითხარით, როგორ მოვიქცე? ვუთხრა თუ არა წითელარმიელს „ღვთისწყალობა?“.

ამოძრავდენ მინისტრები, დეპარტამენტის უფროსები, დეპუტატები.

რადგან საკითხი შეეხებოდა ღმერთსა და იმის წყალობას, ამიტომ მოწვეულ იქნა საგანგებო თათბირი კარდინალების, ღვთისმეტყველების პროფესორების, კეთილმორწმუნე კათოლიკების და სახელმწიფო მოღვაწეების.

დაიხარჯა ცოტაოდენი სიტყვა (სულ ილაპარაკა 500 ორატორმა), ცოტაოდენი ქაღალდი (სულ 9,000 თაბახი), ცოტაოდენი დრო (1000 საათი) და ბოლოს დაადგინეს. რა დაადგინეს?

„ყოველ ცხვირის დაცემინებაზე ყოველ პატიოსანმა ადამიანმა უნდა უპასუხოს „ღვთისწყალობა“. სამწუხაროდ, ზრდილობის წესით პასუხი უნდა გაეცეს წითელარმიელსაც მაგრამ იმას ღმერთი არა სწამს და არც ეკუთვნის ღვთის წყალობა. მაინც წითელარმიელმა, რომ ნამეტანი საეჭვოდ არ მიიღოს სიჩუმე—პასუხი აუცილებელია. და რადგან ღმერთი ურწმუნოს არასოდეს არ შეეწევა, ამიტომ წითელარმიელის ცხვირის დაცემინებაზე უვნებლად შეიძლება ეპასუ-

ნახ. ამ. ქუთათელაძის.

„სოფ. ამბროლაურის ექიმი გასასინჯად მისულ ქალებს ეარშიყება".

(გაზეთებიდან).



— ექიმო, თითი გავიჭერი

— გაიხადე ტანზე..., გაგსინჯო!

ხოს—„ღვთისწყალობა". სულ ერთია ღმერთი ულმერთოსთვის წყალობას მაინც არ გაიმეტებს".

გამოცდილმა სტრატეგებმა კი თავიანთ მხრივ შემდეგი შენიშვნა ჩაუმატეს ამ დადგენილებაში:

„ღვთისწყალობა კი ეთქვას, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის მაინც საჭიროა შეიარაღების უფრო მეტი გაძლიერება, ერთიც ვნახოთ ღმერთმა მართლა მისცეს წყალობა, მაშინ ვიღა დაუდგება წინ წითელარმიელს?".

და ზედმეტი თოფებით, ტანკებით, ზარბაზნებითა და ზამბურაკებით შე... ...ლებულმა პოლონელმა ჯასწია

**წითელარმიელი** თავისთვის დასეირნობდა. თან უსტვენდა დარდიმანდულათ. პოლონელი ჩამოხტა ცხენიდან და მიმართავს წითელარმიელს:

— ღვთისწყალობა!

წითელარმიელმა თვალები დააჭყიტა.

— რას მეუბნები თუ ძმა ხარ გამაგებინე!

— ღვთისწყალობა მეთქი, ვერ გაიგე!

— რაზე მეუბნები ამ ღვთისწყალობას, ჯერ გამიგია!

— აი, ამასწინეთ რომ ცხვირს დააცემინე—აღარ გახსოვს!

— შე ოჯახაშენებულო, შაგ ცხენითა მთელ სამ კვირესა ამ „ღვთისწყალობას" მოსატანად დაჭენაობდი?

— მერე რა? მარჯვე ცხენი მყავს თორემ სხვა უჩემოთ უფრო მეტ ხანსაც მოუნდებოდა.

— რასა კაცო?

— ღვთისწყალობის მოტანასა.

— სამ კვირესა და ისიც ცხენით ალბათ ღმერთთან თუ იყავი მართლა თორემა...

და წითელარმიელი ისევ იცინის, კვდება სიცილითა.

ნადირი.

# „დაზღვეული“

## (აზრი ალებულია)

**მომქმედნი პირნი:**

1. **სანდრო**—მძინარაშვილი —28 წლისა;
2. **ელენე**—მისი ცოლი—23 წლისა.
3. **ნიკო** — სახლების კომიტეტი—30 წ.;
4. **ალფესი**—დამზღვევ სალაროს აგენტი;
5. **ათანახე** — მღვდელი.
6. **დამზღვევ სალაროს ექიმი.**
7. **ივანე** — გამომცემლობის გამავრცელებელი აგენტი.

**ელენე**—ამდენხანს ქე გავიტანეთ თავი როგორც იყო, მაგრამ აწ რაღა გვეშველება, აღარ ვიცი! აი, დამზღვევი სალარო სწორედ ჩვენთვის ყოფილა გაჩენილი. კაცო, მოიგონე რამე, კიდევ, თორემ ხომ ხედავ სადილი არა გვაქვს?!

**სანდრო**—რა ეშმაკი მოვიგონო, ქალო? (ფიქრობს) დაუბადებელი ბავშის დასაბადებელი მივიღე; მისი რძის ფული მივიღეთ; დასამარხი მივიღეთ; ძიძის მივიღეთ; ავადმყოფობის მივიღეთ; (ითვლის) დასაბადი დასამარხი, რძის, ძიძის, ავადმყოფობის... სხვა რაღა დაგვრჩენია? უნდა დაგაბადებინო, ქალო კიდევ ერთი ბავშვი.

**ელენე**—დამაბადებინო, რავა, კატა ხომ არა ვარ? წელიწადია — სამი ბავშვი დავბადე. ყველაფერი უწერიათ; რომ გაიგონ?!

**სანდრო** — გაიგონ კი არა, ის არ გინდა!.. აბა, რა მოვიგონო რომ აღარ ვიცი?

**ელენე** — დაფიქრდი კარგად, მოიგონებ რამეს,..

**სანდრო** — (ფიქრობს) მოიცა, მოიცა, მოიცა... მოვიგონე... მოვიგონე!

**ელენე** — რა? რა მოიგონე?

**სანდრო** — აი, რა; ვითომ მე მოვკვდი. შენ გაიქეცი სახლების კომიტეტთან, აიღე მოწმობა ჩემი სიკვდილის შესახებ, წადი დამზღვევ სალაროში და... დასამარხი ფული ხელში გექნება.

**ელენე**—კი, მარა დამარხვა რომ დაგჭირდება?

**სანდრო** — ჰერიჰაა, მოიგონა ამანაც! ქალო, ცოცხალი გინდა დამმარხო? ჩვენ ფულები ავიღოთ და მოუსვათ აქედან, თორემ სულ ერთია—შევალეებს მაინც ვერ გადაურჩებით.

**ელენე** — ეხლავე წავალ (გარბის).

**სანდრო** — აი, დამზღვევი სალარო რომ არ მოეგონებიათ ამ ოჯახქორებს, დევილეპებოდი კაცი! (შემოდის ივანე).

**ივანე** — გამარჯობათ! (უწვდის ხელს, სანდრო არ აძლევს) თანახმად საბჭოს წინადადებისა, კულტ-თათბირის რეზოლიუციისა, პროფაქტივის ოქმისა და სოცდაზღვევის რჩევისა, — თქვენ მოვალე ხართ შეიძინოთ სოცდაზღვევის მიერ გამოცემული დებულებათა კრებული, რომელიც დამტკიცებულია და შემოწმებულია. ხელის მოწერითა და სათანადო ბეჭდის დასმით... აი ინებეთ (აწვდის წიგნაკს).

**სანდრო**—რაოჯრად მინდა შენი დებულებები!?

**ივანე** — ამხანაგო, ეს ფრიად სასარგებლო წიგნია. თქვენ ამით შეგიძლიათ გაიგოთ — რა არის სოცდაზღვევა და რა დახმარებას უწევს ის დაზღვეულებს? ღირს ექვსი აბაზი.

**სანდრო** — დამანებე ერთი თავი თუ ღმერთი გწამს. მე მაგაზე უკეთესად ვიცი რა დახმარებასაც იძლევა დამზღვევი სალარო.

**ივანე** — ამხანაგო, ყველა შეგნებული მოქალაქე მოვალეა ხელი შეუწყოს ჩვენს გამომცემლობას, ეს თუ არ გნებავთ, შეიძინეთ შრომის კოდექსი (იღებს) ღირს 3 აბაზი.

**სანდრო** — არ მინდა, არა... გესმის — არ მინდა!

**ივანე**—აბა, ინებეთ პროფსაბჭოს მეორე ყრილობის რეზოლიუციები. ღირს 5 შაური... იაფია (იღებს).

**სანდრო** — მომცილდი თავიდან, თორემ მომაბეზრებ თავს ამ გაბრაზებულ გულზე.

**ივანე** — შენ შეუგნებელი ვინმე ყოფილხარ. მე მაგ საკითხს დავსვამ სადაც ჯერ არს.

**სანდრო** — გამეცალე აქედან, შენი მამის სულიც კი... (ივანე გარბის, კარებში ელენეს შეხვდება და გაგორდება, შემდეგ ადგება და გარბის).

**ელენე** — რავა ფეხებში მებორიკებიან ეს გასაწყვეტები!

**სანდრო** — რა ქენი, ქალო, მოგცა მოწმობა?

**ელენე** — არ სჯერავს, მგონია მიგვეიხვდა... „თითონ მოვალო“ მითხრა... მგონია გავებით. რა უნდა ვქნათ ახლა?

**სანდრო** — ნუ გეშინია, ქალო, მე დავწვები, ისე მოვიქცევ თავს, რომ მაგან კი არა, ეშმაკმაც ვერ მიცნოს, ცოცხლად. შენ დამიჯექი ახლოს; ამოისვი ხახვი თვალებში და მორთე ტირილი. იცოდე კარგათ მიტირე, ეჭვი არავის აალებინო... (წვება) დამაფარე ზეწარი... აბა ჩქარა; მგონია მოდის ვიღაცა... ღმერთი არ გაგიწყრეს — ახლოს არავინ მოუშვა.

**ელენე** — (აფარებს ზეწარს და მოსთქვამს). ვაიმე ჩემო სანდრო! რა მეშველება აწი? (შემოდის ნიკო).

**ნიკო** — (თავისთვის) ოჰო! ეს მართლაც მომკვდარა! (ელენეს) რამ მოკლა ეს კაცი, ასე უცებ? (მიცვალებულს) მუშაობა მაინც გეზარებოდა და კარგი ადგილი მოგინახავს.

**ელენე** — რა ვიცი, შენი ჭირიმე ნიკო! (მოთქმით) ადგა თუ არა, მაშინვე რაცხამ მოუარა და ქე დამიფასო თვალები... ვაიმე ჩემო სანდრო!

**ნიკო** (გადახედავს მიცვალებულს) კარგიც უქნია, განთავისუფლებულხარ ქალო (ჯდება).

**ელენე** — რაღა მეშველება, ძმაო, აწი? ვინ იქნება ჩემი პატრონი.

**ნიკო** — პატრონი კი გამოგიჩნდება, შენ თქვი რამე. (მიცვალებულს) ეხლაც შეგვიშლი ხელს, შენ ეშმაკის ფეხო? (ელენეს) გახსოვს — როგორ მოგვატყუა: „ორ დღეს არ მოვალო“ და გამთენიეს ხანს კი მოგვისწრო, მაშინ ცოლისგან იმდენი მომხვდა, რომ... (მიცვალებულს) სულ შენის მიზეზით, შენ ძაღლო, შენა! სიკვდილი ცოტაა შენთვის, სულ ლუკმა ლუკმად ასაკუწი ხარ.

**სანდრო** — ოჰო, კარგი რამეები მესმის.

**ნიკო**—(მიდის ელენესთან) ნუ სტირი, ქალო. არაფერი გიშავს. მე შენ ყოველთვის დაგეხმარები, ჩემო სიცოცხლევ. (მოხვევს ხელს და ჰკოცნის).

**სანდრო**—(გამოყოფს თავს) ვაიმე, ვაიმე! რას ვხედავ ამას?!

**ელენე**—გრცხვენოდეს, ნიკო, რაებს სჩადიხარ (ხელს ჰკრავს).

**ნიკო**—ძლივს გეღირსა თავისუფლება და ახლაც არ მაძლევ ნებას?

**ელენე**—ჩუმად, მიცვალებული მისვენია.

**ნიკო**—ესვენოს მერმე, ჩვენ რას გვიშლის?

**ელენე**—ხომ იცი: მიცვალებული „სამ დღეს ყველაფერს ხედავს და უყურებსო“.

**ნიკო**—მეტი არაა ჩემი მტერი მაგან ვერაფერი გაიგოს და დაინახოს.

**ელენე**—არა, ამბობენ აუცილებლად გაიგონებსო.

**ნიკო**—გეიგონებს და გეიგონოს, ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს და... (მოხვევს ხელს).

**ელენე**—კმარა. გეყოფა, გამიშვი ხელი.

**ნიკო**—კარგი, კარგი არაფერს გიზამ. წამოდი, მოგცე მოწმობა (იწერს) ეძლევა ესე ელენე მძინარიშვილისასა მასშინა, რომ მას გარდაეცვალა ქმარი“. აი პირველი მოწმობა, რომელსაც სიამოვნებით ვიძლევი (გადიან).

**სანდრო**—(წამოვარდება) ასეთი სიკვდილისაგან ღმერთმა დამიფარის. იმ კაცმა ცოლი ჩამიპროშტა, მე სული და რჯული მაგინა და წავიდა. სიამოვნებით იძლევა ჩემი სიკვდილის მოწმობას. არა, ეს ჩემი ცოლიც რომ აჰყვა! აი, შენ როკაპო შენა, მომიპრძანდი სახლში. ჩუ ვიღაც ოხერი მოდის მგონი! (დაწვება და ზეწარს წაიფარებს).

**ალფესი**—(შემოდის და უკვირს) შინ არავინ ყოფილა! საკვირველია სწორედ: ამ კაცმა ამ ერთ წელიწადში დამზღვევ სალაროდან სამჯელ დასამარხი მიიღო, ორჯერ ძიძის, ოთხი

ბავშის დაბადების და აქ ვკ ერთი ბავშიც არ კნავა. (გაიხედ-გამოიხედავს), ბიჭოს ეს მომკვდარა მგონია! (წაიწევს მიცვალებულისაკენ).

**ელენე**—(შემოვარდება) თქვენ ვინ გნებავს?

**ალფესი** —სანდრო მძინარაშვილი!

**ელენე**—(მოთქმით) სანდრო მოკვდა მისი ჭირიმე... და დამევსო თვალები, ამოვარდი კაცი!

**ალფესი**—მოკვდა?!

**ელენე**—დიახ, მოკვდა შენი ჭირიმე, დავილუპე, მოშესპო სიცოცხლე.

**ალფესი**—როდის მოკვდა ქალო?

**ელენე**—გუშინ სალამოს, გუშინ შენი ჭირიმე.

**ალფესი**—ამ დილით რომ კარგად იყო? (იჭვიანად გადახედავს).

**ელენე**—დღეს მოკვდა შენი ჭირიმე, დღეს!

**ალფესი**—(თავისთვის) ეხლა კი მივხვდი, როგორც მოკვდებოდა!.. (ელენეს) მაშ დასამარხი ფული დაგჭირდება.

**ელენე**—მოწმობები მზადა მაქვს, შენი ჭირიმე; უნდა დამეხმაროთ რამე!

**ალფესი**—ძალიან კეთილი, მობრძანდით, მიიღეთ. (გადის).

**სანდრო**—(წამოხტება და ჩამოუვლის ცეკვით). რა ქენი ქალო, მეიტანე მოწმობა?!

**ელენე**—მოვიტანე, მაგრამ ექიმის მოწმობაც რომაა საჭირო?

**სანდრო**— დალახვროს ეშმაკმა. (ფიქრობს) მოიცა, მოიცა... გუშინ წინ ექიმს ერთი ბეჭედ დასმული ბლანკი მოვპარე. აი, შეავსე. (აძლევს) აბა დასწერე.

**ელენე**— რა დავსწერო?

**სანდრო**—რასაც მე გეტყვი. (უკარნახებს):—ეძლევა ესე ელენე მძინარაშვილისას მასშინა, რომ მას გარდაეცვალა ქმარი.

**ელენე**—რამე ავადმყოფობაც უნდა დავასახელოთ.

**სანდრო**—ავადმყოფობა? დასწერე კუჭის სიგანიერე.

**ელენე**—მასეთი ავადმყოფობა რომ არ არსებობს?

**სანდრო**—შენ თუ ექიმი ხარ და იცი, დასწერე, რაღას მეკითხები?

**ელენე**—დავსწერავ „ჩუმით“, ეს ავადმყოფობა შესაფერიცაა და სწრაფადაც ჰკლავს კაცს.

**სანდრო**—დასწერე. უკეთესია არავინ მოგვეკარება, — „ჭირიაო“ შეშინდებიან.

**ელენე**—დავსწერე. მზად არის.

**სანდრო**—ეხლა გაიქეცი დამზღვევ სალაროში და მიიღე ფული, იცოდე—თვალებზე ცრემლი არ შეიშრო. ხანდახან იტირე კიდეც.

**ელენე** — შენ ჯავრი ნუ გაქვს. ისეთ მოთქმას დავიწყებ, რომ ჯორკსაც ავატირებ. (გადის).

**სანდრო** — არაფერ ვიარ იტყვის კაცი, მარა კაი მოხერხებაა საჭირო. არა, რა ჩემს ბედზე მოუგონიათ ეს დამზღვევი სალარო. მაგი რომ არ იყოს, რა მეშველებოდა?! დავბადე—მომეცი, მომიკვდა—მომეცი, ვაჭამე—მიმეცი... იძლევიან და იძლევიან.. ჩუ. მოდის ვიღაც! (წვება) რა სიარული აუტყდა ამ ოჯახქორებს! თქვენი რჯულიც არ იყოს! (შემოდის ათანასე მღვდელი).

**ათანასე** — აჰა არს უფალი, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა ამინ... (მიიხედ-მოიხედავს) აქ უფალი კი არა, ეშმაკიც არ ყოფილა. (შეხედავს მიცვალებულს) ოჰო, მიცვალებული?! (გადახედის) აფსუს რა ბიჭი ყოფილა! რომ მომცემდეს რასმეს, უწირავდი!

**სანდრო**—ეხლა აგი შემომიჩნდება.

**ათანასე** — (იწყებს ლოცვას) სულთათანა აღსრულებულსა მონისა შენსა, განუსვენე ღმერთო ჩემო სულსა მონისა შენისასა... არა ამ უპატრონო მკვდარს რომ უწირავ, რა ხეირია (დაინახავს პალტოს) ეს პალტო თუ მაგისია, არა უშავს—საწირავში წავიღებ.

**სანდრო** — ღმერთი გაგბერავს ისე, მაგი შენ გაგატანო!

**ათანასე**—(ჩამოიღებს და სინჯავს) არა უშავს! ახალია. (გადაიღებს მკლავზე) ღვთისმშობელო მარიამ, ყოვლის შემძლე უფალო გევედრები, რათა აცხონე სული ამისა. კარგა ხანია არ მილოცია და კიდევაც დამვიწყებია. თუმცა სულ ერთია, აქ არავინ მიყურებს (აბრუნებს პალტოს) ალილუია, ალილუია. ჯერ კიდევ ახალია. ალილუია, ალილუია (მიდის კარებისაკენ).

**სანდრო** — (წამოყოფს თავს) დატოვე პალტო. (ჩაწვება უცებ)

**ათანასე** — (შეკრთება) კურთხეულ არს უფალი! (მიდის კარებისაკენ)

**სანდრო** — დატოვე პალტო მეთქი (ჩაილაპარაკებს ისევ)

**ათანასე** — (მიიხედ - მოიხედავს) დიდ არს უფალი იოსე ქრისტე. ეს რა ხმა მესმის? გამიღე კარნო სამოთხისაო! (აწვება კედელს კარების ნაცვლად)

**ელენე**:— (დაინახავს მღვდელს) რა გინდა ხუცესო, შენ აქანე?!

**ათანასე**:—არაფერი, შვილო, გავიგე მიცვალებული ჰყავსო და გამოვიარე; უნდა მეწირა.

**ელენე**:— აქედან გაეთრიე, თორემ მე შენ გიწირავ ისე, რომ ერთი ღეთი წვერიც არ შეგრჩება ლაწვებზე. ჩემს სანდროს რჯული და რწმენა არ სწამდა და არ ჰქონდა.

**ათანასე**:— გაკურთხოს ღმერთმა, შვილო; მივდივარ. (აპირებს კარებში გასვლას).

**სანდრო**:—პალტო დატოვე შე წვერებ დასაცალო (წამოვარდება და გამოგლეჯს პალტოს).

**ელენე**:—არიქა, დაწექი ჩქარა. ენ ლა დამზღვევ სალაროდან მოდიან გასასინჯათ.

**სანდრო**: —რაო! დამზღვევ სალაროდანო?! არიქა, ქალო, დაფაცურდი. (ჩაწვება) ახლოს არავინ მოუშვა, გესმის? მორთე ტირილი.

**ელენე**:—(მოთქვამს) ჩემო ძვირფასო სანდრო, რაფერ უცბად მომიკვდი?! (შემოდიან: ალფესი და ექიმი).

**ალფესი**:— გარდაიცვალა ერთი ჩვენი დაზღვეული ჩუმით.

**ექიმი**:—ჩუმით?

**ელენე**:—კი, ბატონო, ჩუმით მოკვდა შენი ჭირიმე, ჩუმით!

**ექიმი**:—საიდან იცით, რომ ჩუმა იყო?

**ელენე**:— ისე ჩუმად მოკვდა, თქვენი ჭირიმე, რომ უეჭველად ჩუმა იყო.

**ექიმი**:—როდის გარდაიცვალა?

**ელენე**:— დღეს დილით, ბატონო, ჩაიცვა ტანზე თუ არა, მაშინვე ამოხდასული. (მოთქვამს) დამექცა ოჯახი —დამელუპა ჩემი სანდრო... რა მეშველება აწი. (ექიმს) თქვენი ჭირიმე, მომეცით დასამარხი ფული, თორემ რა უნდა ვქნა მე საცოდავმა?

**ექიმი**:— ნუ გეშინიათ, ჩვენ ეხლა მაგას საავადმყოფოში გადავიტანთ, ამ სალამოს გავჭრით და ხვალ შეგიძლიათ დაასაფლაოთ. ვინაიდან თქვენ ასეთი ღარიბი ყოფილხართ, კუბოს იქ გაუკეთებენ.

**ელენე**—არა, შენი ჭირიმე, ჩემს მიცვალებულს ვერსად ვერ გაგატან, რაც მომივა მომივიდეს; თქვენ მხოლოდ დასამარხი ფული მომეცით.

**ექიმი**—წესი ასეა, ქალო: თუ ასეთი მიცვალებული არ გავჭერით, ისე დამარხვის ნებას არ მოგცემ.

**ელენე**—აქვე რომ მომკლას მაგის ჭირმა,— მაინც ვერსად გაგატანთ.

**ალფესი**—ექიმო, თქვენ არ შეგიძლიათ აქვე გასჭრათ?

**ექიმი**—როგორ არა. რადგან წალებების ნებას არ გვაძლევთ, აქვე გავსჭრით.

**ელენე** —მე არ შემიძლია მაგის გაჭრას ვუყურო!

**ექიმი** —თქვენ შეგიძლიათ არ უყუროთ. (ალფესის) გაიყვანეთ ეს ქალი აქედან.

**ალფესი**—მობრძანდით აქეთ (კიდებს ხელს).

**ელენე**—არ შემიძლია, ვერ მოვცილდები.

**ექიმი**—თუ არ მოშორდებით, მაშ უყურეთ... ეხლავე მოვრჩები, მე მხოლოდ გულს ამოვიღებ. (ამოიღებს დანას და მიუახლოვდება მწოლარეს)

**სანდრო**—(წამოვარდება) ვაიმე, მიშველეთ!

**ექიმი** —აი, თქვენი მიცვალებული!

**სანდრო**—(წამოავლებს სკამს ხელს) თქვენი მამის სული არ იყოს! (ექიმი და ალფესი გარბიან).

**ფარდა.**

**ბ. იბოლი.**




## კურორტი ახტალა — ბარაკი გამხდარა

კურორტი ახტალა, როგორც მოგეხსენებათ, გურჯაანთან ახლოს, ამ ახალი სამაზრო ცენტრის ზე კაკალ ყარიბექელთან მდებარეობს.

— „მდგომარეობა ქმნის ქეგნებას“-ო, ამბობს მარქსი.

— მდებარეობა კი ქმნის შევსებას — დავსძენთ ჩვენ.

რაშია საქმე?

არსებობს ერთი რუსული ცოტა მოძველრეჟიმო და, როგორც ასეთი, დრომოჭმული ანდაზა: „კურიცა ნე პტიცა, პრაპორშჩიკ ნე ოფიცერ“-ო (ქათამი ფრინველი არ არის, ხოლო „პრაპორშჩიკი“ — ოფიცერიო).

ეს ანდაზა არ არის სავსებით სწორი, რამდენიმეთ პარადოქსალური გახლდათ თვით თავის დროზეც კი. ქათამიც ფრინველია და „პრაპორშჩიკიც“ — ოფიცერი გახლდათ, სანამ ნიკოლოზი ნიკოლოზობდა. ასე წარმოიდგინეთ მას ქვედა საფეხურიც კი გააჩნდა, „პოდპრაპორშჩიკების“ სახით.

როგორც ვიცით, „პოდპრაპორშჩიკები“ დიდ როლს თამაშობდენ ეგრედ წოდებულ საერთაშორისო ომის პერიოდში. და თუ ბრძოლის ველზე ვერ იჩენდენ მაინცა და მაინც დიდ უნარს, სამაგიეროთ, რუსეთის ყოფილი იმპერიის უამრავი ქალაქების ქუჩებზე ეგრედ წოდებულ ახლად გამომცხვარ „პოდპრაპორშჩიკ“ — „პრაპორშჩიკების“ მთელი ლეგიონები „მოღვაწეობდენ“ და ენით გამოუთქმელ ამაგსა სდებდენ ეგრედ წოდებულ „ქალთა საკითხის“ გადაჭრას.

ეს დებულება რომ სხვანაირად გამოვსთქვათ, გამოვა ის, რასაც ადგილი ჰქონდა მაშინდელ სინამდვილეში, ე. ი., ქალებს თვალებს სჭრიდა „პრაპორშჩიკ - პოდპრაპორშჩიკების“ მოქნილ მხრებზე ელვარე ახალთ ახალი, სიქალწულისათვის უხმარი ეპოლეტები.

ეს ანდაზა და მაზედ მყოლებული კომენტარიები აქ იმისათვის მოვიყვანეთ, რომ გვეთქვა: გურჯაანი სამაზრო ცენტრია, მაგრამ არც არის ცენტრი.

მართალია, ცენტრი ზოგჯერ თვალით დაუნახავ წერტილშიც კი თავსდება. მაგრამ სამაზრო ცენტრს, მარტო ცენტრობის გარდა, ესაჭიროება კიდევ შესაფერი ნაგებობაც, დაბისა ან ქალაქის სახით.

აი, სწორედ ეს „თვისება“ აკლია ჯერ-ჯერობით გურჯაანს.

ქალაქის სხვა ნიშნობლივი თვისება კი გურჯაანს, მიუხედავათ იმისა, რომ ის ჯერ კიდევ უბრალო სოფელია, უხვად მოეპოვება.

ავიღოთ მაგალითისათვის ტალახი.

როგორც ვიცით, სამაზრო ქალაქს თითქმის ყველგან ახასიათებს ეს უკანასკნელი „თვისება“ — ტალახი.

მაგრამ, თუ რომელიმე სამაზრო ქალაქს შეუძლია დაიკვეხნოს ტალახი. ასე ვსთქვათ, „კოჭზით“, გურჯაანს მისი დატრაბახება შეუძლია „გობით“ და, თუ გნებავთ, უზარმაზარი ვარცხლითაც!

სხვა რომ არა იყვეს, ახტალა ხომ ზედვე აკრავს ამ „ქალაქს“:

მართალია, ახტალა სამკურნალო ტახალია და მასში სხვა სამაზრო ქალაქების ტალახზე არა ნაკლების სიამოვნებით „იქვანქლებიან“ (ისვრებიან) სხვა და სხვა მხრიდან აქ მოსული ადამიანები, მაგრამ ამ ტალახში „ქვანქლისაც“ აქვს თავისი ხელის შემწყობი თუ ხელის შემშლელი პირობები.

ერთი ასეთი პირობათაგანია — ბინები ტალახით მოსარგებლეთათვის. დღემდის ასეთი ბინები, ავათ იყო თუ კარგათ, მაინც არსებობდენ ახტალაში, უბრალო ხის სახელდახელოდ აგებულ კარვების სახით და ზაფხულის სეზონში მაინც შეიძლებოდა მათი გამოყენება ავადმყოფთათვის.

მაგრამ, რა რომ გურჯაანში გადმოტანილ იქნა არა მარტო ერთი, არამედ მთელი ორი ცენტრი, ამ კარვებსაც გაუჩნდათ მუდმივი ბინადრები, სამაზრო ცენტრალურ დაწესებულებათა თანამშრომლების სახით, რომლებიც მოთავსდენ ამ კარვებში სრულიად ჯანსაღნი.

გარეშე მნახველს ეგონება, ახტალაში საზამთრო სეზონი გაუხსნიათ და ავადმყოფთათვის სახელ-დახელო „თბილი“ ბარაკები მოუწყვიათო, როცა დაინახავს რკინის ფეჩების დაყუდებული მილებისაგან მოწირეხე ბოლს.

რა თქმა უნდა, ბარაკი აქ არაფერ შუაშია, როცა ასე სახელ-დახელოდ ამ კარვებში დაბინავებულებს თავები სრულიად დაცული მიაჩნიათ, როგორც ყოველგვარი ტალახიდან (მათ შორის ახტალის ტალახიდანაც), ისე წვიმისა, თოვლისა, ყინვისა თუ ბუნების სხვა მოვლენეთაგან. თუმცა ქარი, ამ მოვლენათა შორის ეს ყველაზე ანცი არსება, აქაც კი არ იშლის თავისას და „ბარაკის“ საბინაო ერთეულებშიც ისე თამამად შედი-გამოდის, როგორც თვით მათი ბინადრები.

საკითხავი მხოლოდ ერთი-ღა რჩება: ზაფხულის სეზონი რომ მოვა, კარვებში ისევ „ბინადრები“ დარჩებიან თუ დაუთმობენ მათ ავადმყოფებს, კარვების ამ კანონიერ მომავალ მდგმურებს?

ბარაკი იმიტომ არის „ბარაკი“, რომ მასში თამამად თავსდება ორი სხვა სიტყვაც: „არა“, „კი“.

კორესპონდენტ ე. კ-სთან ერთად, ჩვენ „კი“-ს ვიტყვით, თუმცა გურჯაანის საალმშენებლო პერსპექტივებს ამაზე არა ნაკლების უფლებით შეუძლიათ განაცხადონ თავიანთი ავტორიტეტული — „არა“!

## ბინიდან — შინამდე, ორშაბათ დილამდე

ძველად იტყოდენ ხოლმე: „ყველაზე უფრო სწრაფი ვინაა და... შინ გაქცეული გლეხიო“.

ეს ანდაზა ეკუთვნის ეგრედ წოდებულ ბატონ-ყმობის ხანას, უქეთ იმ დროს, როცა ბატონ-ყმობის გადავარდნის შესახებ სანატრელ ცნობას ყურმოკრული გლეხები მასიურად გარბოდენ ბატონების კართაგან.

მართალია, თელავის და სიღნაღის მზრები შეერთდა მთლიან კახეთად და ისიც გურჯაანის მეთაურობით, მაგრამ ამით დროება ბატონ-ყმობის ხანას არა თუ არ მიახლოვებია, უფრო მეტად დაშორდა კიდეც, და ისიც დაშორდა ყოველმხრივად.



არც ისას უშავს, თუ გურჯაანი ჯერ-ჯერობით, როგორც სამაზრო ცენტრი, მოუწყობელ - მოუგვარებელი, ერთი სიტყვით, თავმოუყრელია. საბჭოთა წყობილების ხელს ასეთი მოუგვარებელი საქმის სასწრაფოდ მოგვარება და თავ-მოუყრელის თავის მოყრა სრულიადაც არ გაჭკირს.

ერთი მოვლენა არის მხოლოდ ამ მხრივ მეტის მეტად დამაღონებელი და თანაც უნუგეშო. სახელდობრ:

როგორც ორი სამაზრო ცენტრის ორ-ორ დაწესებულებათაგან გურჯაანში თითო ასეთსავე დაწესებულებაში ბუნებრივად გადმოყვანილი და ხელოვნურად თავმოყრილნი თანამშრომელნი ზოგი თელაველებია, ხოლო ზოგი — სიღნაღელები.

ეს სიღნაღელი თუ თელაველი ამჟამად უკვე გურჯაანს გაერთიანებულ დაწესებულებათა თანამშრომლები ორშაბათიდან შაბათამდე სტკბებიან ერთობის ექტაზითა.

მაგრამ შაბათს დაჰკრავს თუ არა 3 საათი (ზოგი ბოროტი ენა ამ ვადას რამდენიმედ ამოკლებს იმის და მიხედვით, თუ რომელი მხრით რა დროს გამოივლის აქ ეგრედ წოდებული „შუადღის მატარებელი"), ეს ექვსი დღის დაურღვეველი ერთობით დამტკბარი „თანამშრომლები" გიჟებივით გამოიჭრებიან ხოლმე თავიანთ დაწესებულებებიდან და დარეტიანებულებივით გარბი-გამორბიან ვინ სიღნაღის და ვინ თელავის მიმართულებით და იმავე მიმართულების მატარებლებისაკენ.

კორესპონდენტი ე. კ., გვაუწყებს რა ყოველივე ამას, დასძენს, რომ „თანამშრომელთა" ასეთი ქცევა ლოზუნგის ეგრედ წოდებული „პირი სოფლისაკენ"-ის ცხოვრებაში გატარების განზრახვით არის გამოწვეულიო.

ამაზედ ჩვენ სამართლიან შევნიშნეთ: „ამხანაგო ე. კ. ეს ხომ პირი ქალაქისაკენ გამოდის და არა სოფლისაკენ-თქვა".

მაგრამ მან, იცით, ამაზედ რა გვიპასუხა: „დროთა ვითარებაშიო გურჯაანი, რომელიც ახლა სოფელიაო, უნდა ქალაქად იქცეს, ხოლო სიღნაღი და თელავი კი, პირიქით — სოფლებადო"...

## კარგი სოფელია როხი, მხოლოდ აკლია სამკითხველო ქოხი

გურულები იტყვიან ხოლმე: „ეს ქვეყანა „აროხვილია"-ო (უწესრიგოთ მიყრილ-მოყრილი), მაგრამ ამის ავტორს რომ სოფელი როხი (ქუთაისის მაზრა, გორას თემი) ენახა, უეჭველად შესცვლიდა თავის განზრახვას და თქმულებას ან არ გამოაქვეყნებდა ან პირიქით შეაბრუნებდა.

ს. როხში ყველაფერი რიგზე ყოფილა: სკოლა, გზები, ფოსტა, ტელეფონი, ახალი ყოფა-ცხოვრება როგორც ამას გვაცნობებს ჩვენი პატივცემული ჩვენი კორესპონდენტი შ. ალშენო.

მაგრამ ერთი უბედურება როხსაც სჭირვებია: ქოხსამკითხველო არა ჰქონია ამ ყოვლად კულტურულ სოფელს.

სამაგიეროდ, ერთი ბედნიერება ისე თავისთავად მოჭგორებია კარებზე: ორი ეკლესია ჰქონია და დღეს ორივესი შენობა ლპება წვიმასა და თოვლში, რადგან პატრონი და გამკითხავი არა თუ ერთაგანი აღარავინა ჰყავთ ამ ეკლესიებს, სადაც, ქუდიც რომ შეუგდოთ, შიგ ვერავის ვერ შეაცდენიებთ ფეხს, არამედ ასეთები მღვდე-




ლთაგანც კი არავინ არ მოიპოვება სოფლად, ვინაიდან აქიდან უკვე თავის დროზე სულ კეტის რტყმით დაუფ-რენიათ, თუ ვინმე მღვდელი ან დიაკონ-მნათე-სტაროსტა კი მოიპოვებოდა სოფლად.

საოცარი, სავალალო რომ არ იყვეს, ის-ღაარის, რომ ესოდენ კულტურულმა სოფელმა, როგორიც არის სოფელი როხი, რისთვის ვერ დაიდგა ერთი სამკითხველო ქოხი, თუნდაც ამ ორი ეკლესიის შენობის მასალისაგან?!

## მარან ჭალის ბაზარი, პარმენ არი, რაც არი!

ზევით ჩვენ ლაპარაკი გვქონდა სამაზრო ქალაქების ქუჩებში ჩვეულ ტალახის შესახებ. მაგრამ ტალახისაგან არც სასოფლო ბაზრები არის დაზღვეული.

ავიღოთ მაგალითისათვის ს. მარან-ჭალის ბაზარი.

ამ ბაზარში კაცს ვერ გაუვლია ისე, რომ კისრამდე არ ჩაეფლას ტლაპოში. (ნეტავი, ის სანატრელი ახტალის ტალახი მაინც იყვეს ეს ტლაპო!).

იქნება მკითხველს ეგონოს, რომ მარან-ჭალელი ხალხია ზარმაცი ან დაუდევარი, თორემ შიგ კაკალ ბაზარში (შალვა დადიანის გამოთქმით რომ ვსთქვათ „კაკალ გულში"!) ტალახი ასე, როგორ მოსთავებდა მათო..

ვამ! ხალხი აქ არაფერ შუაშია. იგი არც ზარმაცია და არც დაუდევარი. ეს, თუ გნებავთ, იქიდანაც სჩანს, რომ ბაზრის ქუჩის შესაკეთებელი ფული ხალხმა უკვე დიდი ხანია უკლებლად ჩააბარა პარმენ კომისარს..

მოგეხსენებათ, კომისარი თუ თანამედროვე „ზომის" არი, ე. ი., ინდუსტრიალიზაციის ტემპის საკითხი სავსებით შეგნებული აქვს, თანახმად მე-15-ე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა, მაშინ ქუჩის შეკეთება არა თუ არ ჩამორჩებოდა ფულის აკრეფვას, არამედ დაასწრებდა კიდეც ან უკიდურეს შემთხვევაში ერთად მოსრულდებოდა.

როგორც ხედავთ „ზომის" საკითხი იგივე შეგნების საკითხი ბრძანებულა. ყოველი შეგნება კი, თავის მხრივ, სწავლასა და ცოდნას მოსდევს ხოლმე თან.

ცხადია, პარმენ კომისარს ასეთი შეგნება ანუ ცოდნა, იგივე სწავლა, აკლია. ვინ იცის, იქნება იგი ამჟამად თავსაც კი იმტვრევდეს მეცნიერებაში ერთ-ერთ ჯერ კიდევ გადაუჭრელს საკითხს, მაგალითად: კვერცხისა და ქათმის წარმოშობის საკითხს.

— რომელი გაჩნდა უწინ: კვერცხი თუ ქათამი? სვამს კითხვას პატივცემული კომისარი.

— კვერცხი! — ავტორიტეტულად უპასუხებს კომისარი პარმენი.

— არა, ქათამი!— არანაკლების ავტორიტეტით ეურჩება პირველს იგივე კომისარი პარმენი.

მაგრამ კვერცხსა და ქათამზე ხომ არ გაიყინება კაცის ტვინი და ისიც კომისარის? მართალია, ზამთარი კია, მაგრამ სწავლისა და ცოდნის მიღების ასეთი ცხოველი სურვილით აღგზნებული გულის გაყინვა ას გრადუსიან სიცივესაც კი ვერ ძალუძს.

და აი, კვერცხისა, და ქათმის სფეროდან კვლავ-ძიების გეზი პარმენს გადააქვს ქუჩისა და ფულის საკითხზე.

რომელი უნდა მოვახდინო უწინ: ქუჩა უნდა შევაკეთო თუ ფული უნდა შევახვეტო? სვამს კითხვას კომისარი პარმენი.

— რა თქმა უნდა, ჯერ ქუჩა უნდა შევაკეთო (უკეთ რომ ვთქვათ, შევაკეთებინო, რადგან კომისარი თანახმად ხალხის თქმისა არ იყვეს — „ხარი სხვისა, შოლტი ტყისა, გაჰკარი და გაუძახე, შენი რა დაიხარჯვისა"-ო, თვითონ არაფერს არ აკეთებს, არამედ ხალხის ფულით მხოლოდ სხვებს აკეთებინებს!) ხოლო შემდეგ ფულები ავკრიფოო — სამართლიანად აცხადებს პატივცემული კომისარი პარმენი.

— არა, ქუჩა რას მიქვია, ჯერ ფული უნდა შევაქუჩოო — მოსწრებულად უჭრის სიტყვას პარმენ კომისარს იგივე კომისარი პარმენი.

ცხადია, ვერც ამ დებულებაზე გაიყინება კომისრის ცოდნის წყურვილით აღგზნებული გული. მხოლოდ ეოხერი ფული... ესე იგი, მოვა გაზაფხული და ქუჩა შეიძლება თავისთავადაც გაშრეს... ამაზე ამბობენ:

**„პარმენს დაავიწყდა ქუჩა,**
**მხოლოთ ფული შეაქუჩა"-ო.**

# სადგ. ქარელი

— წკრრ...!— გაისმა ტელეფონის წკრიალი, მაგრამ პასუხი არავის გაუცია, სადგ. სკრა ისე მაგრად ჰყვიროდა, რომ სადგ. ქარელის სადგურის დარბაზში გარკვევით ისმოდა:

— ააა! დაგექცეთ სახლი და კარი; მოგეკიდათ სუყველას ცეცხლი... ქარელი... ქარელი!

— ჰო, ჰო, მე ვარ, მე...— ჩასძახა ქარელის სადგურის უფროსმა. — ქარელი ვარ, ქარელი!

— ამოვარდა შენს ოჯახში ქარი და ზლვა... კაცო, ტელეფონი დავამტვრიე და თქვენს გაღვიძებას საშველი არ დაადგა. გესმის, ალექსი; კიდევ ხომ არ ჩამოგეძინა?.. მორიგე სად არის?

— სად არის და ეშმაკებში; რა ვიცი მე სად წავიდა. გასაღები მე მომცა და თვითონ ალბად ჩასალევად გადავიდოდა და ქე მოვა სადამოზე.

— კაცო, 10-ზე წამოვიდა მატარებელი; არ დაგეძინოს, მარჯვედ იყავი, თორემ, სამსახურმა მოგჭამა ჭირი...

— ხო, ხო! — გაისმა ბურტყული და მორიგე მეისრე, იგივე „სადგურის უფროსი“ გარედ გამევიდა.

ტარტაროზს კიდეც გაუკვირდება: „სად მეისრე და სად სადგურის უფროსიო?!“ მაგრამ ეს ყოველ დღიური მოვლენაა სადგ. ქარელის ცხოვრებაში.

თუ თქვენ ამ დროს სადგურის უფროსის (ციტაიშვილია) ნახვა მოგინდათ, შემბრძანდით ადგილობრივ სამიკიტნოში და იქ რომ წითელ ქუდიანს დაინახავთ რკ. გზ. ფორმაში, აი სწორედ ის იქნება და... სტაცეთ ხელი.

ნადირობაც უყვარს ჩვენ „ნაჩალნიკს“, არა მარტო ქალებზე, არამედ ღორებსა და ბატებზედაც. მართალია: ეს ღორები და ბატები გარეული კი არა, არამედ ადგილობრივი გლეხობის არიან, მაგრამ სიმსუქნით მათ არ ჩამოუვარდებიან.

იცის გემო. (ერთხელ ხომ არ ჩაუსვლებია ყელი მათი მწვადებით).

№ 100.




**ციტაიშვილი** (მატარებელს):— **დაიცადე, ჯერ არ შემთხვიდე; ღორები და ბატები არ დამიფრთხო.**

# ოზურგეთი

მომისმინე, ტარტაროზო,
ამბავს შევხდი წუხელ უცებს—
ჩუმად კრება მოეწვიათ:
ვაჭრებს, მღვდლებსა და ნახუცებს.
დღის წესრიგის მოძებნაში
გაიმართა სჯა-ბაასი,
სერგო უჭერს მხარს ალფესის,
თოთიბაძეს კიდევ ასი.
როგორც იქნა დაამტკიცეს
დღის წესრიგი კითხვა ერთი:
„არჩევნებში ხმის შოვნისთვის
შეგვეწევა მამა-ღმერთი“.
მაგრამ ზეზე წამოიჭრა
ჩავლეშვილი საქმის „სპეცი“.
მომხსენებელს მიაძახა:
„ბრმა ყოფილხარ, თანაც ბეცი!
რად არ იცი, რომ მთავრობა
დღეს ჩვენ გვდევნის ყველა ვაჭრებს?!
საბჭო არა,—თავს ვუშველოთ,
გავუფრთხილდეთ ძველ-ძველ ნაჭრებს.

მაგრამ მაინც საბოლოოდ
თუ კი ისევ გვითხრეს უარი,—
კომისიას გავუგზავნოთ
ჩვენი თომა ნახუცარი.
ეგებ იმას, ვით გაკრეჭილს
ქე დაუგდოს ვინმემ ყური“...
(არ შეგჭამოთ ისემც ჭირმა,
არ მოგაკლდეთ ესემც პური!)
„ვიღაც მოდის, დავიმალოთ!“—
მესმა მათი ხმები ჩუმი..
გავიხედე... არსად იყო
მღვდელ-ვაჭრების ჩამი-ჩუმი

„კაჟი“.

# ლიბანის სანატორიუმში

ჩვენს ლიბანში ავათმყოფი
თავს გრძნობს ნამდვილ სამოთხეში,
შრომისაგან დაქანცული
მოიკეთებ სამ-ოთხ დღეში.

არა გვგონია—აგარაკი
სადმე იყოს უკეთესი..
ყველაფერი კარგად იყო
როგორც არის რიგი, წესი...

კარგად იყო ყველაფერი,
მოვიდოდა სანამ ლიუბა...
(ტარტაროზო, მოგვისმინე,
ბრაზი გულზე დაგვეგუბა!).

ბათომიდან მოდის ლიუბა
(პლეუენიკოვა — გვარი მისი)..
ამ ქალს აღარ შერჩენია
არც ნამუსი, არც სინდისი.

მაჭანკლობა გააჩაღა..
თვისი კბილი ვის არ ასო...
და შეიქნენ მისი მსხვერპლი
ტანია და ჩვენი ვასო.

მას დამქაში ბევრი ჰყავდა:
ალიოშა, ვარლამ, მიშა,
ბათომიდან არ გამოგვრჩეს
გაბუნია.. დიახ, გრიშა...

აღარ გვქონდა მოსვენება,
ბრაზი გულზე დაგვეგუბა
და... საჩქაროდ მიაბრძანეს
ლიბანიდან ქალი ლიუბა.

87 მუშა.

# ცნობათა მიღება

**თათარს**: — თქვენი „გამოცდილი კაცი“ ასე თავდება.

...ისინი კი სწრაფი ტემპით
წავლენ დაბლა, ძირსა...

იმათ შესახებ რა გითხრათ, და თქვენი წერილი კი სწორედ მასე მიოქცა.

**ვოენახისპირელს** (გურჯაანი, საყუდი): თუმცაღა თქვენს წერილში ჩვენთვის ბევრი ალაგია გაუგებარი, მაგრამ მთავარი მაინც გასაგებად არის დაწერილი.

გაჩნდა აყალ-მაყალი,
ინტრიგ, და შფრია.
სუხი რომ მოიშორონ
ყველას ესა სწყურია.

შე კაი კაცო, ეს ხალხი ჯვარდაწერილ ცოლს იშორებს, და თქვენ რა ასე გაგიჭირდათ **სუხის** მოშორება!?

**ესიკას** (შემოქმედი, გურია): — გვთხოვთ, სურათიც დავხატოთ ამ ამბავზე:

მთვრალი იყო იპოლიტე
(თავმჯდომარე გლეხკომისა)
კვლავ ესტუმრა სასადილოს,
ჭამა სურდა ცხელ ლომისა.
დაინახა მან ქოთანი
და დაავლო სწრაფად ხელი;
წაიქცა და შიშველ თავზე
გადაესხა ბორშჩი ცხელი.

კაცს ასეთი უბედურება დამართია, და თქვენ კიდევ გინდათ მისი დახატვა!

**ზე-ლს** (ჩოხატაური): — მან იკითხოს ამ სიცივეში, თორემ შენ რა გენაღვლება თუ:

ამას წინად ყარამანი
ძმა-ბიჭებში დათვრა კიდევ.
პალტო სადღაც დაეკარგა,
საშიშია არ გაცივდეს.

ხოლო რაც შეეხება იმას, რომ „კოსტას მეტი სიფხიზლე ჰმართებს, თორემ ქურდები ძილში მასაც მოიპარავენ, — ეს გაფრთხილება მართლაც საჭიროა.

მაშინ რაღა გვეშველება,
გლეხებს მედგრად ვინ უყვირებს?
აბა, ისე, კოსტას სიტყვით:
„რას შეასმენ სოფლის ვირებს“!

რაო? ეს ვინ კოსტა ყოფილა ასეთი, რომ:

კოსტა, ძმაო, სხვა ვინმეა,
ხმას ვინ გასცემს — არის ღმერთი.
აქ ცხრა წლედში მასწავლებლად
კვლავ მოაწყო შვილი ერთი.

შეგვატყობინეთ — საბჭოთა არჩევნების დასრულების შემდეგ კოსტა რა გუნებაზე იქნება.

**წითელ გულას** (საჭილაო): — თქვენ გვწერთ, რომ საჭილაოს ქარხანაში:

დანიშნული პრემია
ყველას თავისი ჰგონია.
იძახიან: „ჩემია“...
გაიმართა ომია.

ნუ თუ თქვენი ქარხკომი ერთა ლიგასავით უძლურია, რომ არ შეუძლია ამ „ომის“ მშვიდობიანად მოგვარება? წერილიც პრემიათ გადავეცით ჩვენს უფსკერო გოდორს.

**სალ.-კლდეველს**: — თქვენი ლექსი ასე იწყება:

მიხურს თავი... ამდის ბული
დამადევით თავზე ბურლი.
გახვრიტეთ და გამოცვივა
სამი ფუთი ხმელი თივა...

ჩვენ გეთანხმებით ერთ რამეში — თავში თივა გაქვთ, მაგრამ არ შეგვიძლია დაგეთანხმოთ თითქოს, ასე დიდი რაოდენობით იყოს ეს თივა თქვენს თავში. **სამი ფუთი** თივა უფრო სასარგებლოა, ვიდრე ზოგიერთების თავში მოთავსებული ტვინი.

რაც შეეხება იმას, რომ გიხურთ თავი, აგდით ბულს, — ეს მართლაც, დამაფიქრებელია! ამ ზამთარში რომ თავი გიხურთ, რაღა მოგივა თქვენ ზაფხულზე, როცა თივამ უფრო მეტად იცის „შეხურება“.

**იობს**: — მართლაც იობის მოთმინება უნდა ჰქონდეთ, რომ ისევ განაგრძოთ „პოეტობა“.

თუმცა ჩემს ნაწერს გოდორში
ყველას უკარი თავია, —
მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხ
და ხელს არ ვუშვებ კალამსა.
ასეთი არის ყოველი
პოეტ-მწერალის ბედია...
მაგრამ დადგება დრო-ჟამი,
და მეც მექნება ფასია.

არა გვგონია, რომ ოდესმე ასეთი დრო დადგეს, და რომც დადგეს, თქვენი ფასი კიტრის ფასს (შემოდგომის კიტრის ფასს) ვერ წაასცილებს.

**ახლოგელს** (ოზურგეთი): — საავადმყოფოს მზარეულების შესახებ, გვწერთ:

ვარდენი და აგრაფინა
პოვრებია ჩვენი;
ავადმყოფებს მხოლოდ გვრჩება
მოხარშული წვენი.
აგრაფინა იქ მახლობლად
სუკს უგზავნის ნაცნობს.
(თუმც მოუხსნეს მას ულუფა,
მაგრამ მაინც არ სცნობს!).

საავადმყოფოს ადმინისტრაციამ უნდა გამოიკვლიოს — მართალია თუ არა, რომ, როგორც ამას აგრაფინა ამბობს: „ავადმყოფებს აწყენს ხორცი, მათ წვენის მეტი არაფერი ეჭმევათ“-ო. (კარგი მოტივია თქვენ ნუ მომიკვდეთ!).

**„მაკო“-ს** (ჭიათურა): — მოგვაწოდეთ მასალები ადგილობრივ ცხოვრებიდან. თქვენი წერილი მოვისმინეთ, ალბად, რაიმე გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

**შოლტს** (ობჩა): — ასეთი ლექსის დაწერისათვის არც თქვენ გაწყენს შოლტი, არა თუ თქვენს ექიმს, რომელიც

თუ ღვინოს ხედავს სუფრაზე
(სმის დიდი მოყვარულია),
არ ინახულებს ავადმყოფს,
თუნდაც ხ დებოდეს სულია;

არც აფთიაქის გამგე ყოფილა დიდი ბედ-დოვლათი:

აფთიაქში როცა შედის
ქალამნითა გლეხი,
გამგე ისე აფეთქდება,
როგორც ცაში მეხი...

ამაზე იტყვიან: „ფერი ფერსა მადლი ღმერთსა“, ასეთ პირობებში. მართლაც, რაღა მკურნალობა ექნება ობჩის გლეხობას?! შოლტი კი არა, საბრე ყოფილა აქ საჭირო!

**შეუდრეკელს**: — „ხანამ არ დამიბეჭდავთ ერთ წერილს მიანც, მანამდე არ მოგეშვებით“-ო. გვწერთ თითქმის მუქარით. თქვენ იკითხეთ, თორემ ჩვენს გოდორს რა უჭირს. წერილის ბოლოში აწერთ თქვენს ნამდვილ ვინაობას, საიდანაც სჩან, რომ თქვენ დავითი გქვიებიათ. ალბად თქვენზე ყოფილა თქმული: „ახი ურტყი დავითასა, მაინც იზამს თავისასა“.

**ჭიაყელას** (სამტრედია): გვწერთ: ისეთი ძლიერი ქარი ამოვარდა, რომ...

ქარი ქრის, ქარი გრიალებს
ახკდება არე-მარესა.
ხან შეიჭრება ბუხარში,
ხან მოასკდება კარებსა.

ეს სტრიქონები კარგია, მაგრამ ეს ხომ თქვენ არ გეკუთვნის?!

# „ჰამბურგის ანგარიში" გასწორებულია

ბოლოს და ბოლოს მწერლობაშიც უნდა შემოღებულ იქნას ე. წ. „ჰამბურგის ანგარიში"... უნდა მოხდეს მწერალთა წასვლა სამწერლო ასპარეზიდან.

(გ. ქიქოძის მოხსენებიდან)

ნახ. ნადარეიშვილისა




მხედარი — ბაქოსაკენ... სახედარი — წყნეთისაკენ.

წელიწადი მეექვსე

კვირა, 17 თებერვალი 1929 წ. № 8, (192)

ფასი 10 კაპ.

# ტარტაროზი

## კულაკი



— ამბობენ: „კულაკები თავსა სწევენ ღარიბების წინააღმდეგო"... თუ საქმე აწევაზეა, მე ისევ ამ მჯიღის აწევას ვამჯობინებ!..

# თემალმასკომის თ-რის ანგარიში

— ამხანაგებო, ჩვენ გვაქვს უძლიერსად დიდი მიღწევები ამ ორი წლის განმავლობაში...

ადმინისტრაციის დარგში შემდეგი მიღწევები: სა-ფუძვლიანად შეკეთებულ იქნა ჩემი კაბინეტი; შეძენი-ლია დიდი საწერი მაგიდა, რომელსაც აქვს 8 უჯრა; აგრეთვე მარმარილოს ქვის სამელნეები, რომლებშიც სამი ფერის მელანი მაქვს; გამოკვებულია ჩემი ცხენი ლაფშა; შეძენილია „კავკასიის“ უნაგირი კეხით; გაყვა-ნილია სინათლე თავლაში და სხვ., მაგრამ, მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, ამხანაგებო, შეიძლება გვქონდეს დე-ფექტებიც, რასაც, ცხადია, მე ვერ შევამჩნევ. თქვენ ამას აღნიშნავთ და მე ვეცდები ახლად არჩევის შემდეგ გამოვასწორო ყოველივე, თქვენს მიერ აღნიშნული ნაკლი.

კრების თ—რე: ამხ-ო, ჩვენ მოვისმინეთ თემ-ალმასკომის მუშაობის ანგარიში, როგორც ხედავთ — მიღწევები დიდია. მე მაინც ვფიქრობ შეკითხვები სა-ჭიროა.

### კითხვები და პასუხები:

კითხვა: როგორ მიმდინარეობს სოფლად გზების შეკეთებისა და გაყვანის საქმე?

— გზების შეკეთება, ამხანაგებო, ძალიან საჩქარო საქმე არაა იმიტომ, რომ რაც გვინდ გავაკეთებთ გზებს, მით უფრო დიდხანს გაძლებს.

კითხვა: რატომ არ გააკეთეთ ხიდები და ბოგირე-ბი წყლებზე?

— ხიდი, ამხ-ო, არ გაგვიკეთებია და არც ვფიქ-რობთ გაკეთებას, რადგან სულ ერთია, წყალი ისევ წაი-ღებს.

კითხვა: რამდენად გამოყენებულია სოფლად შრომის ბეგარა?

— ბეგარის საკითხი მოგვარებულია. არ დარჩენილა არც ერთი ღარიბი და უღარიბესი გლეხი, რომ არ გა-მეწვიოს სამუშაოზე. საშუალო და შეძლებული გლეხო-ბა აღარ გამოგვიწვევია ბეგარის მოსახდელად, რადგან აღარაფერი დაგვრჩა გასაკეთებელი — ყველაფერი ღა-რიბ გლეხობამ გააკეთა.

კითხვა: რატომ არ შეაკეთეთ სკოლა, რომლის-თვისაც ფული შეკრებილი იყო?

— სკოლა არ არის შეკეთებული იმიტომ რომ შე-გროვილი ფული შეიჭამა, ხოლო ვინ შესჭამა ეს ჩვენ არ ვიცით (სხვის საქმეში ჩვენ არ ვერევით).

კითხვა: რა ზომებს ღებულობდით, როცა საბჭოს წევრი ყალბ საბუთს აძლევდნენ სხვებს?

— ამხ-ო, თუ ჩვენ გვეტყოდა საბჭოს წევრი, რომ მან ყალბ მოწმობაზე ხელი მოაწერა, იმ საბუთს იმ წუ-თშივე დავხევდით და არ მივსცემდით ბოროტმოქმედების საშუალებას.

კითხვა: რატომ არ არის დაცული ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები?

— ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები დაცულია და მშვენიერი ჯიშის ხეებიც მოგვეპოვება. მაგალითად, ჩემი სახლი, თქვენ იცით, წმინდა წაბლსა და მუხისაგან არის გაკეთებული და სულ იქ მოჭრილია — ადგილო-ბრივ ტყეებში.

კითხვა: მიწის ყიდვა-გაყიდვას რატომ არ ებრძოდით?

# ჩ უ მ ა დ!

ამას წინეთ პარიზში გაიმართა საფ-რანგეთ-გერმანიის საიდუმლო თათბირი, რომლის შედეგები პრესაში არ გამოქ-ვეყნებულა. თათბირზე ირჩეოდა ზოგი-ერთი საკითხები საბჭოთა კავშირის წი-ნააღმდეგ.

(დეპეშებიდან.)



— ჩუმად, თორემ რადიო გაგვიგებს და „იმათ“ ყველაფერს შეატყობინებს.

— მიწის ყიდვა-გაყიდვისათვის, სიმართლე უნდა ითქვას, თვალყური არ მიდევნებია და ეს ჩემი შეხედუ-ლებით, არც დანაშაულობაა, თუ კი ღარიბი გლეხი ქო-ნებას შეიმატებს, ამით მდიდარი დაიბლდება და ღარიბი გამდიდრდება.

კითხვა: რატომ სუსტად ატარებდით სხვადასხვა კამპანიებს?

— ამხ-ო, ეს სიცრუეა. მე პირადათ ბევრი „კამპა-ნია“ ჩამიტარებია: ღვთიშობლობას ჩემი ტოლიბაშობით ისეთი დრო გავატარეთ, რომ თემში უკეთესი არ მომხ-დარა, თუმცა ჩვენმა უჯრედის მდივანმა შემოკრა ერთ შეციან მღვდელს, მაგრამ ეს ანტირელიგიური მოსაზრე-ბით იყო.

ტოლიბაშ ყ. ………

# თავაზიანი



— გაიხადე და მაჩუქე პალტო, თორემ თუ დაგავლე ხელი, აქედან დილომში გადაგისვრი.

# ჩვენი სიყვარული

ამ უკანასკნელ ხანში;
მეც მომივიდა მუზა;
ჩემსა გარეშე; არვინ
არ მიმაჩნია მუზად!..
თუმც მართალია, არსად
არ მისწავლია ქვეყნად,
მაგრამ რითმებით, ბასრად
ვიწყებ ყველასთან კვეხნას.
გუშინ ბათომში ვიყავ,
ზღვასთან ოცნება ვიწყე;
ლექსის წერის დროს, იცით?
მემატების ტვინში სიცხე!
საქართველოში მხოლოდ
ვიცნობ ლუარკითელ ვარდებს;
როცა შევხვდები სადმე,
გაუფრენ გზაზე ვარდებს!
ევგენი დიალის შიშით,
ტანს ერუანტელი მივლის;
მან რომა მცემა ერთხელ,
მიტომ გავშორდი ტფილისს.
გამოქვაბულში ვცხოვრობ,
ლექსით ვიქარვებ ვარამს;
მწუხარეთ დაეალ ტყეში,
ტერენტის ქრისტე მფარავს.
ოზურგეთ შემიყვარდა
ერთი ლამაზი ქალი;
გულში ისარი გამხვდა,
ცრემლით მევსება თვალი.
ძნელი ყოფილა თურმე
ქმრიანისა შეყვარება;
და პოეტისა უფრო
ცრემლი და მწუხარება.
ასე რომ შემიყვარდა,
ერთი ლამაზი ქალი:
ალბად, მას უდევს ბრალი,
რომ ვიწყე ლექსის წერა.
(მაშინ ჩამიქრა კერა).
ტარტაროზ! ერთი მითხარ,
შენ სულის სამართალზე!
მე კაცი ვარ, თუ ვირთხა?
ჩავიწვი ოხ!.. ოხ!.. რაზე?!

ზირბა.

# არჩევნების მოლოდინში

(ველისციხეში მომხდარ გასამართლების გამო)

### თავადი

ეჰ! მოგონებავ, მოგონებავ მხოლოდ შენ ერთი
დაერდომილს, სნეულს წუთით მაინც თუ გამახარებ.
ულმერთო არ ვარ, მაგრამ დღეს მეც მწარ მრწამს ღმერთი,
ბარემ ისა სჯობს, რომ ვეწვიო სამარის კარებს.

### ტერტერა

სულ მოკლე ნუ ხარ ანდუყაფარ, ღმერთს ნუ შეაცოდებ,
სჯობს მოთმინებით აღიპურვო სიბერის დღეში.
შენდობა სთხოვე ყოვლის შემძლეს, თორემ იცოდე
კუპრი, და ჯოჯოხეთის ვერ აცდება ეგ შენი ლეში.
განა მე არ მსურს დღესაც მქონდეს საკურთხი-ტაბლა,
ისე ვცხოვრობდე, ვით შეშვენის სულიერ მამას?
რა გაეწყობა ღვთის სურვილი ეს იყო ალბათ,
რომ შევჩვეოდით გლეხებსავით ლობიოს ჭამას!

### კულაკი

ერთ დროს თავადი ვყოფილიყავ ძალიან მსურდა,
ობობასავით ჩემს გარშემო გავაბი ქსელი.
სხვისი ქონება მცირედიც მე გულით მშურდა.
ვიდრე ცხოვრებამ არ გამომკრა თავისი ცელი.
დიდი, პატარა დღეს მეძახის სოფლის წურბელას,
ხმა ჩამომართვეს, ეს ჩემს საქმეს უფრო აფერხებს.
როგორ ვიცხოვრო, ვეჯავრები ირგვლივ სულ ყველას,
ჩემი მიწები დაურიგეს უმიწო გლეხებს!..

### მაჭარი

დღეს ყველანი დავსხდებით ბრალდებულის სკამზე
და ამიტომ ბევრს ნუ ყბედობ, მეც მოგდეთ ყური.
გაქვთ რამე გასაყოფი, რომ ასე მაბრაზებთ!?
—ჩემს ცოლშვილსაც ენატრება ყველი და პური.
გამიყიდეს ნალოგებში, რაც კი მებადა
და ამ რიგად გამაკოტრეს, დავრჩი მშიერი;
შემრჩა მხოლოდ ეს მუცელი და ჭამის მადა,
ეჰ! ძმებოჯან დრო გაგვიქრა, დრო მშვენიერი.

[illegible]

# „ბედნიერი" მამა



— ვენაცვალე ჩემს შვილს! ისეთი დიდი კაცი გახდა, რომ სალამს სხვებს კი არა, — არც მე მაძლევს!

# იაკინთე შტრინკაძე

აფსუს, აფსუს ჩემო იაკინთე!

ვაი, დედი თქვენის ღმერთს! ახლა ვარ ასე ჩამოგლეჯილი, თვარა ერთ დროს მეც შტრინკი ბიჭი ვიყავი. კანკრაზ 11 წელს გახლდით მამასახლისათ აბა?!

რო ჩევიცვამდი ჩემ ჟღალ ჩოხას, ბოშო, გედევიკიდებდი ლესკურს, შემოვიკრამდი ქამარ-ხანჯალს, გევირქობდი კურტუმოში დამბაჩას და ჩავაზიაცკდებოდი, — ბერეგის, ჩემისანა ბიჭი მთელ დუნიაზე არ იყო.

თქვენს ხელში წავხდი ბიძია, თვარა ერთ დროში მეც კაცი ვიყავი და ქუდიც მეხურა. (ეხლა ქუდი კი არა, იქვენ გადამკიდეს ჩაბალახიც ქე შამომეპრიწა).

ეხ! რას იზამ ხვთის ნებაა ყველაფერი.

ახლა რაჲა, ბიძია, თავმჯდომარეობა! დღეს თავმჯდომარეობას თემში ყველა ქე შეასრულებს.

მე ერთი პოპოშნიკი მყავდა და ახლა ყველა მისი პოპოშნიკი არაა?!.

ეს გზათა სექცია (სისხლი და ბალღამი აქცია მაგეებმა), ეს კულტ-სექციაო, ეს საალმშენებლო სექციაო, ეს ისო, ეს ესო (ტყვია და ლახვარი კი შეესო მაგათ გულ-ბოყვში)... რა ვიცი ათასი მამაძაღლობაა შემოღებული: ახლა კომწომოლაო, ქალთა დელეგაციაო, გლეხკომიო და რა ვიცი. ვინ ჩამოთვლის ბიძია რამდენი კუმი და კომია თავმჯდომარის პოპოშნიკი.

მე რო საქმე მქონდა დაყენებული, ისთე ნიპრიწ. გლეხებს პოპოშნიკს გოუგზანიდი. ჩემს ბძანებას თუ არ შეასრულებდა, დედის ღმერთს გავაცლიდი.

ეხ! დალუპულო იაკინთე, რა დრო გქონდა, შე უბედურო! შე დურაქო, შე სუქინსინო, რას იზამ, ხვთის ნებაა ყველაფერი!

ახლა ბიძია რაღაცა ორი კაპეიკი აქ გლეხებს გაწერილი და იმასაც ეფერებიენ, იმასაც მტრედობით ახდეიებენ. რა ბარაქა და დოლათი უნდა ქონდეს ამას ა?

უწინ? ასი თუმანი რო ყოფილიყო ერთ კაცზე, იმ ნიმუჩი იქანავე დავაცინცქლებდი, მათი მტრედები და ზაკონ-კალონი ჩემი მათრახი იყო.

პირის გემო არ ვიცოდი თუ? მოდიოდა და მოდიოდა ინდოურები, ქათმები, ბატები, შებრაწული გოჭები და კალმახები. ვლასი გოგოლაშვილი და სხვა მღვდლები თავს იგდებდენ ჩემთან.

ვაი, დალუპულო იაკინთე ერთი ნეტაი პრასით გაგაძღო დღეს და სხვას ქე დაანებე თავი.

რას იზამ, ხვთის ნებაა ყველაფერი.

კომუნისტების ხელშიდაც მელირსა თემში თავმჯდომარეობა, მარა ცოტა ცოტა ხნით, (ისე ელირსა ყოველ ჩემ დამაწყევარს).

რაღაც ფხარი უცვალა მათ იესომაცხოვარმა ძა ქარ გავედი არჩევნებში თავმჯდომარეთ?!

ჩევიბარე ხელათ კაბინეტი. მოვარბენიე სახლიდან ზვონოკი (ხბოს ჩამოვაგლიჯე ბიძია კისერზე, ხბოს). დავარღვიე ჩემი ძველი უნაგერი და შევიკერე პორთფელი. დავტრიალდი ნათესავ - მეზობლებში, გამოველიტე — ვის გახუნებული ცილინდრა, ვის შარვალი, ვის ბლუზა, ვის პალტო და გამოვპრიშტინდი პატიოსან თავმჯდომარეთ. თუ ეს ტყვილი იყოს, ტყვია ეცეს ვასიკო ჯომართიძეს, რეალნი კლასის პადიეზდს რო მიუგავს ის ცხვირი.

პირველ დღეს პუწკათ ვიყავი, როგორც ახალი მოყვანილი პატარძალი. მეორე დღეს მოჭშინაურდი.

მესამე დღეს შამოდის ვიღაცა კომწომოლა და მეუბნება: — „აფხანაკო თავმჯდომარე, გლეხკორთა წრე მინდა ჩამოჭაყალიბო და კრება მოიწვიეო".

ამაზე გავბრაზდი. რა დროს გლეხკორია, შე მამაძაღლო, ჯერ არც კი დამდგარვარ და ახლავე გაზეთებში მწერამთქვა?!

კომსომოლა ავარდა და დააგჯა პოლს. მეც ავარდი და მივაგჯი პატალოკს. (ახლაც მტკივა თავის კოხრო). დევიღრიალე ჩემებურათ. მათრახის მოქნევა მინდოდა მარა ზვონოკს წამოუსვი ხელი, ზვონოკის მაგიერ ბოთლისთვინ მიტაცნია ხელი და შიგ ლობში მიღლუზავს მძინარე ცოლისთვინ. მორთო ქალმა კივილიჩხივილი. ასტყდა ბღარების ღრიალი. აქეთ მამაჩემი გამობოკინდა, იქით დედაჩემი და შეიყარა ყველამ თავი ჩემ ლოგინთან. ერთხან გაშტერებული ვუგდე ლოგინში. მალე გამევირკვი. მივხვდი, რომ ყველაფერი სიზმარში მოხდა და ბოთლი კი ცოლისთვის რაც ჯანი და ღონე მქონდა მართლა დამირტყამს.

წამოვხტენი. მევიცვი ჩოხის ნაგლეჯი. წევიკარი თავზე ნაჩაბალახარი და გავარდი დოხტურთან. კაი გათენებული იყო პუნქტში რო მივედი.

ეეეყუდე კედელს და ვყურყუტობ, გევიხედე გვერძე რაღაცა უშველებელი ქაღალდია აწეპებული და სწერია: შავი სია. (გოუშავდა მაგათ სახე და ცხიმ-პირი). მომავალ საბჭოთა არჩევნებში ხმის უფლება წართმეული აქვთ: იაკინთე შტრინკაძეს... და ერთი ოცამდი იყვენ ჩამოპწკარებული. კანკრაზ თავში მევექციე მაგ ძიწაში მოსაქცეველებს. ამფერ ამიხდა ჩემი სიზმარი. ნეტეი ცოლი არ მომიკვდებოდეს, თავარა ვინ მამაძახლი ჩიცა მაგას.

რას იზამ ჩემო იაკინთე, ეგეც ხვთის ნებაა?! არა, ჩემო ბიძია, აღარც ღმერთი მწამს და აღარც ხატი, მარა ეს კომუნისტობათ არ ჩამომართვათ არ მომჭრათ კაცს თავი!

**პერაქსილინ**

# კონტრ - საჩივრები

თვის ბოლოს სამკითხველოს გამგემ საჩივრის წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო. სახე, თანდათან ელუშებოდა, კალმის ტარი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა და შეუდგა კონტრ - საჩივრების წერას.

**საჩივარი პირველი:**

სამკითხველო არხივსა ჰგავს. ვერასოდეს ახალ ჟურნალ - გაზეთებს ვერ იპოვნი, რა საინტერესოა შარშანდელი ამბები. ამას გარდა პროლეტარიატს ესაჭიროება ჯანსაღი სიცილი. ჩვენ სამკითხველოს უეჭველად რამოდენიმე ცალი „ტარტაროზი" უნდა ამშვენებდეს. გამგევ, მეტი სიფხიზლე...

**მოწყენილი.**

**სამკითხველოს გამგემ შეიტანა კონტრ - საჩივარი № პირველი:**

„ჩვენს სამკითხველოში მხოლოდ ცხელ - ცხელი გაზეთებია. თუ ვერ შესძელი ყოველდღე სამკითხველოში წასვლა, გიხდება თავაზიანი გამგის შეწუხება ძველი გაზეთების მონახვაზე. ასე ბევრი „ტარტაროზი"-ს გამოწერა სწორედ სულზე მისწრებაა; სიცილით გავძებით... ყოჩაღია ჩვენი სამკითხველოს გამგე, ყოჩაღი, ვენაცვალე სულში.

**მხიარული.**

**საჩივარი მეორე:**

„ სამკითხველოში საჭიროა მეტი სიწყნარე. აქ კი გამუდმებით გაისმის სიცილ - ხარხარი, გაჩაღებულია არშიყობა. გამგევ, მართალია იშვიათად აღებ სამკითხველოს, მაგრამ, იცოდე, სამკითხველო ცირკი არაა. გვესაჭიროება მეტი სიწყნარე და წესრიგი.

**დაბალი.**

**გამგემ დასწერა (რასაკვირველია, მარცხენა ხელით) კონტრ - საჩივარი № მეორე:**

„გამგევ, გახსოვდეს, რომ სამკითხველო სამარეს არ უნდა ჰგავდეს. აბა, რასა ჰგავს — ყველას ცხვირები ჩამოუშვიათ და თქვენი შიშით ხმას ვერ იღებენ. ან რა საჭიროა სამკითხველო დღე და ღამ ღია იყოს. არ გვინდა თქვენ შინაურ საქმეებში ჩავერიოთ, მაგრამ როდის სჭამ, ან როდის სვამ, სულ რომ ღია გაქვს სამკითხველო?

**მაღალი.**

**საჩივარი მესამე:**

სამკითხველო გიგიენური უნდა იყოს, აქ კი მუდამ ისეთი მტვერია, რომ ერთმანეთს ვერ ვხედავთ. ბოლოს და ბოლოს მოაშორეთ მაგიდას ეს ჭუჭყიანი სუფრა.

**ქოჩორა.**

**კონტრ - საჩივარი № მესამე:**

მართალია: ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია, მაგრამ ამდენი სისუფთავე ზედმეტია. პროლეტარიატი თავს უხერხულად გრძნობს; ეშინია გასანთლულ იატაკზე ფეხი არ დაუსხლტეს. სჯობს სულ არ იყოს სამკითხველოში თოვლივით თეთრი და გაკრახმალებული სუფრა რაც მოგვაგონებს ბურჟუაზიულ გემოვნებას; მუშას და გლეხს ვერ გაუბედნია იდაყვებით დაეყრდნოს ასეთ სუფრას და თავისუფლად იკითხოს. მეტი უბრალოება, ამხანაგო გამგევ!

**მელოტი.**

**საჩივარი მეოთხე:**

მართალია ასეთ წვრილმანებზე თითქოს არა ღირს ლაპარაკი, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ჟურნალების საჭრელი დანა ძალზე დაბლაგულია, ხერხს უფრო ჰგავს, ვიდრე დანას და თუ ახალი ჟურნალი გელირსა დაიფხრიწება.

**გამხდარი.**

**კონტრ - საჩივარი № მეოთხე.**

ჟურნალების გასაჭრელად ასეთი გალესილი დანა არაა საჭირო. საკმაოა ტარს შეეხო, რომ თითები დაიჭრა. ასეთი დანა სამართებლის მაგივრობას გასწევს. არ ვიცით სამკითხველოში ვართ თუ სადალაქოში.

**გასუქებული.**

გამგემ ჭირის ოფლი მოიწმინდა, კალმისტარი მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადაიტანა და საჩივრებს და კონტრ - საჩივრებს მიაწერა: „მართალია ბევრი ჭირადი მტერი მყოლია, მაგრამ ისეთებიც აღმოჩნდენ, რომლებიც ჩემს ამაგს აფასებენ".

**სიმოშალა.**

# პირველი ნაბიჯი



სამხრეთ - სლავიის „თვითმპყრობელი" ასწავლის თავის ფაშისტებს. ფეხის ადგმას — სიარულს.

# „კალოშიადა“

## ჭიათურა

„გრუზგოსტორგის“ სავაჭრო, საიდაც თავი მოუყრია უამრავ მუშტრებს. ნოქრებმა ნაცნობებისათვის უკვე გადამალეს კალოშები; და აღებენ სავაჭროს.

**კოლია:** (ჩეკის გამომწერი) ახლავე, ახლავე, მოითმინეთ!.. (ვანიჩკას), ბიჭო ცუფასთვის გადაინახე ერთი წყვილი კალოში კიდევ, თორემ შორს არის და ვერ მოაწევს. **(ვანიჩკა ინახავს).**

**ხალხი:** კოლია, აქეთაც მოგვხედე, კაცო! რას გაჩერებულხარ მაგ ერთ ადგილზე!?

**კოლია:** ეხლავე, ეხლავე, ბარიშნა, თქვენ რა ნომერი გინდათ?

**ბარიშნა:** მესამე, მესამე, ჩემო კოლია. **(უწერს ჩეკს და აძლევს).**

**ხალხი:** კოლია, კაცო, აქეთაც მეიწიე პატარა!

**კოლია:** ახლავე, ახლავე! **(ნახუცარს)** ბატონო გერონტი, თქვენ რა ნომერი გნებავთ?

**ნახუცარი:** თერთმეტი, თერთმეტი, ჩემო კოლია.

**ხალხი:** კოლია, კოლია! „კაცო მეიწიე აქეთ!

**კოლია:** ეხლავე, ეხლავე. **(ვანიჩკას)** აკაკია არაა აგერ?

**ვანიჩკა:** კი, კი, აკაკიაა.

**კოლია:** რავა დაგვავიწყდა, ახლა, აკაკიიზა კალოშების შენახვა? „ბიჭო, ვანიჩკა, გადაუნახე, თვარა უკალოშოთ დაგვრჩება.

**ხალხი:** ე, კაცო, კოლია, მოგვხედე, იწამე ღმერთი!

**კოლია:** ახლავე, ახლავე.

**ალექსანდრე: (მაღაზიის გამგე. მოვარდება ვანიჩკასთან).** არიქა, თორმეტი ნომერი კალოში მიშოვე საცხა იყოს!

**ვანიჩკა:** ერთი წყვილია აგერ, მაგრამ ვიღაცა მუშამ აიღო ჩეკი და იმას უნდა მივცეთ.

**ალექსანდრე:** რას დავეძებ. უთხარი ნომერი შემშლიათქო და სხვა ნომერი მიეცი.

**ვანიჩკა:** კი მაგრამ ჩხუბს აგვიტეხს და...

**ალექსანდრე:** მეიტა აქ! არაათქვა უთხარი, მორჩა და გათავდა. ჩემი ცოლის ძმისწულია აგერ გაჩერებული, საპატიო პირი და უკალოშოთ ხომ არ გაუშვებთ. **(ვანიჩკა აძლევს უკვე გაყიდულ კალოშს მაღაზიის გამგეს — ალექსანდრეს).**

**ხალხი:** კოლია, კოლია, ე, კაცო, გვაღირსე ეგ ჩეკი!

**კოლია:** (ვანიჩკას), ბიჭო, ვანიჩკა, ბიცოლა ჩემია აგერ უკან ეფიზო კვანტალიანისა და შენი მტერია იმან აქანე ვერ მოაწიოს. შენ დაგენაცვლე, გადაინახე ერთი წყვილი ჩეთვიორტი ნომერი. **(კოლია ინახავს).**

**ხალხი:** კოლია, გვიშველე რაცხა, თვარა გევიჭყლიტეთ!..

**კოლია:** ახლავე, ახლავე,

**ალექსანდრე: (კოლიას გადაულაპარაკებს),** ე, ბიჭო, მაკოა. შუბლაძის ქალი და უკალოშოთ არ დატიო.

**ხალხი:** კოლია, კოლია!..

**კოლია:** ახლავე, ახლავე!...

**გოგია:** შენ, ბიძია, თუთიუყუშივით გაიძახი: ახლავე, ახლავე და ყურადღებას კი არ გვაქცევ!

**კოლია:** ნუ ყვირით, მოქალაქევ!

**ნესტორი:** იმე, რავა ნუ ყვირიო! შენ, ბიძია, ნაცნობ - მეგობრები არ დაგელია და ჩვენ, მართლა უკანონოშვილები კი არა ვართ! ჩვენც მოქალაქენი ვართ. დახლის ბოლოში რომ დამდგარხარ, თუ სწორი კაცი ხარ, აქეთაც გამეიწიე და ყურადღება მოგვაქციე!.

**კოლია:** ნუ ყვირით თქვა, მე თქვენ გელაპარაკებით!

**რუსტამი:** ნუ ღური, ნუ ღური! როგორ თუ ნუ ღური! შენ ზმაკასი და მისცა, ბიცოლას და მისცა, ბარიშნას და მისცა, რატომ ჩემთან არ მოგსა! შენთან სურსხული არ არის, შენთან ნამუსი არ არის!

**ალექსანდრე: (კოლიას)** კოლია, აკაკია გიძახის.

**კოლია: (ჩუმად ალექსანდრეს),** იმიზა გადევინახე ერთი წყვილი და რაღას მიძახის!

**ალექსანდრე:** მიდი, მიდი, ალბათ ცოლიზა თუ უნდა კიდევ ერთი წყვილი. **(კოლია მიდის).**

**ხალხი:** სად მიდიხარ, სადა?

**რუსტამი:** არდაგედჰირსან ქოფოიოღლი!

**კოლია:** ახლავე, ახლავე!

**გოგია:** არ შეიძლება, არა! ასეთ მეგობრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს...

**ხალხი:** მართალია, მარათლი! მოგვეცით ჩქარა კალოშები!...

**ვანიჩკა:** ახლავე, ახლავე!

**რუსტამი:** ახლავე, ახლავე!... როდის და ახლავე! ქართანქალა ქოფიოღლი! **(შემოდის კოლია).**

**ხალხი:** ჩეკი, ჩქარა, ჩეკი!..

**კოლია:** ახლავე, ახლავე!.. **(შემოდის მუშა, რომელსაც მოაქვს ფულ გადახდილი ჩეკი და სთხოვს თორმეტ ნომერ კალოშს. კოლია ეძებს და თორმეტ ნომერს და ვერ პოულობს. ვანიჩკას).** ბიჭო, აქანა თორმეტი ნომერი კალოში მქონდა გაყიდული და რა იქნა, ნეტა?!..

**ვანიჩკა (კოლიას ყურში):—** ის მაღაზიის გამგემ წაიღო.

**კოლია. (დაბნეული იღებს ათ ნომერ კალოშს და აძლევს მუშას):—**ა, ბიძია, კალოში, მოკიდე ხელი.

**მუშა:—**ეს რა არის? რათ მინდა ათი ნომერი! ჩემი კალოში თორმეტი ნომერი იყო.

**ვანიჩკა:—**სულ ერთია:..

**მუშა:—**როგორ თუ სულ ერთია!..

**კოლია:—**არა უშავს რა. მოჭერილი გექნება ფეხზე და უკეეთსია ტალახში აღარ ჩაგრჩება.

**მუშა:—**როგორ თუ მოჭერილიაო! მომეცი ჩქარა თორმეტი ნომერი! ფული გადავიხადე და ჩემი ნომერი სხვა მიეცი!?

**ალექსანდრე:—**ნუ ყვირი, ამხანაგო! აქ უჩრეჟდენია არის და მე, როგორც მაღაზიის გამგე, არ მოგცემთ უფლებას, რომ იყვიროთ.

**გოგია:—** როგორ თუ ნუ იყვირებს! კაცო ჩეკი გამოუწერეთ, ფული გადაახდევინეთ და თქვენ კი მისი თორმეტი ნომერი კალოში თქვენს მეგობრებს გაატანეთ!

**ალექსანდრე:** — ტყუილია!..

**გოგია:—**მართალია. მე თითონ უყურე დახლის ქვეშიდან რომ გამოაღებინე ვანიჩკას ერთად ერთი თორმეტი ნომერი უკვე გაყიდული და შენს ძმა-ბიჭს გაატანე.

**ნესტორი:** —ეგრე, ეგრე! ნამდვილი სატანტაროზო საქმეა, მე და ჩემმა ღმერთმა!

**გოგია:—**ტარტაროზი კი არა, ჯოჯოხეთშიაც რომ გადააყუდო, მაგათ მაინც ვერ მოაშლევინებ ძმა-ბიჭობას.

**ხალხი:—**მოგვეცით კალოშები! ჩეკი, ჩეკი!..

**კოლია:** ამხანაგებო! კალოშები აღარ არის, გათავდა!

**ხალხი:—** ტყუილია, ტყიული!..

**რუსტამი:—**ღლუილია, ღლუილი! მომესი ჩქარა გალოშები!

**კოლია:—**აღარ არის, ბატონო და რა მოგცეთ!

**გოგია:—**სანამ იყო, ნაცნობ-მეგობრები არ დაგელიათ და...

**კოლია:** ტყუილია!

**ხალხი:—** მართალია, მართალი!

**რუსტამი:—** რა ღლუილია! შენ ზმაკასი და მისცა, მამიდაშვილი და მისცა, ბიცოლა და მისცა, ბარიშნა და მისცა! რატომ ჩემთან არ მოგსა? შაქ ქოფოიოღლი!

**კოლია:—**გაიგონეთ ყურში, რომ გათავ-და!..

**ხალხი:—** ტყუილია, ტყუილი!

[illegible]

# სოფელ ლახუნდარის სკოლაში



— ბავშვებო, ხვალ სასწავლებელში ნუ მოხვალთ!..
— რა უქმეა, მასწავლებელო, ხვალ?
— უქმე კი არ არის,— მე სანადიროდ მივდივარ.

## ვაჭრის პასუხი სოფლის კულაკს

წავიკითხე პავლეჯამ
მოწერილი წერილი.
შენც ჩემ დღეში ყოფილხარ
გაჩაგრული, დევნილი.
მწერ შენ წარსულ ცხოვრებას,
რომ შეძლებით ცხოვრობდი,
მოგდიოდა დოვლათი
და არაფერს შრომობდი.
თურმე,..ძმაო, გაიგეს
ორპირობა, ფლიდობა,
ხალხი აღარ გენდობა —
ჩამოგერთვა დიდობა.
მწერები — მოგწერო
აქაური ამბები,
ჩემი აწმყო — წარსული
ჩემი გულის დარდები.
როგორც მე ვარ პავლეჯავ —
ისე შენი მტერია,
დოვლათიდან დავეცი
ოჯახი ამერია.
ცოლი გამიორგულდა
ფაშფაშა და მსუქანი,
დამეცალა ნელ-ნელა
სამიკიტნოს დუქანი.
ჩემი ყოფა-ცხოვრება
აღარა ღირს ჩალათ;
ვაჭრის ჭკუა არ ფასობს
მწვანილ-შილაფლავათა.
როგორც ძველი ვაჭარი
შავ სიაში ვწერივარ;
მთელმა ხალხმა გაიგო,
რომ მე ამათ მტერი ვარ.
კინო-კლუბით გაივსო
ეს ტფილისის ქალაქი,
არტისტ-ორატორი
მეპურე და დალაქი.
შაბათობით მუშები
სარდაფში არ ჩადიან;
ყველამ ჭკუა ისწავლა
და კლუბებში დადიან.
როგორც ვხედავ ისპობა
კულაკი და ვაჭარი...
სოფელში და ქალაქში
აგვერია დავთარი.
ლამის გამალშეიკდეს
ყველა ერი, ნაცია,
ვერც ანგლია გვიშველის
და ვერც ემიგრაცია.
რაღა ბევრი მოგწერო
ჩემი, მოთქმა-გოდება,
ჭკუაზე ვარ აფრაკალ,
ბევრი არ მაგონდება.

მეტის.

# „ექიმმა მითხრა“

— საზოგადოდ, ნასწავლ ხალხს ყველას პატივს ვსცემ, და მით უმეტეს—ექიმებს, რომლებიც ადამიანს ხშირად არჩენენ სიკვდილისაგან.

მაგრამ ამ ბოლო დროს თითქმის ყველა ექიმები შემჯავრდა.

დარწმუნებული ვარ, რომ ცოლ-ქმარის შორის უსიამოვნებას ექიმები მეტად უწყობენ ხელს.

აი, ცოცხალი მაგალითი! — და ჩემმა თანამოსაუბრემ ახლოს მოიწია და განაგრძო:

— ზაფხულზე, როცა იწყება წყლების სეზონი ცოლი მეუბნება:

— ტრიფონ, დღეს ექიმთან ვიყავი და მითხრა— „თუ ახტალაზე არ წადი, იცოდე დაკუნტდები და შვილიც არასოდეს არ გეყოლებაო“.

ვაგზავნი ახტალაზე.

ვრჩები მარტოდ სახლში.

ბრუნდება ახტალიდან.

რამოდენიმე დღის შემდეგ, ისევ გაისმის წუწუნი:

— ტრიფონ, დღეს ექიმთან ვიყავი და მითხრა — „თუ ეხლავე არ გაემგზავრე ბორჯომში, შენი საქმე გათავებულიაო“... ვაი, რა მეშველება.. ტრიფონ.. რა ქნა, გენაცვალე!?

რა გაეწყობა! ვაგზავნი ბორჯომში, სადაც მთელი ზაფხული რჩება.

შემოდგომაზე ბრუნდება სახლში.

— მადლობა ღმერთს,— ვფიქრობ,—მომავალ ზაფხულამდე დავისვენებ.

— ტრიფონ, — მეუბნება ცოლი, როცა სამსახურიდან სახლში მოვდივარ.—დღეს ძალიან ცუდად გავხდი, წავედი ნერვების ექიმთან და მითხრა—თუ თავს კარგად არ მოუარე, გაგიჟდებიო!

— ამაზე მეტად! — ვფიქრობ, ჩემთვის და ცოლს ვეკითხები: — მერე ამისათვის რა არის საჭიროო?

— მშვიდი და უდარდელი ცხოვრება. სურვილის დაკმაყოფილება. კარგი სმა და ჭამა... კარგი ჩაცმა-დახურვა... ხვალ კრებდიშინის კაბა უნდა ვიყიდო...

— ექიმმა გითხრა?

— ჰო, რაც მოგესურვება, ყველაფერი უნდა შეისრულოო... ერთი ბრილიანტის ბეჭედიც მინდა...

— ექიმმა გითხრა?

ჰო, ეს იმაში შედის—სურვილების დაკმაყოფილებაში... ხომ მიყიდი, გენაცვალე? თორემ გადავირევი და აი ამ მანიკურ-გაკეთებულ ბრჭყალებით დაგახრჩობ!

რა გამეწყობა! ვასრულებ მის მოთხოვნილებას.

— გენაცვალე, ოთახის მილაგებას რა დიდი საქმე უნდა? ეს მაინც გექნა!—ვეუბნები ნაწყენი კილოთი ცოლს, რომელიც დივანზე წამოწოლილა და კატას ეალერსება.

— ნეტავი შენ... სად შემიძლია, კაცო, ოთახის მილაგება? დღეს ექიმთან ვიყავი და მითხრა, რომ—სახლში ხელი არ გაანძრიოო. ყოველდღე თუ ერთი გირვანქა არა, ნახევარი გირვანქა მაინც შოკოლადი უნდა სჭამო. რომ ჯანი მოგემატოს, თორემ ამ წელიწადს ვერ გააწევო... და მაშინ რა გეშველება, ჩემო ტრიფონ?!

— გავკეთდები, მოვისვენებ კაცი!—ვფიქრობ ჩემთვის და...

ვყიდულობ შოკოლადს.

— გენაცვალე, ამდენი ძილი მოგკლავს!—ვეუბნები ცოლს, რომელსაც მთელი დღე სძინავს.

— ექიმმა მითხრა, ძილი მოგიხდებაო. რაც შეიძლება მეტი იძინეო... ძილი არ მიიკლოო... ადრე დაწექი და გვიან ადექიო...

— სადილის საქმე როგორ არის?

— სად მქონდა, გენაცვალე, სადილის გაკეთების თავი!—და მაჩვენებს გაკრეჭილ თავს.

— ეგ რა გიქნია? თმა რატომ შეიკრიჭე!

— გენაცვალე, ამისი მოვლის თავი მქონდა!

— ექიმს ხომ არ უთხრობია?

— აბა ისე რატომ გავიკრეჭდი? მირჩია—გაიკრიჭე, თავში სიცხეს არ მოგცემს და თავის ტკივილიც გაგივლისო.:

ჰო, მართლა ამელამც უნდა წავიდე ოპერაში, კონცერტი არის...

— კი, მაგრამ აკი ექიმმა გითხრა, რომ ადრე დაწექი და ძილს ნუ მიიკლებო!

— ექიმმა მითხრა — თეატრში იაროეო. მუსიკა ნერვებს ამშვიდებსო... ძილი არაფერია, მოვალ და მეორე. დღეს მთელ დღეს ვიძინებ.

— ასეა, ჩემო კარგო, ჩემი ცხოვრება— ამოიოხრა ჩემმა მოსაუბრემ და მთხოვა: — ერთი პაპიროსი მომეცი თუ კაცი ხარ.

— ჰო-და,—განაგრძო პაპიროსის მოკიდების შემდეგ, —ვფიქრობდი ზაფხულამდე დავისვენე - მეთქი, მაგრამ... ერთხელ მითხრა:

— ჩემო ტრიფონ, კი გაგამწარე, მარა ექიმმა მითხრა, რომ „თუ სიკვდილი არ გინდა, სამ-ოთხ დღეში აუცილებლად სოხუმში უნდა წახვიდე და აპრილის დამლევამდე მაინც უნდა დარჩეო“... აპრილის დამლავამდე არ ვჩივი, ხოლო მარტის დამლევამდე კი აუცილებლად უნდა დავრჩე. შემდეგ დავბრუნდები და გაზაფხულზე როგორმე ორი თვით კისლავოდსკაში წავალ და.. საბუდამოდ გამოვჯანსაღდები. შემდეგ აღარ დამჭირდება თავის წუხება, რადგან მცირე მკურნალობაც მეყოფა— ქობულეთში და ჩვენს აგარაკზე წავალ სადმე..

კი,მაგრამ ფული სად არის?

— სსს... ჩუმად... ნერვები არ ამიშალო, თორემ გავგიჟდები და ამ ბრჭყალებით დაგახრჩობ... მეცოდები, მაგრამ რა ვქნა, თავი ყველაფერს მირჩევნია. ამ ქვეყნად, ნუ გეშინია, მეორეჯერ ვერ მოვიდე....

— ღმერთმა დაიფაროს; ერთჯერ მოდი და ასე მაწამებ, მეორეჯერ რომ მოხვიდე, უარესს იზამ! — დავაპირე თქმა, მაგრამ მართლაც გიჟივით აბრიალებდა თვალებს და ალერსიანად შევეკითხე:

— გენაცვალე, ექიმმა გითხრა?

— ჰო, ექიმმა მითხრა! აბა კი არ ვსტყუი!

— კარგი, კარგი გენაცვალე. ეხლავე წავალ და ფულს ვიშოვი! — ვუთხარი და...

მას შემდეგ მე ის აღარ მინახავს. მე აქეთ წამოვედი და აქ მოვეწყვე სამსახურში. ალბად ვინმეს გაჰყვა ცოლად... ვაი, იმ უბედურს, ვინც მას გადაეკიდა. ასეა, ჩემო კარგო... ეს ექიმები სულ გასაწყვეტია, თუ მართლაც ასე ეუბნებიან ქალებს. რომ ვიცოდე, რომელია ჩემი დამღუპველი ექიმი, მოვკლავდი... კარგ რამეს რატომ არ ურჩევენ ეს ექიმები ქალებს: „ქმარს მოუარე“, „ოჯახს მიხედე“... „იმუშავე“... „მომჭირნეობა დაიცავი“ და სხვა ასეთები?

„ექიმმა მითხრა“... ჰმ... ერთი პაპიროსი კიდევ. მომეცი და...

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — გამომემშვიდობა თანამოსაუბრე და წავიდა.

ისიდი.

# ერთად-ერთი



— რა ამბავია? ვინ არის ის კაცი, რომ ასეთ ოვაციებს უმართავენ?
— ეს ის კაცია, რომელმაც მთელი მოხსენება ისე მოისმინა, რომ ერთხელაც არ ჩამოსძინებია! აი, ამიტომაც უმართავენ ოვაციებს.

# იშვიათი შემთხვევა
(ხაშური)




— რა ამბავია, კაცო, საითკენ გარბიხარ?
— ამბობენ — ზაკტპოს ფორდულს დღეს გააღებენო!

# ყურმოკრული საუბარი

მთელი დღე დავეხეტებოდი და „სატარტაროზო“ მასალას ვეძებდი, მაგრამ ვერსად ვერაფერი ვნახე საქებილო. დავინახავდი თუ არა თავმოყრილ ხალხს, მაშინვე იქითკენ გავეშურებოდი, მაგრამ ჩემი მისვლისთანავე შესწყვეტდენ ლაპარაკს და მე ისევ ხელცარიელი ვრჩებოდი.

— დასწყევლოს ტარტაროზმა, — ვამბობდი ჩემთვის — შუბლზე ხომ არ მაწერია, რომ ტარტაროზკორი ვარ, რომ სიახლოვეს არ მიკარებენ ლაპარაკის დროს?!

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ თვალი მოვკარი ორ კაცს. მივუახლოვდი ჩუმად და ყური დავუგდე მათ ლაპარაკს:

—დიდი ხანია აქა ხარ?

— რა მოგახსენო, ჩემო ივანე! აღარც კი მახსოვს, როდის წამოვედი სახლიდან. რაცხა საუბედუროდ ამ საწირეში სარები ვიყიდე ვენახისათვის. წასაღებად ვაგონი გამოვიწერე, აგერ ორ თვეზე მეტია ვუყურყუტებ, მარა არ შეგჭამოს ჭირმა — არსაიდან არა ჩანს. ბარე ორ-სამჯერ ქუთაისშიაც ვიყავ „ადელენიაში“ და „ნაჩანიკ უჩასტკას“ შევეხვეწე; დამპირდა, მარა ჯერ კიდევ არაფერი ჩანს... ეს სარები ცალკე მილპება, მე ცალკე ვცდები... ტყვილად გამიცდა ვაგონის გამოწერა...

— ბევრი მიეცი „ნაჩანიკს“ ვაგონის გამოსაწერი?

— რაო, რა გამოსაწერი?! ჩემთვის არაფერი გადუხდევინებია!

— არ ვიცი, ეს „ნაჩანიკი“ არ გამომიცდია... მარა ჩვენ ხრესილში ვყავდა „ნაჩანიკი“ აკაკი ჩიხლაძე, რომელსაც, თუ თითო ვაგონის გამოწერაში ორ-სამ თუმანს რა ჩაუჯიბავდი, ისე ვაგონს ვერ ეღირსებოდი... მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ძალიან რომ გაუგემრიელდა, ქრთამში აღებული ფულის ხრამუნი, ყველამ გაუგო; უჩივლეს, გაზეთშიაც და „ტარტაროზშიაც“ კი ჩააგდეს, მარა თურმე ვინცხა დიდი კაცი გამოუჩნდა და ქე გევიდა მშრალზე... მარა მერე ისე გათამამდა, რომ ქრთამი ტრესტის რწმუნებულ რ. წულაძესაც გამოართვა. აი, აქ მოიტეხა სამუდამოდ კისერი და თავი ციხეში ატუციეს. აპა, სულ ყოველდღე რომ თვრებოდა და ქეიფობდა, კაის იხურავდა და იცვამდა და ოკრიბის პილსუდსკივით რომ დაიარებოდა, რავა მისი ჯამაგირი ეიტანდა ამდენს?!

— აბა მინდიაშვილისა და მისი უფროსების არ იყოს, ალბად უფროსებსაც ქე ექნებოდათ ცოტა ბრალი! — სთქვა ივანემ.

— ეს მინდიაშვილი ვინაა? — ჰკითხა მოსაუბრემ.

— ვინ არის და, ზოგველ გურჩის კოოპერატივის ნოქარი. გამგეობა ყველაფერში ენდობოდა და ამიტომ ერთხელაც არ გაუკეთებია რევიზია: „გერასიმე პატიოსანი კაცაა და გაქაფვას არ იკადრებს“-ო... ამითი გათამამდა გერასიმე და ყლაპა კოოპერატივის ფულები. ბოლოს შეეშინდა გამიგებენო და, ერთხელ, როცა ფული წაიღო ჩასაბარებლად, გზაში გადამალა 900 მანეთი და მილიციაში განაცხადა: „ყაჩაღები დამეცნენ“-ო... მარა არ გაუვიდა იშკილი. წავიდენ და ქე ნახეს გადამალული ფული, მარა 900 მანეთის მაგიერ ხუთასი იყო (ოთხასი „გაიემასპეჭნა“, მოესწრო!). სკანჩეს ხელი და „ვირის აბანოში“ გაგზავნეს ცოდვებისაგან გასაბანად.

— არ გყოლიათ, ბიძია პატრონი, და „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დეესიაო“, სწორედ თქვენზე ყოფილა თქმული!—გამოემშვიდობა და გზას გაუდგა.

— სწორედ მასეა!—დაუდასტურა ივანემ და მეორე მხარესკენ გადაუხვია.

ილორიკელი.

# დამრთხალნი



— სანამდე გინდა მანდ იყო?
— მინამ არჩევნები არ გათავდება!

## დაწინაურება

ერთ დიდ დაწესებულებაში პატარა კაცი გახლდით, მაგრამ ჩემი ბედის მაინც კმაყოფილი ვიყავი. ცოტა უფროსებზე კი მომდიოდა გული, მარა ეს არაფერი.

ვნახოთ ერთ დღეს კრებაზე დამიბარეს.

გამიკვირდა.

გამგის კაბინეტში ან შეშა, ან პაპიროსი და ან ბორჯომის წყალი თუ შემიტანია, თორემ ისე ფეხიც არ შემიდგამს... ეხლა კი აგერ სავარძელში გავიჭიმე და ყური დავუგდე მოხსენებას.

მოხსენება დაწინაურებას შეეხებოდა:

— ლადოჯან!— მომმართა მომხსენებელმა, რომელიც გუშინ აღმაცერად მიყურებდა და ჩხუბიც კი ამიტეხა „რატომ ფეჩი არ გაახურე ძალზეო“.— ჩვენ შენი კაცად გამოყვანა გვინდა და ეხლა განყოფილების გამგეთ უნდა დაგნიშნოთო...

ვთქვი:—აგი ჯოჯახქორები ალბად მასხარად მიგდებენ-მეთქი.— და აქეთ იქეთ გავიხედე— ხომ არავინ იცინის-მეთქი.

მეორე დღიდან ჩამომართვეს დარაჯის სპეცტანისამოსი და გამგეთ დამნიშნეს.

უნდა ვსთქვა, რომ ბევრჯერ კბილებშიც გამოუმადინეს ოფლი, მაგრამ სირცხვილი მაინც არ მიჭამია.

ერთ დღეს ერთი კაცი მიტრიალებს გარშემო. კაცი, რომელიც გუშინ ფოშტის ცხენივით მარბენინებდა ხან კონვერტზე, ხან პაპიროსზე, ხან მარკაზე და ხან ცივი წყლების მოტანაზე... იცით რას მეუბნება ეს კაცი—პატივცემული ჩემი ყოფილი უფროსი?— ლადოჯან, თუ არ გეწყინება, ამალამ წვეულება მაქვს და შენც უნდა მეწვიო“.

მართალი გითხრათ —მტერის ჯინზე ვეწვიე და...

წვეულების გათავებამდე ასისტენტივით ღინჯად მეჭირა თავი.

ამით ვათავებ ჩემ ამბავს და ვამბობ, რომ ზოგის წარმოდგენა, დაწინაურება ჩემისანა მუშებისათვის თითქოს წარმოებისათვის საზიანო იყოს, სიცრუეა. არც ისეთი „დიდი პროფესორობა“ ყოფილა საჭირო, რომ მუშაობა მუშამ ვერ შესძლოს საქმის გაძღოლა. თუ დაწესებულებაში რიგიანი გადაგემტერა, ყველაფერს შეითვისებ და შეისწავლი.

ძნელოყალი.

## სოფლის ჩარჩის სიმღერა

თუ რამე ხალხს არ დავსტყუე რა გვეშველება ჩვენაო.
კოოპერატივი წინ გვიდგას, (მაგას გაუწყრეს ზენაო!),
ისინი თუ არ მოისპო, არაა ჩვენი შველაო.
ფილტვებში ჭლექი გაგვიჩნდა, დაგვაწყებინა ხველაო.
მუშტარი ყველა წაგვართვეს — მეზობელი თუ ნათლია.
გლეხები მტრულად გვიყურებს, არა აქვთ ჩვენი ხათრიო.
მათებრ იაფად რომ ვყიდოთ, თავნიც გაჰყვება თანაო.
ჩემივე ხელით ჩემს ყელში როგორ გავისო დანაო.
მუშაობასა ჩვეული არა ვარ თავიდანაო
არასდროს მიმუშავნია, არ მქონებია ყანაო
კუდის რიკამდე გაგვაძვრეს ზურგზე და ტანზე ტყავია
ეჰხ, რასა გიზამ მოთქმითა... დღე დაგვიყენეს შავიო.

ჭაჭარა.




### რომ წავიდა ვარვარა... ბევრმა ცრემლი დაჰღვარა

რასაკვირველია, სადგ. ფოთის მოლარე ვარვარა გორგილაძეს უხაროდა, რომ ის ტფილისში გადმოიყვანეს, მაგრამ ამ ამბის გამო ფოთში ბევრი ცრემლი დაიღვარა, და კიდევ უფრო მეტი—ღვინო.

**რა ეშველება აწ ჩვენს ფოთს—**
**რომ შენ შორდები მასაო.**
**ტფილისში შენი გადასვლით**
**დაობლდა ჩვენი მასაო.** („ვერანა")

ასე მიმართა ტოლუმბაშმა (პროკობი), რომელსაც ხელში ორი ყანწი ეჭირა. სადგურის უფროსმა მაჭავარიანმა, რომელიც ინიციატორობდა ამ **„სამგლოვიარო ზეიმს"**, ველარ შეიკავა ცრემლები, გული ამოესკვნა და ალბად კიდეც წაუვიდოდა (გული), რომ ამ დროს... მიაშველეს სავსე ყანწი და ისევ „მოაბრუნეს".

ულმობელმა მატარებელმა მოაყვირა სადგურს. ეს ნიშანი იყო, რომ ქეიფი შეწყვეტილიყო და ვარვარა ტფილისისაკენ გამომგზავრებულიყო..

**და სადგურში გაიმართა**
**სიმღერა და თამაშია...**
**(ნეტავ ვინმე თუ კი ვინმეს**
**პასუხს მოსთხოვს ამაშია?).**

### ქუთაისი და ფოთი... არის ჩხუბი და შფოთი.

კარგ ხასიათზე არიან ქუთაისის კერძო ვაჭრები (თევზის). რატომაც არ იქნებიან! მუშკოოპის თევზეულობის მაღაზიას ვეებერთელა ბოქლომი ადევს. კომფლიქტი, რომელიც არსებობს ქუთაისისა და ფოთის მუშკოოპს შორის, ისე მწვავე ხასიათს ღებულობს, რომ.. მოსალოდნელია საკითხი ერთა ლიგას გადაეცეს. ქუთაისსა და ფოთს შუა ნოტების გაცვლა-გამოცვლამ ვერაფერი შედეგი გამოიღო. (ხლისტი").

ამის შემდეგ, არც გასაკვირია, რომ სავაჭროში მომწყვდეული თევზები „თავიდან აყროლდეს". მართლაც „თევზი თავიდან აყროლდება" და მით უფრო ადრე, რადგან ასეთი თავები განაგებენ (ალბად, მესვეურთა თავს უკვე შეჰპარვია ეს სენი, თორემ რა სჭირდა დასაკეტი მუშკოოპს!).

### აქ ვინ არის ბრალში, ფულს რომ ჰყრიან წყალში

ტფ. ადგ. მრეწველობის განყოფილებამ დიდუბეში შარშანწინ გახსნა ხე-ტყის ქარხანა.. იყო საწყობი და საწყობში მასალები, რომლებსაც ჰყარაულობდა დარაჯი... ეს მასალები, დაიხარჯა—აშენდა ქარხანა, მაგრამ დარაჯი ეხლაც სდგას ცარიელ საწყობის კარებთან და ყარაულობს... რას? სიცარიელეს... საწყობში თაგვი თუ გაირბენს გზადაგზა, თორემ სხვა შიგ არაფერია.

ალბად ცარიელ საწყობის კარებზე ჩამოკიდებულ ბოქლომს თუ დარაჯობს ყარაული, რომ არავინ მოიპაროს!

ასე უფრთხილდებიან სახელმწიფო ქონებას (ბოქლომს), რომლის დარაჯობა თვიურად ჯდება 240 მანეთი.

### ჩექმით მიაქვს კარაქი.., არ გეგონოთ არაკი

**მუშკოოპის ცენტრ. საწყობში № 9-ში ქურდობაში დაიჭირეს თანამშრომელი დონდუა, რომელსაც ჩექმებით გაჰქონდა კარაქი და სხვა პროდუქციები.**

მაგრამ საქმე ისე მოაჭახრაკეს, რომ **„თითქოს დონდუა მთვრალი იყო და სიმთვრალეში ქურდობა კაცს ეპატიებათ.**

აი, სწორედ ასეთ შემთხვევაში იტყვიან: „კაცი რასაც სიფხიზლეში ფიქრობს, იმას აკეთებს სიმთვრალეშიო".

ალბად სიფხიზლის დროს დონდუა ისეთი ფხიზელია, რომ ნაქურდალს ვერავინ დაუჭირავს.

### ივანე და პავლე გამსახლში თუ წავლენ?

ლექსი ოთხი სტრიქონი ივანე მჭედლიშვილსა და პავლე ხუნდაძეს შესახებ, სავსებით ახასიათებენ ამ ვაჟბატონებს:

**ცა ქუდათ არ მიაჩნდათ,**
**დედა-მიწა — წაღათო,**
**გლეხებს ეუბნებოდენ:**
**„თქვენ ბრიყვებო, რა ხართო?**

ცემა-ტყება, ჩხუბი-დავა და აყალ-მაყალი—აი, ამ ვაჟბატონების ყოველდღიური საქმიანობა ქვემო-ჭალის რაიმილიციის სფეროში.

ბოლომდე მეგობრებად და „პირის-ზიარებად" დარჩებოდენ ერთმანეთისათვის ეს „ტარიელები", რომ რევიზია თავს არ დასხმოდა და...

**და ერთმანეთს წაეჩხუბენ:**
**„შენ შეჭამე მეტი ფული;**
**კარგი იყო, როცა ყლაპე**
**ჩახოხბილი, მოხრაკული?".**

ტყვილად ჰგონია ხუნდაძეს, რომ მას უშველის „დიდი მამიდა", რომელიც ცენტრში ჰყავს.

### „საბჭო, უმჯობესია, ვიდრე ყრუ ეკლესია"

ეს სიტყვები ეკუთვნის ნადიაკვნარ მარგატიას, რომელიც პატარა ფოთის აღმასკომის თავმჯდომარე გახლავთ.

არც ისე შეუბრალებელი და უძლური ყოფილა ღმერთი, რომელსაც გ. მარგატია თაყვანს სცემდა მთელ თავისს სიცოცხლეში, როგორც ეს ურწმუნოებს ჰგონიათ.

ღმერთმა ისმინა მარგატიას ვედრება:

**დიდი ხანია უფალო**
**ერთგულად გემსახურები.**
**ხალხს ჰქონდა გამოჭედილი**
**„მამაო ჩვენოთ" ყურები...**
**ეხლა მომეცი წყალობა —**
**საბჭოში მინდა გაძრომა.**
**ამდენ ხნის ნამშიერევსა!**
**იქ მელირსება გაძღომა.**

ალბად, მართლაც გაძლა ამდენხანს და ეხლა კი საჭიროა მისი დასვენება, რასაც უყურადღებოდ არ დასტოვებს ახალი საბჭო.

„ტარტაროზი"-ს
შ ე მ დ ე გ ი ნ ო მ ე რ ი
ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი ა
საქართველოს
გასაბჭოება-ზე

„ტარტაროზი"-ს
შემდეგი ნომერი (9-193)
გამოვა კვირას, 24 თებერვალს



# სამტრედია

ერთხელ მხოლოდ სიცოცხლეში—
გულმა იგრძნო შვება.
სიზმარივით გადიარა
მწარე მოგონებამ.
ცეცხლოვანი გამოხედვით
ვშორდებოდი როცა —
ტფილისისა არე-მარემ
მე გზა დამილოცა.
სამტრედიის საყუდისა,
გავხდი ინჟენერი!
შეიცვალა ყოველივე—
დღეს ვარ ყველაფერი.
რა ვქნა, როცა ბავშობიდან,
დამყვა ზნე და სენი!
არცყობას ჩვეული ვარ,
თუ ვარ განაწყენი.
მიყვარს ტუქსვა, ისიც მხოლოდ
გულის გასართობად!
(რასაც ვამბობ სიმართლეა,
შენმა მზემ და ძმობამ)
ამ წუთიერ ქვეყანაზე,
რა შემრჩება მეტი!—
მუშები რას დამაკლებენ,
თუ კი მწყალობს „ღმერთი".
მაშ, წინ ნიკო, შუქ-მოსილო,
წინ, წინ გამიძეხი!—
ნათქვამია: სიმძლავრესა
სძლევს ხანდახან ხერხი.
**მუშა იდგა ოცნებით და**
**ფიქრით თმა-გაშლილი!—**
**(იქნებ ვინმემ „დაარიგოს",**
**გრიშა ტატიშვილი)...**

პაგნელი ბზიკი.

# საბურთალო

ჰე ტარტაროზ ვის სმენია მსგავსი საქმე ამისთანა?
(ლამის ამის შემყურემა გამოვისო ყელში დანა).
„კამპანია" აღარც ერთის აქ არ მიდის არ გვდევს თანა.
ამაოა მოწოდება: „ძილის დროა ეხლა განა?"
არჩევნები მოახლოვდა, გული ხალისით აღივსო.
მამა ონოფრე კი სტირის: „ალაპი აღარ არისო.
გამიხმა კუჭი მსუქანი, ალბათ სიკვდილი მელისო;
ფოფოდის ალერსს მოვაკლდი ღვალებს ცრემლებად წველისო.
ვაჭარ ბესოს სქელი ღიპი დაუარდა, ჩაუფუუყდა;
აგონდება—წამი ტკბილი სასადილოს წინ რომ ყუყდა.
დააქვს ჯიბე გახვრეტილი, აღარა აქვს გროში, ხურდა;
საბჭოებში ველარ შეძვრა, თუ მცა გულით ძაან სურდა.
სხდომებს ანტი-რელიგიურს არ მართავენ. რისთვის ნეტა?
მოთავენი ამ საქმისა სად წავიდენ? ვინ წახვეტა??.
ალკოგოლიზმს არვინ ებრძვის—ლეო, ნინა, არც ანეტა.
(მხიარულად კი არიან უკრთიით თვალნი ვით პლანეტა).
მუშკოოპის კარებთან სდგას შევრი—არა წევრია.
შიგნით ვერ შევლენ, ტანჯვას კი ვერ იტყვის ენაც მჭევრია.
ამბავი საბურთალოსი ძმობილო ესდენ ბევრია,
რომ ლამის ერთობ დაფაროს ქალალდის მთელი ტევრია.

დონ—ერია.

# უცხო

**თეთრი წყარო** (ტფ. მაზრა)

პედაგოგი თედეევას
სხვანაირად უფეთქს გული.
ამ ბოლო დროს მოწამეებს
შეაყვარა საღვთო სჯული.
ელსადგური მძლავრი არის,.
ის მუშაობს წარა-მარა;
ვერ ანათებს ღამით ქუჩებს,
თუ კი ტოკი გაეპარა.
კერძო ვაჭრებს ნუ იკითხავ,
ნეტარება აქვთ მათ სრული—
ნალოგები დააწერეს,
კიდევ მაინც უდგათ სული.
ბევრი აქა კუდა-ბზიკობს,
ყველგან ხელებს აფათურებს,
აწ შენ იცი, ტარტაროზო,
თუ აუწევ ასეთს ყურებს..

ვ. ხორტელი.

# მმაჩ-ში



— შენ ხომ ცოლიანი ხარ?
— მერე და რა მოხდა! ეს ქალი თანახმაა გამომყვეს, შენ რა გადარდებს!

# გ ო მ ი
## (ქუთაისის მაზრა)

გვესტუმრე ერთხელ, ტარტაროზ, —
მაგრამ ჩამოდი ფრთხილადა,
რადგანაც გზები გომისა
გადაქცეულან თხრილადა.
თორემ თუ მარცხი შეგვემთხვა,
(ვაი, დაგვიდგეს თვალია!),—
ჩვენი ექიმი კოსტავა
მუდამჟამს არის მთვრალია.
ნახოთ, იქნება, შემთხვევით
პუნქტზე ფერშალი ბენია!
თუ გიცნო—ვერ დაგიყვირებს,
მოერიდება შენია...
და თუ კი ხიფათს გადარჩე
(ეს სასწაული დიდია!),—
„პატარას“ წყალში გაივლი,
ზედ რომ არ არის ხიდია...
და იქ დაგხვდებათ გლეხკომის
შენობა ერთობ დიდია;
დაკეტილია ყოველთვის
კარზე ბოქლომი ჰკიდია.
ერიდე კოოპერატივსა,
შიგ ნოქრობს სოკრატ ყმედია,
მას მადლიერი არა ჰყავს
მცხოვრებთა მეოთხედიც.

[illegible].

# მწარე შედეგი
## (გომახური, ოზურგეთის მაზრა)

(ივ. კალანდაძის სიმღერა)

ახლა რა ყოფაში ვარ?
ვაჰხ, რა დღეს მოვესწარი!
აღარ შემრჩა მე სუფთა
პერანგი და ზეწარი.
ამაოდ ჩამიარა
შავ სიიდან დაძვრენა.
ტყვილად კვრიჭე კბილები,
პატრიალე ეგ ენა.
გლეხებს ვეფიცებოდი
ერთგულება - ძმობასა
პირში, ლხინში, ყოველთვის
შველა - თანაგრძნობასა.
არჩევნებში დავრაზმე
ჩემი მომხრე პირები:
საარჩევნო სასწორზე
მქონდა მძიმე გირები.
დავრაზმე და იმედი
მათაც არ გამიმტყუნეს:
„საბჭოში გვსურს ივანე“ —
ერთხმად დაიგუგუნეს.
და კრებაზე თითები
აიწია ზე-მაღლა.
(ცხადი არის — საბჭოში
რომ გავძვერი მე ახლა)...
მაგრამ როცა დათვალეს,
შეადარეს თეთრს შავი —
შედარების შედეგი
დარჩა გულის საკლავი.
ჩამიარა: პურ-ღვინო,
პატივი და ბანკეტი...
განა ღირდა ამდენად
შენს მიღება თეთრმეტი?

გომახურელი.

# ტრაქტორის ვედრება
## (ზემო-ჩიბათი, ოზურგ. მაზრა)

ადგილობრივ კოლექტივს აქვს ტრაქტორი, რომელიც მოუვლელობის გამო ფუჭდება.

შხანკოლა.

ვაი, რა დღეში ჩავარდი,
სად ვგდივარ სადაურიო?
შარშან ბიჭბუჭებს ჩამიგდეს,
ხეს მივამტვრიე ყურიო.
წრეულს ამკიდეს სახერხი,
ვიწვები, ვიხრაკებიო.
შუა გამიტკლიცეს ცილინდრიო,
აწ როდის გავმრთელდებიო.
გუთანი, სათეს-სამარგლი
და ჩემი ნაწილებიო—
ქუჩაში ყრია, ტალახში
ვით ოხერ-პარტახებიო.
გლეხები სახნავს თხოულობს,
ვინ არის გამკითხავიო.
ბაჩა იყიდა სესხითა
სეირნობს გამგე თავიო,
ავი ენები ამბობენ!
ანგარიშს თავი სტკივაო...
რევიზიაზე არავინ
აღარაფერსა სჩივაო.
მიხაკო გულზე გასულა—
ტყვია უჭირავს ხელშიო:—
ნოქარს დაადვა ნაგანი
კილამ გასწყვიტა წელშიო.
საქმე არ წავა კარგადა,
ტარტაროზს ვენაცვალეო,
თუ შენებურად კოლექტივს
არ მოეშველე მალეო.

შხამკოლა.

# ცნობათა მიღება

**ხუშუნდარის** (ბორჯომი): თქვენს „ბედნიერ უბედურებას“ უბედური-უბედურება შეემთხვა — წაკითხვის შემდეგ გოდორში „გადახრიალდა“.. თქვენს წერილს არც კი სწყენია ეს ამბავი, პირიქით, გაუხარდა: „რომ დაგებეჭდეთ, წამიკითხავდენ და შემრცხვებოდა. მართალია, ჩემს ავტორს არა სცხვენია ჩემი უვარგისობა, მაგრამ მე ხომ მასავით უსირცხვილო არა ვარ“-ო! —გვითხრა თქვენმა წერილმა, მადლობა გამოგვიცხადა და პირველად ის მოექცა გოდრის ფსკეროს (თქვენ გგონიათ—მართლა უფსკეროა ჩვენი გოდორი?).

**ძველს** (საჩხერე): აქ საკვირველი არაფერია, თუ კი „ქალწულ“ მარიამს შეეძინა ქრისტე, რატომ არ შეიძლება ზაბახიძის ქვრივსაც შეეძინოს სხვა ქრისტე და მით უმეტეს, როცა მასაც მარიამ ჰრქმევია?! განა ასეთი ქრისტეები ცოტაა? მერე რა ვუყოთ, რომ მარიამ გაიძახის:

> **ხალხნო, მოდით და თაყვანი მეცით,**
> **ღვთისმშობელი ვარ მარიამ ქვრივი,**
> **და მომიტანეთ: შესაწირავი,**
> **ფული, თაყვანი, ძღვენი, არჩივი...**

ალბად, სოფელმა კარგად იცის, თუ ვინ არის ამ შემთხვევაში „იოსებ დურგალი“ და არ წამოეგება მარიამის ანკესზე.

**ზიპოს** (სვირი): ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გამგე სერგო ხოხიაშვილზე გვწერთ, რომ „**სამსახურში გვიან მოდის და ადრე მიდის; ამის დასაფარავად ის საათის ისარს წინ და უკან აქანებს საჭიროების მიხედვით-ო**“.

შემდეგ უძღვნით ასეთ ლექსს:

> **ტარტაროზო, მოდი,**
> **ძნახულე სვირი**
> **და ჩვენს ფოსტის გამგეს**
> **მოამტვრიე ცხვირი.**

ეს ერთი კუპლეტი დავბეჭდეთ არა მისათვის, რომ **ცხვირი მოვამტვრიოთ** გამგეს (ამისათვის მილიცია პასუხს მოგვთხოვდა), არამედ იმიტომ, რომ **სვირი-ცხვირი** კარგი რითმაა.

**აკ. წიფლავაკელს**: ასეთი ლექსით ვერც სატრფოს შეაყვარებთ თავს და ვერც ჩვენ შეგვიყვანთ შეცდომაში.

> **წინააღმდეგ შემთხვევაში**
> **თავს მოვიკლავ შენს ბარაზე,**
> **და უდროოდ მიწა შემჭამს**
> **დამარხულსა შარა-გზაზე.**

ო, ეს სტრიქონები მართლაც ისეთი მჭრძნობიარე და ბევრის მეტყველია, რომ, არა თუ ქალის ცივ ქულს, თვით მყინვარსაც კი მოალხობს და გაათბობს.

ყოველ შემთხვევაში, თუ თქვენ სიტყვის კაცი ხართ და მართლაც მასე იზამთ, როგორც იმუქრებით, ესე იგი თავს მოიკლავთ,—შარა-გზაზე მაინც არ დაგმარხავენ: ამის შესახებ უკვე გაფრთხილებულია სანიტარი.

**ვალის**:—გარკვევით არ იყო ბრალდება დასაბუთებული.

**მესანგრეს** (ბულუხაური): კიდევ კარგი, რომ ეხლა ზამთარია და არა ზაფხული და ბუზები არ არის...

> **ვალერის, მოსეს, ლადიკოს,**
> **რომ დაუღიათ პირია.**
> **ქოხ-სამკითხველოს გამგეა,**
> **სამივე სპეცი გმირია.**

გამგეების ასეთი სიმრავლით აიხსნება, რომ **სამკითხველოს** შენობა ჯერ კიდევ დაუმთავრებელია [?]

**ულამას** (ხიდისთავი): პირველად გვესმის, რომ ხიდისთავში დეპო იყოს. კაცმა, რომელიც პოეტობამწერლობას ჩემობს, უნდა იცოდეს, რომ:

> **დეპო სხვაა, ეპო სხვაა,**
> **შუაში არის დიდი ზღვარი,**
> **(და ამიტომ დაბეჭდვაზე**
> **ამ თქვენს წერილს ეთქვა უარი).**

**ქვემეხს** (გუგუნაყათი, სენაკის მაზრა): ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ თქვენ სწერდით სიმონზე:

> **ნოქარია ძველის-ძველი,**
> **სოფელს სწუწნის, როგორც ყველსა,**
> **ბავშებს წონით ატყუილებს,**
> **და არ აკლებს ქალებს ხელსა.**

აწ მგონი გამგეობაც მიხვდება ამას და გამოასწორებს ნაკლს.

**ბატის ჩინჩაყვს** (ქ. ხონი): ბატი რა არის და მისი ჩინჩაყვი რაღა იქნება! ისევ-და ამ თქვენი წერილის მონელება ბატის ჩინჩაყვს თუ შეუძლია, ან და ჩვენს უფსკერო გოდორს, თორემ სხვას არავის.

თქვენი მესტვირული ასე თავდება:

> **ახალ კალამსა შევიძენ**
> **მელანს ჩავასხამ შუშაში,**
> **თან ტკბილად დამეძინება**
> **მეორე მუზის მოსვლაში.**

თქვენ გგონიათ — კალმის სიახლეზეა ლექსის შეთხზვა დამოკიდებული? მასე, რომ იყოს, მაშინ რა გიჭირდათ. ჩვენ კი ასე გირჩევდით: ნუ აფუჭებთ კალამს, სხვას გამოადგება.

რაც მართალია მართალია: „ტკბილად დაძინება“ სჯობია ასეთი ლექსის წერას (და მით უმეტეს—განხილვას!).

**სასიძოს**: რა ვქნათ, შევდივართ თქვენს მდგომარეობაში და გვეცოდებით, მაგრამ განა შეიძლება ამ ლექსის დაბეჭდვა:

> **საცოლომ მითხრა — წაგყვები,**
> **არ მინდა რომ შეგაშინო,**
> **თუ შენს ლექს ვნახავ დაბეჭდილს**
> **„ტარტაროზშრო“ მაშინო.**

სხვა ხერხს მიმართეთ, თორემ აქედან ხეირი არასოდეს გამოვა.

**„აზინუს“**: — თქვენ ძალიან მოგწონთ თქვენი ფსევდონიმი — „**ყური მოვკარი ამ სიტყვას და ისე მომეწონა, რომ ფსევდონიმად დავირქვი**“-ო.

მართალია: ყველაფერს თავისი შესაფერი სახელი აქვს და ამ შემთხვევაში, შეიძლება თქვენი არჩევანი და გეშოვნება [?] თავისთავთან შეფარდებით გამართლებულია, — მაგრამ ჩვენ მაინც ეჭვი შეგვდის, რომ თქვენ იცოდეთ ამ სიტყვის მნიშვნელობა; ეს სიტყვა ლათინურია და ნიშნავს — **ვირს.**

**ფიქრის-გორელს**: — თქვენი წერილი ასე თავდება: „**აფრინეს ალალიოთ; რაც არ არის, არ არიო**“... შე კაი კაცო, ეს თუ იცოდი, რატომ სწერდით ამ წერილს?!

**მიხეილ ველის პირელს** (ქ. ახალი-სენაკი): მართალია, ხელმოუწერელ წერილს არ ვბეჭდავთ, მაგრამ ეს წერილი ხელმოწერილი რომც ყოფილიყო მაინც არ დავბეჭდავდით. აბა, მკითხველმა გასაჯოს — დასაბეჭდია ასეთი ლექსი:

> **არა აქვს ვითა საქათმეს,**
> **კარები უვარგისია;**
> **მოწაფეები სიცივით**
> **კამკამებს [?] ვითა გიჟია.**

# უფლება-აყრილნი



ღმერთი:—რა ამბავია! რამ დაგალონა, ზოსიმე?!

— რაღა რა ამბავია, ყოვლის შემძლებელო, შავ სიაში ჩამაგდეს!

— ჰმ! შენ კიდევ დარდობ, როცა სიაში მაინც ყოფილხარ? დარდი ჩემი სთქვი; რომ საზოგადოდ ყოველ-გვარი სიიდან ვარ გამორიცხული, თორემ...

პ-ტ. მე-5-ე სტამბა, ყამოს ქუჩა № 69.

კვირა, 24 თებერვალი

1929 წ.

# ტარტაროზი

№ 9



## „პრემიერი" და თუთიყუში

— პოპკა, ა, პოპოჩკა, გაუვიდა თუ არა ყავლი საბჭოთა საქართველოს?!

— (სწრაფად, სხაპასხუპით) დიახ, რვა წლის!

# „ბრძოლა“ ზავისათვის... ყველა—თავისათვის!..

რუმინეთმა,
ლატვიამ
და
პოლონეთმა,
ესტონეთით,
ᲔᲡᲔᲡᲔᲠᲗᲐᲜ ზავი შეჰკრეს,
შორიკითხეს გერმანეთ.
ლიტვინოვმა წაუკითხა
თვისი ოქმი ჯერ—პატეკს;
დევრილას და სელიმაას
არც ენაბათ ჯერ ის არც ერთს,
მაგრამ გულში მაინც ოქმის
ადებექდოდათ სიყვარული;
ოეგოთ იზოლსსაც ოქმისადმი
გული არ ედო ზრახვა. მტრული...
შემდეგ დასხდენ და რიგ-რიგათ
მოაწერეს ოქმზე ხელი.
ლიტვინოვმა ამის ირგვლივ
სიტყვა უთხრა იმათ ვრცელი.
არც პატეკი დარჩა ვალში,
ზეილამაც ჩაახველა...
ერთი სიტყვით, „რეჩისათვის“
განემზადა თითქმის ყველა.
მშვიდობა და მეგობრობა
ახეთია მეზობლებში;
მტრობა კი ძირს! მისი შხამი
ბოლვახაც ეყვის ერთი თეფშში!
აღმოსავლეთ ევროპაში
რომ დაისვენა ეს ამბავი,
ხუთ მეზობელ სახელმწიფოს
რომ მიადგა კარზედ ზავი,
ევროპაში. იქ, პარიზში
დავა იყო მეტად მწვავე...
ათას ცხრაას ჩვიდმეტიდან
მოაქვს თვისი მას სათავე...
მენშევიკი, დაშნაკი და
მუსავატის სულის მდგმელი
ძანძგილობდენ, ჰყლოპინობდენ.
ხმალზე ყლით ასე ხელი..
—ზავი! ზავი!.. იძახოდენ:
ხაპირია ზავი დიდათ!
თუ რომ ზავი არ გვექნება
საშეზობლო გზათ და ხიდათ,
მაშინ ჩვენი ბატონობა
ქვიშაზეა აგებული!..
ასე ყადრი ზავის იმათ
ყველას ჰქონდათ გაგებული...
და წინ ფართო მაგიდაზე
გაეშალათ კიდეც რუკა,
თურქ-სპარსახლის რაც სიგრძეა,
კავკასიის მთებიც უკან.
და სურვედენ ამ მიდამოს
მეკვიდრეულად, ვითომც „რუსულ“,
თუმცა თვითონ ერთმანეთის
გადაყლაპვა სურდათ ჯერ!
წამოიწყო მენშევიკმა
სიტყვა თვისი შესავალი.
მუსავატელს დაუთაფლა
და შეახო დაშნაკს თვალი:
—ყიზილბაშ თავი შენ ხარ, რაც ხარ:
ამხანაგ ძმად მეგრელიც არ დაზოგე.
თბილისზე რომ მოიწევდი,
თუ გეგონა ის საჯოგე.
შენ ალმართე პირველ ხელი
და უშიშრე ბოლნის-ხაჩინს!
გაძოვებ, თავში რომ ითრევდი
ტერტერას და იმის „ახრიკს“!
დრომ ვითომც დრო შეგვირჩია,
წამოვიდა ზვავით, ზავთით...
გულს რომ ცეცხლი შემოეგზნო,
ჩვენ ვუქროდით შემდეგ ნავთით!..
მულავრით რომ გაეშურა,
უკან დარჩა ყარაკლისი.
ვერ შველიდა ვერც დრო და ვერც
თართაპეტის პარაკლისი!..
ისევ ინგლისს დაუმადლე,
რომ ჩამოდგა ზავით ჩვენში!
თორემ სახლში იქნებოდი,
არ გკლებოდა მაშინ „სხვენში“!
დაშნაკს გული მოუვიდა:
—რას მიქარავ, ტუტუც „ჯრაცი“!
ბათუმზე რომ საქმე მიდგა,
შენ დაგმარეს სხვას ვის იცი!

თბილის ქალაქს თავს დააჯექ,
სომხის ფულით არის ნაგი,
სომეხი კი შენ არ გრწამდა
და არც რუსი — „ამხანაგი“!
გეგონა, რომ შეგარჩენდი
ამ სხვის ხარჯზე ფეხის გაწრთნას,
დავზოგავდი მე შენს კოჭებს
ან და ზურგში დანის ჩარტყმას?
ბამბაკი და ბოლნის ხევი,
შულავრიან-ქადრიანა.
ჩემია და მე დამრჩება
დღეს თუ ხვალე-ადრიანა...
კვლავ თბილისსაც წამოვიღებ
და ჩავიტან იელიჯანში...
ბორჩალოს და ახალქალაქს
დავენაცვლე ახლაც ჯანში!..
ამ ქაქანში ეს რომ იყო,
ატყდა ახლა მუსავატი:
ფოილოდან გადმოლახა
რუკა თითქმის ხრამის წყლამდი!
ქოსალო და ყაფანახჩი,
ყარაია, ყარა-თაფა...
მოყვა ასე სოფელ-სოფელ,
თბილისამდი გზა მოკაფა...
შემდეგ—გასწვდა ზაქათალას,
ლაგოდეხიც ზედ მიადო,
ფარდისუბან-ყარსუბანით,
ლელიანით ასწვდა ყადორს!
და იქიდან ლეკეთამდის

გადაავლო კავკასს ზოლი:
—„ვზენი ზუ ჯემია“-ო
ვინ გეგონათ თქვენი ტოლი?!
დაათავა სიტყვა, ხაზვა
და დაანთო მთებზე თვალი.
თითქოს, იქით რაც კი არის,
სულ მისია მიწა-წყალი!..
—მეი! მეი!.. შეუძახა
მენშევიკმა მაშინ თათარს:
— განჯას ისე დავიკავებ,
არ გაგარჩევ თითქმის ფაფარს!
და თუ ყაზახ-ფოილომდე
დაგანებო მიწა-წყალი,
შენც გამიხდი კმაყოფილი:
დაჯექ და რწყე მოსარწყავი!..
ვერ მორიგდენ, ატყდენ, დატყდენ.
და დაუწყეს რუკას „ქიჩვა“,
სანამდის ერთ დღენისაგან
სამი რუკა იქ არ იშვა...
და ხელში ამ ნაფლეთებით
კვლავ მჯიღავდა ხელებს ხაში!..
შემდეგ სტოლიც წამოვიდა,
წამოვიდა: ჯოხი. სკამი.
საწერელი, ჭიქა, სარკე,
სათვალე თუ სავარცხალი...
ამ ამას მაშინ მეც მოვხვდი და
ძლივს ცოცხალმა გავასწარი!..

ინისიმე.

---

„ნელად მოღელავს, მოდუდუნებს მტკვარი ანკარა“.
ნ. ბარათაშვილი.



— იმის ოჯახს კი დასწვავს ცეცხლი, დასწვავს თაკარა, ვინც აქ ამდენი ჟულაბი და რკინა ჩაჰყარა.

# „ძ ღ ვ ე ნ ი"



**ნოე რამიშვილი:— მართალია ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ ბოლოკი მაინც ჩვენია!**

## აი ეს ბოლოკია თქვენი!

# გაშავებული „რევოლიუციონერი"

— მომილოცავს, ხარიტონ!

— რა მილოცავ, ბიძია!?

— მომილოცავს, დაესწარი ხრავალს!

— რა მაქვს, ბიძია მოსალოცი? რომელი დღეობა მე მაქვს?

— მომილოცავს საბჭოთა საქართველოს რვა წლის თავი!

ხარიტონმა რაღაც უცნაური გამომეტყველება მიიღო. წარბები შეათამაშა და თითქოს განგებ გაახერა, გააშიშა ისეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში, რომ ვერც დიდ გაბრაზებას დავწამებდით და ვერც კმაყოფილებას.

ხარიტონი ჩემს მეზობელ ოთახში ცხოვრობს. მას პირივით ვეჯავრები, მაგრამ სალამის მიცემის დროს ყოველთვის ისე გახსნის სახეს და გაიღიმებს, თითქოს წლობით მოწყურებული იყო ჩემს ნახვას და როგორც იქნა პოესწრო.

მე მიყვარს მისი გაბრაზება პოლიტიკურ საკითხებზე ლაპარაკის ჩამოგდებით. ეხლაც ჩემი მიზანი იყო მისი გახელება. ვიცოდი, რომ ჩემი მილოცვა მას სულაურ წონასწორობიდან გამოიყვანდა და ერთხელ კიდევ გადმოალაგებდა „ფაქტებს" მისი „რევოლიუციონური" წარსულიდან.

— შენ მემასხრები, ყმაწვილო! მე კი სამასხროდ არ მცალია!

— არ შესცდე, ხარიტონ! სრულებითაც არ გემასხრები... გილოცავ საბჭოთა საქართველოს რვა წლის თავს! შენ ხომ ძველი „რევოლიუციონერი" ხარ!

— მემასხრები მაშ! გუშინ საბჭოების არჩევნებში შავ სიაში მომაყოლეთ, დღეს მოდიხარ და მილოცავ! რას მილოცავ? ჩემი გაშავების და წახდენის დღეს?

— შენი გაშავება, ხარიტონ უსათუოდ სამწუხარო ამბავია, მაგრამ...

— მაგრამ რა? რომელი შავრაზმელი მე მნახეთ?

— შავრაზმელი არა, მაგრამ...

— ა! კიდევ „მაგრამ"...— ვატყობ, რომ ხარიტონს თანდათან ეკარგება მოთმინება.

— მაგრამ ერთ დროს მგონი წაითავადებდი, შემდეგ წაივაჭრებდი და ეხლა წაისპეკულიანტებ.

— ვისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, ღმერთმა სიბერე ნუ ანახვოს,— სთქვა ხარიტონმა და საყვედურის თვალით შემომხედა.

— შენ, ბიძია,— განაგრძო ხარიტონმა,— დაბადებული არ ყოფილხარ, როცა მე „პოდპოლნიკი" ვიყავი.

— „პოდპოლნიკი", თუ პოლკოვნიკი?

— „პოდპოლნიკი"— არალეგალური მუშაკი! შენ იქნება არც კი გესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა!— გაბრაზდა ხარიტონი.

— ცხრაას ხუთში,— ხარიტონმა მოხსნა გულს თავი, ჩემს გარშემო თავს იყრიდნენ ბოხვაურის ყველა რევოლიუციონური ძალები...

სიტყვა „ბოხვაური" ისე მაგრად სთქვა მან, რომ უნდა გეფიქრათ: ბოხვაური უსათუოდ დიდი სამრეწველო ქალაქია. მეც აღარ შევეკითხე, თუმცა არც ეხლა ვიცი, სად არის ბოხვაური, ან რას წარმოადგენს ის.

— ჩემს ბინაში იყო მოთავსებული რევოლიუციონური შტაბი, რევოლიუციონური არსენალი, რევოლიუციონური სტამბა, რევოლიუციონური კომიტეტი...

ხარიტონი ისე სიტყვას არ მოაბრუნებს, თუ „რევოლიუციონური" არ დააყოლა.

— არა, „ნეუჟელი"?— ნახევრად სიცილით შევეკითხე.

„ნეუჟელმა" კიდევ უფრო აალელვა ხარიტონი, რომელმაც ნიშნად პროტესტისა ასანთს გაჰკრა და მოკიდებულ პაპიროსს კიდევ ცეცხლი მოუკიდა.

— სასაცილო აქ არაფერია...

— არა, ხარიტონ, მე ისე გამიკვირდა: ყველაფერი „რევოლიუციონური" როგორ მოთავსდა შენს ბინაში, ალბად, სასახლეში ცხოვრობდი.



ა, ბატონო, ა! აკი ვამბობდი, რომ კომუნისტები ყველაფერს ანგრევენ-მეთქი!

— ჰაი გიდი! მე უნდა ვიყო შავ სიაში და გუშინდელი (შევატყვე, „ლაწირაკები“-ს თქმა უნდოდა) ბავშვები მე დამცინოდნენ!?

— კარგი! ცხრაას ხუთის „მოღვაწეობას“, ალბად, ისტორია დაგიფასებს, უხლა ის მითხარი, სად მოგისწრო თებერვლის რევოლიუციამ?

— სად მომისწრო და რევოლიუციონურ პროლეტარიატის რევოლიუციონურ რიგებში! მართალია, მე ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული ვიყავი მენშევიკურ პარტიაში, მაგრამ რევოლიუციონურად ბოლშევიკური მიდრეკილებით ვიყავი გამსჭვალული.

— კი, მაგრამ შენ ხომ იმ დროს ვაჭრობდი და მსხვილ „კუპეცს“ გეძახდნენ?

— შენ, ბიძია, ჯერ ახალგაზრდა ხარ. გაიზრდები და მიხვდები, რომ ვაჭრობა-მრეწველობით შენდება სახელმწიფო.

— „ნეუჟელი“, ხარიტონ! კი მაგრამ „რევოლიუციონურ“ პარტიაში მსხვილი „კუპეცი“ სად გაგონილა?

— თუ არ გჯერა...

— არა, როგორ არ მჯერა, მაგრამ...

— ამ „მაგრამ“-ს რომ თავს დაანებებდე, უფრო დაგშვენდება, ბიძია! („ბიძია“-ს იმიტომ მეძახის ხარიტონი, რომ მასთან შედარებით ძალიან ახალგაზრდა ვარ).

— მაგრამ ისიც მჯერა, რომ მენშევიკების პარტია ისეთივე რევოლიუციონური იყო, როგორც შენ იყავი, ჩემო ხარიტონ!

— უკაცრავად, მე მენშევიკურ პარტიაზე უფრო რევოლიუციონური ვიყავი. აკი გითხარი, რევოლიუციონურად ბოლშევიკურ მიდრეკილებას ვიჩენდი-მეთქი.

— კი, მაგრამ რაში გამოიხატა შენი ბოლშევიკური მიდრეკილება? იმაში, რომ საკუთარ 30 დესეტინა მიწაზე კაცს ფეხს არ ადგმევინებდი იმ დროს, როცა ირგვლივ გლეხებს თითო ციდა მიწაც არ გააჩნდა?

— ეს არ ეწინააღმდეგებოდა, ბიძია, ჩვენი პარტიის წესდებას?

— აბა, ამიტომ მოხვდი, ჩემო ხარიტონ, შავ სიაში, მაგრამ მე მაინც უნდა მოგილოცო: გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

— გაუმარჯოს, მაგრამ სანამდე ვიქნები გაშავებული წითელ საქართველოში?

— ვნახოთ! შენზეა დამოკიდებული. მშვიდობით!

— იცოცხლე, ბიძია! მიპასუხა ხარიტონმა და ისეთი სახე მიიღო, რომ მივხვდი: ერთი მაგრად შემოკურთხება არაფერი ერჩია.

სეგეირ-ბენ-შეიხ.

# ბრძოლა ტერიტორიისათვის

„ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციაში დიდი განხეთქილება საზღვრების გარშემო“




საქმე არ ჰქონდეს ხუროსა დაჰქონდეს და-ურახუნოსა.

# „წმინდა სამება“

ჩემბერლენი
ბოლდუინი
ნ. რამიშვილი
(ჩემბერლენი შუაში ზის. მის წინ დგას რამიშვილი)

**რამიშ.**

ოსტინ, მიშველე თუ ძმახარ!
აღარ მაქვს მეტი მოთმენა;
მომეშველენით, დავამხოთ
ტიალი საბჭოთ ქვეყანა.
თორემ ჩამოვხმი წუხილით,
თმები მცვივდება ქაღარა;
მეტი მოთმენა ოსტინჯან..
მე აღარ ძალმიძს, აღარა.

**ჩემბ.**

(ამაყად და მედიდურად)

სადაური ხარ, მითხარი,
შენ აქ ვინ მოგიყვანაო;
აბა, პასპორტი მიჩვენე,
თუ ძალგიძს ფეხის ფხანაო,
ბევრი მყოლია მსახურად
ბიჭები შენისთანაო.

(ბოლდუინს)

ბოლდუინ! მითხარ ვინ არი,
ამის საქმე რა რიგია;
თუ სადმეა საქართველო,
უცნაური გამიგია.

**რამიშ.**

ოსტინ! ოსტინ შენსა მზესა,
ეს სიტყვები რა რიგია;
ეს სასახლე და დარბაზი,
მითხარ, ვისთვის აგიგია?
შენს დიდება სახელისთვის
მეც ხომ მსხვერპლი გამიღია,
შენი დღეგრძელობისათვის
ყველა ფეხქვეშ გამიგია.

**ჩემბ.**

(შეუყვირებს):

გასწი, გასწი რასა რომშაკ,
ჩემი მყოფნის გასაჭირი;
ჩინეთმა და ინდოეთმა
ყველამ შემიცვალა პირი,
რუსეთიც კი შემუქრება,
მუშტებიც კი მომიღერა;
რა მწარეა ჩვენი ბედი,
რა მწარეა ეს სიმღერა.

**რამიშ.**

ოსტინ! მთელი კავკასია,
რომ გადმოგცე კალონიათ;
ჩაგაბარო მთელი ხალხი,
ვით წესი და კანონია,
მე გავხდები შენი მონა,
გზად დაგიფენ ია-ვარდებს;
დაგიგროვებ ხაზინაში
ათიათას მილიარდებს,
მხოლოდ შენ ერთს გეხვეწები
სამშობლოში დამაბრუნე

**ჩემბერლენი:**

შენი ქვეყანა რად მინდა,
ჩემიც ოხრად დამრჩენია;
ჩინეთიდან ჩაუქროლბი,
გულზე ცეცხლი გამჩენია.

**ბოლდუინი:**

დავრდომილი, სნეული,
უნუგეშოთ ვსტირი მე;
კვნესის ოხრავს ეს გული
რა ვქნა შენი ჭირიმე.

**რამიშ.**

სანამ მქონდა ფულები,
მქამე მოხრაკულები;
ეხლა გამომელია
ჩამოვყარე ყურები.

**ჩემბ.**

როცა ვიყავ ახალგაზრდა
და სიამით სძგერდა გული;
არ მეღირსა მე უბედურს
სიამე და სიხარული!.. (კვდება)

**ბოლდ.**

თავო ჩემო, ბედი არ გიწერია,
მთლად გავგიჟდი, შემეცვალა ფე-
რიი...

(კვდება)

**რამიშ.**

(ხელებს გულზე დაიწყობს)

სამშობლო, სამშობლო!
ჩემო ლამაზო
რად გინდა, რად გინდა,
გულს დანა დამასო!
(კვდება)

ზორბა.

# ვის რა ეკალება

(ქუთაისი)

ეს დეკრეტი, მეგობრებო, ნურვის დაავიწყდება.
ჩვეულებრივ, ჩვენ ვთავაზობთ ფოჩვიან კამფეტებს
ყველას ვამცნობთ სათითაოთ თუ ვინ რას აკეთებს.

—:—

კბილებ - ჩაცვენილ ქვაფენილებს, ალმასკომმა უნდა
ქვა რათალი არ მოაგოს, ფეხი აგვიცურდა,
ქალაქს ღამით განათება, ჩემის აზრით, ავნებს:
ელექტრონის მძლავრი შუქი ასნეულებს თვალებს!..

—:—

აქაურ ჩვენს პროფ-კავშირებს ყველას ევალებათ
საწევრო ფულის აღება ნუ დაეზარებათ.
წევრთა უფლებრივ დაცვაზედ ნუ იწუხებთ თავსა:
— რა უშავს თუ გამგე მუშებს აუტეხს სკანდალსა

—:—

კლუბებში აქ უფრო მეტათ შეიძინონ ნარდი,
სხვა მხრივ კლუბში მუშაობის ნუ გექნებათ დარდი.
წარმოდგენა, ლექციები თუმც სჭირია მუშებს.
მაგრამ ასეთ „სისულელეს“ ნურვინ ნუ დაუშვებს.

—:—

კოოპერატორებმა ბევრი შეიძინონ ფარჩა
პუდრი, დუხი, ისეთები, ვაჭრებს რაც გადარჩა...
ზაფხულობით ბამბაზია, ბეწვიანი ქურქი
ზამთრობით კი, როს ატყდება თოვლის მძლავრი ბუქი,
თეთრი ტილო, თხელი ჩითი და ბევრი ამგვარი
(გთავაზობენ თეთრ ტუფლს, როცა ყინავს მთა და
ბარი“).

—:—

ყველა დარგის გამგეებმა მოისმინოს უნდა:
თუ ზოგიერთს პორტფელები მზისგან შეუხუნდა,
ამ თავითვე შეუკვეთონ. გამოისხან ფრთები.
და ზამთრისთვის იქონიონ შევროს პორტფელები.
გააღრმაონ პროტექცია უფრო მეტათ, ან და,
ნურავის ნუ მიიღებენ, ძმა ბიჭების გარდა.

შაკო.

# მოწაფის გოდება

„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“,
ვგრძნობ: ცხრაწლედის დამთავრება ძნელია,
გამოცდები ჩუმად გვიახლოვდება,
სული მიწუხს და გული მიღონდება.

—:—

„გულო ჩემო, ტკბილათ არ გიძგერია“,
ატესტატის გამოტანა ძნელია,
„დედა ლა ვქნა“ გულს მედება გენია.
ჩაფლავდება თავის შემარცხვენია.

—:—

„ჩანგო ჩემო, ეშხით არ გიჟღერია“,
„ფრიადები ერთიც არ მიწერია,
უწიგნობით თავ-ბედი მიწყევლია,
სახელგამო! აქ კი ბრალი შენია.

—:—

„არ მშრომდება მწუხარება და ჭირი“.
გამოცდებში ავანსათ ვარ ჩაჭრილი,
უნივერსიტეტო, შენთვის ვტირი მე,
როს გიხილავ, ნეტავ შენი ჭირიმე.

—:—

„ნარკომპროსიც“ თურმე ჩვენი მტერია,
„უჩიტლები“ ხომ მთლად გადაგვერია,
მოგვიმატეს კიდევ გაკვეთილები
და სწავლით ვართ კბილებ - დაკვეთილები!

—:—

ახლოვდება განსაცდელის დღენია,
ეგზამენი ჩასაბარებელია,
მაგრამ არ მაქვს მზად მე ერთი საგანიც
ტყვე ვარ. მხუთავს ეს ცხრაწლედი—საკანი!..

შურა ცრემლიშვილი.



ემიგრანტის სათვალეები ყ. რაზე

# ასალოს გაჭირვება

## გურული სცენა

— გამარჯობა, ასალო!

— გაგიმარჯოს, მარა... რაღა გამარჯობაო.

— რა იყო, კაცო! რა დაგემართა?

— ნეტა რამე დამმართოდა, თუ გინდა—ხუნაგი და ათაშანგი, უფრო იოლად გადვიტანდი.

— კაცო, წელკავი ხომ არ შეგფრენია მა გვერდებში, რომ მობღუნკულხარ და ცალ გვერდზე გადაფერდებულხარ ჩვენი სკოლის შენობასავით?!

— შენ რომ ჩემდენი მოგხდენოდა, მობღუნკვა კი არა, ახლა კუბოში იქნებოდი გაწვართული და საიქიოსკენ გექნებოდა ბარგი-ბარხანა აკრული.

— კაცო, თუ იტყვი, ქე თქვი, თუ არა და—ძალმა გიყეფა სამარეში; დაამჟავე და ქე გქონდეს, ცოლი დაქორწინდება და აჭამე.

— კაი ამბავია შე ნუ მომიკვდე, ჩემი ხნის კაცს თუ ახლა ცოლი დოუორსულდა. (ღმერთს ექნა და მაშინაც არ დაორსულებულიყო, ახლა გვერდები მთელი მექნებოდა).

ჩხუბი რომ დეიწყო, სწორედ იმ წელიწადში ვაპირებდი გოგოს გათხოვებას: ქე იყო ბარე ოცი, აცდახამი წლის. ჰო-და, შე ხარ ჩემი ბატონი, ქე არ წააქეცელეს უფროსი ბიჭი სალდათში!.. ვუცადე—დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ გათავდება ჩხუბი-მეთქი, მარა არ დაადგა საშველი. ჩხუბი გრძელდებოდა და გრძელდებოდა პირდაპირ ჩემი გასათხოვარი გოგოს ჯინაზე.

— კი, მარა ვერ გაათხოვე ომის დროს!

— რაფერ გამეთხოვებია, როცა მეშინოდა: ვაი თუ სიძე ჩხუბში წეიყვანონ და ქე მოჰკლან-მეთქი!.. მერე ნიკოლოზა გადმოაგდეს და დეიწყო რევოლუცია, ერთი ქე დავაპირე გათხოვება, მაშინ მოდაში იყო—რევოლიუციონერს მიყვებოდენ ქალები, მარა ვიფიქრე: ჯერ დავიცდი, ვინც გეიმარჯვებს, იმას მივსცემ ჩემს დარიკოს მეთქი... დეიწყო მენშევიკობია... სახლის მამალივით ისე ყოყლოჩინობდენ, რომ გეგონებოდათ—ამათი მომრევი ხალხი დუნია-მელებედურზე არ იქნებაო არსად. ვადვისვი ხელი ულვაშებზე და დევიწყე სასიძოს ძებნა. მაოა ელანძე უცბად ქე არ შეიცვალა ყოლიფერი! ქე არ გააბუნძულეს აი შენი მამლაყინწა მენშევიკების მთავრობა... ვაი ამ ჭამას და მოსწრებას. გავშტერდი კაცი! სად არის ახლა ერთი ჯალინა დანა, რომ გამევისვა კისერში?.. მე მაშვინ ბათუმში ვიყავი. აი ჩვენი ნოე რამიშვილი გუშინწინ რომ საჯავახოში მიტინგს მართავდა და ამბობდა:—ორ დღეში ტფილის ისევ ჩვენ დევიბრუნებთ,—ქე არ შეკუნკულა პარახოდზე და ამბობს:—ჩვენ დავმარცხდით, მარა არა უშავს. ბოლშევიკები რომ დაგვეცარცხებია, ჩვენ გავიმარჯვებდითო!

— ვაი შენს პატრონს!—ვსთქვი ხმა-მაღლა ჩუმად და ძუნძულ-ძუნძულით მოვკურცხლე შინ...

მოგჭამეს მენშევიკებმა ჭირი.

მიდღეშიც იძახდენ: „ევროპა, ევროპაო“ და დასტურ ქე არ ოუსრულდათ! თურმე საწყლებს ენამ უყივლა; ისე წევიდენ, რომ აგერ რვაი წელიწადი გაშლიჭინდა და იგინის დუხი არ ჩანა. ხანდისხან გამოგზავნიენ თავის ჯაშუშებს, მარა ხელად ძლაბლავენ...

— არც მასეა საქმე, ასალო, ი შე რომ გგონია! რაც ხანია მენშევიკები მოვლენ.

— უცადე შენ და ჩერე მატყლი. იმათ მოსვლამდე ჩემს მტერს არ აუდგა გვერდები... მეც დიდხანს ვუყურყუტე და იქითკენ ყურებით კისერი მომეღრიცა, მარა არ შემჭამოს ქირმა...

— ეჰხ, რაც იზამ კაცო! კაი დრო იყო მაშინ. მენშევიკების დროს არაფერზე არ იყო „ვოჩერედი“.

— ახლა რაზე უნდა ყოფილიყო „ვეჩერეზი“, როცა არაფერი არ იშოვებოდა—არც შაქარი, არც პური და ფართალი: არც კონპერატივი იყო; აი ამიზა არ იყო მაშინ „ვეჩერეზი“. ახლა ყოლიფერია და ყველაფაი უტანება ქიდევას და იმიზაა „ვეჩერეზი“.. ცხრაფეხასავით უკანუკან წიდიოდა მაშინ საქმე; ახლა კი ფინთიხივით მიდის წინ.

— ასალო, შენ როის გახდი კომუნისტი?

— ჭკუა რომ მქონებოდა, უწინ გავხდებოდი, და აი გვერდებიც მთელი მექნებოდა ახლა, მარა გვიანია, ხოძია... ჰო-და, ამ წილადობილას იმიზა მოვყევი, რომ ბოლშევიკების დროს რაფერ გამეთხუებია გოგო? რამიშვილმა დეიბარა—ჩვენ მალე დავბრუნდებითო...

ქალის გათხუება კი არა, ბადიში არ მოვნათლე, ამათი წასვლას ვუცდიდი... (ახლა პიონერის კომსომოლაში შევიდა და აღარც ჩვენი მონათვლა უნდა; კიდეც ტრაბახობს, რომ არ არის ხუცესის მონათლული).

რაღა ბევრი გავაგრძელო ურიის მკვდარსავით, აი ჩემი გასათხუარი გოგო ქე არ დამიბერდა გაუთხუარი ნაცარში?! ახლა კი ვეხვეწები ერთი-მეორეს, მარა ვის უნდა, „სტარი დევა“ არისო... რაც დრო გადის, უფრო და უფრო კაპასობს და ნომრები აშლილი ჰქვს:—გამათხუეთ, გამათხუეთ, თვარა თავს მოვიკლავო... ცოლიც მე მაბრალებს ამ უბედურებას... ყოველ ცისმარა დღეს ჩხუბი და ერთი ვაი-ვუშველებელია ჩემსას... აი გუშინ, ორი თეის წინედ ჩხუბი მოგვივიდა სახლში და აი შენი ასალოც ასე მომთელეს ცოლმა და გოგომ... რა მიჭირდა მე სულელს თავის დროზე გამეთხუებია...

ჩემი ცოდვა ჰქონდეს მენშევიკებს... მეც დამღუპეს, მარა თვითონაც დეიღუპენ. ანასინი მათ საქმეს.

— რაღა შენს ცოდვებს კიდევ უმატებ, განა თავისი საკუთარი ცოდვა არ ეყოფათ!

მოწიფული.

---

# 8 წელი

რვა წელი არის, რაც ჩვენს მხარეში
საბჭოთა ქვეყნის დროშა ფრიალებს;
შეჩერდა შავი ნისლის თარეში
და განახლების ქარი გრიალებს.
რვა წელი არის, შავი უკუნი
დასერილია ცეცხლის ენებით;
ანთებულია შრომის ქვეყანა
და წინ მიიწევს მძლავრი შენებით.
ირხევა ტყე და იცვლის ველი.
ის აღარ არის, რაც იყო წინად.
რვა წელი არის — დაეცა ძველი,
ცაზე ხუთ—ქიმა ვარსკვლავი ბრწყინავს.
რვა წელი არის მღვდლები, ვაჭრები,
კუმშავენ მუშტებს, ილესენ კბილებს;
გადახვეწილი ემიგრანტები
გულის სიღრმეში გრძნობენ ტკივილებს.
მენშევიკების ლოდინით უკვე
ჩამოუგრძელდათ კულაკებს ცხვირი,
რვა წელი არის უმცროსი ნოე
ყროყინობს, როგორც წყნეთელი ვირი!
რვა წელი არის რაც ფოფოდიებს
აღარ უნახავთ საკურთხის ფერი.
რვა წელი არის მშრომელი ხალხი
წინ იწევს და მით ღონდება მტერი!..

[illegible]

„დაშინებული ქოთაკი რვა წელი-წადს ჯირკს უყეფდა“-ო.



— რად იხეღებით ხელ უკან?!

— ჰმ! ამ რვა წლის წინად სწორედ ამ მხრიდან მომადგნენ ბოლშევიკები!

# ბრძოლა ჰეგემონიისათვის

რესტორანში „ნედელიმაია როსია-ში“, ნაციონალურ კერძს უჯდა ნაციონალურ ფიქრებით დაბურული ნაციონალისტი რუსი მენშევიკი დანი და ნაციონალურ საკითხზე მსჯელობდა კირილე რომანოვის ერთ-ერთ ღენერალთან.

— საინტერესოა, რას ფიქრობს ეს ხალხი,—სთქვა მან ქართველ მენშევიკებზე და მუშტი დაარტყა მაგიდას.—ჩვენ განა იმისთვის ვიბრძვით, იმისთვის მივიყვანეთ ბოლშევიკური რუსეთი დაღუპვის კარამდე, იმისთვის ვამზადებთ ინტერვენციას და იმისთვის ვანთავისუფლებთ რუსეთს, რომ იგი დავყოთ და დავქსაქსოთ? განა ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვით?.. არა ბატონო ქართველო მენშევიკებო, მუავე პატრიოტებო! თქვენი საქართველოსთვის ჩვენ არ გვითმენია ამდენი, თქვენთვის არ გაგვიყიდია ჩვენი წმინდა, მენშევიკური სინიდისი! განთავისუფლებული რუსეთი, რომელსაც ჩვენ ხელში ჩავიგდებთ, მთლიანი და განუყოფელი უნდა იყოს...

ღენერალი, რომელიც მეათეჯერ ისმენდა ამ ქადაგებას, წყნარად სთვლემდა.

კაფე „არარატში“ (ისევ პარიზში), მუავე პატრიოტულ ფიქრებით დატვირთული, მუავე კომბოსტოს, პატრიოტულ მწვადს და მუავე ღვინოს შეექცეოდა დაშნაკციუტიუნების მცირე ჯგუფი.

— ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს,—საქართველოს გასაბჭოების 8 წლის თავი ამ დღეებში შესრულდება,—სთქვა ერთმა.

— ნუღარ გამახსენებ თუ ღმერთი გწამს, — აღელვებით წამოიძახა ლიდერმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ეგ გასაბჭოება რომ არ მომხდარიყო, საქართველოს ნახევარი ახლა ჩვენი იქნებოდა...

— ეს კი მართალია!

— ჰმ! მართალიაო? მართალი კი არა კრისტალური ჭეშმარიტებაა. ჩვენ ხელში ჩავიგდებდით ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებს.. შემდეგ ტფილისსაც მივიკუთვნებდით.., მაგათ ქუთაისიც ეყოფათ...

— რაღა თქმა უნდა, მაგრამ ხომ ხედავ, ქართველი მენშევიკები აქ პირიქით გვედავებიან, სომხეთის ნაწილი ჩვენ გვეკუთვნისო..

— მაგათი თავის გახეთქამ.. ოჰ, ერთი ჩავიდე ჩემს სამშობლო სომხეთში, გავანთავისუფლო იგი ბარბაროსებისაგან და მერე მე ვიცი: საქართველოს ნახევარს ხელში ჩავიგდებ... მაშ ეს დიდი სომხეთის სადღეგრძელო იყოს.

მუავე პატრიოტებმა მუავე ღვინით გაიმუავეს პირი.

თვითეული მათგანი საზღვრებ გადიდებულ სამშობლოს ფიქრს მიეცა.

— არსებითად ამიერ-კავკასია ჩვენი უნდა დარჩეს... ყოველ შემთხვევაში ჰეგემონია ჩვენი უნდა იყოს იმ ორ ზღვას შორის“—ფიქრობდა თვითეული მათგანი.

კაფე - რესტორან „ბაქოში“ (ისევ პარიზში), ნაციონალურ ლიულა-ქიაბაბს- შეექცევიან ადერბეიჯანელი მუსავატისტები.

— რას ამბობს ეს ჟორდანია-რამიშვილი,—უკმაყოფილოდ სთქვა ერთმა მათგანმა, „მთავრობის წევრმა“,— ჩვენ საქართველოდან ყარაიას მოვითხოვთ და ისინი აქეთ გვედავებიან, ადერბეიჯანის ნაწილის მითვისება სურთ.

— რას ამბობ,—შეაწყვეტინა „მთავრობის“ მეორე წევრმა. — ერთი ჩემ საყვარელ ადერბეიჯანში ჩავიდე და მერე ვნახოთ ვინ გააფართოებს საზღვრებს: ჩვენ, საქართველო თუ სომხეთი...

— არსებითად ამიერ - კავკასია ჩვენი უნდა იყოს და ასეც მოხდება, რადგანაც ჩვენ გვეკუთვნის ჰეგემონია შავსა და კასპიის ზღვებს შორის...

გალხარებული გული ნაციონალურ ბექმეზით გაიგრილეს და ადერბეიჯანის საზღვრების ხაზვას შეუდგენ.

გარედანაც ნაციონალური ქართული სამიკიტნოა და შიგნიდანაც. სახელიც „საქართველო“ ქვია. სამიკიტნოს მფლობელთ, (რამოდენიმე მათგანი მთავრობის წევრიც არის) ნაციონალური ტანისამოსი აცვიათ, ლაქიებს ხმლები კიდიათ და ისე დააქვთ საცივი, მზარეულებიც ნაციონალურ ხანჯლებით არიან წელ-დამშვენებული.

ერთი სიტყვით ამ რესტორანში ყველაფერი ქართულია. ამას მოითხოვს საქართველოს კეთილდღეობა და მისი ინტერესები.

ნაციონალური იერი ახლავს ყოველ კერძს, ყოველი მჭადის ნაჭერს. არის ეროვნული ღომიც.

— საინტერესოა, რას ფიქრობს ეს ხალხი, — მჭევრმეტყველობს ერთ კუთხეში მუავე მენშევიკი, მუავე პატრიოტი, მუავე ნაციონალისტი და „თითქმის“ შოვინისტიც. დღეს თუ ხვალ ბოლშევიზმი დაემხობა საკავშირო მასშტაბით და ამ რუს მენშევიკებს ქამდე ვერ შევაგნებინეთ, რომ განთავისუფლებული საქართველო მხოლოდ და მარტო ჩვენი იქნება.

— რის რუსეთთან შეერთება, რას ბოდავს ეს დანი,—წამოიძახა მეორემ. ჩვენ გვეყოლება მფარველი სახელმწიფო ევროპის რომელიმე ძლიერი ერთეულის სახით. ჩვენ ამდენი ვიშრომეთ. ბოლშევიზმი დამხობის პირამდე მივიყვანეთ და ახლა კიდევ დანები გვედავებიან?

— რუსეთს რაღას ვამტყუნებთ ყმაწვილებო, ეს დაშნაკები რომ აღარ გვაცლიან! ეს ბორჩალო, ეს ახალქალაქიო, ეს ახალციხეო, ყველა ჩვენი უნდა იყოსო..

— ჰაი დედასა! შევცდით რომ ეგენი არ გავანიავეთ და რაღაი ახლა... მაგრამ როცა საქართველოს გავანთავისუფლებთ, სომხეთის ერთი მოზრდილი კუსოკი ჩვენ უნდა შევიმატოთ, თვით სომხეთიც ჩვენი გავლენის ქვეშ უნდა დარჩეს!

— ადერბეიჯანიც!

— ცხადია, ადერბეიჯანიც! რაც მათ ჩვენს საზღვრებზე ადგილ-მამულები აქვთ, ჩვენ უნდა შევიმატოთ.

— ეს ცოტაა! ჩვენ უნდა აღვადგინოთ თამარის დროის საქართველო!

— გაუმარჯოს გაფართოებულ საქართველოს!.,

მუავე პატრიოტები მუავე ღვინოს შეექცევიან და იმპერიალისტური მადით ანადგურებენ ღომს.

— საერთოდ, დღეს, ჩვენი პარტიის სახელით, მე ვაცხადებ, — ამბობს ერთი მათგანი, —საქართველომ, არსებითად უნდა დაიპყროს მთელი ამიერ-კავკასია და გაბატონდეს შავიდან კასპიის ზღვამდე. ამას მოითხოვს როგორც თვით ამიერ-კავკასიის, ისე ქართველი ხალხის ინტერესები.

— სწორია... უდავოა...

მუავე პატრიოტებს და იმპერიალისტებს თვალებზე ცრემლი ადგაბათ (ალბათ ისიც მუავე).

— აბა, ყარაман“ ოთხი საინი ღომი ამ შემთხვევის გამო!..

გაიმპერიალისტებურ მენშევიკური მადის მსხვერპლი დამატებით ხდება ოთხი თეფშში ცხელი ღომი...

**ტერხიტი.**

# დეპუტატი იორგა, მინისტრი იორღა

ფაშისტ დეპუტატის იორგის შეკითხვაზე რუმინეთის სამხედრო მინისტრმა ციხოვსკიმ პარლამენტში განაცხადა: „დნესტრის გაყინვასთან დაკავშირებით, უკრაინიდან საწოვაგის შემოზიდვის მიზნით, გახშირდა საზღვარზე გადასვლების შემთხვევები". საწოვაგესთან ერთად შემოაქვთ საპროპაგანდო ლიტერატურის კონტრაბანდა. გახშირდა რუმინელ ჯარისკაცთა გაქცევა საბჭოთა კავშირში; ჯარისკაცები ცუდათ არიან ჩაცმულნი, შეიარაღებულნი და აკლიათ კვებაც"... ციხოვსკი იწონებს გენერალ ზადიკას მიერ ბესარაბიაში სალყო წესების გამოცხადებას!..

(დეპეშებიდან)

იორღა ცხენი
შთლტს არ დაიკრავს,
ფერდებზე მათრახს
არ გადიჭირებს,
სწრაფ სვლაში მანძილს
მკერდით დაისრავს,
ათოკავს გზის პირს
თუ განაპირებს...
წავა და მხედარს
წინ გაიტაცებს,
მხედარს სევდისგან
გულს გადუფერავს...
იორღა ქარსაც
სისწრაფეს სტაცებს...
მინდორის არ სტოვებს
გადაუთელავს...
ასეთი არის
ცხენი იორღა!
და თუ მინისტრიც
გახლავთ ფხიანი,
მას დეპუტატი
ვინმე, იორგა,
როგორც ფაშისტი
ადამიანი,
მისცემს შეკითხვას
შესახებ დნესტრის:
თუ რათ გაჰყინა
ზამთარმა წყალი?
საბჭოთა კავშირს
ხალხი რათ შესტრფის
და სულ იქით რად
უჭირავს თვალი?!.
და საპასუხოთ
ბტყვის მინისტრი,
ციხოვსკი, კაცი
პარლამენტარი:
— დიახ, ზამთარმა
გაჰყინა დნესტრი
და კონტრაბანდას
გაუხსნა კარი!
გარბიან ჩვენი
ჯარისკაცები:
უკრაინაში
ბევრია პური,
„სემიჩკის" გულის
ზეთი, საწები,
სტაფილო, ქინძი
და ნიახური...
დაბრუნებულებს
პურთან და ჰვავთან
ლიტერატურაც
მოაქვთ, მაცდური...
დიახ, ქვეყანა
ამ ბოლოს წახდა;
რევს ჩრდილოეთი,
ანდამატური!
მაგრამ მე იქ მყავს
კაცი, ზადიკა,
გენერალია
გამობრძმედილი:
სალყო წესებს,
ვიცი, გადიტანს
ბესარაბია,
კარ-მოკეტილი!..
იქ უნდა შევქმნათ
ძლიერი ჯარი,
ვით სანაპიროს
შვენის და ხვდება,
რომ ჩრდილოეთის
მძუსხავი ქარი
დე, დნესტრის ბიჯითაც
ნუ გადმოსცდება,
რათა აქეთა
კიდეზე ამ წყლის
მძლედ აღიმართოს,
როგორც მუქარა,
რიგები ჩვენი
ნაპირის რაზმის,
დღეს დნესტრმა ხჭე რომ
გამოუთხარა
და ყინულის გზა
რომ გაუფინა
დეზერტირობას
და კონტრაბანდას!..
დიახ, ზამთარმა
მოგვმადლა ყინვა
და დაგვიმსგავსა
იქ ჯარი ბანდას!..
მაგრამ ჯარს საცმლით
თუ იარაღით
ისე აღვჭურავთ
ამ ცოტა ხანში,
რომ ბევრ სხვა ჯარს ის
სჯობდეს სისაღით,
ვერ ეტეოდეს
საკუთარს კანში!"..
„ვერ ეტეოდეს
საკუთარს კანში"!..
თქმულია მეტად
მტკიცედ და მაგრად...
ვხედავ მინისტრი
ულერს მიზანში,
ჰკრავს დნესტრის ნაპირს
ფოლადის მაგრად!
მაგრამ მშვიდობა?
თებერვლის ოქმი?
პარიზის ხმა თუ
კელოგის პაქტი?
სჩანს, ვერ მოვსულვართ
ციხოვსკის ობტში,
რომ მას ახარებს
ზადიკას აქტი!
სჩანს, ეს მინისტრი
არის იორღა!
მაშ, მათრახს იგი
რისთვის დაიკრავს?
შეეკითხება
როცა იორგა,
ფაშისტურ ზრახვებს
თვისას რა იკლავს:
ზამთარს და ყინვებს
მოიმიზეზებს,
ხან მოიშველებს
ზაფხულის სიცხეს...
ფაშისტი მხოლოდ
შემთხვევებს ეძებს,
ციხოვსკის იგი
კითხვებს კვლავაც მისცემს...
და მოიწონებს
კაცი, ციხოვსკი
ზადიკას წესებს,
საალყო დროსი!
ან და სხვა ხრიკებს
კიდევ ვინ მოსთვლის
ამ ჰარამზადა
ვერაგი ხროსის?..
იგი თვის აზრსა
და განზრახვაში
ისე მტკიცეა
და ის მალი,
როგორც „აკულა"
უძირო ზღვაში,
ან წყლის პირს შლეგში—
ქვეწარმავალი,
ან, ვით წინსვლაში
ცხენი, იორღა,
სწრაფია, ოდნავ
აღვირს თუ მოსწევ,
ან შეკითხვაში
როგორც — იორგა,
ან ზედ პასუხში—
როგორც ციხოვსკი!..
დიახ, იორღა
შოლტს არ დაიკრავს,
ფერდებზე მათრახს
არ გადიჭირებს,
სწრაფ სვლაში სივრცეს
მკერდით გაისრავს:
ათოკავს გზის პირს
თუ განაპირებს;
წავა და მხედარს
წინ გაიტაცებს,
მხედარს გულიდან
დარდს გადაჰფერავს;
საალყო წესსაც
კი რულს მოსტაცებს
და დნესტრს გაყინულ
მკერდს გადუზვერავს,
თითქოს ნატრობსო:
ზავზედ პირობა
გადნეს, თუმც ხელიც
ზედ უწერია...
და, ამის შემდეგ,
მისი გმირობა
ან სიტყვა
რაღა დასაჯერია?!.

[illegible]

# ცნობილი პროფესორი

(რუსულიდან გადმოქართულებული)

ლექციის შემდეგ დასვენების დროს პროფესორი დერეფანში გამოდიოდა სტუდენტებთან, რომლებიც ქარხნის მილებივით აბოლებდენ პაპიროსს.

პროფესორი პირში ჩაიდებდა მონპასეს, და ჩვეულებისამებრ შეუდგებოდა საბჭოთა კავშირის ძაგებას:

—ათ სავაჭროში ვიყავ და კარაქი ვერსად ვერ ვიშოვე. მითხარით თუ ღმერთი გწამთ — კომუნიზმის დამყარების შემდეგ კარაქი იქნება, თუ არა საჭმელად?

ყველა ჩვენგანმა კარგად ვიცით, რომ მასთან კამათი წყალის ნაყვაა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ჩვენ ეხლაც გავცხარდით და შევუტიეთ პროფესორს. მან მომპასე მშვიდათ პირში ჩაიდო და თავის ქნევით გვითხრა:

— დამშვიდდით, ნუ ხმაურობთ; თქვენი აგიტაცია უნაყოფოა ჩემზე... უკვე დრო არის ლექცია გავაგრძელოთ... მე კი, როგორც თქვენ იცით, არა მწამს სოციალიზმის დამყარება არა თუ ერთ ქვეყანაში, არამედ, არა მწამს მთელ მსოფლიოში.

ჩვენც აღარ ვეკამათებით. ანდა რა საჭიროა! პროფესორი ღრმა მოხუცია, ცნობილია... რაც უნდა, ის ილაყბოს, ვის რას ავნებს? თანაც ლაპარაკი იცის ასეთი, თორემ გული არა აქვს ბოროტი. მცოდნე კი დიდია. მისი წყალობით ქიმიის საქმე ჩვენში ძალიან წინ წავიდა. ეს პრესაშიაც იყო აღნიშნული. ჩვენ ძალიან გვიყვარს იგი. პატივსა ვსცემთ თავდაბალი და ამხანაგური კაცია.

სძულს პროფესორი მხოლოდ ერთადერთ კაცს. ეს — მისი ცოლია.

ის პროფესორს მუქთამჭამელს და უსაქმურს ეძახის. ცოლი დარწმუნებულია, რომ მისი ქმარი მცირეოდნადაც არ არის იმისი ღირსი, რაც სახელი აქვს. ამბობს — ეს მხოლოდ შესაძლებელია ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც არის ჩვენი ქვეყანა, თორემ უცხოეთში ასეთ პროფესორს უნივერსიტეტის ახლოსაც არ გაიკარებენ! სხვათა შორის, პროფესორი ცნობილია როგორც ევროპაში, ისე ამერიკაშიაც).

ცოლს ესირცხვება ქმრის გვარის ტარება და ატარებს თავისს ქალიშვილობის გვარს.

ხოლო როცა ლაბორატორიაში თავისს შარდს გზავნის გამოსარკვევად (ეს კი თითქმის ყოველ თვე არის), მხოლოდ მაშინ სწერია პროფესორის გვარი ბოთლზე მიკრულ რეცეპტზე.

ერთხელ კვირას ორი სტუდენტი შევედით პროფესორთან.

პროფესორი საუზმობდა.

ჩვენ სამზარეულოსთან დერეფანში დავუცადეთ.

ცოტა ხნის შემდეგ სასადილო ოთახიდან მოგვესმა ლაპარაკი:

— იმათთან ერთად შენც ჩამოგახრჩობდი! — ემუქრებოდა პროფესორს თავისი ცოლი.

— კი, მარა ხელები მოკლე გაქვს. — იყო პროფესორის მშვიდი პასუხი.

— ხამი და ბრიყვი!—გაბრაზდა პროფესორის ცოლი.—მუჟიკს რამდენიც არ უნდა ასწავლო, მაინც მუჟიკად დარჩება! ჰმ!

ჩვენ ჩქარა დავიწყეთ, რომ გაეგოთ ჩვენი იქ ყოფნა და.. უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყავით.

მოსამსახურე ქალმა, რომელიც ჩაის სვამდა სამზარეულოში, ჩვენს დასამშვიდებლად გვითხრა:

— ეს ყოველთვის ასეა... განა პროფესორი დანაშაულია, რომ მუჟიკის შვილია?!

ოთახში კი ლაპარაკი მწვავდებოდა:

— დუქნებში არაფერი არ არის... აი ეს არის თქვენი წარმოება და მეურნეობა? ხა-ხა-ხა-ხა... ახალი ქვეყნის შემქნელნი!

— ყველაფერი არის, ყველაფერი იქნება! — ამბობდა დაბეჯითებით პროფესორი.

— კი, აბა... მეუშვირე ხელი და დაირჩენ... თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ დანგრევა, აშენება კი—არაფერის...

— როგორ თუ არაფერის? — გაცხარდა პროფესორი.—აბა რა არის: ზაჰესი, რიონჰესი, ამდენი ქარხნები და სხვა?

როცა პროფესორი ასე გაცხარებით ეკამათებოდა ცოლს, მზარეულ ქალს არ მოეწონა პროფესორის ასეთი საქციელი და სთქვა:

— როგორი კაცია! შენ უთხარი მას, რომ ეს თეთრია (ხელში მას შაქრის ნატეხი ეჭირა) და ის დაგიწყებს მტკიცებას, რომ—არა, ეს შავია!... პირდაპირ საოცარი ხასიათი აქვს. გაამწარა ქალბატონი... თუ ვინმეს არ ედავა, ისე არ შეუძლია.

ერთი კვირის შემდეგ დასვენების დროს, როცა პროფესორი სტუდენტებთან იდგა დერეფანში, სთქვა:

— წარმოიდგინეთ თქვენ, ყავა არ არის, ყავა... ანდა როგორ უნდა იყოს, როცა ჩვენ არაფერი სიკეთე არა გვაქვს!

— მართალია!—დავუდასტურე მე და სტუდენტებმა გაკვირვებით შემომხედეს.—ეს მართალია. ძალიან ცუდია!

— რაა ცუდი?!—ყურებით შემეკითხა პროფესორი.

— ყველაფერი. მაგალითად, სტიპენდიის დარიგება დააგვიანეს, სახელმძღვანელოები არა გვყოფნის, ჩვენს სასადილოში უსუფთაობაა..

—ეს არაფერია.—შემომიტია პროფესორმა. — თქვენ არ გამოგიცდიათ გაჭირვება: თქვენ ჩემი დრო რომ გენახათ — მთელი კვირაობით არ ვსადილობდით; საერთო საცხოვრებელი სადა გვქონდა. სახელმწიფო არა თუ 30 მანეთს, 30 კაპიკსაც არ გვაძლევდა... აი, მაშინ ყოფილიყავით, ნახავდით...

— ეს შესაძლებელია, მაგრამ მე იმას ვამბობ, რომ რაღაც ბარაქა არ არის.. ჩვენი საერთო საცხოვრებელის შენობა უკვე გაიბზარა... და, საზოგადოთ, ახალი აღმშენებლობა რაღაც ვერ არის ხეირიანი...

— არაფერი მაგის მსგავსი. — გაცხარდა პროფესორი. — თქვენ გგონიათ უწინ შენობები არ ინგრეოდა? ინგრეოდა და მეტი. მაგრამ მაშინ ამის შესახებ არ სწერდენ... ეხლა კი ყველაფერზე იწერება და ხალხმა ყველაფერი იცის...

— კი, მაგრამ ამერიკა ჩვენზე უფრო...

— რა ამერიკა?! — მომვარდა ბრაზისაგან ანთებულ თვალებით პროფესორი. — დაიცადე ოცი-ოცდაათი წელიწადი და მაშინ ნახავ რაც ვიქნება ჩვენ; შენი ამერიკა უკანაც დაგვრჩება.

მე, რასაკვირველია, სტუდენტებს ყველაფერი ვუამბე, თუ რატომ „ვეწინააღმდეგებოდი" პროფესორს.

ამის შემდეგ დასვენების დროს ყოველთვის ვკამათობთ პროფესორთან დერეფანში.

— გრამაფონის ნემსები არ არის! ანდა საიდან იქნება! ჩვენ ხომ ამერიკა არა ვართ!—ვამბობთ განგებ.

ამაზე გაცხარდება პროფესორი და ისე გაგვიცოცხავს, რომ.. ჩავჩუმდებით.

ჩვენ ყურადღებით ვუსმენთ მას და მხოლოდ ხანდახან რომ არ „გაცივდეს", ჩვენ განგებ გამოვსთქვამთ საყვედურს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

—კი.

# ჯოჯოხეთის კუთხე

## თხილისა და ფულის საწყობი იყო რა, გამგეთ რომ მოევლინა ნიკოლა....

მშრომელი ხალხს რომ სახელი ნიკოლა არა სწყალობს, ამაზე ლაპარაკიც მეტია.

სამაგიეროდ, არც თუ მშრომელი ხალხი სწყალობს ნიკოლას.

არ ვიცით რა ამდამატიანი რამე არის ეს სახელი ასეთი, რომ მისი მატარებელი ისე შერგავს ხოლმე ცხვირს ყოველ თბილ ადგილში, როგორც სადგურში მატარებელი.

ვერაფერი ვერ აჩერებს.

აი, რას იწერება ერთ-ერთ ნიკოლას შესახებ ჩვენი კორესპონდენტი ე. კოკელი:

„კოკის თემში იყო ვინმე
გამოცდილი ნიკოლა,
აზნაური, გვარიანი
ხერხიანი იყო რა!?
ნიკო სად არ დადიოდა,
ის ეძებდა თბილ ადგილს,
და ყოველთვის გაურბოდა
მცირე ადგილს, მივარდნილს!
კოკის თემში არსებობდა
ს. ს. საკრედიტო ამხანაგობა,
სანამ ნიკო შეძვრებოდა,
ხალხში ქონდა მას ნდობა!“.

ცხადია, ეს ნდობა უკვე დაეკარგა საკრედიტო ამხანაგობას მას შემდეგ, რაც იმაში ნიკო აზნაური შეძვრა. კრედიტი ნდობას ჰქვია, ხოლო ნიკოს ნდობა იმ თავიოვე არა ჰქონია, ეს მალე კიდეც გამტკიცდა:

„არ გასულა დიდი ხანი,
მან ვაშალა ფრთებიო!...
„ნიკომ ფული შეგვიჭამა“—
ხალხში არის ხმებიო!
სახლი ცინკით გადიხურა,
ღვინოც — ნაირ-ნაირი,
ქეიფობაც ძველებური:
გიტარა და დაირი!.,



„ყველაფერი კარგია, რაც კარგათ თავდება“-ო, იტყვის ხოლმე რუსის ხალხი.

კარგია, რაც გიტარითა და დაირით თავდება, თუ ამას არ მოჰყოლოდა საწყობში 1200 ფუთი თხილისა, ხოლო სალაროში 800 მანეთი ფულის დანაკლისი!

თუმცა, განა, ნიკოლას დააკლდა?!. არ შეგჭამოსთ ჭირმა: დააკლდა კოკის ს. ს. საკრედიტო ამხანაგობას, ხოლო პირადათ ნიკოლას ნდობას ჯერ-ჯერობით ამითი არც არა დაჰკლებია და არც არა შემატებია რა, თუნდაც მისი გამსახლში, ე. ი., უფრო თბილ ადგილას მოთავსების სახით.

## კახეთის გზაზე, ბადიაურში ასეთი სამორიგეო ოთახია სადგურში!



იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ეს კარიკატურა რედაქციის მიერ მოგონილი - მოჭორილი ამბავთ. დაუგდოთ ყური კორესპონდენტ „ჯავახნელს“:

„სადგ. ბადიაურში ხამორიგეო ოთახში მთელი ზამთარი ვკვიდა და ვერ იქნა და ვერ ეშველა კედლის ღუმელის შეკეთებას, რის გამოც მორიგეები დიდ გაჭირვებას განიცდიან და იძულებული ხდებიან მანგალით გაათბონ თავიანთი ფავი“-ო!

ეს ამბავი სხვათა შორის სათანადო ხელწერილით და ბეჭდის დასმითაც არის დადასტურებული, როგორც ყოვლად სარწმუნო ფაქტი. თუმცა მეტის მეტად დამაღონებელი, იმდენად დამაღონებელი, როგორც აბლობელი ტყე არის დაღონებული ამ ზამთარში, შორიდან ამისი უტყუარი მოწმე.

## ერთში სცდება კალმისტარი: ერთი არა, სამი მკვდარი!..

კალმის ტარი არაფერშიც არ შესცდება, თუ სიტყვა ჩვეულებრივ კალმისტარს ეხება.

მაგრამ როცა კალმისტარი ადამიანის ფსევდონიმია, მაშინ შეცდომა ასეთ კალმისტარს, ერთი კი არა, თუნდაც ერთი დიუჟინიც მოუვა ხშირად.

თუმცა შეცდომაც არის და შეცდომაც. არის შეცდომა უნებლიე, უწყინარ - უვნებელი, თუმცა ხშირად ძალიან მავნებელიც იმავე დროს.

მაგალითად: შენმა მეზობელმა რომ უნებლიეთ ხელი გაიქნიოს და თითი თვალში მოგახვედროს, მისთვის ეს შეცდომა იქნება უნებლიეც და უვნებელიც; თქვენთვის კი — ფრიად მავნებელი, ზოგჯერ მხედველობის სრულიად დამკარგველიც. დამოკიდებული გახლავთ იმაზე თუ რა „ფასონზედ“ ჰქონდა თქვენს მეზობელს გაკეთებული ეგრედწოდებული „მანიკიური“.

ადამიანის თვალზე „ზედმოქმედების“ პროცედურას რუსები გამოხატავენ ხოლმე თქმებით: „ოჩკი ვტირაეტ“ ან კიდევ: „პილ პუსკაეტ ვგლაზა“-ო, რაიცა ქართულად დაახლოებით ასე ითქმის: „თვალში ნაცარს მაყრის“-ო.

როცა სხვა გაყრის თვალში ნაცარს, აუცილებლად არის საჭირო ფიქრი თავის დაცვაზე.

უფრო ცუდია მდგომარეობა, როცა კაცი თვითონ იბრმავებს თვალს, ხშირად ყოველი ნაცრის გარეშე.

ავილოთ, მაგალითად, ჩვენი კორესპონდენტი კალმისტარი. ის გვწერს შემდეგს:

„სოფელ მაწევანში, ალბულაღის რაიონში, ერთ ოჯახში გარდაიცვალა ქალი. იმათ ჩვეულება აქვთ მოიწვიონ ღვდელი როგორც დასაფლავების, ისე მეორე დღეს.

მკვრდის პატრონმა მღვდელი მოიწვია სოფელ წინწკაროდან, რომელიც მოვიდა მეორე დღესაც იმავე ოჯახში საწირავათ. წირვის შემდეგ ქეიფობის დროს გამოცხადდა მეორე მღვდელი სოფელ ბოგვიდან, შტაცკურად ჩაცმული და ოლარი ილლიაში ამოჩრილი. თანაც ძალზედ მთვრალი. მასპინძლის და ხალხის დაუკითხავათ გადაიცვა ოლარი და დაიწყო საცეცხლურის ქნევა, რაზედაც ხალხს სიცილი აუტყდათ. ბოლოს მოვიდა სუფრა-

ზედ დაბძანდა. დაიწყო სმა-ჭამა და, როცა გაჰმაჰკრა ზე-დიზედ, გადასძახა პირველ მისულ მღვდელს: შენ ვინ მოგცა აქ მოსვლის ნებაო.

დამიძახეს და მოვედიო! იყო პასუხი



შეიქნა მიწევ - მოწევა მღვდლებს შორის და ლან-ძღვა - გინება, მაგრამ ხალხმა გააშველა და წინადადება მისცა ბოგველ მღვდელს, რომ არ ეჩხუბნა თორემ გარეთ გამოგდებას დაჰპირდენ. ამის გამო ბოგველი იძულებუ-ლი გახდა ჩხუბი ხუმრობათ გადაეკეთებინა და განაგრძო ქეიფობა.

იმდენათ ხუმრობდა და მაიმუნობდა ქალებთან, რომ მკვდარი სულ დაავიწყდათ"-ო.

ისე ქონიანად ათავებს კორესპონდენტი, თითქოს ლამობს ჩვენშიც გამოიწვიოს იმ ერთი მკვდრისადმი თა-ნაგრძნობაო.

თანაგრძნობის ღირსი თუა აღნიშნული მკვდარი, მხოლოთ იმ მხრივ, რომ იგი მხოლოობითი რიცხვში და-რჩა კორესპონდენტის მიერ მოხსენებული, როცა ჩვენ აქიდანვე ვამჩნევთ აღნიშნულ შემთხვევაში, თუ მეტს არა, სამს მკვდარს მაინც (ორი იქ დამსწრე მღვდლის ამ უკანასკნელთა რიცხვში მოქცევა, რაღა თქმა უნდა!)

ამას რომ ვამბობთ. უნდა გაიგოს ყველამ, მათ შო-რის პატივცემულმა კორესპონდენტმაც, რომ მკვდარი ზოგჯერ გაცილებით სჯობია ისეთ ცოცხალს, რომელსაც „მკვდარი იჰირავს".

მღვდლები და მათი წირვა — პარაკლისი ამჟამად უკვე მუდამ ყრუთთათვისაც" კი მკვდარია.

მაშ, რაღა უნდა ვუწოდოთ იმ ცოცხლებს, რომ-ლებიც ისე მოხიბლა და მოაჯადოვა ამ „მკვდა-რი ხალხის" სრულიად შეუფერებელმა და უალაგო ხუმ-რობა—მაიმუნებმაც კი.

„კალმისტარი" მაინც არ რეოდა ამ შეუგნებლობისა და უვიცობის მთელს ტყეში!

## ვილემინა გინაძე სამკითხველოს ჯინაზე

ვინ არ იცის სოფლად ქოხ-სამკითხველოს როლი და მნიშვნელობა ამ კულტურულ რევოლიუციის ხანაში.

ჭეშმარიტად უსაზღვრო და უზომო არის ამ კულ-ტურის ერთ-ერთი უებარი საშვალების დანიშნულება სო-ფლად, საზოგადოთ ყოველ სოფლად.

ხოლო თუ სოფელი სხვაგა—სხვაა, ეს ჩვენ არ ვი-ცით.

კორესპონდენტი ალი ასე აგვიწერს აღნიშნულ სო-ფლის ქოხ-სამკითხველოს:

„სამკითხველოს გამგე არის
ქალი ვილემინა,
სულ არშიყობს ყოველ საათს...
(მგონი, აღარც სძინავს!)
სამკითხველოში ვერ ნახამთ
მიკროსკოპით:—გაზეთს.
(ო, ვინ შევა იქ. ჯოჯოხეთს.
ვინ სულელი გაბედავს!).
[illegible] გორებთ [illegible],
არის მტვერის ბური.
ეხლა თესლი რომ დათესო,
მოვა კოდი პური!-ო.

სასურველია, რათა კორესპონდენტ ალის შენიშვნა მაინც შენიშნონ ყოველივე ეს და, ვისგანაც ჯერ არს, მიიღონ კიდეც შესაფერი ზომები სამკითხველოს გადა-სარჩენად. წინააღმდეგ შემთხვევაში ვინმე იფიქრებს, რომ ვითომც ანდაზა: „სიტყვა (ამ შემთხვევაში—„სამკითხვე-ლო") სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი (ვილე-მინა გინაძის სახით!)-"ო პირდაპირ სოფელ სხვავადან მოდიოდეს თავისი ტიტველი ფეხებით.

## თელავის თეატრის გამგე ვართანა კომკავშირს არ აჭაჭანებს თეატრის კართანა!

მართალია, კომკავშირთან ომი ღმერთსაც არ გასვ-ლია, არა თუ კაცს, მაგრამ ჩვენში ზოგიერთებს კიდევ ახერხებენ ამ ახალგაზრდობის რითიმე შევიწროებას.

ავიღოთ თუნდაც თელავის მაგალითი. აი, რასა გვწერს ამის შესახებ ჩვენი კორესპონდენტი ზეთ-ნაზარი:

---

თელავში არის თეატრი,
ჰყავს გამგე ყაზაროვია,
რომელმაც გამოუცხადა
კომკავშირელებს ომია.

---

ვართანა დიპლომატია,
დიდი „ნიჭი "აქვს გამგისა,
ტრიუკებიან სურათით
ხალხი გაგვირყვნა ლამისა.

---

მას მფარველობენ „ტუზები"
(გიგო, ილიკო, ვანია,)
ვართანამ მეშჩანობითა
ხალხს მოაძულა თავია.

---

ვინ არიან ეს ვართანას მფარველები, ჩვენ არ ვიცით. იქნება საპატიო ხალხიც იყვეს. მაგრამ ჩვენ გვაგონდება ძველი ფილოსოფოსის აზრი: „მითხარი: ვინ არის შენი მეგობარი და მე გეტყვი ვინცა ხარ შენ"-ო.

„ღვთისნიერი" ვართანა კომკავშირს უცხადებს ომს. თუ ეს ასეა. არც მისი მეგობრები ყოფილან ღვთიდგან დი-დათ დაშორებულნი. ამიტომ ისინი შეიძლება კიდეც უფ-რო „ამაღლდენ", მხოლოდ ომს რომ წააგებენ, ეს კი უდაოა.

## არტელის უფროსი, ანტონი, დიდი ლხინის გახდა პატრონი!..

ეს ამბავი მოხდა ნატანებში.

ვის არ სმენია სიმღერა: „ვაი-ვუი ნატანებს"!.. ჰოდა საიდანაც სიმღერა ბუდობს, რაღა გასაკვირია, რომ ლხი-ნიცა და დროს ტარებაც იქვე ბუდობს.

შეიძლება ამ შემთხვევის შესახებ ჩვენს მკითხველებს არც არაფერი სცოდნოდათ, რომ იგი არ შეემჩნია კო-რესპონდენტ —გამვლელს და არ აეწერა შემდეგი მხატ-ვრული სტრიქონებით:

ანტონ ლხინი გადიხადა;
მოიწვია მეზობლები:
სტუმრებს შორის ბევრი ჰყავდა:
ჩარჩ-წურბელა, მამა-მღვდლებიც
უკეთესი მასპინძლობა,
არ იქნება და არც თქმულა,
ღომი, ხარჩო, პური, ღვინო,
უამრავი რაც იქ დგმულა!..
გავაშკაცდა რა ანტონი,
„ტუში—ტუში"—დაიძახა.
და ყანწების ფრიალითა
დიმიტრი მღვდელს მიაძახა:

---

ალავერდი, მამა დიტო,
[illegible] რა ამ ყანწსო,

ჩამომართმევ ომედია,
შენებურათ უზამ ყლონწსია!:

---

დიტრო მღვდელმა უპასუხა;
„კაცი ვარ და არა მუხა!"
ჩამოართვა და ერთ წუთში
ყინწი ღვინო გადახუხა!..

ეჰ, მადლობა ღმერთს! ძლივს ამოვისუნთქე, თითქოს დიტრო-მღვდელს კი არა, მე გადამეხუხოს ის ღვინო!..

ღმერთმა შეარგოს დიტრო მღვდელს ღვინო... ღვინოს თქვენი ჰირი წაუღია... მხოლოთ რა ვუთხრა მე კორესპონდენტ გამვლელს, რომელიც ისე ასწერდა ამ მოვლენას, რომ თითქოს დიტროს მარტო ღვინო კი არა, ყანწიც ხელ ჩამოუყოლებია თავის მოკალულ მუცელში.

თუმცა რა უნდა მომხდარიყოს, სრულიად ჩვეულებრივი ამბავი. მოგეხსენებათ, რომ მღვდლისა და სირაქლემას მუცელი თითქმის ერთი და იგივეა, ასე რომ ერთი ყანწის გადაყლაპვა რა უნდა ყოფილიყვეს, მაგრამ ჩვენ უფრო ის გარემოება გვაწუხებდა, რომ ახალს ყანწს დღეს თითქმის აღარავინ აკეთებს და თუ კიდევ სადმე თითოოროლა ძველი ყანწი ჰკიდია შემონახული, ისინი სავსებით საჭიროა სიძველეთა მუზეუმისათვის.

თუმცა მღვდლის მუცელზე უფრო სიძველეთა საწყობი კიდევ რაღა უნდა იყვეს.

# ცნობათა მიღება

**ჩაჭუჩს:** თქვენს კორესპონდენციაში შუაშა ქვიტირის შესახებ ტარტაროზს ძალიან მოეწონა ერთი აფორიზმი, რომელსაც აქვე ათავსებს:

„ერთი გადამწერი ქალი
გვერდით უზის ჩვენს ჭიჭიკოს,
ნოქარიც მას ეხმარება:
ორივე ერთად ჭიკჭიკობს"-ო.

მხოლოდ აქ არის ერთი გაუგებრობა. ჭიჭიკო თუ აღმასკომის თავმჯდომარეა, ნოქარი, ალბათ, კოოპერატივის თანამშრომელი იქნება. ჩვენს დროში ნოქარი სხვანაირად წარმოუდგენელია, ჰო და თუ ამ ორს მივუმატებთ გადამწერ ქალს, გამოვა სამი და არა ორი. მართალია, მათ შორის ერთი ქალია, მაგრამ საბჭოთა წესებით ხომ ქალი კაცთან გათანასწორებულია. მაშ საიდან შეიძლება აქ ორი გამოდიოდეს? შესაძლოა ერთი შესაძლებლობა: ნოქარი და აღმასკომის თავმჯდომარე თუ იმორიგებენ: ხან ერთი და ხან მეორე თუ მიუჯდება ქალს გვერდით საჭიკჭიკოთ.

რას იზამთ? მოცალეობის საქმეა!..

**ალ. ფილიპიას.** თქვენი „საბჭოთა არჩევნები" თუმცა ცოტა მოგვიანებით მივიღეთ, მაგრამ მოთავსება მაინც შეიძლებოდა, რომ... დიახ, იმას მოგახსენებდით, თქვენი ლექსი მღვდლის შემდეგი მონოლოგით თავდება:

„ველარც საბჭო დამანახვეს,
არჩევნების სვლა,
ეკლესია ხომ დაიმტვრა,
რაღა ვუყო თავს"-ო.

რაღა თქმა უნდა, რომ ეკლესიის დამტვრევა მღვდლისათვის აუწერელ ნივთიერი ტრაღედია, რომელსაც ლოღიკურად მოსდევს ეგრედ წოდებული ხურჯინის სიცარიელე.

მაგრამ, თუ შეთას ოქმას: „ღმერთმა ერთი რაღ აცხოვეთ, თუ მეორე არ წაიწყმიდოთო"-ს შევაბრუნებთ, გამოვა, რომ მღვდლის თავის საკითხი თავის თავად სწყდება, მიუხედავად აღნიშნულ მარცხისა: მღვდელს შეუძლია „დაცალიერებული თავი" (ეკლესიის დამტვრევისა გამო, რაღა თქმა უნდა!) ასწიოს და დაცალიერებულ ხურჯინშივე მოათავსოს.

**ნიშადურს.** მივიღეთ თქვენი „მესტვირული სამებისათვის". მშვენიერია ამ მესტვირულის დასაწყისი:

ჩემო, ძმაო ტარტაროზ,
მიიტანე იქ რგოლი,
სადაც ცხოვრობს მეჯახში
ბურჭულაძე გიგოლი"-ო.

მხოლოდ არ გვწერთ, თუ, სახელდობრ, რა „რგოლი" უნდა მივიტანოთ. ოქროს რგოლი ახლა ხმარებიდან თანდათან გადის. ხოლო რკინის გამეტება ამ მეტალიზაციის ხანაში ძალიან ძნელია.

**წკეპლას.** თქვენი ლექსი რომ ჩავიკითხეთ ბოლომდის, დავაქნიეთ თავი და გინატრეთ როგორც თქვენ პირადათ ერთ ხელში, ისე მეორე ხელში—თქვენი მიტოვებული ფსევდონიმიც.

დანარჩენი ჩვენი სინდისის საქმეა.

**№ 109-ს.** თქვენი ლექსი „ვაჭრების მოთქმა" ასე თავდება:

„აღარ გაგვიდის ძველი ხრიკები,
მატყუარები დღეს დავძაბუნდით"-ო.

ეჰ, ჩემო კარგო, არა მარტო მატყუარები დაძაბუნდენ, არამედ ზოგი, უკაცრავული პასუხია, „პოეტებიც"!..

არ იფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი ფრაზა თქვენ გეხებოდეს! მართალია, ჩვენ კი გაგვწყრომია ღმერთი და თქვენი ერთი ნაწარმოები დაგვიბეჭდია, მაგრამ აქედან თქვენს პოეტობამდის ჯერ კიდევ მაინც დიდი მანძილია.

**ლუნლლს:** მივიღეთ თქვენი „ნოე ჟორდანიას ლექსი". გამოგიტყდებით, რომ დრო ასეთი ლექსისათვის პირდაპირ ხელსაყრელი გახლავთ. ამასთან ნოე ჟორდანიაზე, როგორც უწყით, ჩვენც კბილებს ვილესავთ და თუ რამე ისეთი „საგოგმანებელი" რამე კი ჩავიგდეთ ხელში, პაპაის სულს ვიცხონებთ.

მაგრამ იმ ვირის როლში ჩავარდნას მაინც გავურბით, მომაკვდავს ლომს რომ წიხლი ჩასცხო ფერდებში; სულ ერთია, მაინც ველარაფერს დამაკლებსო!

**სანჩოს.** მართალია, სანჩო-პანჩოს პირს, როგორც დონ-კიხოტის თანაგზაურისა და ახლობელისას, ბევრი რამ ეპატიება, მაგრამ არც იმდენად გადაჭარბება ვარგა, როგორც თქვენა სწერთ თქვენს „ღვდლის ტირილში":

„ხმის უფლება ჩამომართვეს,
თან ვღრიალებ, როგორც გმირი,
აკვნის ბავშმაც იმ ურჯულომ,
შემიჯავრა, როგორც ჭირი.
ნეტარება ძველსა — დროსა, —
ხანატრელი იგი ტკბილი,
მის ლოდინში აღარ შემრჩა,
თავზედ ბეწვი, პირში კბილი.

აკვნის ბოვშის მიერ შეჯავრებასა და ათვალისწუნებას რომ მღვდელი არაფრად შეუშინდება, ეს იმ ბავშვის უმცროსმაც კი მშვენივრად იცის.

ვერც ასეთი ბოვშის ურჯულოებით გავაკვირვებთ სოფლის მღვდელს.

რაც შეეხება „ძველი დროს" ლოდინს, ეს წარმოუდგენელია: მღვდელი თუ ელის. ამ დროს, კი არა, ასეთი დროს დამახასიათებელი წესების ისევ აღდგენას, თუნდაც ეს მოხდებოდეს მომავალ დროშიც. — დროს ამ შემთხვევაშიც არ გაუშინჯავს იგი კბილს, თვითონ უკბილოთაც კი ადვილად შეურიგდება „ძველის აღდგენას" რომ ეს შესაძლებელი იყვეს.

# მშვიდობიანობის გუშაგი

(„პროჟექტორი"-დან)




მშვიდობიანობა:—საკვირველია! ამ ხიშტის ახლოს თავს უკეთესად ვგრძნობ, ვიდრე იმ ზეთის ხილის ტოტის ქვეშ!

ტარტაროზი №10

კვირა, 3 მარტი, 1929 წელი
1929 წ.
წელიწადი მეექვსე





## „იმათი კუთხე“

ჩემო კარგო, მხოლოდ ეს ოპერა დაგვრჩენია, სადაც ჩვენისთანა კეთილშობილ საზოგადოებას შეუძლია სულიერ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და სიამოვნების მიღება.

# „ვალა"-„კიტა"

„ფინჩხტრესტს" საქმის მწარმოებლად
ჰყავს ვალია ბატიფრთაზე,
საქმისა და წერის მცოდნე
უკეთესი ბევრზე, სხვაზე.

მხოლოდ ერთი დიდი ნაკლი
იმ თავითვე დაჰყვა მასა,
რასაც სცნობდა, ვით მავნე ზნეს,
მასში მთლად „ფინჩხტრესტის" მასსა!

ხელ-გვიანი კაცი იყო:
ჯერ — წერას და შემდეგ — თქმაში,
ასიათას ფუთ სიმძიმედ
აწვა იგი საქმეს სვლაში!

ცხადი არის, ამძიმებდა
და გასაქანს არ აძლევდა,
თუმცა ამას მთელს „ფინჩხტრესტში",
ვ:ნ იყო, რომ არ ამჩნევდა!

მაგრამ რაღაც მანქანებით
ადგილ·დან მისი დაძვრა
ჯერ-ჯერობით, მგონი, არვის
არ მოსვლია თავში აზრად!

და ილწვოდა ბატიფრთაძე,
შემოკლებით — მხოლოდ ვალა,
ვით დემონი — ღამის ბნელში,
როგორც სტიქიური ძალა...

ილწვოდა და საქმეც ჩუმად
მიდიოდა ზლაზვნით, ნელა...
მას იტანდა ტრესტის გამგე,
მას ითმენდა თითქმის ყველა!..

სანამ ერთხელ ვინმე კიტა,
კაცი მტკიცე და კირკიტა,
განცხადების დასაწერად
თაბახ ქაღალდს არ იყიდდა,

და ქაღალდზედ განცხადებას
არ დასწერდა თავის ხელით:
ტრესტის გამგეს იგი მასში
მიმართავდა თხოვნით, ვრცელით!

არ ვინ იცის, რას სთხოვდა ან
შიგ რა იყო დაწერილი,
ის ეწვია კალას მხოლოდ,
ხელში კონვერტ-დაჭერილი.,

და გადასცა... გადასცა და
თან სიტყვითაც ჩააბარა...
და ვალამაც ეს კონვერტი
ჩაიბარა მისგან, მარა

არც ის ახსოვს, თუ რა უთხრა,
არც ის—თუ ეს რა დღე იყო,
და მსგავსმა გულმავიწყობამაც
ის ნაყოფი გამოიღო,

რომ, მის შემდეგ, რომ გავიდა
თვე ერთი თუ, მგონი, ორი,
კიტა ერთ დღეს შემოიჭრა
„ფინჩხტრესტში". მით მეტეორი,

მიიჭრა და ჯიქურ ვალას
დაეძგერა, როგორც ტყვია:
— ჩემი თხოვნა?!, ზედ პასუხი
რამე ხომ არ შეგიტყვია?!.

— შენი თხოვნა? ის თხოვნა თუ
განცხადება იყო, მგონი,
შეცდომაში არ შესტოპო,
შეასწორე გრამაფონი!

— მე შენ მოგცემ შესწორებას!
შენ მე თხოვნა მოშინახე...
თუჩალეწილ შუშაბანდს, გსურს,
დაგიმსგავსო ამ წამს სახე?!

— ვის შუშაბანდს? რა შუშაბანდს?
აფრაკებში მოიშალე?
დღეს დავძებნი მე შენს თხოვნას,
პასუხისთვის მოდი ხვალე!

უთხრა ცოტა დარბილებით
გაწყრალ კიტას მაშინ ვალამ,
ეტყობოდა: გასჭრა თვალმა
და მკლავშიც—ჯერ უცნობ ძალმა!

და როდესაც მეორე დღეს
შემოვიდა მასთან კიტა,
ვალა თუმცა გულმაგრობდა,
კიტა მას შიშს მაინც ჰგვრიდა,

რადგან პასუხს, აღთქმულ პასუხს
ვერ მისცემდა, იყო ცხადი:
— პასუხისთვის — უთხრა დინჯად—
— ხვალ შემოხვალ, დღეს კი წადი

# წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვნება ხანისა

ქაბულიდან გავიდა ინგლისის წარმო-
მადგენლობა ავღანისტანში.

დეპეშებიდან.



ბარიაში

## „შიში მანახვე და... გაფრენას განახვებო"

„მოდი - წადი"-ს წელიწადი
რომ გავიდა თითქმის ასე,
ერთ დღეს კიტამ შეუყვირა:
— რაა ეს, რომ მათამაშებ?!.

თუ ვაგლახით მემასხრები
და მოცლილი მნახე, ფიქრობ,
თავს ასე არ გაქელვინებ,
უმალ თვითონ დღეს გაგიქრობ!

ვინ გგონივარ, თუ გგონია,
მე ვინ ვარ და ვინ ხარ შენა?!.
წაიქოჩრა... მიიწია.::
აუვარდა მკერდში ქშენა!..

და რომ კალმის მომარჯვება
არ მოესწრო მისთვის ვალას,
ცხადი არის, მუქარასთან;
აგემებდა კიტა ძალას!

მაგრამ ვალამ კალმის წვერი
მოიმარჯვა ისე მარდათ,
რომ იმაზე დაძგერების
დაეკარგა კიტას მადაც!

და იდროვა ვალამც ამით,
და უშოვა კიტას ყელი:
— რომ ყვირით, რა გაყვირებს,
საქმე იყვეს თითქოს ძნელი!

დღეს თუ არა ხვალ ხომ მოგცემ
შენს თხოვნაზე მაინც პასუხს!
„ვით ჰქუხს, ისე არა წვიმს"-ო
და როგორც წვიმს, ისე არ ჰქუხს!

მყის დაუცხრა გულის წყრომა
ამ სიტყვაზე კიტას ისევ...
ბიჭი ხარ და ნუ დასცხრები,
არ აჯობო ვალას მყისვე!..

ის დასაძვრენს მუდამ ნახავს
დამნაშავე თავის თავის,
შენ იკითხე, მასზედ ძვირს რომ
ვერც შეასმენ იქ ვერავის!..

წამოვიდა ახლაც კიტა,
დაღვრემილი, დანაღონი...
იმის შემდეგ „დღეს-ხვალობა"
განმეორდა ასჯერც, მგონი!..

მაგრამ, აბა; თხოვნის პასუხს
შენ გამოსტყუოვ ვალას ბრჭყალებს?
ორ წელიწადს, სამსაც ხშირად
ის ლოდინით გაგაწვალებს,

რათა ერთხელ, დანაბოლო ს
მთლად უტიფრად ვარი გტკიცოს,
და დასმული უიმედოთ
გაგაჯავროს, გაგაფიცხოს!..

ასე მოხდა აქაც, თუმცა
ვერ ელირსა კიტა უარს!
ხედავს თუმც, რომ „დღეს-ხვალობით"
ვალა მხოლოდ საკითხს უარს!..

და ცეცხლდება ისევ კიტა..:
და წყალს ასხამს ისევ ვალა...
კიტამ ვალა კვლავ ზღვას მისცა...
ვალამ ის კვლავ გაიშრალა...

და გრძელდება ასე! წეწავს:
კიტას — ვალა, ვალას—კიტა..
და ამ წეწა-გლეჯისაგანც
წარმოიშვა ვალატიკა"!..

ზაპირა.

# „მსუბუქი კავალერია“

სოფ. საშორიგზოს კომკავშირის უჯრედის მდივანი შაქრო დიდ საგონებელში ჩავარდა, როცა მაზრკომიდან ცირკულიარი მიიღო.

— დასწყევლოს ღმერთმა,—წაიბუტბუტა თავისათვის. თემკომის მდივანი რამ გამოაჩერჩეტა?—იწერება: შეადგინე მსუბუქი კავალერია... ქალებიც ჩააბი შიგაო! იმაზე კი არაფერს ამბობს, თუ ცხენები სად ვიშოვო ამ კავალერიისათვის! უჯრედის კრებაზე უნდა დავსვა ეს საკითხი!

ამ სიტყვებზე წამოდგა, ჩაიცვა გაცვეთილი ტყავის „ტუჟურკა“ და გასწია უჯრედის ბინისაკენ.

მალე უჯრედის ვიწრო ბინა გაივსო კომკავშირელებით.

—ამხანაგებო,—დაიწყო შაქრომ— როგორც თემკომის მდივანის ცირკულიარის თანახმად, უნდა შევადგინოთ მსუბუქი კავალერია.

ამიტომ ეხლავე უნდა ჩავეწეროთ კავალერიაში.

კი, მაგრამ სად უნდა წავიდეს კავალერია?—შეეკითხა ერთი კომკავშირელი.

— ჯერ ჩვენს თემში ვიქნებით და შემდეგ მაზრკომი გვეტყვის.

— ომი ხომ არ ატყდა ანგლიასთან? —შეეკითხა მეორე.

— ცირკულიარში ამაზე არაფერი სწერია, მაგრამ შესაძლებელია ატყდეს. ჯერ-ჯერობით კი ჩვენ ბიუროკრატიზმს უნდა ვებრძოლოთ და უყაირათობას. ეს კი სწერია ცირკულიარში.

— ქალებიც უნდა ჩავეწეროთ. —შეეკითხა ქეთო.

— აბა ქალები რაღა წითელი კოჰები ხართ? შენ არ იყავი, რომ განცხადებაში სწერდი—უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებო“

თითქმის ყველა ჩაეწერა.

ამხანაგებო, თუმცა ცირკულიარში სწერია, რომ უნდა ვეცადოთ, კავალერიაში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდობის ჩაბმასო, მაგრამ რადგანაც ჩვენი სოფლის ცხენები არ გვეყოფა ყველასათვის, ამიტომ ჩაწერვა შევწყვიტოთ, ახლა წადით და ხვალ დილით ცხენებიანათ ჩემთან გამოცხადდით.

— ცხენებიანათ?!?.

— ჰო, აბა რა გეგონა? სად გინახავს უცხენოთ კავალერია?

— კი მაგრამ...

— არავითარი „კი“! ვისაც ჰყავთ, ხვალვე ცხენებით გამოცხადდით და გავწიოთ მაზრკომში. იქედან კი მათი საქმეა სადაც გაგვაგზავნიან.

—:—

მეორე დღეს „მსუბუქ კავალერიაში“ ჩაწერილნი ნელნელა შეიკრიბნენ უჯრედის ეზოში. აქვე ღობეზე მიაბეს ცხენები ზოგი შეკაზმული, ზოგიც შეუკაზმავი, ზოგიერთ კომკავშირელებს უკან მშობლები მოსდევდნენ:

— არ გაგატან ცხენს არა, შე ოჯახის დამღუპველო შენაა!

—:—

შაქრო წინ მიუძღოდა თავის კავალერიას.

ჩამოხტით! —გასცა განკარგულება შაქრომ მაზრკომის წინ.

—:—

მაზრკომში ბევრი იცინეს.

— უცხენო კავალერია მე არ გაგონია და პირველა ეხლა მესმის?—მოდიოდა და ფიქრობდა შეურაცხყოფილი შაქრო.

— სწავლა აკლია, თორემ არა უშავს, გაეჩვევა და შეისწავლის... ძალიან ყოჩაღი ბიჭია. ასე საჩქაროდ როგორ შეკრიბა და გამოაწყო ნამდვილი კავალერია!—კმაყოფილებით ლაპარაკობდენ მაზრკომში და იცინოდენ შაქროს გულუბრყვილობაზე.

ა. შადური.



მანეთობით აკიბულა
ეს ფასების კიბე;
შესვლა მეც კი მინდა, მარა
ფართო უნდა ჯიბე.

# სცენა ტელეფონთან

(ქიათურა)

ცენტრალია? ჰა? კიი?!... ბარიშნა, შენ დაგენაცვალოს სევასტი ქიპაშვილი, თუ გიყვარდე, სილიბისტრო ოყროშიძეს გადამაფსკვენ ტელეფონით. ჰა? მზათაა?! (ქუდს უხდის) სპასიბა! (რეკავს), სილიბისტრო ხარ. ბიჭო, შენე?! ზრასტი პაჟალუსტა! რაიო, რაიო?., ჰა?! შეიხედე აქეთ! რა სთქვი? ხუცები წეიკიდენ მონასტერში? რეიზა, ბიჭო. რეიზა? ეფისკოპოსმა ბრძანა, რომე ორივემ სწიროსო, მარა დიომიდე არ უშვებს ბესარიონს?! ნუ?! აი. ახალი ტყემალი! მოლოზნები?.. ჰო, მესმის. რომელი? ნინო, ოლღა და ქრისტინე წაეკიდენ ელენიჩკას?! რეიზა. კაცო, რეიზა? ორვე ხუცებს ერთნაირი აქვთ წირვა-ლოცვა და ბესარიონს რეიზა უდგებიო?!. აწი? ნინო მოლოზონი ტფილისში წევიდა კათალიკოსთან? რატომ, ბიჭო, რატომ? სთხოვა, რომ დიომიდე დაგვიტოვეთ მონასტერშიო? უყურე შენ ნინოს! ქრისტინემ, ოლღამ და ოლინკამ კამპანია გაუმართეს ეპისკოპოზს?! რატომ, ბიჭო, რატო? რომ დიომიდეს დუქიროს ნარი? ნუ მასხრობ. ბიჭო! ვოტ თებენა!! რაიო. რა სთქვა დიომიდემ. ბესარიონს მოვკლაო?. რატომ კაცო. რატომ? ყველა ბესარიონს ჰკოცნის ხელზე და კი არავინ მიყურებსო?!. უყურე შენ დიომიდეს! სილიბისტრო. მეიხედე აქეთ? რაიო. მღვიძელები ჩამოვიდნენ და კინალამ დაწყვიტეს მოლოზნები, რომე ბესარიონი არ გვინდაო? ნუ ლაპარაკობ დედა ნუ მოგიკვდება! მართლა. ბიჭო? აწი და ბესარიონიც ქე დეეთხოვოს. სალხს თუ არ უნდა რავა!.. ელენიჩკას და ელსაბედს უნდათ? იმე, უნდა რომელია? მეც ქე მინდა იაპონიის დედოფალი, მარა ვინ მომცემს! რაიო. რაიო? დიომიდეს მომხრე მოლოზნებს საკურთხი მიაქვთ სამსონთან. რომე მათი ფხარი დაიჭიროს?! რას ლაპარაკობ, კაცო. რას? მაგას ვერ დევიჯერებ! მოლოზნები და ქრთამობია ვის გაუგონია! რა თქვი, ბიჭო. სილიბისტრო?.... მეიხედე აქეთ! რა ყავს ოცი, რა? ჰა?! კატაა?! ვის, ბიჭო, ვის? ოლინკა მალაზონს? ნუ მასხრობ დედა ნუ მოგიკვდება! მერე და რას აჭმევს. ბიჭო. ამ ჯოგს! რძეს?! იმე, იმე. რავა დევიჯერო ახლა მაგი! თითონ ლობიოს ჭამს? აპა ცხონებულა და იგია. რას ლაპარაკობ ოცი კატის მადლი უეჭველში აცხონებს მის სულს, არ უნდა ამას ლაპარაკი. ვირი ქე მოუკვდა?! უბედური ოლინკა! ქე არ დალუპულა ქალი! მარა არაფერია, იგიც მიემატება საცხონებელს. სილიბისტრო. გამეიხედე აქეთ. რაიო, ლადიას დაკლული ღორი მოპარეს?! ვინ, კაცო, ვინ?! არუსიამ? როდის? ვოტ რაზბოინიკ! ქურდები დოუჭირავს?!. მალადეც ლადია! იმე, იგი კი დეიჭირავდა. ჩვენზე უარესი ჯადოა. ნუ გეშინიან შენ! მაცა, ბარიშნა, მაცა, ველაპარაკები!.. კაცია, ვირისთავი კი არაა! გადამაფსკვენ ხელახლა დედა ნუ მოგიკვდება. ბიჭო, სილიბისტრო, რა სთქვი, ლადია დეიჭირესო? რეიზა, კაცო! ღორი მას მოპარეს და კიდო იგი დეიჭირეს?! სხვა საქმიზა? რატომ, ბიჭო, რატომ? უფეჩატო ხორცი უნახეს და დუქანი დოუფეჩატეს? ნუ ხუმრობ თუ კაცი ხარ! დევიჯერო, ახლა. ლადია მაგას იკადრებდა! მაცა, ბარიშნა, მაცა! გავათავებ, ბატონო, ვოტ თებე ნა!!. ბიჭო სილიბისტრო, ეს ბარიშნა არ გვაყენებს და დავეთხოვოთ, ბიჭია და ზოგი მერე ვილაპარაკოთ. ნახვამდის, ნახვამდის! სილიბისტრო, სილიბისტრო! გამეიხედე აქეთ! აი, ჯანაბაში წადი! სმოლოჩ!..

გოგიძე.

# გაზეთებიდან ამონაწერი

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით დედათა და ბავშთა საკონსულტაციო ბიუროებს დაურიგდათ ახალი წამლეულობა ბავშვის ჩასახვის თავიდან აცილებლად; საკონსულტაციო ბიუროები მომსვლელ ქალებს აძლევენ აღნიშნულ წამლეულობას უფასოდ; ამავე დროს ჯანსახკომმა საჭიროდ აღიარა რომ აღნიშნული წამლეულობა ფართოდ იქნეს გავრცელებული მოსახლეობაში მათი თავისუფლად გაყიდვის საშუალებით.

„კომუნისტი" № 8 (2354).

ვაჟი. ხომ კი ხედავ, ჩემო კუკლა,
რა ნეტარი დადგა ხანა;
დამერწმუნე, არ რა არის
უშვილობის წამლისთანა.
დაწყებული ჩვენი საქმე
აღარ წავა აწი მრუდათ;
ის წამალი უშვილობის
შეიძინო მალე უნდა!

ქალი: გენაცვალე, ჩემო წარბავ,
შენთვის მინდა სიკაბუკე;
ის წამალი უშვილობის
შეძენილი მაქვს მე უკვე.

ვაჟი: შენს მეტს მე არ შევიყვარებ,
თუნდაც სული რომ ამომხდეს;
აწი ჩვენი პოემაი
ჩემს ბინაზე უნდა მოხდეს...
(ერთმანეთს ჩაეხვევიან.)

(ქმარი და ცოლი)

ქმარი: რაღა გვიჭირს, ჩემო დრუნცო,
გულმა იგრძნო ტკბილი შვება:
უშვილობის წამალი ხომ
ეხლა ყველგან იშოვება.
დღემდე ვერ-რა გავახერხეთ,
ათი გოგო კი გვყავს მარა;
აწი აღარ გაგვიჩნდება,
აფთიაქში წადი ჩქარა...

ცოლი: რისთვისა ხარ სულ წასული
რამ დაგიფსო შენ თვალია.
ორი თვეა ორსულად ვარ,
რაღა დროის წამალია!..

ქმარი: რა სთქვი შე... შენ საწყალკავე,
ორსულად ხარ, ქალო, კიდევ?
სად წავიდე, ვის მივმართო,
შავი ჭირის გადამკიდემ?!.
შვილები მყავს უთვალავი,
როგორც ვარსკვლავები ცაზე;
ყველგან ყრია: ტახტების ქვეშ,
ფეჩთან, შკაფთან, მაგიდაზე.
ვშრომობ, მაგრამ ვერ ავთავდი;
ეს რა ცეცხლი მოვიკიდე.
ქალო, მე შენ გეკითხები:
— მითხარ: ორსულად ხარ კიდევ?!
(ერთმანეთს დაუშენენ.)

იანო.

# ხელს უწყობს




— ცხეთამდე ამილე ერთი ბილეთი!
— კი, მაგრამ შენ აკი ქუთაისში მიდიხარ!?
— მერე რა! მცხეთის შემდეგ რევიზორი მაინც არ ჩამთივლის და ტყვილად რატომ დავიხარჯო!

## წერილი ხულოდან

აპარისტანის მხურვალე სალამს
ჩემო ტარტაროზ მოგიძღვნი ძმურად,
და იმედიც გვაქვს მოგვინახულებთ
თქვენი ჩანგალით მამა-პაპურად...
საქბილოს აქაც ბლომად გიშოვნით,
ჩასუქებულნი დაგოგმანობენ,
დაშორებული მანძილის გამო
თქვენს მობრძანებას არ ფიქმარობენ..
მოინახულეთ ჯერ ბუხჰალტერი,
კარჩაკეტილი რომ ზის მარტოკა,
ჯამაგირისთვის თუ მეაკითხე,
წყალი გპირია იქ ერთი კოკა...
იმდენს გაყმედებს, გალაპარაკეშს
სულ აგერევა თავში დავთარი.
და დეკემბრის ხელფასისათვის
უნდა იარო მთელი ზამთარი.
ანგარიშების განაღდებისთვის
თუნდაც მიადგეს „ეგზეკუციე"
სამი შაურის ანგარიშს უნდა
ზარე ხუთმეტი რეზოლიუცია.
კოოპერატივის საკითხის ირგვლივ
ცოტა კი მინდა გაგაგებინო
და შენი ჩანგლის გრძელი კბილებით
მისი კარები გაგაღებინო.
გამგეს უთხარი: თემებისათვის
საჭირო არის მანიფაქტურა
და არ გვჭირდება დანა-ჩანგლები,
ანი ნემსები და სხვა ხარა-ხურა.

„ვაკასა"

## ზოგიერთ პოეტებს

(გათომისათვის)

საქმესა უნდა მიდგომა,
ამბვის დაწერა ძნელია;
მინდა აქაურ მწერლებსა
ლექსი მიუძღვნა მწველია.
მწერლის სახელის მოხვეჭა
ვიცოდეთ — მეტად ძნელია;
ხან სიტყვა შამოგელევა,
ხან დაგირჩება გრძელია.
ასეთი წერა მგონია
ვერ არის სასურველია;
ჩავხედოთ რას გვეუბნება
მგოსანი ჩვენ რუსთაველია:
„მაგრად ურტყამდე ჩოგანსა,
იყო სიტყვისა მჭრელია";
მცირე ნაწერით ნუ ვფიქრობთ
ვიქნებით წერეთელია.
სურათი მწერალთ ვერ გვაქცევს,
დაგვაძრჩობს ფიქრთა ქსელია...
ვინც მგოსნათ თავსა ისახავს,
აშლია სალერღელია.
ვერას გააწყობს ვიცოდეთ
ადრე შამფურის მთლელია.
შოთამ სთქვა, მას დაუჯეროთ, —
მგოსნობა მეტად ძნელია.

ბუჯგუტი.

# თვალსაზრისთა შეთანხმებისათვის

## ანუ

## „2" და „5" კაპეიკი

რუსები რომ იტყვიან—„ნა ხალასტოი ნოგე"-ო, სწორედ ისე მიყვარს მე ცხოვრება.

მართალია, ბერებსა და განდეგილებს ეხლა მოწონება არა აქვთ, მაგრამ ბერივით ცხოვრება კი დასაშვებიცაა, დაშვებულიც და შესაძლებელიც. შეიძლება ვინმემ სთქვას: „ცოტას აქტივობას კი ვნებს ასეთი ცხოვრება"-ო, მაგრამ სცდება, ვინც ასე მსჯელობს. მართალია, მე კი ვერ დავიკვეხნი, მაინცა და მაინც 500 პროცენტიან აქტივობას, როგორც დღევანდელი საზოგადოების თითქმის უმრავლესობა, მაგრამ ჩემს პირობაზე კი მეც აქტივისტად მომაქვს თავი.

ჯერ კიდევ 21 წელში სოფელ ჯირყვალეთიდან პირველად შემოვყევი თბილისში წითელ არმიას და მას შემდეგ ქალაქს აღარ მოვშორებივარ.

„წერა-კითხვას ლიკვიდაცია ვუყავი" ეგრედწოდებულ სალიკვიდაციო სკოლაში.

უკაცრავად, უნდა მეთქვა: „წერა-კითხვის უცოდინარობას ვუყავი ლიკვიდაცია-თქო", მაგრამ, ვინაიდან ახლა საზოგადოთ მიღებული არის შემოკლებით ლაპარაკი, მეც სწორედ ამ სიმოკლისათვის და აგრეთვე გაზეთების სიიოლისათვისაც, დროს ეკონომიის ყოვლად საპატიო „თვალსაზრისის" შიგ ჩართვითაც იმავე დროს, მოგახსენებთ: „წერა-კითხვას ლიკვიდაცია ვუყავითქვა".

დიახ, ერთი სიტყვით, ასე თუ ისე წერაკითხვას დავეზიარე.

მაგრამ საქმე ამით მაინც არ მოთავებულა. მოგეხსენებათ, რომ ამ ინდუსტრიალიზაციისა და კულტურული რევოლიუციის ხანაში მარტო წერა-კითხვის ცოდნით შორს ვერ წახვალთ.

„შორს წასვლის" საკითხი კი მჭიდროთ არის დაკავშირებული, ერთის მხრით—ტემპთან და მეორეს მხრით „ბაგაჟთან".

ერთის შეხედვით, ტემპისა და „ბაგაჟის" ანუ სიმძიმის საკითხები ძნელი შესარიგებელნი კი არიან, მაგრამ საქმეს სწყვეტს მატარებელი ან ავტობუსი, რომ არ ვახსენოთ ეტლი ან უბრალო ავტომობილი, რომლებიც, როგორც მოგეხსენებათ, ადამიანს სწყვეტენ ეგრედ წოდებულ მასიურობას და ჰქმნიან უფრო ინდივიდუალურ განწყობილებას, რაც ეწინააღმდეგება როგორც ინდუსტრიალიზაციის, ისე კულტურულ რევოლიუციის მთავარ პრინციპებს.

ტემპისა და „ბაგაჟის" საკითხს მე იმ თავიდანვე აუღე ალღო და დავეწაფე კითხვას, გაზეთებისა, ჟურნალებისა და, ერთი სიტყვით, ყოველგვარ გამათვითცნობიერებელ ნაბეჭდი მასალისა, როგორიცაა, მაგალითად, პლაკატები, ლოზუნგები თუ სხვა.

და აი, დღეს უკვე ძვალსა და რბილში მაქვს გამჯდარი ჩვეულება დილით, სამსახურში წასვლის დროს გზაში გაზეთის ყიდვისა. კარგია: ჯერ რომ ამ მთის თუ იმ ბარის ამბებს შეიტყობ კაცი, ხოლო შემდეგ—ეგრედწოდებულ „ნარევში" ათეულ ზოგად მეცნიერულ ცნობებსაც ამოყავავ, რაც ადამიანის გათვითცნობიერებას ისე რიგად უწყობს ხოლმე ხელს.

ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, „ჩვეულება თუ რჯულის უმტკიცესია", მეც ამ „ანტირჯულიერობის" ანუ, უფრო მეცნიერულად რომა ვსთქვათ, ამ ანტირელიგიურობის ხანაში ეს ჩვეულება გადამექცა ნამდვილ რჯულად.

მოგეხსენებათ, რომ რჯულისა და ეკონომიკის ერთ სისტემაში მოყვანა, ასე ვსთქვათ, მოწესრიგება მეტისმეტად ძნელი საქმეა. თავის დროზე ეს მაინც სხვადასხვა რჯულის ხუცებმა ბერებმა და მონაზვნებმა მოახერხეს მხოლოთ. მართალია, ჩემი „ბერება-განდეგილობის" შესახებ მე კი გადმოგიკარით სიტყვა, წერილის თავში, მაგრამ ჯერ მაინც შორსა ვარ ამ ჩემი ახალი რჯულისა და ეკონომიკის შეთანხმებამდის, მათ სრულს ისევე და ჩემდა სასარგებლოთ მოწესრიგებამდის.

მაგალითად, ამ უკანასკნელ ხანებამდის ყოველ დილით თითო გაზეთი ხომ მაინც უნდა მეყიდა, რასაც უნდებოდა ჩემი ჯამაგირის თითქმის ერთი მეოცედი.

მართალია, „ბაგაჟის" საკითხს ეს ფითქოს ხელს უწყობს, ერთი მეოცედიდან განტვირთვის „თვალსაზრისით". მაგრამ ყოველი „თვალსაზრისი" იმითია რამდენიმედ მაინც ავათმყოფი, რომ არსებობს მოწინააღმდეგე „თვალსაზრისიც".

და აი, თუ ერთი მეოცედიდან განტვირთვის „თვალსაზრისს" დავუპირდაპირებთ გაზეთით აღჭურვის თვალსაზრისს, „ბაგაჟის" არა თუ შემცირების, არამედ ყოველ მხრივად დატვირთვის რეალ შედეგებს ვღებულობთ. რაიცა ასეთ წინააღმდეგობაში გვაგდებს ტემპისა და აქიდან უკვე ინდუსტრიალიზაციის „თვალსაზრისების" მიმართ.

მაგრამ კულტურული რევოლიუციის „თვალსაზრისი" მაინც თავისას მოითხოვს. უწინარეს ყოვლისა კი მოითხოვს ყველა „თვალსაზრისების" შეთანხმებას.

მოგეხსენებათ, რომ უკანასკნელ ხანებამდის ეს „თვალსაზრისები" არც იმდენად მაინცა და მაინცა ბევრი იყო, რომ ადამიანს დიდათ გასჭირვებოდა იმათი შეთანხმება.

მაგრამ ეგრედწოდებულმა გაზეთების ტიპიზაციის შემოღებამ „თვალსაზრისითა" ჯამიც დაამძიმა კიდევ ერთი ახალი „თვალსაზრისის" დამყარებით.

და აი, დილით სახლიდან გამოსული მე ეხლა იძულებული ვხდები ყველა აქამდის არსებულ „თვალსაზრისებს" შევუთანხმო ახლა ეს ახალი „თვალსაზრისიც".

გაზეთის უბრალო შერჩევა, მე, რა თქმა უნდა, დიდათ არ გამიჭირდებოდა, რადგან, ვმადლობ სატანას, წერა-კითხვა მშვენივრად ვიცი და, რაც უნდა ცუდი რუსულით ან ქართულით იყვეს ნაწერი ესა თუ ის კარგი აზრი, როგორც ეს ჩვენს გაზეთებს სჩვევიათ ხოლმე, მე იმას მაინც მივხვდები. საქმეს რომ არ ართულებდეს ერთი ფრიად საპატიო გარემოება.

საქმე იმაშია, რომ გაზეთი მე სახვევ ქაღალდათაც მჭირდება. ეს გარემოება ოდნავადაც არ არის მიმართული არც ერთი დღევანდელი ხანის ფრიად საჭირო და სავალდებულო პრინციპის წინააღმდეგ. პირიქით, ხელსაც უწყობს მათ.

მაგალითად, მე, როგორც მუშა კაცი, დილით ადრე მივეშურები სამუშაოზე. საუზმეს და სხვა ასეთ ფუფუნების საგნებს რომ ვუცადო, უეჭველია, თითო საათით დამიგვიანდება ქარხანაში მისვლა. მაშასადამე, იძულებული ვხდები საუზმისათვის საჭირო ხორაგი სასწრაფოდ შევახვიო „რაც" ხელში მომხვდება, და თან წავიღო.

ასეთი „რაც" გახლავთ გაზეთი. ამაზედ პრაქტიკული ამ შემთხვევაში ცხოვრებას თითქმის არაფერი მოუგონია.

მაგრამ მე, როგორც ხელმოკლე კაცი, ერთი ქიქისა და კოვზის ამარა იძულებული ვხდები ეს ქიქაც და კოვზიც თან ვატარო იქით-აქეთ: სახლიდან—ქარხანაში, ხოლო ქარხნიდან—სახლში. და ეს იმიტომ, რომ სადამოს ჩაისათვის წყალს, მართალია, მეზობელი მაძლევს, მაგრამ ზედმეტი ქიქა მასაც არ აქვს და, რომც ჰქონდეს, რაღაც უხერხულად მეჩვენება ყოველდღე სხვისი შეწუხება ასეთ რამეზედ. მაშასადამე, ჩემთვის სახვევი ქაღალდი აუცილებელზე აუცილებელია.

როგორც ხედავთ, რუსები რომ იტყვიან: „ჩემ ბოლში ვ ლეს, ტემ ბოლშე დროვ"-ო, რამდენსაც წინ წავი-

# ერთბაშად

„დამზღვევ სალაროს ექიმები დატვირთვის გამო ვერ ასწრებენ ავადმყოფების გასინჯვას და ზეპირად უწერენ წამლებს".



ექიმი:—სმენა! ენები გარეძ, ერთად გაგსინჯავთ ბარემ.

წევთ ამ მიმართულებით, იმდენი ახალი და ახალი „თვალსაზრისები" სდგებიან ჩვენს თვალწინ.

გაზეთის ყიდვა რომ მინდა დილით—ეს ცხადია, ცხადია აგრეთვე ისიც, რომ რამდენსაც ნაკლებად „განვიტვირთები" (ფულით), იმდენად ნაკლებად „დავიტვირთები" (გაზეთით). მაშასადამე იმდენად უფრო შეთანხმებული მექნება „ტემპისა.. და „ბაგაჟის თვალსაზრისები".

მაგრამ გაზეთის ყიდვის „თვალსაზრისს" ეკვიატება შეხვევის „თვალსაზრისიც". საჭიროა ამათი შეთანხმებაც. აქ კიდევ შუაში სდგება საკუთრივ გაზეთის შინაარსი, მისი სისრულე—სიფართოვე, რომელიც წინაალმდეგობაშია ამ შინაარსის წაკითხვისა და შეთვისების ეკონომიასთან და სხ..

იყიდი პატარა გაზეთს, კარგია: იაფიც არის, 2 კაპეიკი ღირს, სხარტულად ნაწერიც, წასაკითხავადაც სასიამოვნო, მაგრამ როგორ გნებავთ ახლა იმაში შეახვიო მეორე დილით ჩემი ქიქა, კოვზი და საუზმე?

იყიდი დიდ გაზეთს, ხარჯი იგივე რჩება, რაც წინედ იყო. მაგრამ ახლა ეს ეკონომიკის თვალსაზრისით—მიუღებელია, რადგან ეს ხარჯის შემცირების „თვალსაზრისს" ეწინააღმდეგება; შინაარსი დიდია, შეიძლება ძვრც ამოსწურო მეორე დილამდე: ამოწურვა შეიძლება სასმელის, მაგალითად: წყალის; მაგრამ თუ „წყალი" აჭარბებს მოთხოვნილებას, ცხადია, იმისი „ამოწურვაც" შეუძლებელია. მაგრამ ამავე დროს დიდსა და მაშასადამე, უფრო ვრცელს გაზეთს ის უპირატესობა აქვს. რომ უფრო მეტს ჩაიტევს. რაც შეხვევის „თვალსაზრისს" სავსებით ეთანხმება.

და მეც ყოველ დილით ვიხრუკები ამ ორ ცეცხლს შუა.

მაგრამ ღიდხანს „ხრუკვაც" აღარ შეიძლება: ტემპის „თვალსაზრისი" ამას არ გაპატიებთ და თქვენც ყოველ დილით იძულებული ხართ... უკაცრავად. თქვენს „იძულებას" მე რას დავეძებ, თვითონ მე, რომ არ ვიყვე იძულებული, დღემდის აუცილებელ სახარჯავ 5 კაპეიკის ნაცვლად, ახლა არ გავიღო მთელი 7 კაპეიკი არა ერთის, არამედ ორი გაზეთის საფასური: ერთისათვის 2 კაპეიკი. საკითხავად და ამოსაწურავადაც, ე.ი. სავსებით მოსასარგებლად. ხოლო მეორესათვის 5 კაპიკი, ნაწილობრივ საკითხავათ, მაგრამ შეხვევის თვალსაზრისით კი მეორე დილით სავსებით მოსასარგებლად.

ამას ეწოდება ვითომ „თვალსაზრისთა" შეთანხმება.

**ჯუნისიმე.**

## დიდი-ჯიხაიში

პირველად უნდა შევამკო
ეს ჩვენი კულტკომისია.
შეკითხოთ—რა არის თუ იცის
მისი ვალი და მისია?
თუ არ იცის,—ასწავლოს,
ამას მოითხოვს წესია.
(ნეტავ ხალხისთვის რას მომკის
რაც მას არ დაუთესია!).

—:—

აქვე უმშვენებს გვერდს დასი,
სახელად ჰქვია—ძველია.
დასის გარშემო არიან
მასწავლებლები მთელია.
ამუშავება კი მათი
გასაჭირი და ძნელია,
რადგან დასს არ ჰყავს პატრონი,
ერთგული ხელმძღვანელია.

—:—

ქვენონში შევიღინოთ
და ვინახულოთ კოლია.
როგორ იკავებს ამდენ ხანს
გულს ბოლმა რომ მოსწოლია.
ყოველთვის ჰყავდა ჯიხაიშს
წინეთ ექიმი ორია.
ბებია ქალიც. ფერშალიც
უფლებით თანასწორია.
ეხლა ერთი გვყავს ექიმი
ორი ათას მეტ კომლშია.
დღეში ას სინჯავს ავათმყოფს
ვითომცდა ვიყოთ ომშია.

**ბაბაიკა.**

# ოპერა ანშლაგებით

ხელოვნების მოყვარული გახლავართ, მოგეხსენებათ და საშინლად მიყვარს თეატრი, როგორც სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი დარგი. ამიტომ ჩემი მოხსენება თეატრის შესახებ იქნება და კერძოთ,—ჩვენი სახელმწიფო აკადემიური ოპერის თეატრის შესახებ.

ოპერამ სამართლიანად დაიმსახურა ფართო მასის ყურადღება.

იქნებ არ გჯერათ? მოუსმინეთ:

— მთელი ქვეყანა გარევოლუციონერდა, თეატრებიც გარდაიქმნა, მაგრამ ჩვენი სახელმწიფო ოპერის გარევოლუციონერებას არაფერი ეშველა,— ასე ამბობენ ტფილისის მშრომელთა ფართო მასები. ამას გაიგონებთ ყველგან და ყოველთვის. ამას შემდეგ არავის არა აქვს უფლება სთქვას, რომ ოპერა უყურადღებოთ არის მიტოვებული.

არც მეორე მხრივ არის ოპერა უყურადღებოდ: გინახავთ. მოგსწრიათ. ან გაგიგიათ ოდესმე, რომ ერთ დაწესებულებას სამი დირექტორი ყავდეს?

რასაკვირველია, არა.

დირექტორი. არსებითად ოთხი იყო, მაგრამ შტატი შეამცირეს და ერთი დირექტორთაგანი უმუშევრად დატოვეს.

რა დრო დადგა?! დირექტორებიც უმუშევრად რჩებიან!

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ოპერას მხოლოდ სამი დირექტორი-ღა შერჩა, იგი (ოპერა) მაინც განაგრძობს არსებობას და ამჟამად მას საკმაოდ მოქნილი კომერციული დაწესებულება შეიძლება ეწოდოს.

მართალია, სახელოვნო დაწესებულებას საერთოდ კომერციული მოსაზრებები მეორე პლანზე აქვს გადადებული, მაგრამ დირექტორი რის დირექტორია, თუ ახალ განხრას არ მისცემს ოპერას.

მართლაც, თუ კი ცხრაწლედი შეიძლება იყოს საშრეწველო - ეკონომიური, ინდუსტრიალური და სხვა ათასგვარ განხრებით. რატომ ოპერას არ შეიძლება ქონდეს კომერციული განხრა?

მართლია ისიც, რომ დირექტორიატმა კომერციული თვალსაზრისი ყველაზე წინ დააყენა, მაგრამ რა უყოთ გაქანება მაშ რის გაქანებაა! მოგება თუა, მოგება იყოს!

არც ეს არის ტყუილი, რომ ოპერა...

მაგრამ დაუბრუნდეთ იმ საკითხს, რომელიც, ჩვენი მთარგმნელების სიტყვით რომ ვთარგმნოთ, ლურსმანს, „გვოზდს" წარმოადგენს და სადაც მარხია ძაღლის მთავარი თავი.

ჩვენ ვლაპარაკობთ იმ ერთად-ერთი უდიდესი მიღწევების შესახებ, რომლითაც სამართლიანად შეუძლია იამაყოს როგორც თვით აკადემიურმა ოპერამ, ისე თვით აკადემიურმა დირექტორიატმა.

რა მიღწევაა ასეთი?

— ინებეთ:

არა თუ საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით თქვენ ვერ ნახავთ ისეთ სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ და სამეცნიერო დაწესებულებას, სადაც რამოდენიმე მუშა მაინც არ მოიპოებოდეს.

ასე არ გახლავთ ჩვენს აკადემიურ ოპერაში. აქ სულ სხვა მდგომარეობაა. რაც უნდა სანთელი იშოვოთ, თვით ზაჰესი მთლიანად ხელში რომ დაიჭიროთ და მის 40 ათას ცხენის ძალიან სინათლით რომ ეძიოთ, ჩვენს აკადემიურ თეატრში, რომლის ოპერები ყოველთვის ანშლაგებით მიდის, ერთ მუშასაც ვერ იპოვით!

საკვირველი კი შეიძლება იყოს, მაგრამ რას იზამთ, ოპერაში მუშას მაინც ვერ ნახავთ!

ოპერა ანშლაგებიანიც არის, მაგრამ რა უყოთ, მუშას მაინც ვერ იპოვით!

პირდაპირ განსაცვიფრებელია: ასეთ პატარა ქვეყანაში ასეთი უდიდესი მიღწევები!

მერე და როგორ მოახერხა ოპერამ ამ მონოპოვარის მიღება?

სრულიად უბრალოთ: ეს ამბავი, რომელიც ჩვენთვის, უბრალო მოკვდავებისთვის მართლაც გაუგებარი და მიუწდომელია. დირექტორატისთვის ყოვლად მარტივი რამ არის. თურმე საკმარისი ყოფილა ბილეთების ფასი რაღაც სამ-ოთხჯერ, ანუ 300—400 პროცენტით გაზარდო, რომ არც ერთი მუშა ახლოსაც არ მოგეკარება. მაგალითად, ოპერაში მარტო შესასვლელი ბილეთი ღირს 2 მანეთი; ეს ბილეთი იძლევა მხოლოდ შესვლის უფლებას. ამას გარდა, ამ ბილეთით (2 მანეთიანით) თქვენ სრული უფლება გაქვთ იდგეთ ფეხზე მთელი სპექტაკლის განმავლობაში. და ეს ფეხზე დგომა შეადგენს არა მარტო უფლებას, არამედ ვალდებულებასაც.

რასაკვირველია. თქვენ. რომელმაც ბილეთში ორი მანეთი გადაიხადეთ. შეგიძლიათ ჩამოჯდეთ, მაგრამ მხოლოდ რომელიმე კიბეზე, ან ფოიეში. თვით თეატრში ჯდომის უფლება კი, ნურას უკაცრავად, მაგრამ არა გაქვთ.

ეს 2 მანეთიანი ბილეთით.

ხოლო. რაც შეეხება დასაჯდომ ადგილს, მის მოპოვებაზე უბრალო კაცს შეუძლია მხოლოდ იოცნებოს.

ამას შემდეგ ცხადია. რომ ჩვეულებრივი მუშა ახლოს არ გაეკარება ბილეთის სალაროს: ერთიც ვნახოთ, ვინმემ სტაცა ხელი და ბილეთი აყიდვინა, მაშინ? ხომ დაირღვა მისი ბიუჯეტი?

ბოროტი ენები სხვათა შორის ამბობენ შემდეგს:

— დირექტორიატმა გასტროლიორები მოიწვია— და ყოველ საღამოს რამოდენიმე გასტროლიორი ერთად გამოჰყავს ხოლმე; რაც არ არის მიზანშეწონილი.

რა უყოთ მერე! გასტროლიორს გასტროლიორთან ურჩევნია! მართალია, იმავე ბოროტი ენების თქმით, თეატრის შემოსავლის უდიდესი ნაწილი ხშირად გასტროლიორებს მიაქვთ, მაგრამ მაგაზე რა გვეთქმის. გასტროლიორიც ხომ ადამიანია, მასაც იქნებ წვრილი ცოლშვილი ყავს და დღეში ორას-სამასი მან. სჭირდება (მით უმეტეს, თუ კი მისცემ).

უდავოა ისიც, რომ გასტროლიორებთან ერთად გამოსვლის დროს ჩვეულებრივი წესით ბილეთს ვერ მიიღებთ, მაგრამ პროტექციით ხომ იშოვი? ძნელი დასაჯერებელია, რომ კაცს სამ დირექტორში ერთი ნაცნობი არ გამოერიოს, ან დირექტორის ნაცნობის ნაცნობი მაინც არ გყავდეს! მიაგზავნეთ ნაცნობი, ან ნათესავი და ბილეთს გააჩენს. მართალია და რა საკადრისია მეშჩანურად ჩადგე რიგში მხოლოდ იმისთვის, რომ სამი საათის დგომის შემდეგ გამოგიცხადონ, რომ ბილეთი აღარ არის!

აკადემიური ოპერის სეზონი დაიწყო ანშლაგებით, მთელ სეზონში ანშლაგებით მიდიოდა. დასასრულშიც ანშლაგებით მიდის!

ეს არის დიდი მიღწევა.

ამას გარდა, უდიდესი მიღწევა ის არის, რომ ანშლაგებიან ოპერის თეატრი გაიწმინდა უბრალო ხალხისაგან, ჩვეულებრივ მუშებისაგან და იქ მხოლოდ ჩაკარხალებული, ჩაპუდრული, ჩაკრეპდეშინებული და ჩალონგებული, ფოქსტროტ-ჩაშევიოტებული სუფთა საზოგადოება დადის!

ვინ იყოლიებს ანშლაგებიან ოპერას.

ალექსანდრე ყაზარსხან.

„ბეღლების ჯაფარიძის მარაგმლის ტბა"



# ინტრიგები

ჩვენი ტრესტის, ერთ-ერთი განყოფილების გამგის მდივანი, როდია ბედის მომჩივანი. ის ქალია ახალგაზრდა, სახელად ჰქვია ჟენია. თუ არ შეამცირებ და მიეფერები მუდამ შენია. გამგე განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობა მას, გარეშეს კი არ მიაგავს, მიაგავს ნამდვილ ძმას. ეფერება, უწერს ავანსებს... (ამით თავის საქმეს როდი დაავსებს).

ერთ დღეს შესდგა მოსამსახურეთა საერთო კრება. ჟენიას არ დასჭირებია ბევრი მოფიქრება. პირველად იმან აიღო სიტყვა და დაუწყო გამგეს (რასაკვირველია, განგებ) გაკიცხვა:

— მე, ამხანაგებო, უნდა მოგახსენოთ გაკვირვებით, არა სიჩუმით, არამედ დაყვირებით, რომ ჩვენი დაწესებულება ძლიერ უპატრონოთ იმყოფება. მას აქვს ერთი ავად მყოფობა: ეს არის უწესრიგობა და დაუდევრობა. (რა საჭიროა მარტო ლაპარაკი, ენამჭევრობა?).

ამ დროს ჟენიამ მთლად დაჰკარგა გამგის „უვაჟენია“ და ყელში მრისხანებით გადახედა გამგეს (რასაკვირველია, განგებ!).

— მაგალითად, ავიღოთ ჩვენი გამგე. მისი ქცევა ნუ თუ არ არის საკვირველი? მთელი კვირაობით მთხოვნელებს არ იღებს, (ჩვენ კი ყველას ჭკუას გვარიგებს!), კაბინეტში მხოლოდ ორი კვირა ჩერდება, ამ დანაშაულისათვის, მგონია, რომ საყვედური ერგება. ეხლა თვითკრიტიკის რეჟიმია, ილაპარაკეთ გულახდილათ, რისი გეშინიათ?

მთელმა თანამშრომლებმა დააღეს პირები და შეხედეს ჟენიას გაკვირვებით, შემდეგ კი „მრისხანე“ გამგეს.

ჟენია კი სდგას უშიშარი, არ სცხრება და აცნობს კრებას:

— ამიტომ, ჩვენ ამხანაგებო, უნდა ვუთხრათ გამგეს, რომ ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს, რათა ამითი

გამგემ, ვითომც და განგებ, მშვიდობიანათ დასძინა:

— მე ვესალმები ამხანაგ ჟენიას, რაც გულწრფელნი ვიქნებით, ის გვირჩევნია. მომწონს მე მისი გამბედაობა. მას უნდა მიჰყვეს მთელი თაობა. ჩვენ გვინდა ასეთი დაუნდობელი კრიტიკა, რომ გამოვიტანოთ იქიდან, საქმე და სარგებელი, ჭეშმარიტების და ფაქტების მღაღადებელი. კიდევ ვისა სურს სიტყვა? ამხანაგებო, გულწრფელად ილაპარაკეთ!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა თანამშრომელს უტრიალებდა თავში ერთი ფიქრი; ჟენია მოეჩვენათ ყველას გიჟათ: ხვალ უთუოდ ინახულებს ის შრომის ბირჟას. დღეს მართალია, გამგემ, თუმცა გაუცინა მას განგებ, მაგრამ ხვალ...

გამგე კი ალერსიანი, როგორც ფინია, არც წარბსა ჰხრის და არც ეშინია, თავსა სთვლის მტრედათ და მხიარულად მიმართავს კრებას:

— კიდევ ვისა სურს სიტყვა?—და ღიმებით შეაჩერა „გლავბუხ“-ზე თვალი,—ამხანაგო პროკლე, სთქვით სიტყვა მოკლე?

„გლავბუხი“ წამოწითლდა ოდნავ და გამგის კრიტიკას მოდგა. მან სთქვა სიტყვა სიმართლით სავსე, დასასრულ სკამზე დაეშვა და ფიქრობდა ასე:

— ჟენია, ალბად, არ არის მისი საყვარელი ან ნათესავი, თორემ რისთვის უთხრა მას სიტყვა ცეცხლის მკვესავი?.. სჩანს, ჩვენს გამგეს, არ გაეხარა სიმართლე განგებ, მას ესმის, ალბად, თვითკრიტიკის დიდი მიზანი!.. (მართლა კარგი ვინმე ყოფილა... ეხლა კი ვიცანი!)

„გლავბუხი“-ს შემდეგ ილაპარაკეს კიდევ შვიდმა, ჯერ-ჯერობით კრება მიდიოდა მშვიდათ. მაგრამ, როდესაც „ზავხოზმა“ აღუმაღლა ტონი, ჯერ ბარიტონით, შემდეგ ბანით, (გავარდა ფურთი, აირია მთლად მოედანი) გამგე გაწითლდა, როგორც ლალი, დაბარბაცდა, როგორც მთვრალი, აენთო, როგორც ცეცხლის ალი, მოთმინების აივსო ფიალა, „ზავხოზის“ სიტყვამ ციბრუტივით დაატრიალა, წამოავლო ქუდს ხელი, თითქოს გადაასხეს მას წყალი ცხელი, მოჰკურცხლა გარეთ, გულს ჩაიხვია ფიქრები მწარე... „ზავხოზ“-მა კი შიშისაგან დაღვარა ცრემლები ცხარე.

ერთი კვირის შემდეგ, გამოაკრეს კედელზე სია, რომელსაც გარშემო მთელი შტატი შემოესია; სამსახურიდან დათხოვნილი შვიდი კაცია. — ამხანაგო ჟენია. გვიკვირს საქმე შენია! ჩვენი გული მოჰკლეს, მაგრამ შენ რატომ არ შეგამოკლეს? შენ არ იყავ პირველი, გამგეს, რომ წაუყენე ბრალდება! საკვირველი?!..

დათხოვნილები წავიდენ საჩივლელად. ტრესტის მმართველთან და სთხოვეს, რათა შეამოკლონ გამგე, მაგრამ...

როდესაც ესენი ისხდენ მმართველის მისაღებ ოთახში, ცქრიალით შემოგოგდა ჟენიაც მათში, მომჩივნებმა განგებ ჰკითხეს შიკრიკს, რომელსაც თვალები ჰქონდა მწყრალი.

— ნეტავი, ვინ უნდა იყვეს ეს ქალი?

— მეუღლეა ჩვენი მმართველის!

მომჩივნეებმა უკმაყოფილოთ დახარეს თავები; დავთარი დაებნათ, მიხვდენ, გაიგეს ჟენიას ინტრიგები და მეორე დღეს შრომის ბირჟაში დაიკავეს გრძელი რიგები.

ზორბა.

—:—

# ქსოვრისი

ძმაო ჩოხუნდარ, ისევ გწერ ბარათს,
ვფიქრობ: პასუხი დავაგვიანე.
სულ ასე ვამხელ და გეტყვი მარად,
სოფლის საქმეებს რა აზიანებს!
— დღემდე არ არის აქ წყაროს წყალი,
თუმცა კი მასზე ზრუნავდა ბევრი.
ტეხნიკმა კიდეც აიღო „პლანი“,
მაგრამ დღეს მაინც იცინის მტერი,
რადგან სოფელმა მიანდო ბედი,
ვიღაც „პოდრაჩიკს“ და კომბინატორს;
გლეხობას ჰქონდა მისი იმედი
და, ბედთან ერთად, ფულებიც ანდო!
მანაც მოაწყო „გაიმასქნება“,
ალავიძეა იმისი გვარი,
თუმცა ის კვაჭის მიემსგავსება,
მაგრამ ნამდვილად მცხეთელი არის!..
კომისიაში შემავალ გლეხებს
მოახრევინა სუფრის წინ თვაი.
მოქნილი ენა რას არ ახერხებს,
და გაასაღა თეთრად მან შავი!
იმ საწყალ გლეხებს უწერენ სახლ-კარს,
რისთვის, ან რატომ არავინ ფიქრობს!
პირველად ვხვდები სამართალს ამ გვარს
და მასზე ფიქრი სიმშვიდეს მიქრობს.
მაგრამ სიმართლე ბოლოს ხომ მაინც
თვისას გაიტანს, გზას არ დაკარგავს,
და კომბინატორ ხსენებულ რაინდს,
როგორც წესია ისე ალაგმავს...
— მხოლოდ კი წყარო გვეღირსოს როდის?
ასე გაისმის გლეხის ჩივილი;
თუ მართალია, რომ შეფი მოდის,
მალე გაიარს გულის ტკივილი!..

ლანდელი.

# ქ ვ ი თ ი



ჩარჩი (მეპურეს):—ეს რა მატყუარობაა!, ორი კილოს მაგიერ, კილო ნახევარი პური მიგიცია ჩემი ბავშისათვის!

მეპურე: არა, ძმაო, მე სწორად ავსწონე, ხოლო გირებს მაგიერ სასწორზე დავდე ორი კილო საპონი, რომელიც შენს დუქანში ვიყიდე.

# დეპეშებიდან

**ზესტაფონი.** ტფილისიდან ჩამოსულ დასელების უთაურობით გამართულ ლიტსაღამოზე ხალხი ნასიამოვნები დაიშალა და მოითხოვდენ ბილეთების ფულის უკანა დაბრუნებას.

**იქიდანვე.** ვინაიდან ადგილობრივ ნოქრების შესახებ საყვედური გაისმის, რომ ისინი საქონელს თავიანთ ნაცნობებს აძლევენ, ამიტომ ნოქართა კავშირმა გადასწყვიტა ახსნა-განმარტებისათვის გამოსცეს წიგნი: „რა სარგებლობა მოაქვს საქონლის გადანახვას ნაცნობ-მეგობრებისათვის".

ძგმუნტი.

**სენაკი.** ვინაიდან სენაკის სასამართლოს აღმასრულებელ ლეონტი კიზირიას აქვს მსოფლიოში ყველაზე უფრო უმძიმესი პორტფელი, რომელშიაც ინახება ძველი და ახალი „საქმეები და რომელიც იწონის რამოდენიმე ფუთს,—ამიტომ პორტფელის სატარებლად მას აჩუქეს ვირი, რომელსაც ეკალება ხსენებულ პორტფელის ტარება.

მ. ველისპირელი.

# იმერული სცენა

ეიჩემა ჩემმა გარუკაპებულმა და გაკაპასებულმა ცოლმა ედუკიამ — წეიყვანე და მიაბარე გიგლაიე კლაშიო. უსტავლელი და ჩიჩიეი შენ რომ მყავხარ, იგიც მეყოფა, თვარა შვილი რავა უნდა დამირჩეს უსტავლელიო.

აფსუზ, თავმოყვარე ოქრუელავ: რავა გაწორებს მიწასთან კუდიგრძელიშვილის ქალი. უსტავლელი ხარ, ბებერი ხარ, ჩიჩიეი ხარო. მაინც ვერ გამიგია — თუ უსტავლელობას ჯავრობს ჩემსას ე ჩემი ქალი, თუ მოხუცებულობას?

უსტავლელობას თუ იკითხავთ, უსტავლელი კაცი ქე ჯობია ახლანდელ დროში ნასტავლ და ჩალალსტუყებულ იდელიკებს. ნასტავლი კაცი ყველე კოტრიალეოცუნერია. ჩემს მოხუცებულობას თუ იკითხავთ, რა ვიცი ე ოხერი,— ვერაფერში ვგრძნობ სიბერეს.

ჩიჩიეი და ღარიბი თუ ვარ, ეგი ჩვენი აღმასკომის ბრალია. ცოციალისტობა და თანასწორობააო იძახის და თანასწორათ გვაწერს ნალოგებს მე და ნათავადარერისთავს. ამან გამწურა და მომკუკა წელში ისთე, რომე დღეს ბარორის წიხლ-დასაჭერი შევიქენი. სხვას რაღა უნდა უძრახო, როცა ჩემი ჯვარ-ნაწერი ცოლიც რომ მიჯაბნებს?! მაინც ე ქენოდელი რომ გამოჩდა ჩვენში, დეიფსო მისი გამომგონის ოჯახი, ჩეეწერა შითე ჩემი იდუკიეც, და იმის მერე ვერ ვცნობილობ, რაცხა სულ თლად გამეიცვალა. ახლა დოუჟინია და არ მიყვარხარო, გვეგექცევიო მელაპარაკება. მარა მეტი არა ჩემი მტერი შაგან ვერაფელი გაახეროს. რავაც ახლა ფრანციის ბურჟუაზია ვერ გეექცევა პროლიტალიატის რისხვა, ან და რავაც კატის კლანჭებს თაგვი ვერსად წოუვა, ისთე ედუკიაც ვერსათ წავა ოქრუელესგან. ქალი დამიბერდა, მგონია; ვერსად ვეღც მოუძებნი თავში შავ თმას, გამოდის ახლა ამისტანე ქალი და არ მიყვარხარო მელაპარაკება. დაწყევლოს და დალუხროს ღმერთმა! იმე, რამ გადარია ამ სიბერეში ე დედაკაცი? გეგექცევიო. რას ქვია გემექცევა? რავა, გუშინწინ კი არ დამიწერია ნაქში ჯვარი, რომე ცოლმა გაქცევა გამიბედოს! ცხონებულ ნიკოლოზეს და მის მოადგილეს წმინდა რასპუტინსკის დროს მაქ დაწერილი ჯვარი ეკლესიაში. მერე იმისტანე ქორწილი გარევიხადე რომე ნახევარ საპალნიანი ქური მქონდა საბსე და ნახევრამდე დევიყვანეთ.

ჰო, იმას მოგახსენებდით. ეიჩემა ჩემმა ცოლა ედუკიამ, წეიყვანე და მიაბარე გიგლაიე სკოლაშიო. მე რომ მკითხოთ, სულ არ უნდა სტავლა გლეხის შვილს. გლეხი მაშვინაა გლეხი და მშრომელი, როცა უსტავლელია, თვარა პეტერე ანაბანი თუ ისწავლა, მერე უკადრისობს ხელში თოხის აღებას და იქცევა მშრომელ ელემენტის მაგიერათ მჭამელ ელემენტათ. მიდის ქალაქში და ტორტუალებზე სიმღერის რეპეტიციას აკეთებს, ან და უყურებს და აკვირდება, ვერიჩკას აცვია უფრო მოკლე კაბა, თუ ნინაიას, ვერიჩკას უფრო მეტი მოუჩანს ბარძაყე თუ ნინიას. აი, რავალ საქმეს და მუშაობას ეჩვევა ჩვენი ბოვშები, რომლებსაც ჩვენ ჩვენს ნაშრომს და ნაოფლარს თავზე ვაყრით.

შრომის სკოლაო — გეიძახიენ. მე ამ შრომის სკოლების ვერაფელი გევიგე. ვერც შრომას აჩვევენ და ვერც წიგნს ასტავლიან. თოხის დაჭერას და მუშაობას კი აეიწყებიებენ. რა ვქნა ახლა? ორ წყალ შუა ვარ. ვასტავლო თუ არა ჩემს გიგლაიას, წევიყვანო თუ არა კლაში? მარა ამდენ ფიქრს მაცლის განა ჩემი რუკაპელე ედუკიე? წეიყვანე და წეიყვანეო. მეც რაღას ვიზამდი? ავდექი პარასკებ დილას, გევიძღოლე წინ გიგლაიე, გადავკიდე ფხარზე ფეხებ-შეკრული კვატები და ვარიები და გაუდექი იარმუკაში. იქაა თავმოყრილი ყოველიფერი რაც კია ჩვენს სოფელში რამე კუნტურულია: აღმასკომი, კომპარატია, წითელი სასადილო, კლასი. გავყიდე კვატები და ვარიკები, დევიბერტყე ჩოხის კალთები და ავაბიჯეთ მე და გიგლაიამ შკოლის კიბეზე. შემოგვიხვდა წინ სკოლის გამგე. ძალიან კაი კაცია. დამიჯინა ბოვშში პირველ ჯგუფში. ასე ავასრულე ჩემი ედუკიეს ბძანება.

გიგო ხონელი.



— ადე, ადე! შენ, ჩემი იკითხე ეს გამხმარ კაცი რომ დავეცე, თორემ შენ რა გიშავს!

# ქვით ხაზეინჯან

გაზაფხული მოახლოვდა. თედოს ოჯახი ხელმოკლეობამ შეაწუხა. შემოაკლდა ხორაგი.! საერთო დოვლათი დაელია. წვრილშვილს ტანსამოსი გაუცვდა.

— შე ოჯახ დასაქცევო, რას წამოსწოლილხარ მხარ თეძოზე? — რატო ბაღლებზე არაფერს ჰფიქრობ! ვერ ჰხედავ რო სიტიტვლე ცალკე აწუხებს და სიმშილ-სიცივე — ცალკე! — გაკაპასებულმა ცოლმა მიაძახა წამოწოლილ თედოს და რახუნით გაიხურა ქოხის კარები.

თედოს მოაგონდა შარშან ამ დროს ქალაქში მისმა მეზობელმა მიხამ, რომ ხეების ნერგები კარგ ფასში გაყიდა და მაშინვე შეუდგა საქმეს..

მეორე დღეს დილით ადრე მახლობელ ტყისაკენ გაეშურა ბარით. საღამომდე ერთი ურემი იფნისა და რცხილის ნორჩი ნერგები ამოთხარა ფესვებიანად და იმ ღამესვე ქალაქის გზას გაუდგა.

— მაღადოი დრივააა... ბაყილოები! ქუჩიდან ქუჩას გაძახოდა თედო, რომელსაც ეზოებში დასარგავად ევაჭრებოდენ ნერგებს...

თედომ ურემი ახალ ქუჩაზე შეაბრუნა.

— ბაყილოებიი... მაღადო ლეს — დრავა!..

მეურმესთან ერთი ჩასუქებული მოქალაქე მივიდა. თედოს ეს სახე ენაცნაურა... კარგად დაფიქრდა და იცნო შუაბაზრის ერთი ძველი ფართლით მოვაჭრე, რომელმაც ამ შემოდგომაზე დამპალი ჩითები შეატყუა მამასისხლად.

— ნამყენებიი, ვაშლიი, მსხალი:.. მის გასაგონად გასძახა თედომ ქუჩას..

— ამხანაგო, კარგი მსხალი დაისხამს?

— მსხალი იცის, ტავარიშჩ, რომა, თითო ოროლი გირვანქა გამოვა, ნამცვილი გულაბია! — უთხრა თედომ და რცხილის ნერგი გადააწოდა..

— ანტონოვცკი ვაშლმაც გაქვს?!

— აა, ნამდვილი ანტონოცკია, ტავარიშჩ! ახლა იფანის ნერგი გადააწოდა თედომ... ვაჭარს ჰკუაში დაუჯდა „ნამყენების“ ყიდვა.. ათიოდე ძირი გადარჩია და რაც ღირდა მისცა..

— ეხლა მე და შენ ქვით ვართ. წადი ეხლა და საცა შენი სოქვა, ჩემიც არ დაივიწყო! — მიაძახა თედომ, როცა ვაჭარი ქუჩას მიჰყვებოდა..

— ვაგა... ნახე რანაირი რამეები მომიტანია... — ვაჭარმა უთხრა ცოლს და ნერგების კონა გადააწოდა. ვაჭ-

რის ცოლი სოფლელი ქალი იყო და ადვილად შეეძლო უბრალო ხეებისა და ნამყენების ერთი - მეორესაგან გარჩევა.

— ქა, ე იფნისა და რცხილის ბაყილოები რა ეშმაკათ გინდოდა!?

— ვა, როგორ თუ რცხილის და იფნის ბაყილოები! გულაბი და ანტონოვცკის ნამყენები მომიტანია... თითო ძირში ათი შაური მიმიცია!

— გამოყეყეჩდი შენა აჰა, რაც შენი საქმე არ არის ნეტა რასა ჰკიდებ ხელსა!?. ნამყენები კი არა, რცხილისა და იფნის ძირებია..

ვაჭარი ხელად გამოვარდა ქუჩაში. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ გვიანღა იყო... „ტეტია“ აღარსად სჩანდა..

ნიახური.

# უსტარი

## გოლოური, ქუთ. მაზრა

სასადილო გაგვიხსნეს,
ქვია „კოლექტიური“
ნექტარი სდის საამო,
მუნ შარბათი ღვთიური.
ღვინო თეთრი იციან
(წყალს ბევრს ირევს მგონია)
თორემ ღვინო ასეთი,
ძმაო, გაგიგონია?
მჭადს ყიდიან გირვანქას...
(ოხ! ხსენებაც მრცხვენია
ღირსი არის წერილის,
მართლა შესარცხვენია).
აბაზიო გირვანქა,
ერთი მუჭა მჭადია.
ხმას არვინ უყურებს
თუ აქ რასა სჩადიან).
იქვე გვერდზე კოხტად სდგას
ვით ობოლი დუქანი
ილარიონ შიგ ვაჭრობს
კაცი ჯიბე-მსუქანი.
ზედმეტ სახელს „შანცკიანს“
ეძახიან ილოსა
იშკილებით აჯობებს
თავადიშვილ ფილოსა
მებაყლეა — შეხედავ, —
ხან კი მიკიტანია.
ყველა მასთან ქეიფობს
ვანო, პეტრე, ტანია,
ვერ გავიგე რა ხდება
საქმე არის რაშია,
უპატენტო დუქნებში
ბუქნა და თამაშია!
ეცებ მოარბეინებს
ჩაფით თეთრსა ღვინოსა,
(უკეთესი მუღამი
ღმერთმა შეარცხვინოსა).
დაპატიჟებს ჯერ თითონ
თითო-თითო ჭიქაზე,
შემდეგ სმა გაჩაღდება
ერთმანეთის ჟინაზე.
ისმის მრავალ-ჟამიერ,
საღამოდან დილამდე.
ზოგი იქვე დაწვება,
[illegible] შინამდე.

ცაპ. კორწოხელი.

# ჯოჯოხეთის კუთხე

## რწმუნებული მაზრის არის სულ სხვა აზრის

სოფ. კირცხის (ზუგდიდის მაზრა) კომკავშირმა თავისი რიგების გასაჯანსაღებლად მოაწყო კულტლაშქრობა ლოთობისა, თამბაქოს წევისა და სხვა ასეთი ცუდი ჩვეულების წინააღმდეგ.

ცენტრს მიმართეს — გამოეგზავნათ მათთვის კულტლაშქრობის ხელმძღვანელები.

ცენტრმა, რა თქმა უნდა, დააკმაყოფილა მათი მოთხოვნილება და გაგზავნა სამი კაცი.

— ბიჭებო!— უთხრა ადონიამ სიჭინავასა და ჭაჭარიას და სამივე ერთად შეაჩერეს თავისი ბედაურები. — აი, აქ მშვენიერი რესტორანია. მართალია, დაგვაგვიანდა, მაგრამ, არა უშავს!

აღფრთოვანებულმა ამხანაგებმა ერთხმად შესძახეს:

**ხელი და თავი გაუხმეს**
**ვინც უდალატოს ძმასაო.**
**ჩვენ როდის გავექცევოდით**
**ასეთ დროს ჭამა-სმასაო.**

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, საქმე ჩვეულებისამებრ წავიდა და მივიდა ლოღიკურ დასკვნამდე.

როცა ცენტრმა დაიგვიანა, ადგილობრივმა მომხსენებელმა დაიწყო მოხსენება ლოთობის წინააღმდეგ.

— არც მასეა, საქმე შენ რომ გგონია ყმაწვილო!— მოესმა პროტესტი მომხსენებელს და...

კარებში შემოვიდნენ ცენტრის რწმუნებულები.

— თუ კაცი ხართ, წადით და ცხენებს მიგვიხედეთ. მართალია, ჩვენ კისრამდე მაძღარი ვართ, მაგრამ ცხენებს არაფერი უჭამიათ!—გასცა განკარგულება რწმუნებულმა.

— ამხანაგებო, — დაიწყო მეორე რწმუნებულმა, — თქვენ მოხსენება გქონდათ ლოთობის წინააღმდეგ. თქვენ არ იფიქროთ, რომ ჩვენ ლოთები ვართ. არა, ჩვენ დღეს იმიტომ დავითვერით, რომ... რომ...—და მიუბრუნდა ამხანაგს—რატომ დავითვერით?.. ჰო, იმიტომ დავითვერით, რო თქვენთვის თვალსაჩინოთ, პრაქტიკაზე გვეჩვენებია მთვრალი კაცი.., აი, ამიტომ და მხოლოდ ამიტომ დავითვერით... კარლ მარქსი ამბობდა: **მიზანი ამართლებს საშუალებასო.**

— კარლ მარქსი კი არა, ბებელი ამბობდა, ბიჭო!— გაუსწორა ჩუმად ამხანაგმა.

— სულ ერთია ვინც ამბობდა;; მაინც ვერ მიხვდებიან!

— არაფერი არ იცი შენ,

— შენ არ იცი...

— ვინ არ იცის?!—შენი მამისული...

— შენი...

— რაო?.—და ატყდა მათ შორის აყალ-მაყალი და ყოველნაირი ჯურის გინება.

მაგრამ რწმუნებულებმა „ლაშქრობა“ მაინც ჩაატარეს.

**შესხდნენ თავიანთ ცხენებზე;**
**გააჭენ-გამოაჭენეს.**
**თავისი ვაჟკაც-გმირობა**
**სოფელში ყველას აჩვენეს.**

ჩვენ ამ ამბავს არ შეგვატყობინებდა **„კვიმატი“**, მაგრამ რაჟდენ გახარია (ერთ-ერთი რწმუნებული) დაბეჯითებით მოითხოვდა „ტარტაროზში“ ამ ამბის მოთავსებას.

ჩვენც შევასრულეთ მისი სურვილი.

## ცოტა ხანი დარჩა.. წმენდას თუ გადარჩა!

პარტიულ წმენდის მოახლოებამ ბევრ პარტიულს ფიქრები მოსგვარა და გაუტეხა ძილი.

ბევრჯერ შეუხარებია ჩხოროწყუს გლეხკომის თავმჯდომარეს, რომელსაც ასე ახასიათებს „ლია-ლუა“:

**ის გლეხკომში მსახურობს,**
**კაცი დიდზე დიდია,**
**და გლეხკომის ქონება**
**მას ფეხებზე ჰკიდია.**
**ფეხით სკლას არ კადრულობს,**
**დადის ველოსიპედით;**
**კულაკს ხვდება ალერსით,**
**და ღლეხებს კი — სიყმედით,**
**„უნდა მოვიხმაროთ**
**ეს დროება და ხანა“**
**საკუთარი ააგო**
**მან აგურის ქარხანა.**

დასკვნის სიამოვნებით თავის ქარხანას ველოხიპეტზე მჯდომარე გლეხკომის თავმჯდომარე და ასე ესაუბრება თავისს საყვარელ თავისთავს:

— არა! მე საურთხე არ მომელის, მე არ მოვხდები წმენდაში. ქარხნები ავაშენოთო... აი, ეს აგურის ქარხანა ჩემია, მე ავაშენე.. ვანა ეს ინდუსტრიალიზაცია არ არის?! იყავ, გულო, მშვიდად. — მე არ მოვხდები წმენდაში.

აი, ასეთ შემთხვევაზე იტყვიან: **„კაცი ბჭობდა და.. ტარტაროზი იცინოდა“-ო.**

## ულაპავს როგორც მჭამელი.. გლეხს არა აქვს წამალი.

## აქ ფერშალი — სანდროა.. ეხლა, სანდრო, სხვა დროა.

აფთიაქისა და მედიცინის კაცია სოფ. ხევის (ოზურგეთის მაზრა) აფთიაქის გამგე—მეთოდე ჩხიკვაძე. კაცს წამლებთან აქვს საქმე. თვითონაც „ავადმყოფია“ და ყოველდღე რამოდენიმე ბოთლ წამალს (ე. ი. ღვინოს) სვამს, მაგრამ არიან ისეთი ავადმყოფებიც, რომლებსაც სხვა წამალი (ნამდვილი წამალი, აფთიაქის წამალი) ესაჭიროებათ. თუ ბედი გაქვთ, მეთოდე აფთიაქში დაგხვდებათ, თუ არა და—სანდროსას იქნება საქეიფოდ. არ გაგიწყრეთ ღმერთი—არ შეაწუხოთ. თორემ სულ ერთია, სანდრო მაინც უკუდორთ გამოგისტუმრებს: — ჩემსას არ არისო.

„ფერი ფერსა; მადლი ღმერთსაო“—იტყვიან.

აფთიაქის გამგეს არც ადგილობრივი ფერშალი სანდრო ჩამორჩება ლეინის სმაში. როცა დათვრება, შემდეგ უყვარს „ანგარიშების გასწორება“, არა ნისიისა და ვალისა, არამედ შურისძიებისა. ამ კაცს ასე ჰგონია, თითქოს ბატონყმობის დროს ცხოვრობს (და რასაკვირველია, ბატონი თვითონ არის).

**„ოტელლო“ ეჭვით სავსე,**
**გვერდში უზის „დეზდემონა“,**
**იორდანეს საქციელი**
**რატომღაც არ მოეწონა..**
**და ესროლა მას „ცენტრალი“,**
**მტერს არ მოხვდა ტყვია ცხელი,**
**რადგან სანდროს ამოუკრეს**
**გასროლის დროს თოფზე ხელი.**

**(„წარბა“).**

ადგილობრივ ხელისუფლებას ჰმართებს ამ „წამლისხალხს“ შესაფერისი წამალი გამოუწეროს და აღმოუჩინოს მათ ყოველგვარი დახმარება ხევიდან წასაბრძანებლად.



... მიდიხარ სამსახურში და ძველ ტანისამოსს იცვამ?
... იცი რომ ... წმენდა იწყება!?.

[library stamp]

პოლიგრაფტრ. მე-5 სტამბა, კამოს ქ. № 68.

წელიწადი მეექვსე

კვირა. 10 მარტი 1929 წ. № 11. (195) ფასი 10 კაპ.

# ტარტაროზი

## 8 მარტი



რა კარგი იქნებოდა, რომ ყოველთვის ასე გვესალმებოდნენ, როგორც დღეს

# მსჯელობა ქალზე

— რაღაი ქალთა დღესასწაულია, მოდი ერთი წითელ სასადილოში შევიდეთ, გადავკრათ, ვისაუზმოთ. — სთქვა ერთმა.

ყველა სიამოვნებით შეხვდა ამ წინადადებას და წითელ სასადილოში შევედით.

პირველი სადღეგრძელო, რასაკვირველია ქალებს ეკუთვნოდა.

პირველად, (ამას ყველა მიხვდება) თამადამ ილაპარაკა... იგი რომელიღაც დაწესებულებაში გამგის პირველ მოადგილედ ითვლება და სამეურნეო ნაწილიც მას აბარია.

— მეგობრებო, — დაიწყო თამამად, ქალის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია იმდენად, რამდენად ამ პატარა საქართველოში ქალთა თანასწორობის ამბავი ყველამ იცის. მე ვიტყვი მხოლოდ, რომ ქალი, ცხადია, მამაკაცივით ადამიანია, მაგრამ დაწესებულების გამგედ მაინც არ უნდა დაინიშნოს.

— რატომ?

— როგორ თუ რატომ ყმაწვილებო! ჩვენ გვყავდა ჩინებული გამგე — მამაკაცი. კაცი იყო, ვაჟკაცი. მიხვალ, ბეჭზე ხელს დაკრავ, ავანსს გამოგიწერს. სამსახურის შემდეგ ავტოში ჩაგისვამს. საღამოს რესტორანში წახვალთ საქეიფოდ, მეორე დღეს სხვა დაგპატიჟებს, იქეიფებ... ერთი სიტყვით, ცხოვრობს და გაცხოვრებს... ახლა ჩვენი გამგე ქალია. ვაიმე, ვაიმე! მე მისი მოადგილე ვარ, მაგრამ კაბინეტში ფეხაკრეფით შევდივარ. რას ავანსი, რის ხელგაშლილობა? ტყუილ - უბრალოდ კაპიკს არ მოგცემს. რის ქეიფი, რის რესტორანი. ერთხელ ცოტა ნასვამი მივედი სამსახურში და კინაღამ დამითხოვა, ბეწვი დააკლდა... ძველი გამგის დროს როცა გინდოდა მაშინ მიხვიდოდი სამსახურში, ახლა 5 წუთი რომ დააგვიანო, მესამე გაფრთხილებას მოგცემს.

მიუხედავად ამისა, მე ვადღეგრძელებ ქალებს. **კარგია მათი დაწინაურება, მაგალითად სარევიზიო კომისიებში....**

— სიტყვა ეკუთვნის გერმოგენს.

— მე ერთ პუნქტში არ ვეთანხმები თამადას, — სთქვა გერმოგენმა, საქმე ის არის, რომ ჩემის აზრით და მწარე გამოცდილებით, სარევიზიო კომისია სწორედ ისეთი დაწესებულებაა, სადაც ქალი არ უნდა იყოს.

— როგორ?

— როგორ და... სარევიზიო კომიის წევრი ქალი საშინელ საქმეს დაატრიალებს დაწესებულებაში. მე, როგორც გამგეობის ყოფილ წევრს, გამოცდილია, თუ რას ნიშნავს ქალი სარევიზიო კომისიაში. ჩვენს განყოფილებაში რევიზია ათასჯერ ყოფილა, მაგრამ ხომ იცით, ცოტა ნაკლი ყველას აქვს... და რევიზიის შემდეგ ხან იქით ჩაუხვევდით, ხან აქეთ...

უკანასკნელ წელს სარევიზიო კომისიაში ორი ქალი გამოერია. მხოლოდ მესამე იყო კაცი. აგვარევიზიეს. დაგვარევიზიეს... ცხადია, ცოტა რამ დაგვაკლდა. ესე იგი დააკლდა ჩემი ხაზით. რას შვრები ახლა, ამ ქალების გული როგორ მოვიგო! სიყვარული შევფიცო, — ორი ცოლი უკვე გამოვიცვალე და ვაი თუ ესენიც დამთანხმდენ. ან როგორ შევფიცო, როცა ხეირიანად არც ვიცნობ და აბრეზილადაც მიყურებენ. რესტორანში დავპატიჟო — არ წამოვლენ ვიცი. სახლში მივიპატიჟო, სიდედრს რას ეუბნები.

ის იყო და ის.... მესამე დღეს დამითხოვეს იმ სარევიზიო კომისიის დასკვნით... ასე, რომ სარევიზიო კომისია'ში ქალის არჩევა, ჩემის მწარე გამოცდილებით, არ არის მიზანშეწონილი... მიუხედავად ამისა, მე მაინც ვსვამ ქალების სადღეგრძელოს. **ჩინებულია მათი დაწინაურება მაგალითად კოოპერატიულ კომისიაში.**

— არა, ძმაო, არა, — აიღო სიტყვა მუშკოოპის ერთ - ერთ მაღაზიის ყოფილმა გამგემ. სწორედ კოოპერაცია გახლავთ ისეთი დარგი, სადაც ქალები ყველაზე ნაკლებათ უნდა იყვნენ, თორემ საწყალ მაღაზიების გამგეებს სული ამოხდება, როგორც მე მომივიდა...

— ვითომ?

— გეფიცები სარწმუნოებას... უკაცრავად, რწმენას... ჩემდამი რწმუნებად მაღაზიის სადუქნო კომისიაში ხუთი ქალი იყო და ჩემი ახალგაზრდობა მათ შეიწირეს. მომკლეს ბატონო, მომკლეს! — ეს თავის ადგილას არ არის, — ის უწნოდ აწყვია, — იქ სისუფთავე არაა, — იქ ნოქარი უზრდელად ეპყრობა მუშტარს, — იქ თარო არაა დალაგებული — ეს საწყობში არეულობაა. — თქვენ თავის დროზე არ მოდიხართ... ერთი სიტყვით, იმათ საყვედურებს და შენიშვნებს ვერ აუვედი. გავთავდი კაცი და გავნიავდი... ძმა რომ მოგსვლოდა ძმა, იმას ვერ მივსცემდი ხუთიოდენ მეტრ მიტკალს. ართ-ერთი მათგანი მაინც შემასწრებდა თვალს და მერე მშვიდობით გამგეობავ და სამსახურო. ასეც მოხდა... არა, ამ სადღეგრძელოს სიამოვნებით ვსვამ, მაგრამ ხაზგასმით ვამბობ, რომ მაღაზიების გამგეთა კეთილდღეობა უშუალოდ მოითხოვს, რომ სადუქნო კომისიაში ქალი არ იქნას არჩეული. **ქალის მუშაობა მესმის მაგალითად ადგილკომში;** პროფხაზით... ალავერდი შენთან ჩემო კაპიტონ!

— არ შეგჭამოს ჭირმა, მაგ სასმისს კი დავლევ, მაგრამ დებულებაში ვერ გეთანხმები, — შესძახა კაპიტონმა, — მე თითონ, თუ გახსოვთ ადგილკომის თავმჯდომარე ვიყავი და სწორედ იმ თანამდებობიდან მომხსნეს, ქალის გულისთვის....

— საინტერესოა, დამისხი ერთი!

— დიახ, მეგობრებო. მე ვიყავი თავმჯდომარე, ქალი — ტეხნიკური მდივანი. ის დალოცვილი სულ მითვალთვალებდა, სულ მზვერავდა, ალბად ფული არ შეჭამოსო. ბოლოს რაღაც ხუთასი მანეთი შემომეჭამა კავშირის ფული. დავფარავდი როგორმე, მაგრამ ეს ქალბატონი, ეს ტეხნიკური მდივანი ადგა და ცენტრალურ გამგეობაში განაცხადა ყველაფერი იმ დღესვე... ფული შეჭამა, გამფლანგველიაო"... მასაც ვაძლიე ცოტა, მაგრამ გამლანძღა. ასე, რომ მეგობრებო, თუ ადგილკომის თავმჯდომარეები გებრალებათ, ადგილკომში ქალებს ნუ აირჩევთ....

— კაცო, მაშ სად მიგყავს ეს ქალები?

— ბიჭოს, სამუშაოს მეტი რა იშოვება, აი, თუნდაც მაზრის, ან თემის მასშტაბით.

— მაგი არ გეთქვა და მოგეკალი, — წამოიძახა ჩვენმა საერთო ნაცნობმა იოკიმემ, რომელიც ერთი თვეა, რაც მაზრიდან ჩამოვიდა. — კაცო მე მაზრის მასშტაბით ვმუშაობდი, მაგრამ სწორედ ქალებმა გამომაქციეს... ბატონო ვერ გადავდგი ფეხი ისე, რომ კრიტიკის ქარცეცხლში არ გავეტარებიე ქალებს... სადელეგატო კრებებზე სულ ჩემი სახელი ისმოდა. მერე რისთვის? რაღაც სამასი მან. შემომეხარჯა და იმის გულისთვის. ქეიფობს, სეირნობს და არაფერს არ აკეთებს იძახდენ. ბოლოს, მაზრაში ვიკადრო წასვლა და აღარ ვიქეიფო? იმას

# ჩადრი და ბალეტი

აჭარისტანის ქალთა ყრილობის დელეგატ ქალებს აჩვენეს ბალეტი, რამაც ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე.



ბალეტის დაწყებამდე



ბალეტის დაწყების შემდეგ

უყურო, ქალთა სადელეგატო კრება რას იტყვის! არა ძმაო, მაზრაში სამუშაოდ ქალი არ ვარგა... ქალი გვსმის **დიასახლისათ, ოჯახში...**

— სწორედ ეს გახლავთ შემცდარი აზრი: — აპროტესტდა ჩვენი თანამესუფრე ვარლამი, — ქალი ოჯახის დიასახლისათ ღმერთმა დაგიფაროს...

— რას ამბობ შე კაცო?

— ვამბობ ანბანურ ჭეშმარიტებას. დაგიმტკიცებთ, კიდეც. კაცო, წუხელის მე უჩაიოდ რომ დავრჩი, იცით, ეს თქვენ?

— არ გაგვიგია.

— დავრჩი თქვა უჩაიოდ, გეუბნებით. სახლში ჩაი და შაქარი არ იყო, ხუთ მანეთიანი მივეცი და წავიდა საყიდლად.

— მერე?

— მერე და კრებაზე წასულიყო. „ხვალ 8 მარტია, და კრება გვქონდაო“. მოდი ახლა და ელაპარაკე!

— ჩაი და შაქარი მოიტანა?

— საქმეც მაგაშია, რომ არ მოუტანია. შესულა პალაზიაში, ლამაზი საშაქრე უნახავს და უყიდია, მერე ჩაიე დაუნახავს და ისიც უყიდია... ჩაის და შაქრის ფული სადღა დარჩებოდა, ქე დავრჩი უჩაიოთ მთელი ღამე... არა ძმაო, დიასახლისად მე მგონია ქალი არ ივარგებს, ისევ ჩვენ უნდა მოვითამდაბლოდ თავი...

ვარლამს უცებ რაღაც გაახსენდა. ქუდს ხელი სტაცა.

— უკაცრავად. მეგობრებო, უნდა წავიდე.... დღეს ჩემი ცოლი დემონსტრაციაზე უნდა წასულიყო, მომკლავს თუ არ მივედი. სახლში მე უნდა დავრჩე ბავშთან.

— ბიჭოს, მეც მაგ დღეში არ ვარ! — წამოხტა კაპიტონი.

— ვაიმე, დღეს ალბად იმიტომ დამიბარა ადრე მოდიო, — აჩქარდა გერმოგენი.

— ერთი ჩემი იკითხეთ....

— მე ხომ პირდაპირ დავიღუპე. მომკლავს თუ დემონსტრაციაზე არ წავიდა ჩემი მიზეზით...

— მეც ეგრე არ ვარ...

— ერთი მეც მკითხეთ...

სასადილოდან ისე გამოვიპარეთ, რომ გამგეს არც გაუგია, ან კი რას მოიფიქრებდა...

**ალლარ-ალლარსან.**

# მუშკრთა თათბირისაკენ



## უბრალო გაუგებრობა

გარდაიცვალა შიკრიკი.

ბრმა წელის ანთება ჰქონდა კაცს და ამბულატორიის ექიმმა გრიპის წამალი გამოუწერა.

მეორე დღეს დილით საქმეთა-მმართველი გამგეს ეუბნებოდა:

— თქვენ ხომ არავინ გყავს, რომ — და უხერხულობას გრძნობდა, — რომ... შიკრიკის თავისუფალ ადგილზე... ანუ, როგორ ვქნათ ეხლა — შრომის ბირჟაში გავგზავნოთ მოთხოვნილება თუ...

საქმეთა-მმართველს ეგონა, რომ გამგე დაასრულებდა, მაგრამ გამგე ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მასვე შეეკითხა:

— „თუ“ რა „თუ“?

— ე. ი. თქვენ ხომ არავინ გყავთ შორეული (ახლობელი ვერ გაუბედა შიკრიკის თანამდებობაზე) ნათესავი, რომლის მოწყობაც გინდათ?

— მე მასეთები არა მყავს... ესეც რომ არ იყოს, მაინც გვწერენ გაზეთში. — პროტექცია და ნათლიმამობა არისო. ამ ერთხელ მაინც გავგზავნოთ შრომის ბირჟაში მოთხოვნილება.

— მეც მასე ვფიქრობდი, მაგრამ... ძალიან კარგი... ეხლავე გავგზავნი.

—:—

შრომის ბირჟიდან გახარებული გამორბოდა ფეხმარდაძე და ხელში ქაღალდი ეჭირა სამსახურში გაგზავნის შესახებ.

მიცვალებულს მიასვენებდენ. რა იცოდა ფეხმარდაძემ, რომ მიცვალებული ის იყო, რომლის განთავისუფლებულ ადგილს ის იჭერდა. არ იცოდა თორემ შეებრალებოდა და, შეიძლება კიდეც ატირებულიყო. მადლობას მაინც გადაუხდიდა.. მაგრამ რისი მადლობა, — რომ მოკვდა და მისი ადგილი ფეხმარდაძეს დაუტოვა? მართლაც მადლობის ღირსია თორემ, რომ არ მომკვდარიყო, ფეხმარდაძე დღეს ვერ იქნებოდა ასეთ კარგ ხასიათზე.

—:—

დაწესებულებაში ყველა ფეხებში უცქეროდა ფეხმარდაძეს — შიკრიკია და ჩქარი სიარული თუ ეცოდინებაო!

— თქვენი გვარი, — ჰკითხა გამგემ.

— ფეხმარდაძე.

— აბა ვნახოთ, როგორც გვარი ამბობს, თუ ისეთი ხართ.

—:—

დაწესებულებაში ორგვარი შიკრიკია. ერთი — ასე ვსთქვათ, შინაური, ხოლო მეორე — გარეშე. ეს უკანასკნელი ქალაქში და სხვა დაწესებულებებში გასაგზავნად არის. შინაური შიკრიკი კი — შიგვე დაწესებულებაშია და ემსახურება თანამშრომლებს, ასრულებს „შინაურ საქმეებს“.

რა თქმა უნდა, შინაური შიკრიკის მდგომარეობა უკეთესია.

ფეხმარდაძე „გარეშე საქმეთა“ შიკრიკად მიიღეს, თუმცალა მისი წინამორბედი „შინაგან საქმეთა“ შიკრიკი იყო. („გარეშე საქმეთა“ შიკრიკი დააწინაურეს და გადმოიყვანეს აწ გარდაცვალებულ შიკრიკის ალაგას).

მიუხედავად ამისა ფეხმარდაძე მაინც კმაყოფილი იყო ბედის.

—:—

— ფეხმარდაძე!

— ფეხმარდაძე!

— ფეხმარდაძე!

გაიმოდა წარა-მარა ძახილი.

გაისმოდა წარა-მარა ძახილი.

საწყალი ფეხმარდაძე ციბრუტივით ტრიალებდა, რომ ყველა თანამშრომლების განკარგულება შეესრულებინა. წარმოიდგინეთ „შინაგან საქმეთა“ შიკრიკიც კი უბრძანებდა ფეხმარდაძეს; არა თუ „შინაგან საქმეთა“ შიკრიკი, დამლაგებელიც კი ასაქმებდა მას. ერთი სიტყვით, დამლაგებელიდან დაწყებული გამგემდე გათავებული, ყველა მისი უფროსი იყო.

მხოლოდ ადგილკომის ტეხნიკური მდივანი, კომკავშირელი გრიშა

ეპყრობოდა „ადამიანურად და ქრისტიანულად“ (როგორც თვითონ ფეხმარდაძე ამბობდა) მას.

— ყველას მაგიერ შენ ნუ კი დარბიხარ. თავის საკუთარ საქმეზე ნუ კი ეგზავნები თანამშრომლებს! — არიგებდა გრიშა, მაგრამ ფეხმარდაძე ვერ ბედავდა „ურჩობას“, ეშინოდა —სამსახურს დავკარგავო.

—:—

გაზეთებში შენიშვნები დაიბეჭდა დაწესებულებების შესახებ. აღნიშნავდენ ბევრ ნაკლს.

— ვიღაც შინაურია! — ეუბნებოდა გამგე საქმეთა-მმართველს და თანაშემწეს — ყველაფერი ისეა აღწერილი, როგორც ეს სინამდვილეშია. ვიღაც შინაური „ძაღლია“.. მაგრამ ვინ იქნება? კარგი ხანია ჩვენზე არაფერი ყოფილა დაწერილი!

— მე მგონია, რომ ახალი შიკრიკი, ფეხმარდაძე უნდა იყოს. ფსევდონიმიდანაც ეტყობა, რომ ის უნდა იყოს — „სტუმარი“.

— კი, მაგრამ ფეხმარდაძე რა „სტუმარია“? ის ხომ შტატში ჩარიცხულია! — იკითხა თანაშემწემ.

— არა, ჯერ არ არის შტატში ჩარიცხული, — გამოსაცდელად მუშაობს! — მოახსენა საქმეთა-მმართველმა.

— მაშ, აუცილებლად ის არის. ეხლავე ჩანიშნეთ შტატში და გამოიყვანეთ შინაურ შიკრიკად. როცა ასე დავაწინაურებთ, კიდევ აღარ გაგვწერს გაზეთში. დავითხოვდი, მაგრამ უარესია. მუშკორის გადაკიდებას, სჯობს რომელიმე სახელმწიფო გადაიკიდო.

ფეხმარდაძე შტატში ჩარიცხეს. „გარეშე საქმეთა“ შიკრიკობიდან „შინაგან საქმეთა“ შიკრიკად გადმოიყვანეს“ (დააწინაურეს).

დაწესებულებაში ელვის სისწრაფით მოედო ხმა, რომ „ფეხმარდაძე მუშკორი ყოფილა... უფრთხილდით. მოერიდეთ, თორემ გაზეთში გაგვწერს“-ო.

ამის შემდეგ კარგად წავიდა ფეხმარდაძის საქმე. ყველა ამხანაგურად ეპყრობოდა. წარმოიდგინეთ — გამგე ქუჩაში სალამსაც კი აძლევდა და ქუდს თითქმის კიდეც იხდიდა სანახევროდ.

— მე არა ვარ მუშკორების მტერი. პირიქით, ეს არის ჩვენი გამჯანსაღებელი, მაგრამ რა საჭიროა დაწესებულების შინაური. ოჯახურ მდგომარეობის პრესაში გამოხმაურება! — ამბობდა გამგე ფეხმარდაძის გასაგონად.

—:—

დაწესებულებაში ყველა თავის დროზე მოდიოდა. მემანქანე ქალიც კი სარკეში იშვიათად თუ ჩაიხედავდა. ფეხისადგილშიაც არ რჩებოდენ ჩვეულებისამებრ დიდხანს.

ხშირად, როცა ვინმე ადრე მოვიოდა სამსახურში, ჩაახველებდა, რომ ფეხმარდაძეს დაენახა მისი ადრე მოსვლა.

შრომის ნაყოფიერება ასი პროცენტით გაიზარდა.

—:—

ერთხელ გამგემ თვალი მოჰკრა, რომ ფეხმარდაძე წერილს სწერდა. გამგეს საგაზეთო წერილი ეგონა და ფეხმარდაძეს დაუძახა თავის კაბინეტში.

— შენ მუყაითი და უნარიანი კაცი ყოფილხარ. ამიტომ მე გადაწყვეტილი მაქვს შენი დაწინაურება. ეხლა რაღაც საქმეები მაქვს, (გაზეთში, რომ გაგვწერეს იმის შესახებ), როგორც კი მოვრჩები ამ საქმეს აუცილებლად დაგაწინაურებ.—უთხრა შიკრიკს და მხარზე ხელი ორჯერ დაჰკრა ნიშნად თავაზიანობისა.

საერთო კრებაზე ადგილკომის ტეხნიკურმა მდივანმა აშკარად განაცხადა, რომ დაწესებულების შესახებ ის ათავსებდა წერილებს.

მეორე დღესვე ფეხმარდაძე „შინაგან საქმეთა“ შიკრიკობიდან ისევ „გარეშე საქმეთა“ შიკრიკობაზე გადაიყვანეს.

ისევ დაუწყეს:

— ფეხმარდაძე!

— ფეხმარდაძე!

— ფეხმარდაძე!

დარბოდა აქეთ-იქეთ საწყალი ფეხმარდაძე და ყველას ბრძანებას ასრულებდა.

— უი, მეხი კი დაგაყარე! მუშკორი კი არა, ის არ გინდა! — დასცინოდა დაწლაგებელი ქალი.

— დამღუპე კაცი, — ეუბნებოდა ფეხმარდაძე გრიშას, — მუშკორი ვეგონე და კარგად მეპყრობოდენ. ეხლა კი, როცა გაიგეს, რომ ის მუშკორი შენ ყოფილხარ, მე ბუზადაც არავინ მაგდებს.

ისელი.



სამება ერთარსება

# გიგილა და გიგინია

გიგილა სოფლური სახელი გახლავთ ერთი პარტიული ახალგაზრდასი, ჩხიკვის თაველი გლეხი, გიგინიას მეზობელისა.

ქალაქში იმისი სახელი გიგლაა.

როცა გიგლა ჯერ კიდევ კომკავშირელი იყო, გიგინიას თავისი შეხედულებით, ბევრი „სიავე" ახსოვს გიგლასი: თუ საყდრის სახურავიდან ჯვარის გადმოგდება, თუ ხატების გამოყრა ეკლესიიდან და მათი საჯაროდ დაწვა, თუ ეკლესიის შენობაში წიგნებისა და გაზეთების პირველად შეტანა, თუ ამაზე განრისხებულისა და აყიამყრალებული „ღვთისაგან კურთხეული" მღვდელისათვის ჯერ სიტყვიერი და შემდეგ—სეტყვიერი ანუ ფიზიკური შეხება, თუ, ვინ მოსთვლის, კიდევ რა.

გიგლას ასეთი თავხედობის შესახებ გიგინიას ერთი ყოფა ჰქონდა დაწეული მასავით ხანში შესულ გლეხების წრეში, თუ უმეტესად — საკუთარ სახლში, თავისიანთა წრეში.

სამაგიეროდ, როცა გიგლას ხვდებოდა, თალათინივით რბილდებოდა ეს ამოდენა კაცი ამ გუშინდელი ღლაპის წინაშე და სიტყვები კი აღარ გადმოდიოდა მისი პირიდან, არამედ პირდაპირ თაფლი და შარბათი.

— გიგლა, როგორ გიკითხო, როგორ კარგათ მყავს შენი თავი, რას აკეთებ და სხვა ასეთი მისალმება— მოკითხვის შემდეგ, უკვე იწყებოდა:

— ეცადე, ბიძიაშვილობამ, ეცადე. სოფელს ისევ შენ თუ დააჩნევ რამე ხელს, თორემ სხვები, ხომ ხედავ, აქიდან ყველანი გაიფურცლენ, თითქოს კუთრი გვქონდეს ტანზე. არა, სოფელთან „სმიჩკის" შესახებ რომ ყურებს გვიჭედავენ, ეს სოფელი რისთვის ავიწყდებათ, ჩვენ, გლეხები ადამიანები არა ვართ თუ?!.

გულმოსულად ათავებდა გიგინია თავის, რამდენიმე სამართლიან შენიშვნას იმ „სხვებზე", რათა ამით გიგლა უფრო ნათელ სფეროში წარმოედგინა თავის შემდეგ სიტყვებში:

— აბა, შენ იცი, ჩემო გიგლა, შენ მაინც თუ არ მოგვატოვებ ამ ბნელსა და შეუგნებელ ხალხს.

დაატანდა ბოლოს გიგინია გიგლას შესახებ და განშორდებოდა, თუმცა გულით თან მიჰქონდა ათასი სიავისა და სიგლახის სურვილი გიგლაზე.

— მოგვშორდე კი არა, ფეხებსაც გასცხებდე, ნეტავი, და შენი ბურდღაც არ დარჩებოდეს ამ სოფლადო— აი, როგორი იყო გიგინიას სურვილები ნამდვილად გიგლას შესახებ.

ბოლო დროს, გიგლა თითქოს მიუხვდა გიგინიას გულის წადილსო, მარილაც მიატოვა მან სოფელი, არ მიატოვებდა, მაგრამ პარტიაში გადარიცხვა, სწავლის განგრძობის წყურვილი, თვალსაჩინო აქტიურობა და სხვა შესაფერი, თვისებები თავისას მოითხოვდენ და ორგანიზაციამაც, არა თუ გიგლას განცხადებას არ უცადა ქალაქში გადაყვანის შესახებ, თითონ წამოაყენა ასეთი აზრი.

და აი, რამდენიმეთ მშვიდობიანად „ამოისუნთქა" სოფელმა.

დამშვიდდა გიგინიაც.

თუმცა ეს „სიმშვიდე" უცვლელი და შეუწყვეტელი არ არის. დრო და დრო არდადეგებსა თუ ეგრედ წოდებულ კამპანიების პერიოდებში გიგლა ისევ ჩნდება სოფელში და მის მიერ წამოწყებულ საქმეებს, რომლებსაც ჩასძინებიათ უიმისოდ, ეხლა ის ისევ აღვიძებს და ამოქმედებს.

12 მარტია.

ჩხიკვისთავის გლეხობას თავი შეუყრია სასოფლო შრომის სკოლის დიდ დარბაზში. ახალგაზრდა მომხსენებელი მათ მოუთხრობს განთიადი ამბებს ეგრედ წოდებულ თებერვლის რევოლიუციის შესახებ. წაოსულა ავერი რამ შემდეგი დროისა თუ ახალიც შეუერია მომხსენებელმა და ყველაფერი ეს ისეთ ნაირად შეაფარდა და შეათანხმა, რომ გლეხობა დიდათ ნასიამოვნები დარჩა.

— კაი ხანია, ასეთი დაწყობილი ლაპარაკი არ მოგვისმენია, ასალო! კაი ბიჭი დადგა ეს ჩვენი გიგლა...

მიმართა გიგინიამ ერთ ახლობელ გლეხს მოხსენება რომ გათავდა და დარბაზიდან ხალხი თითქმის წავიდ-წამოვიდა, თითო-ოროლა-ღა იყო ჯერ კიდევ აქა-იქ დარჩენილი. მაგრამ ასეთი სიტყვებით გიგინიამ ხმა-მაღლა განგებ იმიტომ მიმართა თავის მეზობელს, რათა თავისი სიტყვები გაეგონებინა გიგლასთვის, რომელიც, მოხსენების შემდეგ, იქვე შორი-ახლოს სკოლის გამგეს რაღაცას ელაპარაკებოდა.

გიგინიას სიტყვებს გიგლამ მართლაც მოჰკრა ყური და, არც ვიტყვი, რომ არ იამა.

მობრუნებული ის უკვე წინ შეეჩეხა სახე-ღიმილიან გიგინიას.

— ააა, გიგინიას ჩემი ულრმესი სალამი.

— გიგლას თავი მიცოცხლოს ღმერთმა, ვეღარ შეიკავა თავი, რომ ღმერთი არ ეხსენებია.

გიგლას ცოტა უსიამოვნება დაეტყო, მაგრამ აღარ აწყენინა ხანში შესულ გლეხს და იყუჩა.

— ძალიანი კი იყო შენი დღევანდელი მუსაიფი, ჩემო გიგლა.

დაიწყო ისევ გიგინიამ.

— მხოლოთ ერთი ვერ ამიხსნია: „თებერვლის რევოლიუცია"-ო გაიძახით და ეს მარტი რაღა შუაშია. განა, რაც აირ-დაირევა, სულ მარტს უნდა დააწეროთ?!..

— ხა-ხა-ხა-ხა.. გადიხარხარა გიგლამ თითქოს ამ მცირე გაუგებრობას ხუმრობათართმევსო.

— ეს სულ ახალი სტილის ბრალია, ჩემო გიგინია!—უთხრა გიგლამ ხელის მხარზე დაკვრით.

— აი, ვენაცვალე ამ ხალხს, თორემ ქე ვეყრებოდით ახლა სიბნელესა და შეუგნებლობაში!..

ამისა და ცოტა წამუსაიფების შემდეგ, მეზობლები განშორდენ ერთმანეთს. გიგლა შეჯდა თავის ცხენზე და გაუდგა გზას ქალაქისაკენ.

— რაის ახალი, ბიძია? რაში დამეტყო მე ეს სიახლე? უწინ თუ ნიკოლოზი იყო, ქე ეგდო მისთვის. მე კი სახაჰაპურე ფქვილი სახლში არა თუ მარტო კაი დღისათვის, უბრალო დღესაც არ გამწყვეტია. იმისთანა წელიწადი რაცა ჩამომიარდა, ერთი სამი ოთხი ღხინი მაინც არ გადამეხადა, ახლა რომ წელიწადი ისე გავა, ერთს ლაზათიანად ვერც კი გავძღები!.. ტრაქტორიო... შენ თითონ მოხანი ტრაქტორით თუ კაია!

ისეთი საყვედურით და ცინიზმით გააღევნა უკან ეს სიტყვები გიგინიამ მიმავალს გიგლას, რომ გეგონებოდათ, ნიკოლოზი რომ ცოცხალი დარჩენილიყო, თითქოს ის მოუხნავდა მიწას, მოუთესდა, მოუყვანდა, მოულეწდა, მოუფქვავდა, მოუზელ-გამოუცხობდა და მოართმევდა ჩხიკვისთაველ გლეხს გიგინიას ყირმიზივით თეთრ პურსო.

**ონისიმე.**

# როხასტაური

ვით წაველობდა წაველა
აღარ წაველობს ამ დროში.
(ნეტა რა ნახა საერთო
ეპიფანე და სანდროში?)
ერთია ძველი გაქნილი,
მეორე—კიდევ ახალი..
ორივე ერთად კი მღერის,
თუ „ეპო"-შია ფართალი!..
„სიმღერა" ორთავ ყმაწვილთა
გასაგებია ადვილათ...
(ვიან არ იმღერებს, თუ თუმანს
ერთად „ყლაპს" უზამს სადილათ?)
მარა კითხვაა: „საბაო!
საით,საიდან, სადაო?
დღიურ ორ მანეთს რვას ადებ—
საქმეა მეტათ სადავო!...
წაველა კი ზის „კასაში"
თითქოს ბრძენია—სალოსი
და კი არ იცის მაზეც, რომ
ფუთობით ჰყრია „დანოსი"
გოდრით წინ უდგას სიგლახე,
სხვაგან დაეძებს ავობას,
ვერ „ხედავს" ბიჭებს ჩაწკაპულს,
გადამბულ ნათესაობას!...
რომ კინკლაობენ... რა ვუყოთ,
აჩვენონ ხალხს, რომ „ვითომდა"..
ისე, კი, შიგნით ძმობაა"...
წაველამ იცის ეს ყველა,
მაგრამ სდუმს... სწორი თხრობაა,
თუ ძმურად მეტყვით: მისგან ეს
უექვო თაღლითობაა"...
მიიღე ცნობათ ტარტაროზ,
(საქმეა მეტათ ადვილი,)
მოხდეს წაველა არხივში,
მე დამჩეს მისი ადგილი"..*)

**ახალა.**

# შურუმ ბურუმ



— სტარი ვეში... კამუ ეს პრადაშ... ხარა-ხურა.
— რას ჩამაცივდა ეს ოხერი!

# სათებერვალო მიმოხილვა (პოლიტიკური, რა თქმა უნდა)

მე კელოგის პაქტით ვიწყებ
მიმოხილვას პოლიტიკურს,
რადგან ზავი მეც მსურს დიდად,
თუმც საჩხუბრად ხელიც მიხურს!
და როცა ხელს, მარჯვენა ხელს
ვაწერ პაქტს და დღეს ვთარილავ,
მარცხენაში ამავე დროს
დინამიტს და ასანთს ვმალავ,
რომ იქვე მდგომ ჩემს მეზობელს
სადმე ცეცხლი შევუკეთო,
და თუ მთლად ვერ ავაფეთქებ,
ჯორი მაინც დავუფეთო!..
კიდეც ჯორის ხსენებაზე
მომაგონდა ლლოიდ-ჯორჯი.
ვხედავ, კაცი პურს და კარაქს
ეტრფის: ახსოვს ჰამის ბორჯი!
და კავშირის ესესერთან
იგი არის მომხრე დიდად!
ზღვაც სავაჭრო-სამიმოსვლო
უჩანს ისას გზათ და ხიდათ.
მხოლოთ—„ტვინთხელ მინისტრებმა
რომ ჩაშალეს ეს კავშირი,
ყარაქის და პურის ნაცვლად
ვსჭამოთ ახლა ქვანახშირი?!“.
კაცი სწორად სვამს აქ საკითხს,
მხოლოდ ზედ ვინ უპასუხებს?
ალბათ, ისევ ის მინისტრი,
ვინც უკოცნის მეფის მუხლებს!
ჩვენ კი ვეტყვით ლლოიდ-ჯორჯსა
და ბევრს სხვასაც ერთობ მშვიდათ:
—თუ კავშირი ესესრთან
საჭიროა მათთვის დიდათ,
მაშინ ნულარ უყურებენ
ძველ წესს და ბორჯს, ფერი-ფერ მე
მეფეცა და მინისტრებიც | მზრალს.
გაატანონ ზღვისკენ ტემზას!
ისე, როგორც ეს ნიკოლოზს
ღვემართა ესესერში...
კაცს ღოღლითი რომ გაგაჩნდეს,
უნდა ცოტაც გქონდეს ჭერში!
ამის შემდეგ, მოვიკითხავ
შვეციას თუ ნორვეგიას:
მეფის ნარჩენს ამ ქვეყნებშიც
ზღვისკენ ვუზამ გრიალ-გრიალს,
რომ იქიდან ზღვის ზვირთებმა
მოასრულონ იგი, ნევას...
მზის სინათლის ჭვრეტა არ სჯობს
მეფის ტახტ ქვეშ ღამის თევას?!.
ამის შემდეგ, ჰოლანდიას
მევაკეურო უნდა ნავი:
აქაც არის მეფის ლეში,
სუნი რომ სდის გულსაკლავი!
მარტო ვილჰელმ ჰოჰენცოლერნს
ვიკმარებდი მე ამ ხელად,
ულვაშით რომ დავითრევდი
ზღვის ზვირთების შესართველად!..
კვლავ გადავალ ბელგიაში,
უნდა ვნახო ვანდერველდე:
—მუსიო, ემილ! ერთის წამით
მე ის შენი ალბერტ მანდე!
მის გადასრულს რომ ვაწიო,
ვით ნობათი სათებერვლო!
თავის ტახტით და პრინცებით
ის მე თავზე შემომევლო!..
იქვე დანიას ვინახულებ
და სატახტო კოპენჰაგენს,
არ დავინდობ მეფის ტახტ-ტუხტს,
ჯავშნითაც თუ ვნახავ ნაშენს!...
გადმოვივლი გერმანეთით,
ვნახავ ჩეხო-სლოვაკიას:
ალექსანდრეს ვინახულებ,
მეფეს, ფაშისტს, ვარაყიანს.
მას ყინწის ცერით წინ გავუგდებ
და ჩავუყვან ეშმაკულს,
კაცი, რომში რომ მეფობს და
ყლაპავს მუსოლინის ტყუილს!..
ამას წინად ვატიკანს რომ
მიუთვალა მილიარდი,
ყველა ერთად—ზღვას და მეწყერს,
და მათ უკანც—ჩემი დარდი!..
ხმელთა შუა ზღვის ნაპირ-პირ
მევაკეურებ ნავს მონაკოს:
მე მის კორპილს ავსწევ ფეხით,
რომ თავით ზღვაც სილა ნაყოს!..
გადავვლახავ შემდეგ სპარსეთს
და იქიდან მივალ გეჯას.
თუ რომე ალფონ მეფეს ვნახავ,
არ დავტოვებ დაუქექავს!
და ნიპონის კუნძულებზეც,
შევაშფოთებ მუცუ-ხიტოს:
მემკვიდრეებს სულ დავუფრთხობ,
და საფლავშიაც თითონ ხვრიტოს!..
შემდეგ ვნახავ ზოგ-ზოგ კუნძულს,
ჩინეთს და ინდო-ჩინეთს,
აქ თუ სადმე მეფე ვნახე,
იმას იმდენს ვუჩიჩინებ,
სანამ ტახტით კისრა-კისრით
გადავაგდებ ქამლა ყირას,
თუმცა ნარტო მე ვინა მსჯის,
რომ ვსტიროდე სხვის სატირალს?!.
მხოლოდ კეთილ ხალხის იმედს
გულით თანვე დავატარებ,
ვიბრძვი, სანამ უმეფობას
ქვეყნად მთლად არ დავამყარებ,
და საბჭოთა წყობილებას
ნიადაგს არ შევუმზადებ!..
დიახ, ასე ჩუმჩუმად და
ყველგან მის ტახტს ომს ვუცხადებ!
მხოლოდ ერთგან და ისიც კი,
დროებითად, გადვწყვიტე მხოლოთ,
საჭიროა ერთი მეფე,
ერთად ერთი რომ ვიყოლოთ,
რათა ქვეყნის გარდაქმნაში
მან ჩალიოს თავისი ჯანი,
თორემ ისე... ტახტი—მეფეს?
ვერ მიეართვება ბადრიჯანი!..
მე ტახტიდან ყველა მეფეს
ვერეკები შინალის, განა,
რომ დავზოგო რომელიმე?
განა, არის ლოლახანა?!.
მხოლოთ ერთი იმათგანი
მეფე, აი, ამანულა,
ქაბულიდან გაქცეული,
ყანდიაჰარს რომ დამალულა,
მას დროებით მხოლოთ თუ კვლავ
დავაბრუნებ ისევ ქაბულს,
მკაცრად მის წამეფებაზე
ჯერ-ჯერობით ვრჩები ყაბულს!
მიიჩხრიკოს, მოიჩხრიკოს,
ვით ეზოში კარგი კრუხი:
შესწყდეს იოგვლივ ეს ამბოხი
და ეს ხმლების ჩახა-ჩუხი...
ინგლისელი ლაურენსის,
თუ სხვა „ინსის“ შესწყდეს ძრომა:
ხალხს სინათლე მიეფინოს,
გაბატონდეს ქვეყნად შრომა,
და შემდეგ კი ამ მეფესაც
არ დავსტოვებ ტახტზე მჯდომელს...
მეფობა და ტახტზე ჯდომა
დღეს ეკუთვნის მხოლოთ მშრომელს!
თებერვალმა ეს დაიწყო,
ოქტომბერმა მოათავა,
ალბათ, ყველგან მსოფლიოში
საამისო დადგა ჰავა!
და კელოგის ზავის პაქტიც
ნიშანია იმის, რომა,
მეფისა და ტახტის ადგილს,
გაბატონდეს უნდა შრომა!..

ჰაპირა.



# ორი სურათი

გაკრასკული, წითელ ტუჩებით.
ფერმკრთალი სახე
გაკრასკული წითელ ტუჩებით.
თვალნი ჩამქრალნი
უძილობით დაუყურჩები,
ელავენ თითონი
უმარულით ყბა-ლაყურჩები,
თმები—კაწვრი,
ცხელ გაზებით ნახუჭუჭები.
თუ ზამთარია,
ფეხს აცვია მძიმე ბოტები,
ყველას ულამის:
ზოგს სიამით, ზოგს ბოროტები
მიდის ქუჩაში,
ხელთ უპყვრია ყალბი ნოტები
იკერავს კაბებს
ყოველ თვეში ახალ მოდებით.
მის მკერდს გალეღილს,
არ ეყოფა ფუოობით პუდრი,
მისი მკლავები,
მაკაროონის, ნეტავ, რას უდრის?
მისი გონება,
ქარაფშუტა და ხან კი „მუდრი",
ხან ბოროტია,
ხან ემჩნევა სიმშვიდე ნუკრის!...
თმა, თუ მელირა
შეეპარა, ღებავს ინით.
ფეხქვეშ ეცემა,
ტცის ხშირად ჯალბი ქკიტინი.
კოვერ კოტეჟით
სავსე არის ისისი ტვინი,
მან მოლარეებს
გაალაღა „ოსპტრატი"-თ ღვინი!..
კაფე, თეატრი,
საყვარელი მისი ოპერა,
არ წარუვან და,
სამუდამოდ ჩვეთვლის ოხერად.
ღამით, თუ მაინც
საჭიროა სიო მობერა,
სეირნობს ბაღში,
ნაცნობ ადგილს ფრთხილად მოზვე-
რავს.
როცა ლადგება
ის სარკის წინ, ზანტი მოქნარებით,
ხან სევდიანი,
ღიმილით და ხან გახარებით:—
ის ჭოგონებს
ჩოჩოსან ვაჟს, ღრმა მწუხარებით,
სამუდამოდ
რომ დაულოცა გულის ყარები;
რბილ სავარძელში
ჩაიძსხვრევა გამტყდარ შუშებად
ძველ ფიქრებით
სურს ქრილოჰას გამოშუშება..
ჰაგრამ.. ფყალები
ჰაუქრება დამჭკნარი ნუშებად
და ყოველგვარი
ამედები ჩაეფუფება!..

II

აბა, შეხედე, როგორ ბოლავს
ქარხნის ბილები.
მათ აგონდებათ ძველი სევდა
და ტკივილები.
საყვირი უხმობს ზვიადური
მხნე ღიმილებით
და ქარხანაში გროვდებიან
შრომის შვილები.
წითელ თავსაფრით თავწაკრულნი
რბიან ქალები,
შრომის წყურვით რომ უცინის
იმათ თვალები.
ეკვეთენ დაზგებს სიხალისით
და გაბედვით,
წინად რომ სცვდათ მწარე ბედი,
ტანჯვა-წვალებით...
ძველი შრომის სიყვარული
სად არის, სადა?
იმას ტანს ჰფარავს სამოსელი,
უბრალო, სადა.
იცი თუ არა, იმან წინად
რა გამოსცადა?..
მის თვალებს წინად საშინელ
ცრემლები სწვავდა.
დილით ადგება, როს ქარხან
საყვირები უშვებს.
როცა საყვირი ათიათასს
მოუხმობს მუშებს,
ის საქმეშიოდ ეშურება,
მიარღვევს ქუჩებს,
ყრანკის მაგივრად, ღიმილი ჰფენს
მის ლამაზ ტუჩებს.
მის რომიალი—მანქანაა,
ყოვლად ძლიერი.
მისმა სიმღერამ გამოიხსნა
მონა-მშიერი.
ვისაც არ მოსწონს იმისი ხმა,
მისი იერი
იყოს სატანა, სალახანა
და ბიწიერი!..
აბა, შეხედე, როგორ ბოლავს
ქარხნის მილები,
საყვირი უხმობს ზვიადური,
მხნე ღიმილებით.
წითელ თავსაფრით თავწაკრულნი
დები—ქალები,
ეკვეთენ დაზგებს, სიხალისით
და გამალებით!..

ზოლბა.

# ღია წერილი ტარტაროზს

ტარტაროზ, ღია წერილით
ვბედავ გაუწყო შემდეგი:
მაქსიმე „მწარე"-ს ქუჩაზე
ჩამოიარო ეგები.
შემოდი ჩვენსა სტამბაში
მიავლ-მოავლე თვალები.
ჩანგალიც თან იქონიე,
ტარტაროზ, გენაცვალები.
ადგილკომისა მდივანი
ვასილი ტოკარეეია;
ორ საათამდე სტამბაში
ვერ ნახავთ — ასე სჩვევია.
ჩვენ გვეუბნება: „კავშირში
ვიყავ საქმეზე წვეული,—
კავშირიდან კი გვირეკენ:
„ხომ არ გინახავთ წყეული?".
„ბოროტი ენით" ამბობენ:
— უყვარს ნამეტურ ძილიო,
კალთაში თავის ჩადება
და მოსვენება ტკბილიო.
ერთი რამ არის აქ კიდევ
ტეხნიკის ბოლო მიღწევა,
(მუშებისაგან მის მომყვანს
მისდის გინება და წყევლა);
ადამიანის მაგიერ
სტამბას დარაჯობს ცხოველი,
(ეხლა კი მჯერა, ამ ქვეყნად
შესაძლო არის ყოველი).
დღისით და ღამით ამ ცხოველს
საამწყობო აქვს ბინათა,
შიგ დანავარდობს როგორც სურს
და გაუხდია შინათა.
„ოხრანა ტრუდა" ამ ამბავს
უცქერის გულხელ დაკრეფით.
ცხოველი კი თავს გვაბეზრებს
მუდამ წუწკუნით და ყეფით

შინაური.



ზ მეორის გზით

## ნაგანი კალმის წინააღმდეგ

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს მუშა და გლეხ კორესპონდენტთა დევნა გახშირდა, მუშკორთა მოძრაობა მაინც სწრაფად იზრდება და ფართოვდება.



## შეპრეკილაძის ლექსები

ტაში-ტუში! დიფტი-პიტომ
დიფტი-პიტომ! ტუში-ტაში.
თავში რაღაც მილიტინებს,
გამეყინა ტვინი თავში.
დიფტი-პიტომ, დაფტი-პიტომ;
დიფტიპიტომ, თურა-ლალე
ჩემი ცოლი გაიყვანეს—
აღმასკომის თავმჯდომარეთ.
მოხსენება გააკეთა,
განცვიფრდება ვინაც ნახავს,
სოფლის სკოლა შეაკეთა
კლუბს აშენებს, გზები გაყავს..
ამას რა დროს მოვესწარი:
ჩემი ცოლი.. — თავმჯდომარე.
ამერია ჭკუა თავში,
გადვირიე. შევიშალე!
დიფტი-პიტომ, დაფტი-პიტომ
დიფტი-პიტომ, თურა-ლალე!
ტაში! ტუში! დაუარე,
ეფროსინე და ბაბალე.

ტაში! ტუში! ვითამაშოთ
იაგორა და კლიმენტი
დაილუპოს ვინც ამ ქვეყნად
მოიგონა ალიმენტი.
ბედნიერი კაცი ვიყავ,
დავდიოდი ქვეყნად კენტი;
ვხალისობდი, უდარდელ გულს
ვახარებდი, არ ვიტკენდი.
ერთი ქალი მომეწონა,
შემიყვარდა ერთი „ციცა“
(ის დღე რატომ არ დაბნელდა,
ის დღე რატომ არ დაიქცა!).
მისი ეშხით დავიდაგე,
თვალში თვალი გადვუკარი;
იმან მკერდზე მიმიკონა
და მეც გულში ჩავიკარი.
„მკერდი მკერდსა შეუწებეთ,
გადავჭედეთ ყელი ყელსა“
პაემანი გავახშირეთ
და მივეცით ხელი ხელსა.
დრო გავიდა. ჩამოვშორდი
ავედევნე „ახალ მთვარეს“.
წელიწადმა გაიარა
და „წარსულში“ დამიბარეს..
ალიმენტი შემაწერეს,
შემიკვეცეს ჯამაგირი;
„მთვარეებიც“ გამიფრინდენ,
ჩამოუშვი ჯავრით ცხვირი.
ან შიშით ვის მივეკარო?!
ვიარები ობლად, კენტი;
ჩემი ცოდვა ჰქონდეს, ვინაც
მოიგონა ალიმენტი.

ტაში-ტუში! ვათამაშოთ
ილიკო და ბარამი;
პიანურზე დავამღეროთ
ჩვენი გულის ვარამი.
„ჩისტკამ“ შიშით გამაზმორა,
„ჩისტკა“ მწვავს და „ჩისტკა“ მხრაკავს
სიტყვა—„ჩისტკის“ გახსენება
გულს მილონებს, გულს მიდაგავს.
იძლეოდიან: „ამხანაგო,
ეს ქვეყანა შენიაო.
გაიხარე, არ არსებობს
შენთვის „საკრაშენიაო“.
მაგრამ ახლა „ჩისტკა“ მოდის
ჩემი ცეცხლის მომდები:
ვაი თუ მეც „გავიჩისტო“—
გამიმჟღავნდეს ცოდვები...
ტაში-ტუში, ვათამაშოთ
ილიკო და ბარამი;
პიანურზე დავამღეროთ
ჩვენი გულის ვარამი.
დაუარე თინიკო და
მარია,
თოვლი მოდის;
სუსხია და ქარია
„ვზავხოზობდი,
მქონდა თბილი ადგილი
სამსახური ჩინებული,
ადვილი.
ყველგან მქონდა
რიდება და „პაჩოტი“
ვქეიფობდი,
არ ვიცოდი „ატჩოტი“.
გამიგეს და
დავკარგე სამსახური;
მეტეხისკენ
წამაბრძანეს პანღურით.
ახლა კი ვგრძნობ,
„რომ ეს გული მკვდარია“
ვზივარ მარტო
და გულს არ უხარია!

მედუზა.

## ცოლ-ქმარი

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან)

მიხო: უი, ქალო, კინაღამ არ დამავიწყდა.

ლიზა: რა იყო, კაცო?

მიხო: რა იყო და გუშინ რომ შიხ მოვიდოდა, დათიკო და მარგო შემომხვდენ და ეს ორი ხახალდი მომცეს. შევხედე, მარა რას შევხედავნიკიეს თეთრი თუმნიანებს გავდა, და იმისთანა გამიხარდა, რომ კინაღამ დაუარე. მარა მომცეს ხელში და მითხრეს: — მიხო, აი აქ მოაწერე ხელიო... მე უთხარი: — შენი ჭირიმე მე წიგნი არ ვიცი და რაფერ მოვაწერო ხელითქო.

აბა ჯვარი დოუსვიო... და ჭარ დამასმევიენ.

ლიზა: მერე ჯვარი რომ არ სწამს პოლშევიკებს, რავა დაგასმევიენ?

მიხო: რა ვიცი კი დაუსვი და.. აქანეი ერთი შენი ხახალდია და ერთი ჩემი.

ლიზა: მერე ამგენს ვინ დაავალა რომ მოგცეს?

მიხო: ვაი, შე სულელო, რავა დაავალა? დათიკო ძველი ბოლშენიკი არ არის?

ლიზა: მერე, მარგოს რა უნდა, რომ დასდევს იი ვაშანგელებულ ყაძახს უკან?

მიხო: რავა რა უნდა? მაგიც კიდევ ძველი ჩონსომოლაა.

ლიზა: რაია ეე ბოლშენიკები და ჩონსომოლები?

მიხო: რა ვიცი, რაცხაა კაი კი უნდა იყოს და, მეტი რა გინდა. უწინ თუ არჩევანის დროს ლვდელს, ბერს მალაზონს და ვაჭარს შეეძლო დახრება, ახლა ნიპრიწ! ფეხს ვერ შემოაბიჯებენ. ხმაი არა გაქო — უუბნეპიენ.

ლიზა: დიდება ღმერთო, შენი დიდება (იწერდა პირჯვარს). ჩვენი ჰლვდელს ხმაი თვარა აქვს, აბა სხვას ვის უნდა ქონდეს!?

ივან - დიდელი.

# ზრდილობა

— თქვენ პაპიროსის ბოლი ხომ არა გწყენთ? შეიძლება მოვსწიო?! მიმართა ჩემ გვერდით მჯდომმა შუახნის კაცმა ერთ ქალს.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ აქვს. შევყურებ და ვხედავ — სრულიად ჩვეულებრივ ადამიანს.

ხუთი საათის რიგში ნადგომ კაცს ბილეთის გამყიდველმა ქალმა თვალები კინალამ ამომკაწრა: — მე რას მეკითხები! იქ არის „სპრავოჩნოე ბიურო“.

რამოდენიმე წუთის წინ ერთმა მანდილოსანმა კალათი მატაკა გვერდში და ბოდიშიც არ მოუხდია, ის იყო მოვთავსდი ადგილზე, დავჯექი, მეგონა თავისუფლად ამოვისუნთქემეთქი, რომ ერთ ვაჟკაცს კიბედ მოვეჩვენე, ჯერ მუხლზე შემდგა ფეხებით, შემდეგ მხრებზე და როგორც იყო მოთავსდა ზევით თაროზე...

„შეიძლება მოვსწიო“ — გულში ვიმეორებ ამ კაცის სიტყვებს და ისევ მიკვირს: — ალბად ევროპიელი თუა ჩვენებურ ტანსაცმელში გადაცმული! — ვფიქრობ გუნებაში.

— შენ ვის უბედავ არშიყობას!!! ვინ გგონივარ მე შენ? — მომესმა ქალის მკახე ხმა.

შუა ხნის კაცის სახეზე მწუხარება აღიბეჭდა და ძლივს წაილუღლუღა:

— არა, ბატონო, არც მიფიქრია!

— მაგისთანა პორცია თქვენ სუფრაზე ჩამოდგით! — სწრაფად მიაძახა ქალმა, ეტყობა ეს ფრაზა მომზადებული ჰქონდა და, იდაყვებზე დაყრდნობილმა, ფანჯარაში დაიწყო ყურება.

ამ ქალის მოკლე კაბის წყალობით გამოირკვა, რომ მუშკოოპს მართლაც ჰქონებია თეთრეულის კრიზისი, რის შესახებაც ბევრს ლაპარაკობენ ზოგიერთები. მე ასანთს გავკარი პაპიროსის მოსაწევად გამზადებულ კაცის გულისათვის.

— დიდი მადლობა, მარა ამ ქალს, ალბად, სწყენს ბოლი! — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მან და „სოვეტსკი“ ჯიბეში ჩაიდო.

მეწყინა რომ შემთხვევა ხელიდან წამივიდა, (იმედი მქონდა — ერთ ცალ პაპიროსს გამოვრჩებოდი), და ისევ „ფედერაცია“ გავაბოლე.

როგორც ლაპარაკში გამოირკვა, ის კაცი ოთხი წლის განმავლობაში, ყოფილა ავსტრიაში, იქაური ზრდილობა შეუსწავლია და ჩვენში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი ხმელეთზე.

— ჩადრის ახდა ეს ისტორიული მოვლენაა; ძალიან კარგია, რომ აჭარლებმა ქართული იციან: ქართველი ქალები დიდ დახმარებას გაუწევენ ხელისუფლებას აჭარელი ქალების გათვითცნობიერებაში... მართლაც დიდი კარგი საქმე მოხდა... სიამოვნებით მივდივარ ეხლა ბათომში! — ამბობდა ჩემი ახალი ნაცნობი, როცა გორს უახლოვდებოდით; (ლაპარაკი ქალების საბჭოებში წამოწევაზე მოთავსებული იყო).

— რაზე მიდიხართ ბათუმში?

ნათესავები მყავს, ბილეთი უფასო მაქვს და 8 მარტს ქალთა დღესასწაულსაც დავესწრებით; საინტერესოა — რეფორმა ჩადრის ახდაზე ახლად ჩატარებულია.

იმ საცოდავს ბათუმის მაგიერ გორში მოუხდა გადმოსვლა.

საქმე სულ უბრალოდ მოხწყო.

„მატარებელმა გორს მიაკივლა“, (როგორც პოეტები იტყვიან ხოლმე). ერთი ახალგაზრდა ქალი ბარგი-ბარხანით კარებისაკენ გაემართა და თან გაჰკიოდა: მომეცით გზა: ვერ მოვასწრებ გადასვლას!... მომეცით გზა.

— მომეცით ეს კალათი, დაგეხმარებით, მარტო ვერ მოერევით. — თავისებური ზრდილობით მიმართა მას ავსტრიაში ნამყოფმა.

— შენ ვის უბედავ მაგას!!! შენ გგონია მე უპატიოსნო ვარ?

— არა, ბატონო, რასა ბრძანებთ!

— რაშია, ქეთინო, საქმე? — ჩაერია მესამე ბოხი ხმა ლაპარაკში.

— აი ეს ვიღაც ოხერი ამეკვიატა და მოსვენებას არ მაძლევს!

ბოხი ხმის პატრონმა (როგორც შევატყვე ქეთინოს პატრონმა ამავე დროს) ლოთი ფოთურად „ჩააფარა“ ავსტრიაში ნამყოფს..

მატარებელი დაიძრა. მე ფანჯრიდან კარგად ვხედავდი თუ როგორ თავჩაქინდრული მიჰყვებოდა ავსტრიაში ნამყოფი მილიციელს და გულში ვიმეორებდი: რამდენი კაცი დაასახიჩრა ომმა, რამდენი?! აი ერთი მისი მსხვერპლი!.. მაგრამ არა უშავს! ისევე შეეჩვევა ჩვენ ყოფა ცხოვრებას! — გავიფიქრე და ყოველგვარ ნებართვის გარეშე გავაბოლე „ფედერაცია“.

სიმონაძე.

# სოფ. სხვადასხვა რამე-რუმე

ალმასკომის თავმჯდომარედ
არის ჩვენი ილო.
მსურს, რომ მისი საქციელი
ერთკლეთ განვიხილო:
გზები ყველგან დანგრეული
და ძეწყერი არი.
სკოლას მალე გაიტაცებს.
გაზაფხულის ქარი.
გლეხს აგინებს უშვერ სიტყვით,
არვის აგდებს ბუზათ;;
ამას წინათ ფუტიურ გლეხს
თავზე სთხლიშა ლუზა:
(არ გეგონოთ, რომ ეს იყოს
პოეტური მუზა!).

—:—

„სმა-ჭამა დიდათ შესარგი
დება რა სავარგულია“;
ასე იქცევა ვანოცა—
გლეხკომში შეპარულია.
მევახშეობას ეწევა
მოდის ფულები ოხრათა;
გლეხები საყვედურობენ:
— რად აირჩიეს, ოხ, რათა?
თავი კი ისე უჭირავს,
თითქოს სპეტაკი კაცია..
მაგრამ სუყველამ გაიგო
იმისი მახინაცია.
მას რევიზია რას ავნებს.
თვით შედის რევიზიაში..
ტარტაროზ, ვანოც ჩასწერე,
მფლანგველთა მაგ შენს სიაში

—:—

სსოლასა რყვნის აზნაურია
ჯაფარიძე ვლასი,
მუდამ მთვრალი, მუდამ სხვაგან,
და იქცევა კლასი.
როცა ღვინოს ძალზე დალევს—
უყვარს მაუზერი.
ისვრის ისე, რომ გგონია —
თავს დაგვესხა მტერი.
გლეხები ხმას ვერ იღებენ,
უცქერიან კრთომით,
(რადგან ვლასი ჯაფარიძე
მდევია თუ ლომი!).

ალი.

## საჭარის ალმასკომის მდივანი



გლეხი (მდივანს):—კაცო ილიკო, ნიკოლოზის დროს მწერალი იყავი აზნაურებში გქონდა საქმე; ეხლაც მაგათ პატივისცემაში ამოგდის სული—გამარჯვებას სულ მაგათ ეუბნები!

— გამარჯვება ამათ უნდათ, დაჩაგრული ხალხია!

# ვერიკინე და მართა

— დილა მშვიდობით, მართა. ხომ კარგად ბრძანდები, ქმრიმე; ქმარით, შვილებით?

— მშვიდობა და ბედნიერება ნუ მოგიშალოს, დაია, ახალმა ღმერთმა. რა ვქნა, დია, ქე ვარ ასე და ვათრევ ამ გაძაღლებულ სულს. შენ, რაფერ ხარ, ცავ? შვილები, რავა გყავს? რძალი როის მოგყავს? ხეფსი თუ გეყოფა წროულს? ზამთარს შეხაზირებული თუ დახვთი მაინც?

— მეტი შენმა და შენი შვილების დამაწყევარმა არ ქნა აფერი საქეთე. მოხაზირებული კი არა, პირდაპირ გამოხინკილებული ვართ. „ქრისტეს ტირილიაო" რომ იტყვიან, იგია ჩემსას ახლა. ბიჭია და (შენთან დასამალი აფერი მაქ). ამხელა კაძახი თლა უსარგებლო შეიქნა ოჯახიზა, შენ კი იცი, ჩემო მართა, რაფერ ეოცახვანი დამიტია სულ ცხონებულმა მაამისმა. ვიფიქრე, რაღამც დამტანჯა ღმერთმა, ასე და მარჩენალი ქი მუაცილდა, მე უპატრონეფ მეთქინ. ტანი არ მოპკლია და ფეხი. ლანჩხუთში რაცხა კლასები იყო ქე გავათევებიე სიმწრით. ვფიქრობდი — იქნებს რომე სამსახურში ჩიეკეტის. მარა სამსახური კი არა, დიეგდო შინ ძველ ხურჯინივით და ქი არის.

— ნუ გეშინია, ქალო. ბიჭმა თუ სადმე სამსახურში მეიკიდა ფეხი, მერე აფერი გიჭირს — თავსაც ქი ეპატრონება, ოჯახსაც. და შენც. ერთი კეკალი ბიჭის პატრონი ხარ და დროზე მუაყვანიე ქალი, რასაც ადრე მიესწრობი მის ბედნიერობას, ხომ იცი — კაია.

— უი, ცავ გადირიე? რძალი მევიყვანო და ჭირი მევიმატო კი არა, ციცაის რაფერ გუუძლო მეთქინ ვფიქრავ, მარა ვერ მომიფიქრავს.

— როვა. ქალო, ციცას ჯერ ათხოვ თუ რაი?

— გადირიე, ბიჩა! გასათხოვრათ ჯერ სად მცალია! მისი ქირიმე, რაცხა საქმეზეა ხელმოკიდებული, იმას დაამთავრებდეს ხერიანათ, თვარა გათხოვას მერეც კი მიესწრობა. ახლა თფილის ქალაქში სწავლობს.

— ხოო! კაი ძალიანი. რა სასწავლებელში გყავს, გულო?

— საკუშერიკეში. არის ფერშალაკუშერიკა იქნება.

— ყოჩაღათ ყოფილხარ, ცავ. ყოჩაღათ. ახალმა ღმერთმა ხელი მოგიმართოს, დია, ყოლიფერ საქმეში, ეი ციცაი კაი კლაში გყოლია სწორედ. ახლა იმფერი დროია, რომ ყოლიფერს აკუშერიკობა სჯობია. მარტო ლანჩხუთში რომ აძუნებული გოგონებია იგინიდან შემოსული ფული გყოფა ყოლიფერათ. ნუ გეშინია — კი არიან გამოსული საამქაროზე.

— რა ვიცი, მართა, რა ვიცი, ღმერთმა რომ როგიანად დაასრულებიოს სწავლა, ვინ იცის — ვის დიეფსკვნება კუდში. მარა ასე დამწვარი ბედის თუ შევიქნები, რა უყო ახლა!

— ყოჩფელი კაი გაგახსენდა. აგერ დაწვაზე მომაგონდა ახლა: გაგიე ქერქაძე, კომპერატიის წავედაო, სიმართლეა თუ იცი.

— რა ვიცი, ქალო, კი თქვენ წავედაო, (დეიწვა მისი ორი სამზერი თვალები) კომპერაციას რას ერჩოდა, მარა ძაღლებმა დაძიძგნა მის საკუთარი ხორცი, რაცხა ნამამაძაღლები ექნებოდა ალბად შით.

— იგი მას! კი იყო გამწარებული ამ ბოლოს. და ყველას კბენდა ცოფიან ძაღლივით, მარა უყაროს აწი კაკალი. დაედუს და ჩეჩოს მატყლი.

— ნეტაი მაგიორს ვის აყენებენ ახლა თუ იცი?

— აპალო დუუყენებიენ აქეთ კომპერატიაში, ულვაში აპალო რომ იყო.

— უი, რა მითხარი მაგი საშინელი! აგი უჯრესი კონწარი დუუყენებიან. ერთ გემრიელ ენას ვერ გეიგონებ მისგან! მარა კიდევ თუ დაეწყო ხალხთან კვიმატობა, ქი გააჭრელებს ვინცხა „ტანტაროზში" და მაშინ მაინც კი ისწავლის ჭკუას.

— უი, ქალთო, ჩვენც არ ჩაგვაკეეტოს ვინმემ მაი რაცხა „ტარტაროზია" იმაში. ნუ გეშინია კი დაველამეთ დღეს ამ გეგუთ შარაზე. წავალ აწი. ნახვამდის დია, მშვიდობით მენახოს შენი თავი.

„მარტისა".

# წერილი ტარტაროზს

სოფ. ილორი (ქუთ. მაზრა)

ჩვენ აღარ გვინდა სიცუდე,
გავკიცხოთ უნდა ყოველი.
შენ ჩანგალს მტრისთვის ნალესსა
დაუყონებლივ მოველით.
საბავშო ბაღი ისე სჩანს
ვით ცაზე მთვარე მავალი.
მისი გამგეა მარიკო—
არსება ენა-მრავალი.
ენა დიდი აქვს,—საქმეს კი
მისას არ უჩანს თავია;
კრებებზე, გლეხებს ატყეილებს,—
(არ მოსწონთ ეს ამბავია).
სოფლის საჭირო საქმენი
არ არის გაკეთებული
ნეტავი რათ ჰყავს ნესტორას
გლეხები დაფეთებული?
კრებას კრებაზე იწვევენ,
ირჩევა კომისიები.
საქმეს არავინ აკეთებს,
ხელში გვაქვს მარტო სიები.
„ქოხ-სამკითხველოს ვაშენებთ"
გაისმის ხალხში ხმებია.
სამი წელია ველოდით
და ჯერაც არ გვღირსებია.

ბრაგუნა.

# ქობულეთის რამე-რუმე

ეხლა მზე არ აფერადებს
მაგნოლიის ლამაზ ყლორტებს;
თოვლი ცვივა პეპლებივით,
თოვლი ფარავს ნაძვის ტოტებს.
ზღვა, ტალღები; ნისლი; მთიები
და ჩადრ-ახდილი ქალთა გროვა;
იცის ყველამ, იცის ბავშმაც
რომ ბრძოლის და წინსვლის დროა:
სადგურიდან მივალ ნელა
ალარსად სჩანს სილამაზე
წინ კი ქუჩა მეგებება
ლაფითა და ნეხვით სავსე.
— არა უშავს,—ვამბობ და, თან
ავიჭარე ფეხის ნაბიჯს;
თვალი მოვკარ ყავახანას
აჰყვას გალმით რომ ძევს მარჯვნივ
შევიარე და რას ვხედავ
გულზე ცეცხლი მეპიმენოო;
დომხალივით არეული
ყავახანა იყო ეროობ.
ზოგი ცხვირით სისხლს არწყევდა
ზოგს უშინდეს, მუშტებს თავში;
შიშისაგან მავიდოს ქვეშ
შემძვრალიყო ეიზ ჯაში.
გლეხები აქ ფულს აგებენ;
მშრომელები აქ დროს კარგავენ.
საჭიროა მილიციამ
შეიპერტყოს ყური მაგრად.
გზად სიმღერა შემომესმა
სანეტარო და საამო...
მსურს გლეხკომის თავმჯდომარეს
ანდღულაძეს მივესალმო;
აფართოვებს გლეხკომს ისე.
(და თვით ხარობს ალბად გულში),
რომ მან შესძლო მისი ცოლის
მოთავსება სამსახურში...
ალმასკომთან ირხეოდა
სისხლის ფერი ნაზი დროშა,
ვეძიე და ვერსად ვნახე
„ბუღლატერი" ალიოშა.
მსურდა მეთქო: სად დაძვრები,
შენი პოვნა — არის ჯვარცმა;
ჯამაგირის მისაღებად
სანამ უნდა გდიოს კაცმა?!
მივალ ქვევით, ვერვინ ვნახე
რომ ვადიდო და შევაქო.
„ხელი თუ გაქვს მოტეხილი
გეტყვის:—მალარია გაქვსო".
ოსილოვზე უამბობდა
ნაცნობ გლეხებს ერთი გლეხი,
მივალ ქვევით და თან ვშიშობ
არ მომტეხოს ვინმემ ფეხი.
ვხედავ შვიდწლედს, სადაც კოწოს
ერია სულ მთლად საქმე,
იმ ჩვენს კოწოს, ნაცნობ კოწოს
გაზეთებში ხშირად „ნაქებს".
საქმე შემდეგს გვეუბნება:
(მეც შევიფხან შეშმარ თავსა)
სტეფოშ ცოლი წამოსწია
და შვიდ წლედში მოათავსა.
კოწოს სურდა მიხიანი
რომ მოეწყო სამსახურში;
ამ ქალოს აქ მოთავსება
რა ჩვასმა ფიჩორ ყურში,—
აქეთ-იქეთ იწყო ძრომა,
იცანცალა, იტრიალა;
„ამბოხება" მოაწყო და
თვით უნდოდა გახელა მშრალად,
მაგრამ, ოო, მაშინ ნაცვლად
გაუგორდა მას იაქე;
კპილ ვალეხილ კომისიას
გადეცა მისი საქმე.

ვბრუნდები და თავს ცუდად ვგრძნობ,
გულზე დარდი მემატება,
გზაში საქმე განიჭორვეს
ცვატიებმა და ბატებმა;
ახ, კინაღამ დამავიწყდა...
ასე მიხვრეს მე გლეხებმა...
წელს ბანკში აქ თურმე „ისპ.
ჰანდარიეის დამთვლელებმა...
ვბრუნდები და სიმართლეს ვწერ
არ ნავდივარ სიმორცხვეს;
ეხლა ნელა მოდის თოვლი,
თოვლი ჰფარავს ნაძვის ტოტებს.

დანო.



# ჯოჯოხეთის კუთხე

## რომელია ავადმყოფი — ექიმი, თუ ავათმყოფი?

იტყვიან: „ჯერ თავი და თავი. მერე... სხვებიო"..., მაგრამ ასე არ იქცევა ზოგიერთი ექიმი, და, მათ შორის, თუ გნებავთ, ექიმი აბდუშელიშვილი.

ის მივიდა სახლში სულიერ ავათმყოფთან და... მაგრამ მოვუსმინოთ „დაზღვეულს":

„შეაღებს კარებს, დაბრძანდება სკამზე და ირონიულ გრიმასებით ჰყვირის: — აი მოვედი, რას გვიბრძანებთ, რომ მაგის მორჩენა შეუძლებელია — ქვეყნის ექიმები რომ დაასიოთ, არ მორჩება!

მართალს ამბობს ექიმი — ქვეყნის ექიმები, რომ ყველა მისანა იყოს, მართლაც რა მოარჩენს ავათმყოფს!

რა თქმა უნდა ექიმის ასეთი საქციელი ავათმყოფს კი არა, რკინის ნერვებიან კაცსაც დაუკარგავდა გონებას და...

ნერვებაშლილმა და ჭკუადაკარგულმა ავათმყოფმა აგრძნობინა ექიმს თავისი ავათმყოფობა.

ასეთი საექიმო ექიმები ბევრი ჰყავს ჩვენს ამბულატორიებს.

დავასახელოთ აბდუშელიშვილის ერთი ერთი კოლეგა — ექიმი კშონძის ქალი.

ამ ექიმს (უკაცრავად თქმაა) გრიპის ისე ეშინია. როგორც თაგვს კატის.



მას ეშინია ავათმყოფის გასინჯვა, არ ეკარება მას, და ზეპირად უწერს წამალს.

სამებაა ღმერთი (მისი მადლი შეეწიოს ასეთ ექიმებს) და დავასახელოთ მესამეც, თორემ ექიმ ნაცვლიშვილს ეწყინება და საყვედურს გვეტყვის:

— რით ვარ მე აბდუშელიშვილზე და კშონძის ქალზე ნაკლები? განა მე არ ვიცი რომ:

ყველა ავათმყოფობა
არის მხოლოდ ანგინა,
და მოარჩენს ავათმყოფს
ასპირინი, ან ქინა.

კარგი იქნებოდა (და აუცილებელი საჭიროებაც არის), რომ ასეთ ექიმებს უაქიმებდენ, მოარჩენდენ და შემდეგ გაუშვებდენ ავათმყოფთან.

## დიაკვანის პარაკლისი... წასულა საქმე მისი



თითქმის ყველა სოფელშია ნაწილ-სარ-ნადიაკვნარი გვამები. ამ მხრივ აედნიერ გამონაკლისს არც სოფ. ვარციხე (ქუთ. მაზრა) წარმოადგენს.

დაიწყო საბჭოთა არჩევნები და დაიწყო ზარების რეკა დიაკვან ბესარიონმა.

— **ხალხნო, ამირჩიეთ საბჭოში, თორემ წასულია საქმე! (ვისი?) ხმა მომეცით და თეთრ-ოროლა პარაკლისს გადაუხდი თქვენს მიცვალებულებსო. ღმერთი მოწყალეა და ყოვლის შემძლებელი...**

მაგრამ, როცა დიაკვანს არ გაუვიდა თავისი ოინი, ხელები აღაპყრო მაღლა და ღმერთს შეუკურთხა:

— ჰაი, შენი მამისული... დამღუპე კაცი... ხელი ავიღე სინდისსა და პატიოსნებაზე—შენ გემსახურე და შენ კი საბჭოში ვერ გამიყვანე.

## თავმჯდომარე დვალი... ქრთამებზე აქვს თვალი

დარვინმა თავისი ევოლიუციური თეორია ცხოველებზე დაამტკიცა. ეხლა რომ ის ცოცხალი ყოფილიყო, მას ერთი კარგი ეკზემპლიარი შეემატებოდა. ეს იქნებოდა ირაკლი დვალი, (კიცხის თემი, შორაპნის მაზრა).

თანახმად დარვინის ევოლიუციონური თეორიისა), ირაკლი ნიკოლოზის დროს მამასახლისი იყო. მენშევიკების დროს, ვინაიდან მამასახლისს კომისარი ერქვა, — კომისარი გახლდათ, ხოლო გასაბჭოების შემდეგ გლეხკომის თავმჯდომარედ წამოსკუპდა და... აი, აქ მოიტება კისერი ოც მანეთზე.

— **ოცი მანეთი ავიღე ქრთამად, თორემ მეტი ხომ არ ამიღია? ოცი მანეთი რა ფულია, რომ ამის გამო გემრიელი ლუკმა პური დამიკარგოთ! — წუწუნებს ეხლა დვალი, მაგრამ...**

აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო, — ეუბნებიან მას.

## თავმჯდომარე ბაგრატა—გასაცოცხი მაგრათა.

—ეჰ!—სთქვა გომბორის აღმასკომის თავმჯდომარემ და ხელი ჩაიქნია.—თუ კულაკებზე არ ავიღე კურსი, ღარიბ გლეხობაში ხეირი არ არის. გეჯუგათ პავლე სალდათობისაგან გავანთავისუფლე და მხოლოდ ერთი ქილა კარაქი მომცა...

როცა ამ ფიქრებში იყო ბაგრატი, ხმა მოესმა:

— სალამი ბატონო ბაგრატ... ეს ისე რაღა, ნახე რა მშვენიერი ჰველია!—წოქოთ გიორგიმ ყველი დაუდგა ერბო ქილა.—შენ შემოგევლე, ეს რა არის, შემდეგში ნახე პატივისცემა, ოღონდ კულაკი არ მიწოდო, ხმა არ წამართვა!



და მონათლა კულაკი გიორგი
„ღარიბად" და „შავ სიიდან" იშლება,
დადის და ღიღინებს ბაგრატი:

**წუთი სოფლის სტუმრები ვართ,**
**ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება;**
**ეს სოფელი უნდა სჭამო,**
**ამის მეტი რა შეგრჩება!**

(„ხომ სწორია?").

ვინ იცის — შერჩება თუ არა!

## უყვარს ფართო ცხოვრება და სწამს სულის ცხონება

ისტორიის კორექტურული შეცდომის ბრალია, ალბად, თორემ, ბენიამენ თავდიშვილს (ნიგოითის თემი) გვარი თავდიშვილი კი არ ექნებოდა, არამედ თავა-დიშვილი. (ალბად „ა“ გამორჩათ „ვ“ შემდეგ).

მაგრამ არა უშავს. პირიქით, „დღეს ისეთი ხანაა, რომ თავადიშვილობას თავდიშვილობა სჯობია“.

დაობლდა „მცირეწლოვანი“ ბენიამენი, — გარდაეცვალა 90 წლის ჯეელი მღვდელი მამა. რა ჰქნას ობოლმა! პარტიული კაცი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა... მაგრამ ნახა გამოსავალი. „არც წვადი დაიწვება და არც შამფური“...

გადიხადა ქელეხი (პური „თავისს კოოპერატივიდან“ გააცოცა). ამით გული მოიგო ღმერთისაც და მორწმუნეთაც... ხოლო მის „წმინდა“ რევოლიუციონჩრობაში რომ ეჭვი არ შესვლოდა, წითელი დროშაც ააფრიალა გასვენების დროს.



რა თქმა უნდა, ბენიამენს პატივისცემა უნდოდა მიცვალებულ მამისათვის, რომელმაც ერთგულად ემსახურა ღმერთს, რისთვისაც ეს უკანასკნელი ცხონებას ჰპირდებოდა მას, — მაგრამ პირიქით გამოუვიდა ბენიამენს — მამას დაუკარგა ცხონება და სამოთხე. ამბობენ — ღმერთმა თვალი მოჰკრა წითელ დროშას სამგლოვიარო პროცესიაში და მიცვალებულს დაემუქრა:

— ჰააა, ყმაწვილო, შენ რევოლიუციონერი ყოფილხარ და მე კი მატყუილებდი? მაგრამ მობრძანდი აქ, და სამოთხისა და ცხონების მაგიერ, ჯოჯოხეთში გაკვრევინებ თავს!-ო.

ეს სულ ბენიამენის ბრალია, რომ მამას სამოთხე დაუკარგა.

## მადა მოუდის ჭამაში, დაგვერწმუნეთ ამაში

ჩვენ სრულიადაც არ გვიკვირს (და არც გასაკვირია, რომ გრიშა ჭკუასელი თანდათან „არისტოკრატ-დიდკაცდება“.

კაცი, როგორც თვითონ ამბობს, ეხლა არის შოვნის მულამში თორემ...

თორემ არც ისე წინდაუხედავი და უჭკუოა (განა ტყვილად არის ჭკუასელი?!), რომ ვერ მიხვდეს, — რაც ხანია პანღურს ამოჰკრავენ და მიაბრძანებენ სახლში, სადაც მას დახვდება ყველაფერი. ხან სოფელში იცხოვრებს, ხან ქუთაისში, ორივე ადგილას აქვს სახლ-კარი და მამული. — კაცს ჭკუა უნდა, თორემ გამდიდრება ადვილი საქმეა, მით უმეტეს, როცა ზაკტპოში მსახურობ. მე კი, როგორც თვით ჩემი გვარიც ამას ადასტურებს, ჭკუიანი ვარ!

გარდა ამისა, მე ვარ საჭამიასერელი.

ჩემი კუთხის სახელწოდებაც ხელს მიწყობს, რომ ეს „წუთი სოფელი“ ვჭამო ჩემს გემოზე... ეს ქვეყანა საჭამია... (საჭამიასერი).

რას ვერჩით ჭკუასელს!?

კაცი მეცნიერულად ამტკიცებს, რომ მისი საქციელი დასაშვებია და გამართლებულიც.

ბოლოს დასძენს: — ასეთი ჩქარი ტემპით არ ავაშენებდი სახლ-კარს ერთდროულად სოფელსა და ქალაქში, მაგრამ მოახლოვებულია პარტიული წმენდა და, ცოტა არ იყოს, ეს სახიფათოა... ყოველთვის გაძრომა ძნელია!

## ცნობათა მიღება



**მეძიბეს** (დუმანისი, ტფ. მაზრა)—მოსამართლე ნოდიაზე გვწერთ:

> **რასაც მოგწერ, ტარტაროზო —**
> **ეს ტყუილი როდია!**
> **„დიქტატორად“ მოგვევლინა**
> **მოსამართლე ნოდია.**

ნუ თუ მართლთა ფიქრობს ნოდია, რომ „მოსამართლე თვითონ მე ვარ და ვინ გაბედავს ჩემს გასამართლებას“-ო.

**კატო.-შვილს,** (ოზურგეთი). განა ყოველი თხოვნა შესაწყნარებელია?! არ დაიბეჭდება.

**ყაილას**:—ანალოგიური მასალა მოთავსებულია „ტარტაროზი“-ს № 192-ში. შესაძლებელია თქვენს დაუნებურად „გადმოისესხეთ“ იმ წერილის შინაარსი.

**კუსტის** (ლანჩხუთი). ალბათ ტყეს ზიანი ჰქონდა მიყენებული. დაუსაბუთებელია.

**ხონელს.** (ხონი). ტარტაროზს სწერთ, რომ:

> **მოგიყვები სათითაოდ**
> **თუ ვინ არის დარდი-მანდი.**
> **სახერხ ქარხნის ზოგ მუშებზე**
> **არის ერთი კარგი ნაკლი...**

ჩვენ არ გვესმის რას ნიშნავს „კარგი ნაკლი“. (ნაკლი როგორ შეიძლება კარგი იყოს?!)

მაგრამ ყველა ამას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ არა გვგონია, რომ ტარტაროზის ჩანგლის წვერმა გამოასწოროს კოლა და ვასო, რომლებიც:

> **ქეიფობენ სულ მუდამჟამს,**
> **თუმც ჯიბეში არ აქვთ გროში.**
> **უყვართ ეტლი და გარმონი,**
> **მათ დიდი აქვთ მადა, ხოში.**

ვერც მეპურეს უშველის ტარტაროზის ჩანგლის წვერი. ისევ და ქარხკომი გამოასწორებს ამ მდგომარეობას.

**ძველს** (საჩხერე). განა ფსევდონიმი რომ „ძველი" გაქვთ, ამბავიც ძველი უნდა მოიწეროთ? აკი გვქონდა ზაბახიძის „მეორე ქრისტეზე" „ტარტაროზში".

**გრი-გრი-ტეს** (სამტრედია). თქვენს ლექსში ერთი კარგი ადგილია მოსაწონი:

ერთხელ წავედი შემთხვევით
ქალაქის საავათმყოფოში,
კარებთან რომ მივაწიე,
უცებ ჩავარდი ტყოპოში,

ეს არის ყველაზე უკეთესი სტრიქონები. დანარჩენი თუ როგორი იქნებოდა, ყველა მიხვდება.

**მარანჭალელს** (საჭილაო). რას ერჩით გამგეს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ:

მთვრალი იყო, გალეშილი
რომ იწოდა ტყის ქარხანა.
თუმც შენობა კი გადარჩა,
თავი არც კი შეიფხანა, — გლეხებს ერეკებოდა:

არა გვინდა თქვენი შველა,
რას გახდებით გლეხებიო;
ყარაულო, გამორეკე
მიამტვრიე ფეხებიო.

ბოლოს ასე ათავებთ:

ტარტაროზო, რა ეკუთვნის
ასეთ გამგის საქციელსა?

რა ეკუთვნის და, სხვათა შორის, ხეირიანი და მარილიანი წერილი „ტარტაროზში" გამოსაჭიმაკად, მაგრამ თქვენი წერილი ვერ ამართლებს ამ დანიშნულებას.

**დ. ხონელს,** (ხონი). ჩვენ გვიკვირს, თუ როგორ მოსვლია ასეთი კარგი აზრი წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელს, რომელიც, თურმე, დიაკვანს ეუბნება:

დავანებოთ ბარემ თავი,
ნუ ვართ მუქთა ხორებიო.
აქ სიარულს, წირვა-ლოცვას,
სჯობს, რომ ვმწყესოთ ღორებიო...

თუ მცირეოდენი ჭკუა კიდევ დარჩენილა დიაკვნის თავში, ალბად დაუჯერებს მღვდელს.

**ალურთქულს.** რა ვქნათ! შევდივართ თქვენს მდგომარეობაში და გვინდა შევიწყნაროთ თქვენი თხოვნა:

დამიბეჭდე, გენაცვალე,
შეიბრალე ჩემი თხოვნა,
თორემ გულში კვლავ დაიწყო
ქარბუქი და წვიმა, თოვა,—

მაგრამ რა ჩვენი ბრალია, რომ ლექსის წერა არ გეხერხებათ! ნურც ჩვენ გვაყენებთ უხერხულ მდგომარეობაში. სხვა დარგში აინჯეთ ნიჭი, მაგალითად — სხვებიდან ლექსის გამოწერა. ამ დარგში, გეტყობათ, გამოდგებით, რაც ჩანს, თქვენს შემდეგი შემოქმედებიდან:

მარტმა სთქვა: „თოვლ-ჭყაპს ვაპირებ,
ღმერთო მიმართე ხელიო".
აპრილმა შემოუთვალა:
„რატომ ხარ ჭკუა თხელიო?".

სწორედ რომ კარგი პასუხი გაუცია აპრილს მარტისათვის. ჩვენც რომ თქვენსავით დახელოვნებული ვიყოთ სხვის შემოქმედების მითვისებაში, აპრილის პასუხს შემოგითვლიდით და შესაფერიც იქნებოდა.

**„უანს"** (შემოქმედი) გვწერთ:

ბერ-მონაზონი შეიბნენ
„ჩემია ბალჩა-ბალიო".
ხელები სტაცეს ერთმანეთს,
არ ჰქონდათ იარაღიო.
შიგ მონასტერის კედლებში
ტიტიკომ სძლია მართასა.
(არ ვიცი, რასა ფიქრობენ,
ამას ვერ ვიტყვი მართალსა).

აქ სხვა ვინ იქნება დამნაშავე, თუ არა ისევ აღმასკომი, რომელმაც მონასტრის ქონება დაუბრუნა ბერ-მონაზონებს!

**არ-მის.** (გურიანთა). სახელსა და მამის სახელს სწერთ წერილზე, ხოლო გვარის (რაც მთავარია) მოწერა დაგვიწყებიათ. ეგებ ამას განძრახ შვრებით, რომ არ გაიგოს თქვენი ვინაობა, ვალოდიამ, ბიჭიკომ და ისაკიმ, რომლებიც:

თავსა დაესხნენ მეცხვარეს,
კინაღამ გააძვრეს ტყავია.
მაგრამ გაუგეს, შეიპყრეს,
გამსახლში უკრეს თავია....

თუ ეს ასეა, (რაშიაც ჩვენ ეჭვი არ შეგვდის), აქ საშიშარი არაფერია — რედაქცია თავისი თანამშრომელის ვინაობას არ ამხელს. (ვერც დათიკოს „დაფაცურება" უშველის მათ).

**ეცის** (ოზურგეთი). ჩვენ არა გვაქვს იმედი, მაგრამ რაკი თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ „ტარტაროზში" მოთავსებითა და „ჩაგდებით" საქმე გამოსწორდება, — ჰა, ვასრულებთ თქვენს თხოვნას და ვბეჭდავთ:

შუაღამეს ხვდება ძაღლები ყეფით,
ძილში არიან შრომის შვილები—
და გიორგისთან ფეხის აკრეფით
იკრიბებიან შავი ჩრდილები.
ზარის გორება და რია-რია,
კარტის დაჩითვა „სულის ბერებით"..
„დაიწვი განა?... რა გიხარია!
თუ არ ხარ მეტი, რას იბერები?
ვერავინ უგებს სოლომონს ფრთხილსა;
„რისკით" ცნობილი არის ჯაბუა.
იცის: „ვერ იხსნის შიში სიკვდილსა",
ცუდია ტუზზე წვერა ბაბუა!

მოთამაშეები კი ასე იმართლებენ თავს: — რა ვქნათ კლუბი დახურეს და აბა სად უნდა ვითამაშოთ-ო! (სწორედ ამიტომაც დახურეს ალბად).

აბა ვნახოთ, თუ გამართლდეს თქვენი იმედი.

**ფარ-ნის** (ჭიათურა). ძალიან მცირე ძღვენია. ორი-სამი მიკიტნისათვის ჩამოსვლა მანდ არც კი ღირს.

**აზარმაცს,** აზარმაცის რა მოგახსენოთ და, ჩვენ გვგონია თქვენ ფსევდონიმად უფრო შეგეფერებათ ესეც ვე სიტყვა პირველი ასოს გამოკლებით. „გადათეთრება შემეზარა და შავად გიგზავნი-ო". ჩვენც დაგვეზარა ბოლომდე ამ იეროგლიფების კითხვა და... და კი მიხვდებით სადაც გავგზავნიდით.

**მესტვირეს.** თქვენი მესტვირული ასე იწყება:

დიდი ხანია, რაც ხელში
არ ამიღია სტვირია...

ჭკუას იზამდით, რომ არც ეხლა აგეღოთ და გაგეგრძოთ „მშვიდობიანი ცხოვრება".

პოლიგრაფტრ. მე-5 სტამბა, კამოს ქ. № 68.

# თვითმპყრობელობის უკანასკნელი ტახტი

ა. ნ. უ.



„წმინდა“ გრიშკას „სკოლა“, რომელიც სამუდამოდ დაიკეტა

წელიწადი მეექვსე
კვირა. 17 მარტი 1929 წ. № 12. (196) ფასი 10 კაპ.

# ტარტაროზი

## კრიტიკის წარმატებისათვის




— შენ, ეი, ზევით ასწი, ზევით! არ გაგიგონია: „კრიტიკას რაც შეიძლება ზევით უნდა აუწიოთო"?!
— ნუ სწუხდებით! სწორედ თავის ალაგას ვუმიზნებ!





# მ უ შ კ ო რ ი

რომელმან შეჰქმნა საბჭოთა ქვეყანა თვის ძლიერითა;
ზეგარდმო მავნე წარეცსა ოქტომბრის მონაბერითა;
ჩვენ მოგვცა თავისუფლება, — ვვაქვს დროშა წითელ ფერითა —
მისგან არს ყოვლი სიკეთე მრავალ ხალხთა და ერითა.

მუშკორის თვალსა საჭვრეტად ჭმართებთ მართვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმძიმე, სიმართლე, არ სწამდეს შენ და მეობა,
ენა, მახვილი გონება, მიუდგომელი მხნეობა, —
ვისაც ეს სრულად არა აქვს აკლია მუშკორთ ზნეობა.

მუშკორობა არის საქმე საცოდნელად ძნელი გვარი,
მუშკორობა სხვა რამეა, არა შარის დასადარი;
იგი სხვაა, შარი სკხვა, შუა უზის დიდი ზღვარი,—
ნურვინ გარევთ ერთმანეთსა, გესმაათ ცეკას ნაუბარი.

ამას საქმესა მუშკორი ნუ უხმობს მუშკორობასა:
დღეს ასე ამბობს, ხვალ ისე დაიწყებს სიტყვის თმობასა,
ესე მოქცევა გვაგონებს თავისი თაიის გმობასა,—
კარგი მუშკორი იგია, ვინც გაამართლებს თხრობასა.

არს პირველი მუშკორობა— არ შედრეკა და არ მალვა.
მუდამ ჰქონდეს მასალები, არ დაუდგეს არ დროს გვალვა.
შორს ხედავდეს, შორით სჭვრეტდეს, თემა ჰქონდეს მუდამ ხალვა,
დასთმოს წყრომა გამგეთაგან, არა ჰქონდეს შიში-კრძალვა.

მუშკორთა ჭმართებს მხილებად თქმა სიტყვის არა ტკბილისა,
გასინჯვა ბიუროკრატთა შავ გულის, თეთრი კბილისა,
ქალბატონ პროტექციისა— ძვირფასად მოწყობილისა,—
გასტეხს ქვასაცა მაგარსა კალამი ტყვიის რბილისა.

მას მუშკორი არა ჰქვია თუ სადმე სთქვა ერთი, ორი;
თავი ტოლი ნუ ჰგონია მას მუშკორთა კარგთა სწორი;
განა სთქვა ერთი-ორი,—სამი არისმათში ჭორი—
მაინც ამბობს: „მართალია“ და ჯიუტობს, ვითა ჯორი.

მუშკორობა უკვე არის წითელ ჰ[illegible]
ყურში ტკბილად გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
ყოვლ ერთგულს იამების, თუ კი არის კაცი ვარგი,—
გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის, მუშკორია ამით კარგი.

ისელი.





## გავრეკოთ სახელმწიფო აპარატიდან—



ბიუროკრატები, გაიძვერები, უსაქმურები.

„პროჟექტორი"-დან

# გლეხკორის წერილი ცოლთან

რასა იქ და რავა ხარ გულბოყვში, ჩემო ელისაბედ! მე უბედურო, ტირილით რომ გამომაცილე სტანციიდან და დეიპუტე ყორისფელი, არც ისტე ყოფილა საქმე შენ რომ გეგონა! მაინც და ნამეტანი ქენი, რავა გეკადრება! „პოეზი", რომ ეინძრა და კეკალ-კეკალ გადმოყარე ცრემლები თელათ დამაწყდა გულის ძაფები! რამდენი ცრემლი მე შენს მოშორებაზე გადმოვაგდე, იმდენ წელიწადს არაფერი გეტკინა, მარა რალაი ხალხმა კი დამაფასა და ამირჩია, ველარ ვსთქვი. აადა რეიზა უნდა მეთქვა ვარი! დელელანტათ მამაჩემი არ ყოფილა და ბაბუაჩემი. მუშ-გლეხკორთა თათბირის წევრი ვარ, ხუმრობა კი არაა, შენ რომ მოგშორდიდა ეინძრა „პოეზდი", ერთხანს ქე მქონდა. ჩამოგდებული ჩიჩვირი და ცრემლები მახრჩობდა, მარა რალაი დევინახე ვაგონში აი, მთელი საქართველოს მუშ-გლეხკორები, მეც გევიქიმე სამკაპიკიანი ტარანსავით და ჩავერიე ამ დელელანტებში. მაინც ამდენი მუშ-გლეხკორები რამ წვიმა და რამ თოვა! ქალები, ელისაბედ, ქალებიც ქე ყოფილა მუშ-კორები! დედა, აი, ყველას რომ ქონდა გარქობილი ღლიაში დახვეული კედლის გაზეთები ჩიბუხის ტარივით, სწორეთ კაი სანახავი იყო, შენ ნუ მოუკვდები ჩემ თავს! ყველა მხიარულობდა, ყველა იცინოდა და ისტე სიცილ-ხარხალით ჩავედით ტფილის ქილაქში. მეც ქე მეერიდომე პატარა წახალისება, მარა რომ მომაგონდა შენი დაკვარკვალიტებული ცრემლები, კინაღამ გედევირიე კაცი! კიდო ააშენა ღმერთმა ქუთაისელი დელელანტები, რომე მხიარული ბიჭები იყვნენ და სულ მასხრობით ჩავედით ტფილისში. შეგვიყვანეს განათლების მუშების სახლში, მოგვცეს ახალი მანდატი და კვიტანციები: საუზმის ჩაი-სადილის და ვახშმის. დაგვირიგეს კაი ადუკანტებივით თითო საწერი ბოლოკ-ნოტიო, თუ რაცხა ჯანდაბა და კალანდაშები. დამესიენ აგი მეკარტიქკე ფოტოგრაფები და ხან წინიდან მიღებენ კარტიქკას და ხან უკანიდან! „შენო, დელელანტი ხარო და გაზეთში უნდა ჩაგაკარტიქკოთო! გედევილე, მარა რალაი! შენ უნდა ჩაფათრეთებოლიყავი ჩემთან, ჩემო ელისაბედ, რომე მადლი იმასა ქონდა! მე შენ გითხრა და არ გამოხვიდოდი მარჯულავივით. მარჯვენიდან მოგაყენებდი იმ ფოტოგრაფს და რალაი ის ელამი თვალი კი დეიფარებოდა, მერე რომელი ქალი გაჯობებდა სილამაზით! სანამ კრება დეიწყებოდა დაგვაყინეს ზალაში და ყველას ოთოთხი გაზეთი დაგვირიგეს მუქთად. აგი ქართული გაზეთები ქე გადავაწყე გვერდზე დროებით და რომ ნაკლები სორტის დელელანტათ არ ჩამაგდონ თქვა, პირველათ რუსული გაზეთი გადავშალე. მერე გეიხსნა კრება და ილაპარაკა ბიძია მიხამ, მარა გვარიანად კი ილაპარაკა შენ ნუ მოუკვდები ჩემ თავს! ცხონებაც და წაწყმენდაც აქანა ყოფილა, ჩემო ელისაბედ. ახლა ტრიატს, არ იტყვი ბეჩა! წაგვიყვანეს რუსთაველის ტრიატში, მარა გედევირიე სწორედ, რომ დევინახე, მაქანე რაცხა ბელელში რომ მართავენ ტრიატს ჩვენი სოფლის ბიჭები, ისტე კინუ გგონია! ვაი, ჩემო დღეო, სად ყოფილა სამოთხე და სად გაგზავნიდა ჩვენი თეძო მონგრეული ხუცესი! მაცა მე შენ, ერთი ჩამოვიდე მაქანა და მაგან დამიწყოს მერე სამოთხეზე ლაილაი! დურაქი! მეორე დილას გეიხსნა კრება და შეიქნა ლაპარაკი, ჩემო ელისაბედ, მარა სწორედ თაფლი გადმოსდიოდენ პირიდან მოლაპარაკეებს! საღამოს კრებაზე შამევიდა მეკარტიქკე და მოგვაშირა ზარბაზანივით მისი კარტიქკის აპარატი! „იგი ცალკე ჩაგაკარტიქკეთ და ახლა ყველე ერთად უნდა ჩავაფათრეთოთო! გადევისვი უცებ თავზე ხელი, ულაშები ზევით ავიკვრიხე და შიგ შუა კეკალ ტრუბაში დოუწყე ყურება, რომე არ შამერცხვინა ჩვენი სოფელი და გვარიანი გამოვსულიყავ კარტიქკაში. რომ გაასწორა ეს აპარატი ფოტოგრაფიკმა და მერე ეილო ხელში რაცხა დიდი ქესტის ტრუბა და წოუკიდა ცეცხლი! ეინთო, ეინთო და რომ ევიდა ზევით აგი უშველებელი ალი და „ბუხ!"-ო —დეიძახა! მისთანა იფეთქა, რომ ერთი კი მოვასწარ: ვაი, საცოდავო ჩემო ელისაბედ თქვა და მოწყვეტილი გევიქელვართე პოლზე! დამესია აგი ხალხი. ზოგი სულს მიბერავს, ზოგი საყელოს მიხსნის და რავარც იქნა მოვსულიერდი, მარა მისთანა მოსულიერება მიეცა შენს მტერს! აღარ ვარგვარ, თელათ მევიშალე კაცი პრუუნებში! თურმე ლამის სინათლეზე რაცხა პარაშოკებით იღებენ კარტიქკას და მე რა ვიცოდი უბედურმა! ტრუბამ რომ იფეთქა, მე მეგონა რაცხა გასკდა-თქვა და შიშით კინაღამ მივეწიე ბაბუაჩემ კონდრატის! მე სხვას კი არაფერს ვჩივი, ჩემო ელისაბედ! ის გემოზე რომ შევისწორე ულაშები და გოუჭვრიტე ტრუბაში, კანკრას მაშვინ იფეთქა იმ ჩემი ცოდვით დახრუკულმა! რომ დავალე ხარხა და მოვრთე ღრიალი, თურმე, მაშვინ ჩამაფათრეთა! ახლა რომ წეიღებენ ამ კარტიქკებს ის დელელანტები, რას იტყვის ხალხი!.. ვინაა ეს ღრანჯ-მოჭყეული კაცი!..

[illegible]

# მუშკორესპონდენტის სიმღერა

ჩემი კალამი — შუბია,
სიმართლე — ლალი მერანი;
შევებმი, შევებრძოლები,
ძირს დავცე მტერი ვერანი.
რამდენი ბიუროკრატია,
აღვსილი მტრობა-შურითა;
კულაკი გარეთ წუწუნებს
შინ კი მღერს სალამურითა.
ჩვენს ფხიზელ თვალყურს ვერ
აცდეს?

მათი ოინი — ხრიკები;
რომ დინგი იმათ ასწიონ
მტკიცედ სდგას ჩვენი რიგები
საბჭოებს გვერდით უდგივართ,
აგურს აგურზე ვალაგებთ;
სოფლები ჩვენი წინ მიდის,
სოფლები უხმობს ქალაქებს.
სიმართლის სიტყვა ყოველი
გადააჭრელებს გაზეთსა;
წინად ვინ ჩაგვაბარებდა
დიად იარაღს ასეთსა.
ჩვენი კალამი — შუბია;
სიმართლე— ლალი მერანი;
შევებმი, შევებრძოლები
ძირს დავცე მტერი ვერანი.
რად მინდა ვინმე ისეთი
თუ არ გვიდგას გასაჭირშია.
ყოველი ცუდი საქმენი
უნდა ამოვსწვათ ძირშია
მღვდელი ლიპჩაფშუტებული
აქა-იქ კიდევ დაძვრება;
უნდა, რომ ხალხი ატყუოს
გახსნას სალოცად ტაძრები,—
მაგრამ მოუხმობს ჩემი ხმა
მტკიცე სიტყვითა სწორითა,
და მღვდელი მისდევს დიაკონს
დაგლეჯილ ანაფორითა.
ჩემი კალამი — შუბია,
სიმართლე — ლალი მერანი;
შევებმი, შევებრძოლები
ძირს დავცე მათი კერანი.

ზორბა

„ახალ შენობების დამთავრება ძალიან ჭიანურდება, რამდენიმე წლობით გვიანდება, რაც იწვევს უამრავ ზედმეტ ხარჯებს".
(გაზეთებიდან).




— ის კი გამიგონია, რომ ბაბილო-ნის კოშკი ვერ დაამთავრეს, რადგან ღმერთმა კალატოზებს ენა შეუშალადა ისინი ერთმანეთის გაუგებარ სხვა და სხვა ენაზე აალაპარაკო, მაგრამაქ რა მიზეზია, — ეს აღარ ვიცი!.. (ცოტა ხნის შემდეგ), ალბად ჭკუა თუ შეეშალათ მუშაობის ხელმძღვანელებს!

# კაპიტულიაცია

როცა ჯამაგირიდან სახლში მისატანად მხოლოდ 23 მანეთი კაპეიკებით დამრჩა, ვიცოდი, რომ ჩემი საქმე კარგად არ წავიდოდა — ცოლი სკანდალს ამიტეხდა.

მაგრამ იმედი მქონდა, რომ — თავს მოვისაწყლებ და შევებრალები-თქო..

მაგრამ...

— სონია, აი ეს ფული.. ამ თვის ჯამაგირზე მეტი არ მომრჩა... გენაცვალე, რა ვქნა! შენ კი იცი, რომ...

ამ ჩემს ლაპარაკში მან უკვე დაითვალა ფული და...

ამ ფულებით შენს აწინდელ ცოლს უყიდე საკაბე! — ფულები თვალებში მომაყარა და გულამოსკვნილი ლოგინზე დაეცა.

შერიგების ცდამ უნაყოფოდ ჩაშიარა. ჩემი ალერსიანი და დამამშვიდებელი სიტყვები მას კიდევ უფრო აღშფოთებდა.

რომ კომფლიქტი კიდევ უფრო არ გამეღრმავებია, ქუდი დავიხურე და სასეირნოდ წავედი.

—:—

— არა უშავს, როგორც ყოველთვის, ეხლაც გაუვლის ეს ბრაზი, და როცა სახლში დავბრუნდები, კარგ ხასიათზე დამხვდება! — ვფიქრობდი და ვსეირნობდი ქუჩაში.

მაგრამ როცა გვიან საღამოს სახლში დავბრუნდი, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: სახლში ყველაფერი არეულ-დარეული და გადატრიალებული დამხვდა. სონია ლოგინში ჩაწოლილიყო და პირი კედლისაკენ ჰქონდა.

— საქმე ცუდად არის! თუ არ მოვეფერე, უფრო გადირევა! — გავიფიქრე და სიყვარულით აღსავსე სიტყვებით მივმართე: — სონია, ჩემო კარგო, ჩემო სიცოცხლე... ხმას რატომ არ მცემ?

და ი სიყო შუბლზე უნდა მეკოცნა, რომ იდაყვი მკრა გულზე და ლოგინზე ჩამომჯდარი, იატაკზე დავეცი.

— აი იქ დაეგდე და დაიძინე!.. სონია აწი შენი აღარ არის.. გათავდა... მორჩა!

კომფლიქტის გამწვავების თავიდან ასაშორებლად, მე დავემორჩილე მის განკარგულებას და ცალკე დავწექი.

—:—

— **სონია!** კარგი, კმარა შევრიგდეთ... სამსახურში მეჩქარება... ბავშსაც ყურადღება უნდა... ჩაი აადუღე ბარემ.. შევრიგდეთ, გენაცვალე და... — დავაპირე მოხვევა, მაგრამ ისეთი მაგარი ბიძგი მივიღე, რომ ჩვენი პატარა, ეთერი კინაღამ იატაკზე დავახეთქე.

ბავშმა ტირილი დაიწყო.

—ეს - ღა გაკლდა ეხლა, ბავშვ მოჰკლა; მთლად განთავისუფლდები არც ცოლი და არც შვილი; ეს არის შენი ოცნება და მიზანი! აწ კი ვიცი, შენი ჩაი, სადილი, ვახშამი და სხვ. ვერაფერს ვერ ეღირსები, სანამ არ დააკმაყოფილებ ჩემს ამდენი ხნის მოთხოვნილებას! — ულტიმატუმს ცილოთი მომმართა და შებრუნდა.

—:—

# „გაუგებრობა“



ჩემბერლენი: — საოცარია მე და ჩემმა ღმერთმა! მუდამ საბჭოთა კავშირზე ვფიქრობ, და მაინც მისაყვედურებენ: „საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერი ხარო“!

როცა სამსახურიდან დავბრუნდი, სიმამრი სახლში დამხვდა.

დარცხვენილი მისალმების შემდეგ, სონიას ჩუმად შევეხვეწე, რომ მამამისთვის არაფერი ეთქვა ჩვენი უსიამოვნების შესახებ.

— რაო?! არაფერი უთხრაო?! მა მაჩემი შენს სანახავად კი არ მოსული, (ძალიან მოსანატრებელია შენისანა სიძე), არამედ მე მოვიყვანე, რომ მან ყველაფერი იცოდეს! — ცეცხლს ჰყრიდა თვალებიდან ჩემი ცოლი.

— მაშ თუ ასეა, დეე იყოს! — აღელვებულმა დავკარი ხელი მაგიდას და მრისხანე გამომეტყველებით მივმართე მამა-შვილს: — ჰა, ბატონებო, აქა ვარ და ბრძანეთ, გისმენთ!

—:—

— ჩემო სიძე და ჩემო შვილო! — დაგვიწყო ორივეს ტკბილი ლაპარაკი სიმამრმა, — მე, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, სრულებით არ მსიამოვნობს თქვენი ასეთი საქციელი. ჰე მოვითხოვ ჩემი თანდასწრებით ამოსწუროთ ერთმანეთში ყოველგვარი გაუგებრობა და იცხოვროთ მშვიდობიანად და როგორც წესი და რიგია ისე. თავს ნუ მომჭრით და სიბერის დროს... აბა, ახლა შენ სთქვი, ჩემო სიძე, რაშია საქმე?

— მე თვითონ არ ვიცი, რა ბრალდებას მიყენებს, სონია! სჯობია ჯერ მან ილაპარაკოს!..

— ამ წუთში!—სთქვა სონიამ, საწერ მაგიდიდან ბლოკნოტი ამოიღო და დაიწყო:

**პირველი:** ხუთი წლის განმავლობაში მე ვერ შევსძელ გამეგო თუ რამდენს ღებულობს ჯამაგირს? სად მიდის ეს ფული? ოჯახში რა იხარჯება? საჭიროა მთელი ფული მე ჩამბარდეს ხელში.

**მეორე:** საღამოობით ნურსად ნუ დადის, თორემ მეც ვივლი.

**მესამე :** განაწილებული იქნას ოჯახში შრომის ბეგარა და შემოღებულ იქნას მორიგეობა საოჯახო საქმეების გაკეთებაში.

რაც შეეხება სხვა მრავალ საკითხებს, რომლებიც მთავარ საკითხებიდან გამომდინარეობენ, ესენი მოგვარდება თანდათანობით. აი, ეს მოთხოვნილებები, რომლებიც დაკმაყოფილებულ უნდა იქნას, თუ გინდათ ჩვენი ერთად ცხოვრება! — დაასრულა სიტყვა და მედიდურად დაჯდა.

ჩემთვის უკვე აშკარა გახდა, რომ „კაბის საკითხი“ — ეს ყოფილა საბაბი კონფლიქტის დაწყებისათვის, თორემ უთანხმოების ფესვები უფრო ღრმად წასულა.

მე უარი განვაცხადე ულტიმატუმის დაკმაყოფილებაზე.

— მაშ ჩვენ უნდა განვშორდეთ ერთმანეთს?— შემეკითხა ცოლი.

— როგორც ჩანს! — დავუდასტურე.

— მაგრამ შენ ხომ იცი, რომ აქედან წასვლა შენ შეგხვდება. მე ქალი ვარ, ბავშვი მყავს.. შენ უნდა წახვიდე!

— ამას რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა! მაგ უნდა წავიდეს!— დაამტკიცა სიმამრმა თავისი ქალიშვილის სიტყვები.

—:—

**როცა** შევატყვე, რომ გარიყული ვრჩებოდი და ჩემი არ გადიოდა, პოლიტიკა შევიცვალე.

— სონია, ამას წინედ 8 მარტს თქვენი დღესასწაული იყო — ქალთა საერთაშორისო დღე. ამ დღის აღსანიშნავად გამოეცი ამნისტია და შემირიგდი, მომეცი ხელი!

— კი, მაგრამ ჩემს პირობებს ღებულობ?

— ვღებულობ, მა რას ვიზამ? სხვა რა გზა მაქვს, როდის იყო, რომ შენ თავისი არ გაგიტანია!

ტოქსინი.

# „ადგილი არ არის!“

ნაახალწლევი იყო სწორედ, როდესაც სოფლიდან ტფილისში წასვლა დავაპირე.

— ერთი მეც გავიხედ - გამოვიხედო, თვალს წყალი დავალევინო, კაი რამე ვნახო, თბილი ადგილიც ვიშოვო და მეც ხალხში გავერიო; მომბეზრდა სწორედ სოფელ - სოფელ ყოყიალი; ჩემი ნაამხანაგევი ძველი „გოროდის“ კლასიანები ყველა ტფილისშია კარგად მოწყობილი. აბა მე ვყოფილვარ მარტო გალახა. ეს როგორ დამემართოს, ჯინაზე მეც უნდა ქალაქში ვიცხოვროთქვა!

ეს იყო ჩემი ფიქრები, რომ ერთ მშვენიერ დღეს არც ვაცივე, არც ვაცხელე და პირდაპირ სადგურზე ამოვკარ თავი.

მივადექი სალაროს.

— მომეცით ქალაქის ბილეთი, პირდაპირი, ჩქარი, დასაწოლით და ყველაფერი კარგით! — მივაყარე ერთბაშად მოლარეს.

მოლარემ ზანტად შემომხედა და ამაყად მითხრა:

— ჯერ ერთი: სკორი ჩვენს პლატფორმაზე არ ჩერდება და მეორე — ადგილი არ იქნება შიგ. „ფაშტოვოიზე“ მოგცემ, ამხ-გო, ბილეთს, თუ გინდა!

არ მიამა რაღაც პირველ ფეხზე გადმოსულს ასე უცებ უარი, მაგრამ რას ვიზამდი.

ავიღე ისევ ბილეთი „ფაშტოვოიზე“, დაველოდე მატარებელს, გაჭირვებით შევეკვეხე კარებში და გავსწიე.

—:—

დილა ადრიანათ ტფილისში ამოვკარ თავი. მშვენიერი დღე იყო.

ღმერთო ჩემო, — ვიფიქრე, — როგორ ეტყობა, რომ კარგია ტფილისი! ჩვენი სოფელი, წვიმა და თოვლში იხრჩობა და აქ რა კარგი დარია! მერე რამდენი სახლები!. დავიჯერო აქ ერთი კაცი ადგილს ვერ ვიშოვი?

მშვენიერ გუნებაზე ვიყავი, რომ ჩამოვხტი მატარებლიდან. თუმცა დიდი ხანია არ ვყოფილვარ ტფილისში, მაგრამ გზები კარგად ვიცოდი მაინც. (მენშევიკების დროს ბევრჯერ ვყოფილვარ, — კვერცხები ჩამომქონდა ხოლმე გასაყიდად).

ვიკითხე უმფროსი.

რაღაც სხვანაირად შემხედა ყველამ. სულელი თუ ვეგონე. მიმასწავლეს ერთ - ერთ განყოფილების გამგის კარებზე. შევედი.

მაგიდასთან იჯდა სათვალებიანი კაცი. თავზე ერთი ღერი თმა არ ჰქონდა: თავის ზემო ნაწილი მოუჩანდა მარტო. მხოლოდ დანარჩენი ტანით ქაღალდებში იყო ჩაფლული. რაღაც ჩაიზმუკუნა და შემომხედა. მეც ავიღე და უთხარი ჩემი სურვილი — ვთხოვე ადგილი. მოიღუშა და ცივად მიპასუხა: — ადგილი არ არის, ამხანაგო, — და განაგრძო წერა. გამოვბრუნდი თავ-ზარდაცემული. გამოვედი ქუჩაში. შესავალ კარებთან ვიღაც ფოსტალიონი მოდიოდა, გავაჩერე და ვკითხე ადგილის შესახებ. გაიცინა, ამხედ-დამხედა:

— შენ, ჩემო ძმაო, ვიღაცა შეშლილხარ! სად არის ადგილი!.. არსად არის ადგილი. წადი, წადი, ძმაო, სახლში! — ეს ისე იყო წარმოთქმული, რომ ყოველივე იმედი დავკარგე. გამოვედი და ტროტუარის კიდეზე ჩამოვჯდექი გულდაღონებული. ჩაფიქრება ვერ მოვასწარი, რომ მამადგა ტუკიანი მეეზოვე.

— ეი, ამხანაგო! აქ ჩამოსაჯდომი ადგილი არ არის! — და მკრა ჯლიქვი. ავდექი. დაუყევი ამ გრძელგრძელ ქუჩებს. ვიარე შუადღემდე. მომშივდა ძლიერ. სიძვირეს რომ არ დავეფეროთხე, მოვნახე ერთი მინგრეული სასადილო - ყავახანა და შევედი შიგ სასადილოთ; კარგათ არც კი შემედგა ფეხი ყავახანაში, რომ წინ გადამეღობა სქელი ღიპით თეთრ ფართუკიანი და მომაძახა:

— ამხანაგო, აქ ხალხი ბევრია, ადგილი არ არის, სხვაგან წაბრძანდი! გამოვბრძანდი. ვატყობდი, რომ სიბრაზე მატულობდა ჩემში, მაგრამ თავს ვიკავებდი. კვიმატიან დღეს ვაბრალებდი ყველაფერს. გადავწყვიტე სადმე სასტუმროში წასვლა, თან საჭმელს ვჭამდი და თანაც მოვისვენებდი ჩემს ბინაზე. გავედი რიყეზე და, შევედი ერთ სასტუმროში.

— აბა, მომეცით ერთი ოთახი! — მივმართე მოსამსახურეს.

— აქ სასტუმრო სავსეა, ადგილი არ არის! — იყო პასუხი. მინდოდა ერთი ამ ბიჭზე მეყარა ჯავრი, ჩამეფარებინა თავში, მაგრამ ვისი ბრალი იყო — მისი თუ ჩემი, ვერ გავარჩიე.

წამოვედი უკან. გზაზე ერთ სახლს შევამჩნიე წარწერა: გაზ. „მუშა“-ს და „ტარტაროზი“-ს რედაქცია. გამახსენდა, რომ გულჯიბაში ერთი ლექსი მედვა სოფელში დაწერილი; (დროის მოსაკლავად ხანდახან ვწერდი ხოლმე ლექსებს). ვიფიქრე ამას მაინც დავაბეჭდინებ ტარტაროზს, ცოტა ფულიც მომცენ, გზის ხარჯი მაინც გამოვიდეთქო. შევედი ტარტაროზთან. მეგონა რქიანი კაცი იქნებოდა მისი რედაქტორი, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანი აღმოჩნდა. გულთბილად ლაპარაკობდა. მივეცი ლექსი, გადაიკითხა და ჩუმად ჩაიცინა. მერმე მომიბრუნდა და მითხრა:

— დაგიბეჭდავდით, ამხანაგო, მაგრამ, საუბედუროდ ნომერი გავსებულია და ადგილი არ არის!

გამოვართვი ჩემი ლექსი, გამოვედი გარეთ, გულმოსული მივხი-მოვხიე და გადავყარე.

უკვე დავიღალე ამდენ აქეთ-იქით თრევაში. დაღამდა კიდეც. სად დავისვენა ერთი და სად გავთბარიყავი არ ვიცოდი.

ერთ კინოს მივუახლოვდი. ხალხი ბუზივით ირეოდა. კარგი აზრი მოსივიდა: — მოდი აქ შევალ, დავჯდები, დავისვენებ, გავთბები! სურათსაც ვნახავ და გულს გადავაყოლებ — ნეთქი!

მივედი სალაროსთან. ვიკითხე ბილეთი. ვიღაც ლამაზი ქალი იჯდა შიგ. მიპასუხა: — ადგილი არ არის, ბილეთი არ გაიყიდება!

თმა ყალყზე დამიდგა. გაშმაგებული გამოვარდი ქუჩაში.

— ჩქარა, ჩქარა, სევერიანე, მატარებლისაკენ, სოფლისაკენ, სახლისაკენ, ტყუილია ყველაფერი —აქ შენთვის არაფერი არ იქნება!

ამ აზრით დავედევნე აჩქარებულ ტრამვაის ვაგონს. ჯერ კიდევ გაჩერებასთან მისული არ ვიყავი, რომ კონდუქტორმა შემხედა, ერთი მამაყვირა „არ არის ადგილი“—და ვაგონი გააქანა. მოთმინებიდან გამოსულმა ქვაფენილს დავასკდი. მინდოდა ერთი ქვა ამომეძრო და ვაგონისათვის მეთხლიშა, მაგრამ კენჭის ნატამალიც კი ვერ ვნახე ქუჩაზე.

რაღას ვიზამდი! გავუდექი სადგურისაკენ ფეხით.— გზაზედ, ჩემს წინ ვიღაც ორი კაცი მიდიოდა და ლაპარაკობდენ:

— შენ იცი, რომ ის სასაფლაოზე უკვე არ არის ადგილი! სხვაგან დაასაფლავე მიცვალებული, რას იზამ ეხლა?

სულელივით გამეცინა. გუნებაში ვამბობ — მალე წავიდე აქედან, თორემ ვინიცობაა მოვკვდე, დასამარხი ადგილიც არ ყოფილა აქ, არა თუ სხვა! და ფეხს მოვუჩქარე.

მივაღწიე სადგურს როგორც იქნა. კიდევ უარის თქმის შიშით სალაროსთან შემეშინდა მისვლა, მაგრამ საბედნიეროდ არ დამჭირებია იქ მისვლა—ვიღაც ყიდდა ჩვენს პლატფორმამდე ნაყიდ ბილეთს, საჩქაროდ გამოვართვი და მატარებელთან გავჩნდი. ეხლა კიდევ მეტყვიან უარს —არ არის ადგილიო, როცა მე უკვე დილით სოფელში ვიქნები? ანასუნ თქვენს საქმეს, ტფილისელებო!

რონოდასთან მივედი. კონდუქტორები ფარნებით ჩამწკრივებული კიბესთან იდგენ. ამოვიღე ბილეთი და ვაჩვენე. ბილეთისათვის არც კი დაუხედია კონდუქტორს, რომ მაშინვე მომაძახა: აქ ამხანაგო, არ არის ადგილი, მეორე ვაგონში მიდი!

ერთი მაგრად შეუკურთხე, მეორე ვაგონის კარებს მივასკდი და გიჟივით შევარდი შიგ. ხალხის ჟრიამულით გონება ამერია. დაღლილობისაგან ფეხები ძლივს ამოვათრიე კიბეზე. დავუწყე ძებნა დასაჯდომ ადგილს. შემატყო ერთმა წვერიანმა

# პუანკარე—ომი ანუ თანამედროვე ტიერი



მგზავრმა, რაც მინდოდა და მითხრა: —ამხანაგო, ამ სკამთან ტყვილა ტრიალებ; არ არის ადგილი!

— მერე შენ რა გინდა, შე დათვო!—მივაყვირე რაც ძალა და ღონე მქონდა და გულწასულმა ბნედიანივით იქვე ჩავიკეცე.

როდემდის ვიყავ ამ მდგომარეობაში არ მახსოვს, ხოლო როდესაც გამოვფხიზლდი, მატარებელი მიდიოდა, ხალხი მეხვია თავს. გვერდზე კონდუქტორი იდგა და შიგ თვალებში მაჰყურებდა თავის ფარანს. ვიღაც ამბობდა: — ჩამოუსვათ კაცო მცხეთაში, მადლია, და მოათავსებენ საავადმყოფოში როგორმე, თუმცა. როგორც იქაურმა, ეს კი ვიცი, რომ იქ ადგილი არ არის!

ამის თქმა და ჩემი სრულიად გამოფხიზლება ერთი იყო.

— არა ძმაო. — ვუპასუხე ლუღლუღით.— აქეთკენ, საავადმყოფოში კი არა, საიქიოშიაც არ ყოფილა ადგილი, დამანებეთ თავი. — და იქვე მადლიან მგზავრის მიერ დათმობილ ადგილზე დავეფენთხე.

სევერანე—ფოშტა.

# ამიერ



საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე

# ჩვენ ვიზრდებით!

(იმდენად არა სასაცილო, რამდენად სასიხარულო)

მენშევიკი,
დაშნაკი
და
მუსავატი,
ეს აქ ქვეყნის ღომხალი
თუ ქე თავათი,
ეწეოდა ამ მხარეში
ერთხელ ზეიმს:
აფარებდა თავს
„ოზაკომს“,
მასთან
„სეიმს“!..
„სეიუ - ვეიუ“-ს
დასძახოდა „ძმობის“ თესლი,
თუმც ამავ დროს
შემდეგ ქვევით
იცინოდა გულშიც გესლი!
იცინოდა და სიცილშიც
იშვა მტრობა:
ჯერ
„სეიმი“, ოზაკომით“ — დაემხობა.
შემდეგ... დაჰყვა რღვევა...
„დამფუძნებელ კრების“
მოხდა აქ მოწვევა...
იქ, ბაქოში—პარლამენტის...,
ერევანშიც...,
და გულიდან გესლი უკვე
მოჰყვა კანშიც!
აიბურცა... გაიბურდნა
ხალხის კანი:
იქ—სომხეთი,
აქეთ—ადერბეიჯანი,
აქეთ კიდევ—
საქართველო, მშვილდ-ისარით!..:
და ერთმანეთს დაერივნენ
ზავთით, ზარით:
ვინ—ხმალ-ხანჯლით,
ვინ—თოფით,
ვინ—ლობის სარით!..
„ეს“ მთავრობა!...
„ის“ მთავრობა!...
„ეს“ სპა!..
„ის“ სპა!..
მშვიდობა და მყუდროება
სულ მოისპო!
აჰყვა ხალხი საკუთარი
გულის ფხანას!
მხვნელ-მთესველი—არც ველს
მუშა—არც ქარხანას,
აღარაც ოჯახს შერჩა თავის
მარჩენალი:
ყველგან ომი,
თოფი,
ფიშტო,
არსენალი!..
ყველგან სისხლი!..
ყველგან ცრემლი!..
ყველგან კვნესა!..
და ყველგანვე ხანჯლისა თუ
დანის ლესვა,
რომ გულ-ბოყვში
ურთ-ერთისთვის გაეყარათ,
რომ ყოფილს „ძმას“
„ძმისვე“ სისხლი დაელვარა,
სწვდომოდა-რა ვერაგულად
„ძმა“—„ძმას“ ყელში,
გაეგუდა,
გაეწყვიტა
ორად წელში,
თვით ესაქმა რა ზედ
ხმლად თუ სატევრად,
რომ, ქცეული კვლავ
ნახევარ-ნახევრად,
გადაეშვა „მახარიის“
თავის „ქვაბში“!

# -კავკასია



საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ან ჯერ ისე ამოევლო
სიტყვის ლაფში,
ისე რიგათ „შეემკო“ და
„შეეკაზმა“,
რაოდენის ნებაც მისცეს
გულში ბრაზმა,
რომ შემდეგ ვერ გაერეცხა
ის ვერც მტკვარსა,
ვერც არაქსს და
ვერც გურჯანის მთლიად ზღვის
წყალსა.
და დავარდნილს ასე ძირს,
და დამცირებულს,
ვინმე უცხო მტაცებელთა
მოსულს კრებულს
იგი ხელსა
თუ ბრჭყალებში
ჩავარდნოდა;
და ჯანღაბას,
თუ „უცეცხლოთ დაიწვოდა“
მოჰყვებოდა რა ობობას
ბადე-ქსელში:
ნელ-ნელა
ჩაჰკვდებოდა იმის ხელში,
ვერაგულად
ტანზე ნესტარ-დასობილი!..
მოქმედება ისე იყო
აწყობილი,
ისე ზრუნვით ეპყრობოდა
„ძმას“—„ძმობილი“,
რომ ცალ-ცალკე
ყველა იყო კმაყოფილი:
ჰქონდათ ერთი
ხმლის ლესვა თუ შუბის მახვა...
ორ ზღვას-შვა ვერ
დგებოდა ეს „სამი გლახა“!
და ქვეყანას არ ეღირსა
მოსვენება:
დადიოდა ხალხი,
როგორც მოჩვენება:
კაცს კაცის არ შერჩენოდა
გული...
სახე...
ეგო ყველგან
სიკვდილის და
საფრთხის მახე!..
მაგრამ, აი,
შემოიჭრა „ცეცხლის ელ...
ეს ილია კი არ გახლდათ
თავზე ქერტლით!
არა, ეს სხვა ძალა იყო,
ძლევის ძალა!
მტრობისა და შურის გესლი
დაიცალა...
ძმა—ძმის მტერი—
თუ
ქვეყანა—ქვეყნის მსვრელი—
ჩადგა...
დადგა მშვიდობა
და
შრომის მცველი!
მან დროშაზე
მიუთითა...
წითელ ფერზე!
შორეულზეც მიუთითა,
სულ სხვა მტერზე,
მუშას და გლეხს რომ აჯდა ის
სულ კისერზე:
სისხლს აცლიდა
და
ეყენა „არაფერზე“!
კვლავ შინაურ ამბოხის და
შუღლის მთესველებს
დაედევნა,
რომ გასცლოდენ
ქვეყნის „კედლებს“...
რომ მუშების
და
გლეხების
ამ კავშირში
ეს „მლიქნი“ არ
მოქცეოდენ ისევ ძირში:
ასაკლებათ,
სახრავათ

# საყვედური მიცვალებულს




რკ. გზის საავადმყოფოს აფთიაქში წამ-ლებს ძალიან დაგვიანებით ამზადებენ, რის მიზეზადაც ასახელებენ შტატის სიმცირეს.

**წამალი** (მიცვალებულს): — რა გაჩქარებდა?! დაგეცადა ცოტა! სიკვდილს შემდეგშიაც მოესწრებოდი!

---

და
სალურტნავად...
რომ ქვეყანა
არ შეიქნეს ისევ ავად:
„მენშევიკით“,
„დაშნაკით“
თუ
„მუსავატით“...
ისევ ბრძოლით...
ასვრა-დასვრით...
ქეთავთავით!..
ექვსი წელი,
ფაქტიურად—რვა წელია,
პარლამენტი
არც სხვა რამ ღრიანცელი:
ატეხილი
ამ მხარეში
უსაშველოთ!
მაგრამ სომხეთს,
ადერბეიჯანს,
საქართველოს,
მით არა თუ არაფერი
დაშკლებია,
არამედ
წვა, სვრა თუ ომი
ნაკლებია!
შრომა კი:
ღგმა, აგება თუ აღშენება,
სწრაფად მიდის წინ,
ვით ცხენის გაჭენება!..
და ძლევითაც
ისე მტკიცედ იჭურვება,
მომავლისაკენ
რწმენით ისე იყურება
და ხელი-ხელს უკიდიათ
ისე ძმურად,
რომ, მითხარით,
ვის არ აქვს ეს საამურად,
„მზის მადლათ“ და
ქვევით „მიწის სალამურად“!..
უკაცრავათ!
მაპატიეთ,
მძრახავთ ნურად,
თუ ეს მხოლოთ
მტერს და დუშმანს რჩება ჯავრად!
თუ ზოგჯერაც ისე,
გულის მოსაქავრად,
მკერდით გმინვაც აღმოხდებათ
ნაღვლად...
ხავრათ...
მაშ, ჩვენ
დავკრათ შრომის გრდემლს
კვლავ ურო მძლავრად!
ვითომც თავში
ის მტერსა და დუშმანს ხვდება:
მოუვრებს ულხინთ!..
ჩვენ ვიზრდებით!..
მტერი კვდება!..

**ონისიმე.**

# სარეპარაციო კომისიიდან



შტრეზემანი: — მადლობა ღმერთს! კიდევ კარგი, რომ ეს ცილინდრი მაინც შემრჩა, თორემ „ბაგაჟად“ გასაგზავნი დავრჩებოდი“!

## შემნახველ სალაროზე
(„რე—როს“ ჰანგზე)

ეხლა კუპლეტებს გიმღერებთ
შემნახველ სალაროზეო,
სადაც გირჩევთ შეიტანოთ,
თუ რამ გაქვთ თანხა, დროზეო.
ვაჟი. ქალო, რა მეკუპლეტება,
მე ლამის გავსკდე გულზეო;
ვსტირი, გუშინწინ დაკარგულ
ჩემ შემონახულ ფულზეო.
ქალი. ნეტავი, რა დაგემართა—
რად ატარებდი თანაო?
არ გეპატიება შენა—
საქმენი მაგისთანაო!..
ვაჟი. მუდამ ჯიბეზე დამქონდა,
ვენდობოდი არავისო;
ჯიბიდან ამომაცალეს —
ჯავრი მაქვს მომპარავისო!...
ქალი. ხომ გირჩევდენ, სახელმწიფო
სალაროს მიაბარეო?
ეხლა წადი, თავში ირტყი
დღეები გაიმწარეო.
ვაჟი. ეხლა მეც მივხვდი შეცდომას,
მაგრამ არის გვიანიო;
ჩემი დაუფიქრებლობით
მომივიდა ზიანიო!..
ქალი. ჩვენს მეზობელს რა მოსვლია -
აგერ, გვერდზე. პელოსაო..
თურმე ფულებს აგროვებდა,
სურდა ტანზე შემოსაო...
ვაჟი. მაგრამ, ნელ-ნელ გამოსცანცლა.
იმ მუქთახორა ქმარმაო;
დიდი შრომით შეძენილი —
თითქოს წაიღო ქარმაო,
ქალი. უარესი დაემართა—
აგერ, ჩემ დას, ნინოსაო;
მისი შეგროვილი ფულით -
შვილი სვამდა ღვინოსაო.
ვაჟი. დედაჩემი, წუწურაქი,
ფულებს არსად აჩენდაო;
სადღაც უსარგებლოდ ედო, —
ეს ზნე ცუდათ დასჩემდაო.
ქალი. ალბათ, ჩულქებში ახვევდა,
უსარგებლოდ რად ჰქონდაო?
სალაროში შესანახად —
ნეტა, რად არ შეჰქონდაო?!.
ვაჟი. თურმე ფეჩში დაემალა —
მე კი ავანთე ცეცხლიო...
ჩერვონცები სულ დაიწვა,—
ცოტა-ღა დარჩა ვერცხლიო
ქალი. სალაროში შეეტანა—
ხომ გადაურჩებოდაო,
მითხარ, რაზე ჯიუტობდა.
აწ ვინ ეურჩებოდაო?!
ვაჟი. ბევრს ვეჩიჩინე, მაგრამა
ძნელია მასთან შეხლაო;
როცა ფულები დაეწვა—
ჭკუაზე მოვიდა ეხლაო!...
ქალი. ჩემ ქმარს ჩვეულებად ჰქონდ
რაცხა ნაჭრების ყიდვაო;
სალაროში შესანახად
ფულის არ სურდა ზიდვაო.
ვაჟი. ვიცი. ჩრჩილმა შეუჭამა—
რაც რომ იყიდა, ყველაო;
ბევრი იცა თავში, მაგრამ,
არავინ მისცა შველაო.
ქალი. ყველას ვუთხრათ, ეხლა მა
ნულარ დაჰკარგავენ დროსო:
თუ ვისმე რამე თანხა აქვს-
მიაბარონ სალაროსო...
ვაჟი. ფული ფულად შეენახვის -
თან სარგებელს აძლებსო;
ვინც ჩვენს რჩევას დაიჯერებ
უეჭველად მოიგებსო.
ქალი. იქ შეტანილ ყველა კაპიკს—
აქვს თავისი მიზანიო;
თუმცა წინად არ მჯეროდა —
ეხლა კი მეც ვიცანიო.
ვაჟი. ჩვენსა მშრომელთ სახელმწიფოს
ამით უმართავ ხელსაო;
ის ამითი ააყვავებს —
შენსავ მინდორს და ველსაო.
ქალი. აშენებს ფაბრიკა-ქარხნებს
და კეთდება მანქანაო;
რომლითაც მეურნეობა—
წინ მიდის თანდათანაო.
ვაჟი. ფულს,რა დროსაც მოისურვ
გამოიტან უკანაო...
ამის შემდეგ, ეს ჩემი თქმა,
ვეღარ გაიგე განაო?!
ქალი. პატიოსან მოქალაქეთ—
მოგიწოდებთ ყველასაო,
ნუ მოვაკლებთ სახელმწიფოს
ჩვენს წვლილსა და შველასაო.
ვაჟი. თქვენი ფული იქ იქნება
ალაგსა, საიმედოსო,
მაშ, რას უცდით? მიაბარეთ
ფული შრომის სალაროსო!...

ტათხაძ.

# „პატიოსნები“



— ჭაცო, გაიგე: საწყალი ჩვენი პეტრე დაუპატიმრებიათ!
— რას ერჩოდენ, კაცო? ის ხომ პატიოსანი კაცი იყო: რასაც მოიპა-
რავდა, სულ სახლში მიჰქონდა!

# ყვავი და მელა

(მიბაძვა)

აფრინდა ყვავი ყვანჩალა
—მინდვრებზე ლეშის დამზვერი,
და ქუჩის პირად იპოვა
მოზრდილი ყველის ნაჭერი,
ჩაუნისკარტა... შემოჯდა
იქვე მახლობელ ხეზეო
და მადიანად ფიქრობდა
გემრიელ საუზმეზეო...

გაჩნდა მშიერი მელია,—
ხეზე არ იცისი მან ასვლა,
და ისევ ხერხით ეცადა
ყვავისათვის ყველის დაცანცვლა.
უთხრა: დობილო მომხედე,
ვერ ვძლები შენი ცქერითა;
გემოზე მისაუზმია,
ერთი გამართე მღერითა.
რა ლამაზი ხარ, რა ტურფა,
რა გიშრის ფრთები გქონია;
მსმენია: შენთან ჭანგებით
ბულბულიც მონაგონია“.

ყვავმა ჩახედა ღიმილით
მელას ეშმაკურ თვალებში,—
და ფიცხლავ ყველი ნისკარტით
გადაიტანა ბრჭყალებში.
მის გულ-მზარავ ყრანტალზე,
მელამ დაიწყო კიცხვაო:
„გაოხრდეს ეს დრო ტიალი,
ბრიყვმაც ისწავლა კითხვაო,
ქვეყანა გამოიცვალა
ულუკმა-პუროდ ვრჩებიო.
ყვავმაც კი იცის დღეს თურმე
კრილოვის არაკებიო“.

მ. უზნაძე.

# რომანი ცივ ბუხართან

უკრავს ქარი, როგორც თარი, საზანადრი
და ზამთარით გული მკვდარი,
სული მხდება და არც მხდება,
და მე თითქო მელანდება
რომ ავყია ეს ზამთარი კვლავ თავიდან დაიწ-
ყება.

ფანჯარასათნ ვზივარ ჩუმათ
(გიახლებით ტარანს უმათ)
და ეს თოვაც რომ არ ცხრება,
ღმერთი რათ არ გაუწყრება!
მაგ შენ გამჩენს, რომ თოვ ამდენს,
თითქო ციდან მოდენის შიქრის მადნებს...
თოვოს დაე, თოვოს... თუნდ საუენიც ჩამოთო-
ვოს,

გულძანად მიტომ ვმღერი.
რომ ბევრი მაქვს ყველაფერი.
მხოლოდ არ მაქვს ღერი შეშა
(ყინვამ სუმთლად გამაშეშა)
დამიძველდა კალოშები და არა მაქვს არც
გროშები.

ეს ქე იცის თიქმის ყველამ...,
ამიტანა ისევ ხველამ...
ათოვს ქუჩებს, ათოვს სახლემს
სცივათ ძაღლებს იმ დედა და მამიძაღლებს.
დაგვიზამთრდა, ბუჩქის ძირას თავს იწონებს
ნაზი ია,
მუშკოპებში ვერსად ვნახე სახალათე ბამბაზია.

დონ-კიხოტი.

# ჩ ვ ე ნ ს მ ხ ა რ ე შ ი

## აფენის თემი კახეთის მაზრა

დადუმებულა სახლი სახალხო,
„დასძინებია ტკბილ ძილით ყველას“,
რომ გაალვიძოს, არავინ არის,
შენგან მოველით, ტარტაროზ, შველას.
ქოხ-სამკითხველოვ, რამ დაგაღონა.
ვისზედ გტკენია უმანკო გული.
ნუ თუ გაზეთებს აღარ ღებულობ,
სამი თვე არის მას უკან სრული.
მართალი არის, ქოხ-სამკითხველოვ,
ალმასკომზე ხარ შენ გულმოსული;
ვიცი, რომ ბევრჯერ შენ გითხოვნ
თავმჯდომარისთვის გაზეთის ფულ
მაგრამ შენ ბედმა არ გაგიღიმა,
დაგაწყევლინეს ხორცი და სული.
არ გაიმეტეს შენთვის სიკეთე
და აღარ მოგცეს გაზეთის ფული.
ნუ შეშინდები, ქოხ-სამკითხველოვ,
„ნუ დაიდუმებ შენს გულის თქმასა
და ტარტაროზიც მალე გეწვევა,
რომ მოგეშველოს დროზე საწყალსა.
ტარტაროზო ალი გვყავს ბებია-ქალ
მაგრამ დაივიწყა იმან თვისი ვალი,
მუცლის მოსაწყვეტი იცის მან წამალი,
ბევრი გააბრიყვა იმან გლეხის ქალი.
სჩანს დაინგრევა, ჩვენი მომავალი,
დროა აილაგმოს ეს ბებია-ქალი.

შ, რ.




## არტელი „კოლხიდა“ ლიპარტიას არ ჰყოფნიდა

საქართველოში არსებობს ინვალიდთა კავშირი, თავისი კოოპერატიული ამხანაგობებით, არტელებით, ნადებით და სხვ.

ერთი ასეთი არტელი „კოლხიდა“ შესდგება სულ 6—7 კაცისაგან. არტელს დაჰპატრონებია ვინმე ყოფილი ვაჭარი ლიპარტიანი, რომელიც, როგორც კორესპონდენტი **ახ. ლეჩხუმიძე** გვაცნობებს, ამ არტელის მანდატით აწარმოებს ხე-ტყის დიდ ოპერაციებს. თუმცა თავისი კანცელარია მას ისე აქვს მოწყობილი, რომ ამ დიდ ოპერაციების სულ მცირე ანგარიშსაც კი ვერსად იპოვნით რომ დაგჭირდეთ.

ცხადია, უანგარიშობა ლიპარტიანს თავისი უპასუხისმგებლობის დასაფარავად სჭირდება. და იმისათვის კიდევ, რომ ამ არტელზე შემდგარიყო შემდეგი ლექსი:

**„არტელი „კოლხიდა“,**
**ინვალიდთა ოფლიდან,**
**ლიპარტიანს ჰყოფნიდა!..“**




## სეფე, ივანე, ბენია ცუდი რამ მოლაყბენია!..

ჩვენი კორესპონდენტი ივბუხი ასე გვწერს ქუთაისის რკინისგზის სადგურის მუშათა სამკითხველოს შესახებ:

**„ჩამოირბინე ქუთაისს,**
**დავლევთ შენს სადღეგრძელოსა,**
**ეწვიე სადგურს რკინისგზის**
**მუშების სამკითხველოსა.**
**იქ ნახავთ ლაზღანდარა ხალხს:**
**ბენოს, ივანეს, სეფესა,**
**გამგეშაც ეს კარგათ იცის,**
**ხელს რომ უშლიან მკითხველს“-ო.**

ჩვენ არ ვიცით, ვინ არიან ეს: ბენო, ივანე და სეფე. მხოლოდ ვიცით ის, რომ სამკითხველოში ლაზღანდარობას არავის აპატიებენ.

## ხელს რომ შორს უშვერს ბაჩე-საკაოს, არ სჯობს, ტფილისმა რომ დაგაკაოს?!

ეს კითხვა ეხება კონკრეტულად ჩვენს კორესპონდენტ **შ. ალზენოს**, რომელმაც მოგვაწოდა მთელი პოემა ბაჩე-საკაოს მდგომარეობის შესახებ. უნდა ითქვას, რომ შ. ალზენოს ნაწარმოები პირწავარდნილი იდეალისტიკაა მხოლოდ. სინამდვილეს ბევრი რამ არ შეფერება შიგ.

და ეს ხომ ასეც უნდა მომხდარიყო.

კაცი, რომელმაც ტფილისში და საქართველოში ვერ ნახა თემა, ბაჩე-საკაოს მდგომარეობას შეაფასებდა აქედან რამდენიმე ათეულ ვერსის მანძილზე?!.

სამწუხაროთ, ბევრ „იუმორისტს“ ახასიათებს ასეთი „იუმორისტული სენი“, რაიცა უდრის მარჯვენა ხელით მარცხენა ყურის მოზიდვას, ანუ შორი გზით მოვლას იმისათვის, რომ მოკლე გზით სვლა გეზარებოდეს.

## ჩოხატაურის კოოპერატიული სასადილო მიკიტან ალექსისაგანაც კი სასაცილო

„კოოპერაცია თანამშრომლობას ჰქვია“-ო, ამბობენ, აქედან — საწარმოო კოოპერაცია — სხვანაირად არის —წარმოებაში თანამშრომლობა. მაგალითად: ნახშირის მწველთა კოოპერაცია—ნახშირის დაწვაში თანამშრომლობა იქნება, ალბათ; ლუდის დამმზადებელი კოოპერაცია — ლუდის დამმზადებელთა თანამშრომლობა და სხვ.

მაშ, რაღა იქნება კოოპერატიული სასადილო, ანუ სასადილო კოოპერაცია?

კერძო შემთხვევაში, როგორც ჩოხატაურის კოოპერატიული სასადილოა,—იგი იქნება სადილის ჭამაში, ანუ კიდევ უფრო ფართოდ—საზოგადოთ ჭამაში თანამშრომლობა, ანუ კიდევ უფრო მარტივად — თანამშრომელთა ჭამა.

იქნება თქვენ არ გჯერათ ახსნა-განმარტება? მაშ, ყური დაუგდეთ კორესპონდენტ „დუხს“:

**„ჩოხატაურის რაიონში არის კოოპერატიული სასადილო, მაგრამ რაღაც ვერ არის თავის დონეზედ. დაარსებიდან მას კაპეიკიც არ მოუგია. მოგებაზედაც არ უსაყვედურებდით, მაგრამ დეფექტებს რომ უხვად გვაძლევს, მასში კივემდურით. ჯერ-ჯერობით მას მხოლოდ ორი გამგე, ოთხი მზარეული და სამიც ოფიციანტი ჰყავს და გვიკვირს: როგორ უძლებს იმდენ წარმოებას, როცა დღეში საშუალოდ ორი-სამი მოსადილე მოუდის?“.**

— ო, შენი „დუხიც“ კი არ იყვესო,—იტყვიან ასეთ გულუბრყვილო კორესპონდენტზე, როგორიც „დუხი“ ყოფილა.

არა, რა დიდი ასვლა და გაწვდომა უნდა ასეთ საქმეს, როგორიცაა ცხრა კაცისაგან ორი-სამი მუშტრისთვის სადილის მირთმევა და სამსახური? ცხრა კერძი ხომ მაინც უნდა დღეში ამ ცხრა კაცს, თუ თვრამეტი არა და, ვინ იცის, იქნება——ოცდაშვიდიც, თუ ოცდათექვსმეტი არა.

ჰო-და, სადაც ამდენი კერძი კი უნდა მოიტანონ, იქ სამ კერძსაც ადვილად გამოათიანიებენ, არა უშავს, ცოტა „დატვირთვა“ კი იქნება, მაგრამ სოფლად, სალ ჰავაზე ეს არც იმდენად მავნებელია. თანდათან შეეჩვევიან და, როგორც იქნება, აიტანენ.

მაგრამ ნუ თუ ყოველივე ამას განმკითხავი არავინა ჰყავს?

როგორ არა. ჩოხატაურში „კოლექტივებიც“ არის. სულ რომ ძაღლი კუდი თმიათრევდეს, მუშებიც არიან ამ „კოლექტივებში“. მაგრამ...

მაგრამ მათ ჰგონიათ, ალბათ, რომ სიტყვა—კოლექტივი“—„კოლეს - კოშტოლესაგან“ არის წარმომდგარი. ისინი, რიცხვით — ოცდა თუთხმეტი კაცი, კოოპერატიულ სასადილოს ყოველდღიურად გვერდს უვლიან და იქვე, ალექსის კერძო სასადილოდან, „ჰარალე-ვარალეთან“ ჩაწნული - ჩაგრეხილად, გამოძახიან ხოლმე:

**„გენაცვალე ალექსიჯან, ლალე...**
**ღვინო გვასვი, მწვადი მოგვითალე“-ო.**

რა თქმა უნდა, ალექსი ღვინოსაც ასმევს და მწვადსაც მოუთლის, და მოუთლის განგებ ცხელ-ცხელსაც, რომ სულ თითები დასწვას ამ თავის საგულდაგულო მუშტრებს და მით დაამახსოვროს მათ თავისი დაუფასებელი პატივისცემა, თავისი მიკიტნური ამაგი.

მაგრამ არც ჩვენ შეგვიძლია ამას გულხელ-დაკრეფით ვუყუროთ: გვენანება ჩვენი „კოლექტივისტი“ მუშების მშრომელი თითები და ამიტომ ჩვენც ვისწრაფით მივეშველოთ მათ ჩვენის ჩანგლით!

მხოლოდ, სადაც დაჭკრავთ, ეს კი ჩვენი საკუთარი საქმე იყვეს!..

## ზესტაფონის „ეპომ“ სიმინდი მოიტანა, მხოლოდ, ნეხვს რომ ჰგავს იმისთანა!..

ჩვენი კორესპონდენტი გი—ლი მთელ „სცენას გვწერს ამის შესახებ და თქვენ კი ეს არა გჯერათ?

აბა ყური დაუგდთ დიალოგს:

— სად მირბი, ესიკა?

— „ზესტაფონის კოოპერატივს სიმინდი მოუტანია“-ო და იქით მივეშურები: სანამ „კუდებიანი“ ჩერედები გაკეთდებოდეს, ეგება მე ვიხელთო და აგი ტომრები გავტენო.

— დედა, შენი ჭირიმე, მეც დაგეწევი, აბა, ძერ ხახლში ავირბენ ტომრებისათვის და...

— ესიკავ, მომიცადე!..

— ვერ დაგიცდი, მეჩქარება...

— მოიცადე, ესიკავ!

— ვერ მოგიცდი, ბეუუკავ!..

ასე მიისწრაფოდენ გლეხები ზესტაფონისაკენ ერთ მშვენიერ დღეს: ვინ წინ და ვინ—უკან...

მაგრამ...

წინ მათ კაცი შეეყარათ ტომრითა და მოწყენითა,

ორთავ კითხვა მოაგება, რომ მირბოდენ მოლხენითა:

— საით, ძმებო, საითკენა?!.

— ჩვენ შენი დარდი არა გვაქვს,
მივქრით ზესტაფონისკენა,
იქ სიმინდსა მოგვიწყავენ,
წამოვიღებთ სახლისკენა.

— რისი სიმინდი, ვისი სიმინდი, ნეხვია, ლორებიც არა სჭამს. აი, ცარიელი ტომრები და გულშიც — სიცალიერე, გაცრუებული იმედის გამო!..




— ეპო! დაიძახეს ჩვენმა გლეხებმა, ერთი შეხტენ და... როგორ, თქვენა გგონიათ, მდინარე ყვირილაში გადავარდენ?

არ შეგჭამოსთ ჭირმა!

იბრუნეს პირი და გამოსწიეს ისევ სახლისაკენ!..

დიახ, ასე იცის ზოგმა „ეპომ“!..

## გურჯაანის ტელეგრაფში საქმეშია არსენ სწრაფი.

სისწრაფე, რა თქმა უნდა, ბევრ ნაირია. ჯერჯეროით ცნობილია, მაგალითად, კუს სისწრაფე. ლოკოკინას სისწრაფე და სხვადასხვა. სისწრაფე პერიოდულობაშიც შეიძლება იყვეს. მაგალითად: ჩვენი კორესპონდენტი პიგადილი აგვიწერს შემდეგს:

„გურჯაანის ტელეგრაფში მსახურობს ვინმე არსენა, რომელსაც შრომა ეზარება: ერთ დღეს რომ წაიმსახურებს, სამსა და ოთხს „წაიავადმყოფებსო“. გურჯაანის ექიმი ამას ვერ ამჩნევს, სინჯავს ამ ცრუავადმყოფს, და უწერს და უწერს წამლებს, თითქოს ექიმობა ბრმათა სკოლა იყვესო.

სიმულიანტი არსენაც, რაღა გაეწყობა, ისეთ „სისწრაფეს“ იჩენს ამ განგებ დაავადმყოფების პერიოდულობაში, რომ, თითქმის ყოველი ახალი ერთი დღის წამუშავების შემდეგ, უეჭველად ლოგინად ეცემა.

რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ წუთებში, როცა მასთან ექიმი შემოდის, როგორც საგანგებოთ დაბარებული.



ჩვენ ბევრი არსენა გაგვიგონია. ისინი თითქმის სუყველანი გმირები და ხალხისა და ქვეყნისთვის თავდადებულები იყვენ.

ახლა ეს არსენაც გაიცანით: ცრუავადმყოფობის მიზნით. ბალიშზე „თავდადებული“. რა თქმა ურთა, როცა მასთან ექიმია.

შემდეგ კი— თავაგდებული!..

## მუშფაკს მისცეს საყდარი, მაგრამ ზარი სად არი?!.

ლაპარაკია ბათომის, იგივე აჭარისტანის მუშფაკზე. სამხედრო უწყებამ ამ მუშფაკს დაუთმო ჰოსპიტალთან არსებული პატარა საყდარი. შიგ სამკითხველოს მოსაწყობათ.

რა თქმა უნდა, სიმპატიური საქმეა და კულტურულიც ყოფილ საყდარში სამკითხველოს მოწყობა, მკითხველთათვის კულტურულ საზრდოს მიწოდება.

მაგრამ სიმპატიური საქმე საიდან იქნებოდა სიმპტიური, რომ არასიმპატიურიც არ არსებობდეს იმავე დროს.

„ღმერთმა ერთი რად აცხონოს
თუ მეორე არ წარსწყმინდოს“-ო, ამბობს დიდებული შოთა.

ჰო-და, აი, ამ სამკითხველოსთან, ანუ უკეთ—ამ ყოფილ საყდართან არსებობდა სამრეკლოც, დიდის ზარით.

ერთ დღეს... ვაი, სირცხვილო, სად არის სიწითლე შენი?... ერთ რომელიღაც „ჯგუფს“ ჩამოუხსნია ეს ზარი, დაუდვია „დროვზე“ და ეზიდება...

საითკენ?

— ბაზრისკენ!

— რისთვის?

— იმისთვის... ესე იგი... უკაცრავათ... ყოფილი საყდრის ყოფილი შენობის „დასაკმაყოფილებლათ“... შესაკეთებლათ...

— მერე თქვენ ვინ გეკითხებათ „ბარი ათი შაური, ნიჩაფი — ხუთი-ო?!.

— უკაცრავათ... ესე იგი... როგორ? კეთილი განზრახვა, განა, ცუდ რამედ უნდა ჩაგეთვალოს?

— არა, რათა? განზრახვას ვინ გიშლით, წაიღეთ თან და მოგვწყდით თავიდან, მხოლოდ ეს ზარი კი დაგვიტოვეთ: სულ რომ „ძაღლი კუდით მიათრევდეს“, მაინც ფარად ღირს.

— უკაცრავად! — ამბობს „ჯგუფი“.

ჩვენ არა გვსურს ზარზე ჩხუბი“-ო და განშორდა ყოფილ ჰოსპიტალს.

„ჯგუფი“ საზოგადოთ კარგი მოვლენაა-“, ამბობს ამ ამბის მომწერი, კორესპონდენტი, ტარბი, მაგრამ ამ „ჯგუფზე“ დღესაც კი არ სწყდება ხალხში მითქმა-მოთქმა და გადაკრული, ირონიული დაცინვებით.



ჭეშმარიტად მართალია: „ზოგ კეთილ განზრახვას ჯოჯოხეთისკენ მივყევართო“!..

ვინც იცის, ზარი რომ, „კეთილი განზრახვის“ თანახმად, გაყიდულიყო, შემდეგ გზაში მას, იქნება, სამიკიტნოსკენაც კი გადაეხვია....

რას იზამთ? კაცნივართ!.,

# ცნობათა მიღება

**ნორცხვას.** გეთანხმებით, რომ თქვენი „პოემა“ სავსებით კონკრეტულ შემთხვევაზეა აგებული, მხოლოდ რატომ კონკრეტულადვე არ არის ეს კონკრეტულობა ჩამოყალიბებული?

„რალაც მინდა,
რალაც რაზე,
რომ გამოვსთქვა
ტკბილ - ნარნარზე“-ო, იწყებთ და ასე რალაც

რაზე რალაცას რალაცაობთ.

ეს კონკრეტულობა კი არა კლიკანტურობაა.

**ქვემეხს.** თქვენს ფსევდონიმს, რა თქმა უნდა, სავსებით შეეფერება ასეთი ლოზუნგები: „მოსცხე“, „დასცხე“, „„აძგერე“ და სხვ.

მხოლოდ ჩვენ ყველა ამ თქვენს ლოზუნგს მანამდის ვერ შევასრულებთ და, წარმოიდგინეთ, ვერც გავიგოებთ, სანამ არ ვიცით, თუ სახელდობრ: რისთვის უნდა „დავსცხოთ“?

**ტარიელს.** დავსტოვებდით ცარიელს პასუხისათვის განმზადილს ადგილს, მაგრამ დიდი თხოვნა და მუდარა ავტორისა არ შეიძლებოდა, რომ არ ყურად გველო. ამასთან დიდი ყურადღებით ვეპყრობით აგრეთვე საერთოდ სოფლად ქოხ-სამკითხველოსასაც. მოგვწონს ამ სამკითხველოს გამგის დახასიათება ტარიელის მიერ:

„გამგე სიმონ ჩხაიძე, ბიჭი წერწეტი, მაღალი,
ძალიანი ჩერჩეტია და ძალიანი აბდალი“-ო.

თუმცა არც ერთი ეს თვისება მას ხელს არ შეუშლის სამკითხველოს კარების თავ-თავის დროზე გაღებაში, გული რომ გულობდეს.

**ციალას:** არ ვიტყვით, რომ თქვენ ციალი გაკლდეთ, როგორც მთარგმნელს. მაგრამ, სამწუხაროთ, ეს თქვენი ნაშრომი ერთხელ უკვე იყო მოთავსებული ჩვენს ჟურნალში.

**„მგზავრს“.** მივიღეთ თქვენი პოეტური ნაწარმოები: „ვიყავი და აღარ ვარ“. ავავლ-ჩავავლეთ ბოლომდის თვალი და დავრწმუნდით მისი სათაურის მეორე ნახევრის სრულს სისწორეში.

**ვლადიმირსკის.** ძალიან შორ-შორ კი გყვარებიათ ხელის მოდება. ფსევდონიმის დასაბამიც კი ვერ გინახავთ საქართველოში და შორი ვლადიმირისათვის მიგიმართავთ მის შესადგენათ.

აბა შარადის შედგენაში ხომ მეტ „გაქანებას“ იჩენთ: არ დაგიტოვებიათ არც იტალია და არც ავსტრალია ხელშეუხებელი და მკლავებ მოუხველი.

მაგრამ „როგორც ჰქუხს, ისე არა სწვიმს“-ო, ნათქვამია და აი, თქვენი საშარადე ორი სიტყვისაგან „ტარტარო“ და „ზი-ვიუ“-დან მაინც ჯერ მივიღეთ „ტარტაროზი“, ისე უნაკლოდ, როგორც ეს თქვენა გგონიათ

ამაზე იტყვიან: „ბევრის მდომს ცოტაც არ გამოუდის“-ო.

**გოკოს.** ჯიხაიში თუ მხიარული სოფელია და ყველა ლხინობს და დროს ატარებს. მაშ სკოლის გამგე რათ უნდა შეადგენდეს გამონაკლისს, არ გვესმის.

რაც შეეხება სახალხო სასახლის შესახებ ცნობას, თქვენი ლექსიდან, ტარტაროზს იმდენად მოეწონა ის, რომ უცვლელად ათავსებს:

„სახალხო სახლს მივაშუროთ,
ტარტაროზო, არ დაგვზარდეს,
მას ამდენ ხანს მოვპოლავდით,
თავმჯდომარე რომ იზამდეს“-ო.

მხოლოდ ერთია ჩვენთვის ჯერ კიდევ გაურკვეველი: ეს თავმჯდომარე რის თავმჯდომარეა?

შეიძლება ის ისეთი რამეს თავმჯდომარე იყვეს, რომლის დებულებითაც „პოლი“ სავალდებულოც არ გახლდესთ.

მაშინ თავმჯდომარე სავსებით მართალია. ყოველი თავმჯდომარისთვის მხოლოდ თავია სავალდებულო, რომ ყველას გააჩნდეს.

დანარჩენი ყველაფერი და მათ შორის „პოლიც“-ეს უკვე ერთნაირი ფუფუნების საგანია.

**ათანასეს.** არა თუ ოზურგეთის საავადმყოფოში, არამედ თითქმის ყველა საავადმყოფოში ასეა: მოსამსახურეები, როცა ექიმებს ხედავენ, ბზიალობენ, თავს ევლებიან ავადმყოფებს; როცა კი თავებს თავისუფლად გრძნობენ. რალა თქმა უნდა, სავსებით სარგებლობენ ამ „თავისუფლებით“.

მაშ, როგორ გნებავთ? რისთვის ვიბრძოდით ამ თავისუფლებისთვის. „სისხლს რისთვის ვღვრიდით“?!.

ერთი კი არ არის კარგი. სახელდობრ: თუ ავადმყოფთა მნახავებს კალოშები ეკარგებათ.

მაგრამ არც ის არის კარგი, თუ ავადმყოფთა მნახავები მართლაც ისე ირევიან საავადმყოფოში, როგორც თქვენა გვწერთ.

კალოშების დაკარგვას ჩვენ მაინც ვერ გავამართლებთ. კეთილმოწყობილ ქვეყანაში ამისათვის საგანგებო ნომრებია დაწესებული საგანგებო გადასახდელ ადგილებთა და საგანგებო ყურის მგდებლებით.

არ ვიცით, კეთილმოწყობის მხრივ, როგორ არის საქმე დაყენებული ოზურგეთის საავადმყოფოში და საერთოდ —მთელს ოზურგეთში

**ძმნუტის.** თქვენს კორესპონდენციას; „ზესტაფონის რამე-რუმეს შემოკლებით აქვე ვათავსებთ ჩვენს ჟურნალში. მაგრამ იქიდან ჩვენ. სხვა შემოკლებას გარდა, ამოვიღეთ კიდევ ცნობა შესახებ ზესტაფონის აბანოსა.

შეიძლება აღნიშნულ აბანოს თქვენ უკიჟინოთ: „სიცივეც, წყალის ნაკლებობაც, უსუფთაობაც. მაგრამ ერთში კი იგი სავსებით მართალია: საპნით რომ თვალები აგეწვის, ეს აბანოს ბრალი კი არ არის, არამედ — პებანოესი, ანუ უკეთ —იმის, ვინც იბანს. ამ შემთხვევაში — თქვენი.

# ცალ-ცალკე და ყველა ერთად



მუშკური — კალმით, გლეხკური ცოცხით;
ყოფნის მდინარე სულ ერთის მოსმით.